

საქართველოს მცენარეები

812 სახეობა / 812 ფოტო



საველე მეგზურზე მუშაობის დროს განეული დახმარებისათვის CENN მადლობას უხდის ირაკლი მიქელაძეს, ლია ახობაძეს, მარინე მოსულიშვილს, ზაურ ხაჩიძეს, გიორგი არაბულს, გიორგი სულამანიძეს, გიორგი იანქოშვილს, თეიმურაზ ზიაზიევს, ამირან კოდიამშვილს, ჯონი ნველეშვილს.

გამოცემა ეძღვნება ჭიჭიკო ჯანელიძის ხსოვნას

საქართველოს მცენარეები © CENN

ISBN 978-9941-8-3259-8

საველე მეგზურზე იმუშავა ვახაბერ სუხიტაშვილმა

საველე მეგზური მომზადდა პროექტის – „ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა სოფლის განვითარებისათვის“ – ფარგლებში, **ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის** – ADC-ის – ფინანსური მხარდაჭერით. საველე მეგზურის შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი და, შესაძლებელია, არ გამოხატავდეს ADC-ის მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

თბილისი, 2022



ფოტო ყდაზე:

ჩვეულებრივი მურყანი

კოლხური ფლორის რელიქტია, ჭალისა და მთისწინეთების ტყეების ერთ-ერთი მთავარი ტყის შემქმნელი სახეობა. ეს მცენარე ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის ინდიკატორია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, პირველადი ტყეების ადგილს იკავებს.

ჩიტისთავა

მშრალი ფერდობებისა და ბუჩქნარებისათვის დამახასიათებელი ეფემერი სახეობაა. ყვავის გაზაფხულზე და ქმნის საინტერესო პეიზაჟებს. მაგალითად, ზოგიერთ წელს არწივის ხეობაში დიდი რაოდენობით ჩიტისთავა იზრდება და აპრილში გარემოს ყვითლად მოსავს.

უთხოვარი

კოლხური ფლორის ეს რელიქტი საქართველოს ფლორის სიამაყეა. მსოფლიოში უთხოვარის ყველაზე დიდი და ძველი კორომი შემონახულია კახეთში, პანკისის ხეობაში, ბანარას სახელმწიფო ნაკრძალში. როგორც მონყვლადი სახეობა, შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში.

საველე მეგზურის შესახებ


საველე მეგზური შეიცავს საქართველოს ფლორის 812 სახეობას და 812 ორიგინალურ ფოტოს. საველე მეგზურის მიზანია საქართველოს მცენარეული მრავალფეროვნებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას დაეხმაროს მცენარეების საველე პირობებში ამოცნობაში.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც დაკავებულია მცენარეების შეგროვებით და იყენებს მათ როგორც პირადი სარგებლობისათვის, ასევე კომერციული დანიშნულებით; განსაკუთრებით კი – ქალებისა და გოგონების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისათვის.

მეგზურში შეტანილია როგორც იშვიათი და ენდემური, ასევე მეტ-ნაკლებად გავრცელებული სახეობები. საველე მეგზურზე მუშაობის დროს, 2017 წლის მარტიდან სექტემბრის ბოლომდე, ავტორმა იმოგზაურა მთელ საქართველოში (იხ. რუკა, გვ. 4). საველე მეგზურის გამოყენება საკმაოდ მარტივია და თითოეული სახეობის შესახებ შემდეგი ინფორმაცია არის წარმოდგენილი:

- სახეობის ლათინური სახელწოდება ფართოდ გავრცელებული სინონიმით;
- სახეობის ქართული სახელწოდება (თუ მას აქვს ასეთი);
- ბოტანიკური ოჯახის ლათინური და ქართული სახელწოდება;
- მცენარის ზოგადი აღწერილობა (დიაგნოზი);
- ლათინური ციფრები მიუთითებენ ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებს თვეების მიხედვით;
- მოყვანილია სახეობის ეკოლოგიური ნიშა;
- მოყვანილია გავრცელების არეალი საქართველოს და საერთო გავრცელების მასშტაბით;
- ყველა იშვიათი და ენდემური მცენარისათვის მოყვანილია შესაბამისი კონსერვაციული სტატუსი;
- მითითებულია ენდემური მცენარეები.

ტერიტორიები, სადაც შეგროვდა საველე მებგურის ძირითადი ფოტომასალა



თურქეთი

პირობითი აღნიშვნები	— მთავარი გზა
ტბა, წყალსაცავი	— ადგილობრივი გზა
მდინარე	— სახელმწიფო საზღვარი
+ აეროპორტი	მასშტაბი 1:1,000,000
— აეროპორტი	1 სმ = 6.2 კმ
⚓ საზღვაო პორტი	0 5 10 20 30
	km
	0 5 10 20 30
	მილი

საქართველოს დაცული ტერიტორიები

გაგაზრებითი დაცული ტერიტორიები



რუსეთი



სომხეთი

აზერბაიჯანი

საძიებელი ოჯახების მიხედვით

Pinaceae – ფიჭვისებრნი	10
Cupressaceae – კვიპაროსისებრნი	14
Taxaceae – უროხლისებრნი	18
Ephedraceae – ჯორისძუასებრნი	20
Adoxaceae – ადოქსასებრნი	20
Alismataceae – წელის მრავალძარღვასებრნი	26
Amaranthaceae – ჯიჯლაყასებრნი	26
Amaryllidaceae – ამარილისისებრნი	32
Anacardiaceae – თუთუბოსებრნი	42
Apiaceae – ქოლგოსნები	46
Apocynaceae – ქენდირისებრნი	58
Aquifoliaceae – ბადვისებრნი	62
Araceae – ნიუკასებრნი	62
Araliaceae – არალიასებრნი	64
Aristolochiaceae – ძირმწარასებრნი	66
Asparagaceae – სატაცურისებრნი	68
Balsaminaceae – ინასებრნი	82
Berberidaceae – ვონახურისებრნი	84
Betulaceae – არყისებრნი	86
Boraginaceae – ლაშქარასებრნი	98
Brassicaceae – ჯვაროსნები	128
Buxaceae – ბზისებრნი	150
Campanulaceae – მაჩიტასებრნი	152
Cannabaceae – კანაფისებრნი	174
Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი	178
Caryophyllaceae – მიხაკისებრნი	190

Cistaceae - საკმელასებრნი	210
Celastraceae - ჭანჭყათასებრნი	210
Colchicaceae - უცუნასებრნი	214
Compositae - რთულყვავილოვნები	216
Convolvulaceae - ხვართქლასებრნი	298
Cornaceae - შინდისებრნი	302
Crassulaceae - სქელფოთოლასებრნი	306
Cucubritaceae - გოგრისებრნი	316
Datisceae - დათვისკანაფისებრნი	318
Dioscoreaceae - დიოსკორეასებრნი	318
Droseraceae - დროზერასებრნი	320
Ebenaceae - აბანოზისებრნი	320
Elaeagnaceae - ფშატისებრნი	322
Ericaceae - მანანასებრნი	324
Euphorbiaceae - რძიანასებრნი	334
Fagaceae - წიფლისებრნი	336
Gentianaceae - ნაღველასებრნი	344
Geraniaceae - ნემსიწვერასებრნი	354
Grossulariaceae - ხურტკმელისებრნი	366
Hydrangeaceae - წყალფოთოლასებრნი	366
Hyperidaceae - კრაზანისებრნი	368
Iridaceae - მამბახისებრნი	374
Juglandaceae - ვაკლისებრნი	388
Lamiaceae - ტუჩოსნები	390
Lauraceae - დაფნისებრნი	432
Leguminosae - პარკოსნები	432

Liliaceae – შროშანასებრნი	472
Linaceae – სელისებრნი	486
Lythraceae – ცოცხამაგარასებრნი	494
Malvaceae – ბალბასებრნი	496
Melanthiaceae	502
Moraceae – თუთისებრნი	504
Nitrariaceae – ნიტრარიასებრნი	506
Nymphaeaceae – დუმფარასებრნი	508
Oleaceae – ზეთისხილისებრნი	508
Onagraceae – წყალნაწყენისებრნი	512
Orchidaceae – ჯადვარისებრნი	516
Orobanchaceae – კელაპტარასებრნი	556
Oxalidaceae – მჟაველასებრნი	576
Paeoniaceae – იორდასალამისებრნი	578
Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი	586
Paulowniaceae – პაულოვნიასებრნი	602
Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი	602
Plumbaginaceae – ტყვიაბალახასებრნი	626
Polemoniaceae – პოლემონიუმისებრნი	626
Polygalaceae – წინინაურისებრნი	628
Polygonaceae – მათიტელასებრნი	630
Portulacaceae – დანდურისებრნი	640
Primulaceae – ფურისულასებრნი	642
Ranunculaceae – ბაიასებრნი	658
Resedaceae – რეზედასებრნი	686
Rhamnaceae – ხეჭრელისებრნი	688

Rosaceae - ვარდისებრნი	694
Rubiaceae - ენდროსებრნი	746
Rutaceae - ტეგანისებრნი	758
Salicaceae - ტირიფისებრნი	758
Santalaceae - სანდალოზისებრნი	766
Sapindaceae - საპინდასებრნი	768
Saxifragaceae - ფხიჭასებრნი	774
Scrophulariaceae - შავწამალასებრნი	782
Simaroubaceae - ხემყრაღასებრნი	790
Solanaceae - ძაღლყურძენასებრნი	792
Staphyleaceae - ჯონჯოლისებრნი	800
Tamaricaceae - იაღუნისებრნი	800
Thymelaeaceae - მაჯადვერისებრნი	802
Ulmaceae - თელისებრნი	806
Urticaceae - ჭინჭრისებრნი	808
Violaceae - იისებრნი	812
Zygophyllaceae - ორყურასებრნი	820

Abies nordmanniana (Stev.) Spach. - კაკპასიური სოჭი

ოჯახი: Pinaceae - ფიჭვისებრნი

50 მ-მდე სიმაღლის ხეა, სისქით 1.5 მ-მდე აღწევს; ვარჯი პირამიდისებურია, ქერქი რუხი ფერისაა. წიწვები ბრტყელია, გემოდან - მუქი მწვანე, პრიალა, ქვემოდან - ვიწრო მწვანე ქედით და ორი თეთრი ზოლით. სათეს-
ლე გირჩები მარტოულია, მოგრძო ცილინდრული ფორმის. ყვ. IV-V, ნაყ. IX-XI. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლებში, 800-2,200 მ სიმაღლეზე. ქმნის ტყეებს მეტწილად ნაძვსა და წიფელთან ერთად. გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დასავლეთ კავკასიასა და მცირე აზიას. მცენარე აღწერილია საქართველოდან.

Picea orientalis (L.) Link. - აღმოსავლეთის ნაძვი

ოჯახი: Pinaceae - ფიჭვისებრნი

50 მ-მდე სიმაღლისა და 1.5 მ-მდე დიამეტრის ხეა. ვარჯი პირამიდისებურია. ქერქი ახალგაზრდა ხეებზე ღია რუხი ფერისაა, ასაკოვან ხეებზე კი მუქი რუხია და დამსკდარი. ტოტები ხშირია, ოდნავ ქვევით დახრილი. წიწვები ოთხნახნაგოვანია, მუქი მწვანე ფერის, პრიალა, მდედრობითი გირჩები მომწიფებამდე მენამული იისფერია, მომწიფებისას ღია მურა ფერისაა, ცილინდრულ-თითისტარისებური. ყვ. IV-V, ნაყ. VII-VIII. იზრდება დაჩრდილულ ფერდობებზე, 300-2,200 მ სიმაღლეზე. ქმნის სხვა მცენარეებთან შერეულ ტყეებს, გვხვდება აგრეთვე სუფთა კორომების სახითაც. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში (ლიახვის ხეობაში). გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დასავლეთ კავკასიას და მცირე აზიას. შეიძლება ჩაითვალოს კავკასიის ეკორეგიონის ენდემად.



Pinus sylvestris var. hamata Steven = Pinus kochiana Klotzsch ex K. Koch - შპპი ფიჭვი

ოჯახი: Pinaceae – ფიჭვისებრნი

3-15 მ სიმაღლის ხეა. ვარჯი მომრგვალებულია, ტოტები ზემოთ არის მიმართული. წიწვები მწვანეა, 2.5-7 სმ სიგრძის, ხეშეში, ნემსისებურად დაბოლოებული. გირჩები კვერცხისებურია, პრიალა, მოკლეყუნწიანი ან მჭდომარე, მართოული ან რამდენიმე – ერთად განლაგებული. ყვ. IV-V, ნაყ. IX-X. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე, საქართველოში ცნობილია აჭარაში, თრიალეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Pinus sylvestris var. hamata Steven. = Pinus sosnowskyi Nakai - სოსნოვსკის ფიჭვი

ოჯახი: Pinaceae – ფიჭვისებრნი

20-35 მ სიმაღლის ხეა, 1 მ-მდე დიამეტრის. ვარჯი პირამიდისებურია ან მომრგვალო. ქერქი ღეროს ქვედა ნაწილში მუქი მურა ფერისაა, ზემოთ – მონიშნული ყვითელი. წიწვები ღეგა მწვანე ფერისაა, მდედრობითი გირჩები კვერცხისებურია, მართოული ან 2-4, მონაცრისფრო ან მოყვითალო მურა ფერის. ყვ. IV-V, ნაყ. IX-X. იზრდება დაბლობიდან დანყებული ტყის ზედა საზღვრამდე, უმთავრესად კი – მთის შუა და ზედა სარტყლებში, ციცაბო ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიას. გომბორის ქედის სამხრეთ კალთაზე წარმოდგენილი ფიჭვნარები უნიკალურია იქ მიმდინარე ფორმათწარმოქმნის პროცესების გამო და ამიტომ, ეს კორომები დაცულია მარიაშვილის სახელმწიფო ნაკრძალში.



Juniperus communis L. = Juniperus hemisphaerica C. Presl. - ჩვეულებრივი ღვია

ოჯახი: Cupressaceae – კვიპაროსისებრნი

ხე ან ბუჩქია, ღერო 10 მ-მდე სიმაღლისაა, სწორადმდგომი, მთავარი ღეროთი და გადაშლილი ვარჯით. ქერქი მუქი რუხი ფერისაა, წიწვები – 15-20 მმ სიგრძისა. სწორია, სამწვერიან ჩხროებად განლაგებული. მამრობითი გირჩები ოვალურ-სფეროსებურია, დამნიფებული მდედრობითი გირჩები სფეროსებურია, 8-9 მმ დიამეტრის, მოშავო ლურჯი ან შავი ფერის. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გვხვდება ტყეებსა და ტყისპირებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს, მცირე აზიას, ჩრდილოეთ ირანს.

Juniperus foetidissima Willd. – შავი ღვია, მყრალი ღვია

ოჯახი: Cupressaceae – კვიპაროსისებრნი

ხე ან ბუჩქია. ღერო 6-10 მ-მდე სიმაღლისაა და 30-60 სმ-მდე დიამეტრის, ვარჯი ჩვეულებრივ პირამიდულია ან კონუსისებური, ქერქი რუხია, ახალგაზრდა ტოტებზე მონითალო-მურა ფერისაა. წიწვები მუქი მწვანეა, 2-5 მმ-მდე სიგრძის. მამრობითი გირჩები კვერცხისებურ-სფეროსებურია. მომნიფებული მდედრობითი გირჩები სფეროსებურია, მონითალო-შავი ფერის. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში, კლდოვანსა და ქვიშა-თიხნარ მშრალ ფერდობებზე; ხშირად ქმნის მეჩხერ ტყეებს საკმლის ხესთან, ქართულ მუხასთან, ბერყენასა და ღვიის სხვა სახეობებთან ერთად. გავრცელებულია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Juniperus oxycedrus L. = Juniperus rufescens Link. - ნიჟელი ღვია

ოჯახი: Cupressaceae - კვიპაროსისებრნი

ხეა ან ბუჩქი. ღერო 4-10 მეტრი სიმაღლისაა, ხშირი ვარჯით, ქერქი ღია რუხი ფერისაა. წიწვები ხაზური ან ნემსისებურია, მჩხვლეთავი ნემსით დაბოლოებული, ზემოდან 2 თეთრი ზოლითა და მურა ფერის შუა ძარღვით, ქვემოდან კი ვიწრო, მახვილი ქედით. მამრობითი გირჩები და ნაყოფიც სფეროსებურია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას.

Juniperus polycarpus K. Koch - მრავალნაყოფა ღვია

ოჯახი: Cupressaceae - კვიპაროსისებრნი

ხეა. ღერო 6-12მ სიმაღლისაა, ვარჯი ხშირია, პირამიდის ფორმის ან ცილინდრული. ქერქი მონითალო რუხია, წიწვები ღია მწვანე ფერისაა, პატარა ზომის, მჭიდროდაა ყლორტებზე კრამიტისებურად განლაგებული, მოყვანილობით კვერცხის ან რომბის ფორმისაა. ზურგის მხარეზე ფისოვანი ჯირკვლებით ხასიათდება. მამრობითი გირჩები კვერცხისებურია, მდედრობითი - სფეროსებური. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე. სემიარიდული ეკოსისტემების ნათელი ტყეების შემადგენელი ნაწილია. საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად, კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Juniperus sabina L. - კაზაკური ღვინა

ოჯახი: Cupressaceae – კვიპაროსისებრნი

ბუჩქია. ორსახლიანი, გართხმული ან თითქმის სწორად მდგომი, დაბალი ტანის, მონითალო რუხი ფერის. წიწვები პატარა ზომისაა – 2 მმ-მდე სიგრძის, ქერქლისებური, რომბული ან რომბისებურ ლანცეტა ფორმის. მომწიფებული მდედრობითი გირჩები მომრგვალო-ოვალურია ან თითქმის სფეროსებური, მარტოული, მოშავო-ლურჯი ფერის. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ და ალპურ სარტყელებში ნაშალებზე, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა აზიას.

Taxus baccata L. - უთხოვარი

ოჯახი: Taxaceae – ურთხლისებრნი

20-35 მ სიმაღლის ხეა. ქერქი მონითალო რუხი ფერისაა, გლუვი ან სიგრძივ ფირფიტისებური. ვარჯი კვერცხისებურია ან პირამიდის ფორმის. წიწვები ბრტყელია, მოყვანილობით – ხაზური, ნამგალივით ოდნავ მოღუნული, ზემოდან – მუქი მწვანე, პრიალა. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება ტენიან ტყეებში, ნიფლნარებში როგორც ერთეულების, ისე მცირე ჯგუფების სახით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. უთხოვრის ყველაზე დიდი და კარგად შემონახული მასივი დაცულია ბანარის ნაკრძალში. ეს კორომი თავისი მახასიათებლებით მსოფლიო მნიშვნელობისაა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპასა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Ephedra major subsp. procera (C. A. Mey.) Bornm. = Ephedra procera C. A. Mey. - სხენისმუხლა

ოჯახი: Ephedraceae - ჯორისძუასებრნი

20-50 სმ სიმაღლის, სწორად მდგომი, ძლიერ დატოტვილი ბუჩქია. ტოტები წახნაგოვანია და გლუვი, ხშირად - მონაცრისფრო-მწვანე. მამრობითი თავაკები ხშირად შეჯგუფებულია სფეროსებურ ყვავილედად. მდედრობითი ყვავილები მარტოულია, ოვალური ფორმისა, ცრუნაყოფი კენკრა კვერცხისებურია. ყვ. III-IV, ნაყ. VI-VII. იზრდება ქვიან და მშრალ ფერდობებზე, თიხიან ნიადაგებზე განვითარებულ ბუჩქნარებში. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და აღმოსავლეთ აზიას.

Sambucus ebulus L. - ანწლი

ოჯახი: Adoxaceae - ადოქსასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უსიამოვნო სუნით. ღერო სწორია, 80-150 სმ სიმაღლის, ღარებიანი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, ძირითადად - შიშველი. ფოთოლი კენტფრთისებურია, 5-11 მოგრძო - ლანცეტა ფოთოლაკით, კიდეებზე - ხერხებილა. ყვავილედია კენწრული ფარისებური საგველაა. გვირგვინი თეთრია, ზოგჯერ - მოვარდისფრო ან მომწვანო. ნაყოფი შავია. ყვ. VI-VIII, ნაყ. VIII-X. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, მდინარეთა ნაპირებზე, ტყის პირას, ქვიან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიას, ირანს, ერაყს.



Sambucus nigra L. - დიდბულა

ოჯახი: Adoxaceae - ადოქსასებრნი

ბუჩქია ან პატარა ზომის ხე, ოდნავ უსიამოვნო სუნით. მცენარის სიმაღლე 3-6 მ-ია, დატოტვილი. მისი ნორჩი ნაწილები, ძირითადად, შიშველია. ფოთოლი კენტფრთისებურია, 3-7 ფოთოლაკით, ფოთოლაკები კვერცხისებურ-ლანცეტაა, ხერხვბილა. ყვავილედ იფარისებური საგველაა. გვირგვინი თეთრია ან მკრთალი ყვითელი, ნაყოფი იისფერ-შავი. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-X. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე მდინარეთა ნაპირებზე, ტყის პირას. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, სირიას, ირანსა და ერაყს.

Viburnum lantana L. - უბანი

ოჯახი: Adoxaceae - ადოქსასებრნი

1-3 მ სიმაღლის ბუჩქია, ნორჩი ტოტების ფოთლების ქვედა მხარე და ფოთლის ყუნწები სქლად არის შებუსული. ფოთლები მთლიანია, მოკლეყუნწიანი, კვერცხისებური ან ელიფსისებური ფორმის, კიდეებზე დაკბილული. ზედა მხარე მუქი მწვანეა. ყვავილედ კენწრულია, ფარისებური. გვირგვინი მოყვითალო-თეთრი ფერისაა. ნაყოფი კვერცხისებურ-ელიფსურია. თავიდან მწვანეა, შემდეგ - წითელი, ბოლოს - შავი. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში, ზოგჯერ, როგორც ქვეტყე - მშრალ მუხნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკას.



Viburnum opulus L. - ძბხველი

ოჯახი: Adoxaceae - ადოქსასებრნი

1.5-3.5 მ სიმაღლის ბუჩქი ან პატარა ხეა. ნორჩი ტოტები შიშველია, ფოთლები – მთლიანი, მოკლევუნნიანი, ფართო, კვერცხისებურ-ელიფსისებური. ფოთლის ფირფიტა სამნაკვთიანია, კიდეებზე დაკბილული; ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა – ოდნავ შებუსული. ყვავილედ კენწრულია, ფარისებური. განაპირა ყვავილები დიდი ზომისაა, თეთრი ფერის, ბორბლისებური და უნაყოფო. ყვ. V-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, მდინარეთა ხეობებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ჩრდილო აფრიკას.

Viburnum orientale Pall. - მოლოზანა

ოჯახი: Adoxaceae - ადოქსასებრნი

2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ნორჩი ყლორტები გაბნეული ბენჯითაა მოფენილი. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია ან კვერცხისებურად მომრგვალო ფორმის, ზედა ნაწილში 3-ნაკვთიანია, მსხვილად დაკბილული. ყვავილები შეკრებილია ფარისებურ ყვავილედებად. ყველა ყვავილი ერთნაირია, ორსქესიანი. გვირგვინი მოკლე-ბარისებურია, თეთრი ფერის. ნაყოფი ელიფსურია, წითელი. ყვ. VI-VII, ნაყ. IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Alisma plantago-aquatica L. - წყლის მრავალძარღვა

ოჯახი: Alismataceae – წყლის მრავალძარღვასებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესვთანური ფოთლები როზეტად არის შეკრებილი და კვერცხისებურია, გულისებურ-კვერცხისებური ან მომრგვალო ძირით. ყვავილედის საგველაა. ყვავილი თეთრია და ორსქესიანი, პირამიდისებური მოყვანილობის. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ჭარბტენიან ადგილებში, გუბეების, ჭაობებისა და ტბორების ნაპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ჩრდილოეთ და ცენტრალურ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, შუა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას.

Amaranthus hybridus L. - ჭიჭლაყა

ოჯახი: Amaranthaceae – ჭიჭლაყასებრი

1 მ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს სწორი ღერო, სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი, ზედა ნაწილში მეტ-ნაკლებად ხშირი შებუსვით. ფოთლები გრელყუნნიანია, მოყვანილობით – რომბულ-კვერცხისებური ან ელიფსური. ყვავილები შეკრებილია მოგრძო ჯგუფებად, რომლებიც ქმნიან უფოთლო, თავთავისებურ, კენწრულ და ილღიურ ყვავილედებს. ყვ. ნაყ. VII-XI. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე რუდერალურ ადგილებში და როგორც სარეველა – ნათესებში. გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს, აფრიკას, ავსტრალიასა და ამერიკას.



Chenopodium album L. - ნაზარქათამბ

ოჯახი: Amaranthaceae - ჯიჯლაცასებრნი

100 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, ფქვილისებური ნაფიფქით მოფენილი ან შიშველი. ფოთოლი მოყვანილობით რომბისებურ-კვერცხისებურია, ორივე მხარეზე ან მხოლოდ ქვედა მხარეზე ხასიათდება ფქვილისებური ნაფიფქით. ყვავილების გორგლურები შეკრებილია თავთავისებურ ან ფარჩხატ საგველასებურ ყვავილედში. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება, როგორც სარეველა, ნათესებში, ბოსტნებსა და ბაღებში, აგრეთვე - მდინარეთა ნაპირებზე, რუდერალურ ადგილებში, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. კოსმოპოლიტი მცენარეა.

Chenopodium foliosum Asch.

ოჯახი: Amaranthaceae - ჯიჯლაცასებრნი

70 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, იშვიათად - მარტივი. ფოთლები ორივე მხარეს მწვანეა, ფესვთანური და ქვედა, ღეროსეული ფოთლები გრძელყუნჩიანია, მოხაზულობით - კვერცხისებურ-სამკუთხა. ყვავილეთი გრძელია, თავთავისებური, წვერამდე შეფოთლილი. ყვავილსაფარი მეტწილად სამად არის გაყოფილი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე ქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.



Petrosimonia brachiata (Pall.) Bunge - ხპარხპარა

ოჯახი: Amaranthaceae - ჯიჯლაყასებრნი

40 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, ძირიდან დატოტვილი, მოპირისპირედ განლაგებული ტოტებით, რომლებიც მოფენილია მიტკეცილი ბეწვით. ფოთლები მომსხოა, მოყვანილობით - ხაზური, ნახევრად ცილინდრული. ყვავილები განთავსებულია დამოკლებულ ტოტებზე, თანაყვავილაკები წვერში გადაღუნულია. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება მთის ქვედა სარტყლის მლაშობ და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ირანს.

Salsola ericoides M. Bieb. - ყარღანი

ოჯახი: Amaranthaceae - ჯიჯლაყასებრნი

60 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ლევა, შემოდგომაზე შავდება, ძლიერ დატოტვილი. ნორჩი ყლორტები მოკლე შებუსვითაა, უფრო ძველი ყლორტები კი შიშველია. ფოთლები მორიგეობითია, ხორცოვანი, ნახევრად ცილინდრული, ბლაგვი, მჭდომარე, შიშველი, დიდხანს რჩება ტოტებზე. ყვავილები თითო-თითოდაა განლაგებული თავთავისებურ ყვავილედეში, რომლებიც საერთო საგველაშია შეკრებილი; ყვავილსაფრის ნაკვთები შიშველია, ფართო, სიფრიფანაკიდებია, ხასიათდება მორუხო ფერის სიფრიფანა ფრთებით. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება მლაშობ, ქვიან ადგილებში, დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში. გავრცელებულია კახეთში, ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Allium atroviolaceum Boiss. - ყანის ნიორი

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს კვერცხის ან სფეროს ფორმის ბევრი ბოლქვი. ღერო 20-90 სმ სიმაღლისაა, ფოთოლი – 4-5, ფართო ან ვიწრო-ხაზური, ზოგჯერ – კიდენამწამებიანი, ვაგინები შებუსულია. ყვავილედის სფეროს ფორმისაა, ხშირ და მრავალყვავილიანი. ყვავილი ალუბლისფერ-მწვანეა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებში, ნათესებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიას.

Allium paniculatum L.

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ბოლქვი მომრგვალო-კვერცხისებურია. ღეროს სიმაღლე – 15-30 სმ. აქვს 3-4 ფოთოლი, ვიწრო-ხაზური, თითქმის კიდებდახვეული ფოთოლი; ყვავილედის მრავალყვავილიანია, გვირგვინი – მოთეთრო, მოვარდისფრო ან მწვანეა, ვარდისფერი ძარღვებით, პრიალა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლის ქვიან და ღორღიან ადგილებში, ბუჩქნარებში, ველებზე. საქართველოში გვხვდება აჭარაში, აფხაზეთსა და თითქმის მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Allium pseudoflavum Vved.

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ბოლქვი კვერცხის ფორმისაა. ღეროს სიმაღლე – 10-25 სმ, აქვს 4 ფოთოლი, ძაფისებური, ნახევრად ცილინდრული, დაღარული ფოთოლი. ყვავილედ მცირეყვავილიანია, მეჩხერი, გადაშლილი გვირგვინი მოთეთრო – ყვითელია, იშვიათად – მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე ქვიან და ღორღიან ადგილებში. საქართველოში გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილს.

Allium ursinum L. - ღანძილი

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

ბოლქვები მოგრძოა, გარსი სიფრიფანაა ბადისებური დაძარღვით. ღერო სამწახნაგოვანია. ფოთლის ფირფიტა ლანცეტაა ან მოგრძო, წანვეტებული, ძირში ყუნწად შევიწროებული. ყვავილედ სფეროს ფორმისაა. ყვავილსაფარი ვარსკვლავისებურია, ყვავილები – თეთრი. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება ტყის ქვედა და შუა სარტყლების, დაჩრდილულ ტყეებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელებულია საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს.



Allium victorialis L. - მთის ღანძილი

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

ბოლქვები სხედან ირიბ ფესურაზე, გარსი მკრთალი მურაა, ბადისებური. აქვს 2-3 ფოთოლი, გლუვი, ლანცეტისებური ან ფართო ელიფსური ფოთოლი. ყვავილელი სფეროსებურია. ყვავილსაფარი ვარსკვლავისებური, მოთეთრო-მწვანე. მტვრიანას ძაფები 1,5-ჯერ გრძელია ყვავილსაფარზე. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლების ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, აზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Galanthus alpinus Sosn. - ალპური თეთრყვავილა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. 8-10 მმ სიგანის, ქვემოდან ქედიანი ფოთლები მთელ სიგრძეზე თანაბრად არის განლაგებული. საყვავილე ღერო ფოთლებზე ბევრად გრძელია. ყვავილები დიდი ზომისაა. ყვავილსაფრის გარეთა სეგმენტები ნიჩბისებურ-კოვზისებურია. შიგნითა – სოლისებური, წვერში ამოკვეთილი, გულის ფორმის მწვანე ლაქით. ყვ. ნაყ. II-V. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლების ბუჩქნარებსა და მდელოებზე. საქართველოში ის გავრცელებულია თითქმის ყველგან, თუმცა – სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას (თურქეთი). მიიჩნევა კავკასიის ეკორეგიონის ენდემად.



Galanthus lagodechianus Kem. -Nath. - ლაბოდების თეთრყვავილა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ფოთლები პრიალაა, მწვანე. საყვავილე ღერო ფოთლებზე გრძელია. კოვზის ფორმის ყვავილსაფრის გარეთა სეგმენტები ღრმად ჩაზნექილია. შიგნითა სეგმენტები – თირკმლისებური, წვერში ამოკვეთილი, მწვანე, იშვიათად ყვითელი ლაქა აქვთ. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. საქართველოში გავრცელებულია კახეთსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილსა და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს. კავკასიის ენდემია.

Galanthus platyphyllus Traub & Moldenke - ბრტყელფოთოლა თეთრყვავილა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ფოთლები პრიალაა, მუქი მწვანე, ფართო, მოგრძო-ლანცეტა, წვეტზე ჩაჩით. ყვავილები პატარა ან საშუალო ზომისაა. საყვავილე ღერო ფოთლებზე გრძელია. ყვავილსაფრის გარეთა სეგმენტები მოგრძო-კვერცხისებურია, შიგნითა პატარა ზომისაა, ყვითელი ლაქით, წვერში ამოკვეთილი არ არის. ყვ. ნაყ. IV-V. მცენარე იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში, გავრცელებულია, ძირითადად, საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ასევე – ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებს. კავკასიის ენდემია.



Galanthus woronowii Losinsk. - პროტონოვის თეთრყვავილა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ფოთლები პრიალაა და მუქი მწვანე, ფორმით ფართო-ლანცეტაა, წვეტზე ჩაჩით. ყვავილები დიდი ზომისაა. ყვავილსაფრის გარეთა სეგმენტები მოგრძო-კვერცხისებურია, ჩაზნექილი, შიგნითა სეგმენტები ბრტყელია, წვერში ამოკვეთილი, თირკმლისებური მწვანე ლაქით. ყვ. ნაყ. I-III. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – ტყეებსა და ტყის პირას. საქართველოში გვხვდება, ძირითადად, დასავლეთ ნაწილში, ასევე – ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Leucojum aestivum L. - ცხენისკბილა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ღერო უფოთლოა, წახნაგებიანი, ფოთოლი – 10, ხაზური ფორმის, ღეროზე გრძელი ყვავილედის ქოლგაა, 9-10-ყვავილიანი. ყვავილი თეთრია, წვერში მწვანე ლაქებით. ყვ. ნაყ. III-V. მცენარე იზრდება ზღვის სანაპირო ჭაობებში, დაჭაობებულ მდელოებზე, მურყნარებში, არხების ნაპირებზე. ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილს, სამხრეთ ევროპას, ყირიმს, ახლო აღმოსავლეთს.



Panocratium maritimum L. - ზღვის პროპანა

ოჯახი: Amaryllidaceae – ამარილისისებრნი

მცენარე მსხვილბოლქვიანია, სიმაღლე – 40-70 სმ. ფოთლები ფართო-ხაზურია, ყვავილები, რიცხვით 2-10, ღეროს წვერზეა შეკრებილი. ყვავილსაფარი თეთრია, ძაბრის ფორმის, გრძელი მილით. ნაკვთები ხაზურ-ლანცეტაა, უკან გადაღუნული, ზურგზე მწვანე ზოლით. ყვავილსაფარს აქვს მოკლე დანამატი და 12 მსხვილი სამკუთხა კბილი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ზღვისპირა ქვიშებზე. საქართველოში გავრცელებულია შავიზღვისპირეთში. სახეობის გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთს. საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშეა შავი ზღვის სანაპიროების ათვისების გამო.

Cotinus coggygria Scop. - თრიმლი

ოჯახი: Anacardiaceae – თუთუბოსებრნი

პატარა ზომის ხე ან ბუჩქია, უხვად დატოტვილი, მორიგეობით განლაგებული მარტივი ფოთლებით. ფოთლები მომრგვალოა ან კვერცხისებური, 5-10 სმ სიგრძისა და 3-5 სმ სიგანის, კიდემთლიანი. ზედა მხარე შიშველია, მუქი მწვანე ან მოლევო-მონითალო. ქვედა მხარე უფრო მკრთალია, მეტ-ნაკლებად შებუსუსული. ყვავილები პატარა ზომისაა, მწვანე ან სოსანი, კენწრულ, ფარჩხატ საგველად შეკრებილი. ყვ. V-VI, ნაყ. VII-IX. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და ტყისპირებში. საქართველოში, განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ ნაწილში, ფართოდ არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



***Pistacia atlantica* Desf. = *Pistacia mutica* Fisch. & C. A. Mey. - სპკმლის ხე**

ოჯახი: Anacardiaceae - თუთუბოსებრნი

5-10 მ სიმაღლის ხეა, მრგვალი ან ნახევარსფეროსებური, დიდი ზომის ვარჯით. ფოთლები კენტფრთისებურია, 3-9 ფოთოლაკით, ტყავისებური, კიდეშთლიანი. ფოთოლაკები კვერცხისებურია ან მოგრძო-ლანცეტა, მოკლეყუნჩიანი ან თითქმის მჯდომარე. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა - უფრო ღია ფერის. ყვავილები პატარაა, ერთსქესიანი. ყვავილედ ილლიური საგველაა. ყვ. IV-VI, ნაყ. VI-VIII. დაბლობისა და მთისწინეთის მცენარეა. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ველებსა და ნახევარუდაბნოებში, ქმნის ნათელ ტყეებს. საქართველოში მისი ნახვა შესაძლებელია კახეთსა და ქართლში. მცენარე შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.

***Rhus coriaria* L. - თუთუბო**

ოჯახი: Anacardiaceae - თუთუბოსებრნი

1-5 მ სიმაღლის ხეა ან ბუჩქი. ერთწლიანი ყლორტების ქერქი მონაცრისფრო ან მოყვითალოა, შებუსუსი. ფოთლები კენტფრთისებურია, 9-17-ფოთოლაკიანი, სიგრძით - 15-20 სმ. ფოთოლაკები კვერცხისებურია ან ლანცეტა, კიდეებზე უთანაბროდ დაკბილული. ზედა მხარე მცირედ შებუსუსი ან შიშველია, ქვედა - შებუსუსი. ფოთლის ყუნჩი ფრთიანია. ყვავილები ერთსქესიანია, ყვავილედ - საგველა. ყვ. VI-VII, ნაყ. IX-X. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ქვიან და კლდოვან ფერდობებზე, ქსეროფილურ ბუჩქნარებსა და არიდულ ტყეებში. სპორადულად მთელ საქართველოშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



Angelica sylvestris L. - ანგელიკა

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

2 მ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მსხვილია, მომრგვალოდარებიანი, ზედა ნაწილში დატოტვილი, ტოტები მორიგეობით ან მოპირდაპირედ არის განლაგებული. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია სამმაგ-ფრთისებური, ფოთოლაკები კვერცხისებურია. ქოლგა მრავალია, მრავალსხივიანი. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სართყლიდან სუბალპურ სართყლამდე ტყისპირა ადგილებში, ველობებსა და მაღალ ბალახეულობაში. გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპასა და მცირე აზიას.

Anthriscus nemorosa (M. Bieb.) Spreng. - ანთრისკი

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

100-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, წახნაგოვანდარებიანი, მუხლების ქვეშ ოდნავ გამსხვილებულია, ზედა ნაწილში – დატოტვილი. ფოთლები ორჯერ სამმაგად ფრთისებურადაა განკვეთილი, კვერცხისებურია ან მოგრძო, კიდეებზე დაკბილული. ქოლგები 8-15-სხივიანია. საბურველს ფოთოლაკები არა აქვს. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა სართყლიდან ალპურ სართყლამდე ტყისპირა ადგილებში, მდელოებსა და მაღალ ბალახეულობაში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.



Astrantia maxima Pall. - პარსკვლაპა

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, სიმაღლე – 40-70 სმ. შიშველი, წვრილღარებიანი, ზედა ნაწილში მცირედ დატოტვილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია. ფოთლის ფირფიტა თითქმის ძირამდეა სამად განკვეთილი. შუა სეგმენტი ვიწროა, ელიფსური, გვერდითები – ფართო-კვერცხისებური. კიდეები ჯაგრიანი და ორმაგკბილიანია. ყვავილედო ქოლგაა, საბურველის ფოთოლაკი დიდია – 8-12, ელიფსური, ნაწვეტებული, ქოლგებს თითქმის ორჯერ აღემატება. ზედა მხარე მწვანეა, ქვედა – ვარდისფერი ან წითელი. ყვ. ნაყ. VII-IX. მაღალმთის მცენარეა, იზრდება ველობებსა და ტყისპირა ადგილებში. ფართოდაა გავრცელებული თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Bupleurum wittmannii Steven - ქვაპურა

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით – 20-60 სმ, შუა ნაწილიდან ან ძირიდანვე დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები მალე ჭკნება. ღეროსეულ ქვედა ფოთლებს აქვთ გულის ფორმის ფუძე, ნაწვეტებული ან მობლაგვო. შუა და ზედა ფოთლები ნახვრეტებიანია. ყვავილედო 7-12-სხივიანი ქოლგაა, საბურველაკის ფოთოლაკები ყვითელია, თანაბარი ზომისა და ქოლგაკებს ოდნავ აღემატება. ყვ. ნაყ. V-VI. მშრალი ჰაბიტატების მცენარეა. იზრდება ღია, მშრალ ფერდობებზე. საქართველოში გვხვდება კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, არის ჯავახეთშიც. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემია.



***Chamaesciadium acaule* (M. Bieb.) C. A. Mey.**

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

10-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უღერო ან ძლიერ დამოკლებული ღეროებით. ფესვთანური როზეტის ფოთლები მიწაზეა გართხმული, მოხაზულობით ვიწრო, მოგრძო-კვერცხისებურია, ორჯერ ფრთისებურად განკვეთილი ხაზურ ან ძაფისებურ ნაკვეთლებად. ქოლგა მრავალია. საბურველისა და საბურველაკის ფოთოლაკები ხაზურია ან ლანცეტა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში, ჩვეულებრივ, ალპურ ხალებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას და ჩრდილო ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

***Eryngium caeruleum* M. Bieb. = *Eryngium caucasicum* Trautv. - ლურჯი ნბრი**

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მოცისფრო-მწვანე ან თითქმის მოლურჯო-იისფერი. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, ზედა ნაწილში გაფარჩხულ-დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნჩიანია, ბალახოვანი ან რბილტყავისებური, მოგრძო-კვერცხისებური ფორმით, მთლიანი ან 3-ნაკვეთიანი. ყვავილედის საგველასებურია. საბურველის ფოთოლაკები – 5. თანაყვავილები სადგისისებურია, ჩხვლექია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ზღვის სანაპირო ზოლში, მთისწინებსა და მთის შუა სარტყელში მშრალ ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანსა და შუა აზიას.



Eryngium maritimum L.

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ლეგა ფერის. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, თითქმის ძირიდანვეა გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები ტყავისებურია, ნათლად გამოსახული ძარღვებით, კიდეებზე მსხვილ-ლეკლებიანი, მომრგვალო-გულისებური ან თირკმლისებური. თავაკები დიდი ზომისაა, სფეროსებური. საბურვლის ფოთოლაკები – 5, ფართო-რომბისებური. თანაყვავილები სადგისისებურია, წვერზე 3 წვეტით. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ზღვისპირა სილნარებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Falcaria vulgaris Bernh. – კოფრჩხილა

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

20-60 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ლეგა ფერის, შიშველი. ღერო სწორია, მომრგვალო, წვრილღარებიანი, შუა ნაწილიდან ან თითქმის ძირიდანვე გაფარჩხულად დატოტვილი. ფოთლები ტყავისებურია, გრძელყუნჩიანი, ფირფიტა სამად არის განკვეთილი, კიდეზე ხორკლებიანი ან ბასრხერხვბილა. ქოლგა მრავალია, ტოტების კენწეროებზეა შეკრებილი თითქმის ფარისებურ საგველად. საბურვლისა და საბურველაკის ფოთოლაკები ხაზურ-ჭაგრისებურია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ველებზე, ღია, მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ზოგჯერ გვხვდება ნათესებში, როგორც სარეველა. გავრცელებულია სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და შუა აზიას.



Heracleum asperum M. Bieb. - შუპყა

ოჯახი: Apiaceae - ქოლგოსნები

100-150 სმ სიმაღლის ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს ღრმა ღარები ჩასდევს; ჩვეულებრივ, სქლად არის მოფენილი ხორკლიანი ბენვით. ფოთლები სამფოთოლაკიანია ან ფრთისებურ-რთული, სეგმენტები კვერცხისებურია ან მოგრძო-კვერცხისებური. ქოლგები დიდი ზომისაა, მრავალსხივიანი, ხორკლიანი ბენვით შებუსული. ყვავილები თეთრია. ყვ. ნაყ. III-IX. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლების მაღალ ბალახეულობაში, ტყისპირა ადგილებში, ველობებსა და სუბალპურ მდელოებზე. გავრცელებულია შიდა ქართლში, მთიულეთში, ფშავში, ხევსურეთსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Heracleum mantegazzianum Sommier & Levier

ოჯახი: Apiaceae - ქოლგოსნები

3 მ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ღრმაღარებიან-წიბოებიანია, გაბნეულად შებუსული. ფოთლები შიშველია ან ქვედა მხარეზე გაფანტულად შებუსული. სეგმენტები მოხაზულობით მოგრძო-კვერცხისებურია, ღრმადაა ფრთისებურად დაყოფილი სამკუთხა-ლანცეტა ნაკვეთებად. ქოლგები ძალიან დიდი ზომისაა, მრავალსხივიანი (50-ზე მეტი). საბურვლის ფოთოლაკები მრავალია, ხაზურ-სადგისისებური. ყვავილები თეთრია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ველობებზე, მდინარეთა სანაპიროზე და მაღალ ბალახეულობაში. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთსა და სამეგრელოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Laser trilobum (L.) Borkh. - ოყიურა

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, მომრგვალო, წვრილდარებიანი და დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, მოხაზულობით – ფართო-კვერცხისებური. ღეროსეული ფოთლების ვაგინა ძლიერ გადიდებულია. ფოთოლაკები ფორმით თითქმის მომრგვალოა, 3-ნაკვთიანი. ქოლგები დიდი ზომისაა – 12-30-სხივიანი. საბურვლის ფოთოლაკები არა აქვს. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა და ზედა სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ველობებსა და ბუჩქნარებს შორის. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Prangos ferulacea (L.) Lindl.

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

150 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესვის ყელი სქლად არის დაფარული ბოჭკოებით. მსხვილი, შუა ნაწილიდან ძლიერად დატოტვილი, ტოტები მოპირისპირედაა განთავსებული. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, დიდი ზომისა, ფართო, კვერცხისებური ფორმის; მრავალჯერაა ფრთისებურად განკვეთილი ხაზურ-ჯაგრისებურ ნაკვეთლებად. გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ნაყოფი დიდია, თეთრი ფერის, ფრთები სწორია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე. ცნობილია კახეთში, ქართლსა და ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, სირიასა და ირანს.



Smyrnum perfoliatum L.

ოჯახი: Apiaceae – ქოლგოსნები

40-80 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ქვედა ნაწილში მეტ-ნაკლებად მომრგვალოა, ზედა ნაწილში წახნაგოვანი და წიბოებზე ფრთიანი, დატოტვილი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფორმით ფართო-კვერცხისებური, ფრთისებურად განკვეთილი, სეგმენტები კვერცხისებურია, კიდეებზე მრგვალკბილა-ხერხისებური. ქოლგის სხივი – 6-10, უთანაბრო. საბურველს ფოთოლაკები არა აქვს. ყვავილები მომწვანო-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების, ნესტიან, დაჩრდილულ ადგილებში, ტყის ველობებზე, ბუჩქნარებს შორის. გავრცელებულია შიდა ქართლში, კახეთში და თრიალეთის ქედზე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და სირიას.

Periploca graeca L. - ღვედკეჭი

ოჯახი: Apocynaceae – ქენდირისებრნი

30 მ სიმაღლის ხვიარა ბუჩქია. ფოთლები მოკლეყუნწიანია, შიშველი, კიდემთლიანი, კვერცხისებურ-ლანცეტაან ელიფსურ-ლანცეტა. ყვავილედნი ნახევრად ქოლგაა, კენწრული. გვირგვინი შიგნიდან მონითალო-ყავისფერია, გარედან – მომწვანო. ყვ. V-VI, ნაყ. IX. იზრდება დაბლობსა და მთის ქვედა სარტყელში – ბუჩქნარებში, ტყისპირებსა და მდინარეთა ნაპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს.



Vinca herbacea Waldst. & Kit. - ბველის სურო

ოჯახი: Apocynaceae – ქენდირისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყლორტები გართხმულია ან წამოწეული, ნაყოფიანიც არის და უნაყოფოც, შიშველი, ქვედა ფოთლები კვერცხისებურია ან მომრგვალო, ზედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, კიდეებზე – ხაოიანი. ყვავილები მარტოულია, ილლიური, დიდი ზომის, შეფერილობით ლურჯი იისფერია ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობიდან შუა სარტყლამდე ბუჩქნარებსა და ფერდობებზე, ველებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და ერაყს.

Vincetoxicum scandens Sommier & Levier = Vincetoxicum amplifolium C. Koch - შორვალა

ოჯახი: Apocynaceae – ქენდირისებრნი

180 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხვიაარაა, წვრილად შებუსუსული, ფოთლები ფორმით კვერცხისებურია ან ლანცეტა. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა. ყვავილედ ილლიური მტევანია, გვირგვინის ნაკვთები ოდნავ ხორცოვანია, სამკუთხა, მურა-მოშავო ან მომწვანო. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, სამხრეთ ევროპა და მცირე აზია.



Ilex colchica Pojark. - ჭყორი

ოჯახი: Aquifoliaceae – ბადვისებრნი

მარადმწვანე ბუჩქი ან პატარა ზომის ხეა, სიმაღლე – 2-6 მ. ღერო ძირიდანვე დატოტვილია. ფოთლები ფორმით ვიწრო-ლანცეტისებურიდან კვერცხისებურ-ელიფსურამდე ცვალებადობს. კიდებამოკვეთილია, თითო გვერდზე 3-9-კბილიანი ნაკვთია. ფოთლები მუქი მწვანეა, ტყავისებური. ყვავილედ იღლიური ქოლგა ან მტევანია. გვირგვინი პატარა ზომისაა, მომწვანო-თეთრი, თითქმის ბორბლისებური. ყვ. IV-V, ნაყ. VI-VIII. ფართოფოთლოვანი და მუქნიწვოვანი ტყეების, ასევე სუბალპური სარტყლის მცენარეა. ზოგჯერ ქვეტყეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კოლხური ფლორის რელიქტია. გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და სამხრეთ ევროპას.

Arum orientale M. Bieb. - ნიჟკა

ოჯახი: Araceae – ნიუკასებრნი

მრავალწლიანი, ტუბერიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები დიდი ზომისაა, შუბისებური ან ისრისებური, საყვავილე ღერო უფრო მოკლეა, ვიდრე ფოთლის ყუნწი. საბურველი ფართო-კვერცხისებურია, ნაწვეტებული, თეთრი, ბურგზე – მომწვანო. ნაყოფი მუქი წითელია, ნარინჯისფერი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ნაკადულების პირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპასა და მცირე აზიას. მცენარე აღწერილია საქართველოდან.



Arum rupicola Boiss. - ნიჟკბ

ოჯახი: Araceae – ნიუკასებრნი

მრავალწლიანი, ტუბერიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მოგრძო-შუბისებურია, საყვავილე ღერო უფრო გრძელია, ვიდრე ფოთლის ყუნწი. საბურველი ლანცეტისებურია, გარედან – იისფერი, მენამული ან მოთეთრო-მოყვითალო. ნაყოფი ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-VI. მცენარე იზრდება ბუჩქნარებში, ტენიან და ქვიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ ნაწილსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.

Hedera helix L. - სურთი

ოჯახი: Araliaceae – არალიასებრნი

ლიანა ბუჩქია, მიწაზე გართხმული და მცოცავი. უნაყოფო ყლორტების ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებური ფორმისაა, 3-7-ნაკვთიანი. ნაკვთები ისრისებურია, შეფერილობით – მუქი მწვანე, ზედა მხარე ზოგჯერ მოთეთროა, მოხატული ძარღვების შეფერილობის გამო. სანაყოფე ყლორტების ფოთლები მთლიანია, კვერცხისებური ან რომბისებური. ყვავილედის სწორადმდგომი ქოლგაა. გვირგვინი მწვანე ფერისაა. ყვ. IX-II, ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – ტყეებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Hedera pastuchovii Woronow - პასტუხოვის სურო

ოჯახი: Araliaceae - არალიასებრნი

ლიანა ბუჩქია. ფოთლები ტყავისებურია, მიწაზე გართხმული და მცოცავი. უნაყოფო ყლორტების ფოთლები კვერცხისებურ-მომრგვალო ფორმისაა, მთლიანი ან დანაკვეთული, შეფერილობით - მუქი მწვანე. სანაყოფე ყლორტების ფოთლები მთლიანია, კვერცხისებური ან რომბისებური. ყვავილედნი სწორად მდგომი ქოლგაა. გვირგვინი პატარაა და მწვანე ფერის. ყვ. VIII-X, ნაყ. XII-III. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე - ტყეებში, ბუჩქნარებში. საკმაოდ იშვიათი მცენარეა. საქართველოში ცნობილია კახეთსა და თბილისის მიდამოებში. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Aristolochia iberica Fisch. & C. A. Mey. ex Boiss. - ქართული ძირმწარა

ოჯახი: Aristolochiaceae - ძირმწარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეტ-ნაკლებად დაკლაკნილი. ქვედა ფოთლები ქერცლოვანია, მისი მომდევნო ფოთლები მოკლეყუნწიანი და პატარა ზომისაა, ხოლო ზედა ფოთლები - დიდი ზომისა, გრძელყუნწიანი. ფოთლის ქვედა მხარე მკრთალია, მოფენილია ბუნებით. ზედა მხარე თითქმის შიშველია. მოყვანილობით ფართო-კვერცხისებურია ან ფართო-გულისებური, ძირში ღრმა ამონაკვეთით. ყვავილები ილღიურია და თითო-თითო. ყვავილსაფრის გაფართოებული ნაწილი ცილინდრული ფორმისაა. ყვავილსაფრის მილი ძლიერ მოხრილია. ყვ. ნაყ. IV-V. გვხვდება მუხნარებში, რცხილნარებში, ჭალის ტყეებში, ბუჩქნარებში, ძირითადად - ქვედა სარტყელში. გავრცელებულია კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Asparagus officinalis L. - სატაცური

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო სწორია, მაგარი, გლუვი, სიმაღლე – 150 სმ-მდე, გაფარჩხულ – დატოტვილი, კლადოდიუმები ძალიან წვრილია, ძაფისებური. ფოთლები ქერქლისებურია, ყვავილები – ილლიური, ნაყოფი – ნარინჯისფერი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – ბუჩქნარებში, ველებზე, ტყისპირა და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო და დასავლეთ აფრიკას.

Bellevalia montana (K. Koch) Boiss.

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილსაფარი მურა ლურჯია, ცისფერი ნაკვთებით. ყვავილსაფრის მილი ღია მურა ან მწვანე ზოლებით. ნაკვთები მილზე სამჯერ მოკლეა. ყვავილის ყუნწები ყვავილობისას და შემდგომ პერიოდში რკალურად არის დახრილი. სამტვრეები ლურჯია, ყვავილედის – მრავალყვავილიანი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – სტეპებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, კლდეებზე. მაღალ მთაში იშვიათია. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. კავკასიის ენდემია.



Convallaria majalis L. - შროშანა

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ფესურიანი მცენარეა, სიმაღლე – 20-40 სმ. ფესურა მხოხავია და გრძელი. ქვედა ფოთლები სიფრიფანაა და თეთრი. ღეროსეული ფოთოლი მწვანეა, მოგრძო-კვერცხისებური ან ელიფსურ-ლანცეტა. ყვავილი თეთრია, ზოგჯერ – შიგნიდან იისფერბოლებიანი, სურნელოვანი, ზარისებური, ყვავილის ყუნწი დაკიდულია. ყვ. IV-V, ნაყ. V-VII. იზრდება ფოთლოვან ტყეებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპასა და აზიას, იაპონიამდე და ჩრდილო ამერიკას.

Leopoldia caucasica (Griseb.) Losinsk.

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. უნაყოფო ყვავილების ყვავილსაფარი მოკლე და ცილინდრულია, კაშკაშა ლურჯ- იისფერი, მოკლე, თავაკისებურ მტევან ყვავილედებად შეკრებილი; მათი ყუნწები რკალივითაა მოღუნული. ყვავილსაფრის კბილები ლურჯია, ფოთლები სქელია, ხაზური ან ფართო-ხაზური, ოდნავ რკალივით მოხრილი ან ღეროზე მოკლე. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა, შუა და ზედა სართყლების, ქვა-ღორღიან ეკოტოპებზე, მთის ველების ფორმაციებში, ნახევრად უდაბნოებში, არიდულ მეჩხერ ტყეებში. საქართველოში ცნობილია კახეთში, ქართლსა და თრიალეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონსა და ჩრდილო ერაყს.



Muscari armeniacum Leichtlin ex Baker = Muscari szovitsianum Baker - ყაბაზ

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილსაფარი გამოხედილი არ არის, ფორმით კვერცხისებურ-ქოთნისებურია, მუქი ლურჯ-იისფერი, ლურჯი, ცისფერი, იშვიათად – თეთრი. მტევანი მოგრძო-ოვალურია, 4 სმ-მდე სიგრძის. ფოთლები – 2-4, ვიწრო-ხაზური, წვეტიანი, ძირისკენ შევიწროებული. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – კლდოვან-ღორღიან ეკოტოპებზე, კირქვებზე, ტყის პირას, ბუჩქნარში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Ornithogalum magnum Krasch. & Schischk. - ძაღლნიორა

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილედ მრავალყვავილიანი, მეჩხერი, ცილინდრული მტევანია. თანაყვავილები ლანცეტაა. ყვავილსაფრის ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-ხაზურია, პატარა წვეტი დაბოლოებული, თეთრია, მურა ფერის ძარღვებიანი. ფოთლები ფართო-ლანცეტა – ხაზურია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების დაჩრდილულ ადგილებში, ფოთლოვან ტყეში. საქართველოში ცნობილია აფხაზეთში, შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Ornithogalum navaschinii Agapova - ნავაშინის ძაღლნიორა

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე – 25 სმ-მდე. ყვავილედო მრავალყვავილიანი ფარისებური მტევანია, 3-15 – ყვავილიანი, თანაყვავილები ლანცეტაა. ყვავილსაფრის ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-ხაზურია, თეთრი, გარედან მუქი მწვანე ზოლით, ფოთლები ვიწრო-ხაზურია, 3-4. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ქვიან ადგილებში, ველებზე, ნახევრად უდაბნოში. საქართველოში ცნობილია შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს, ასევე ყირიმს.

Polygonatum glaberrimum K. Koch - დიდი სვინდრი

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული. ფოთლები ფართო და ოვალურია, ქვემოდან – ლეგა, შიშველი, ზოგჯერ ქვემო მხრიდან ძარღვების გაყოლებაზე ბეწვით მოფენილი, მოკლეყუნწიანი. ყვავილი თითო ან ორ-ორი, მოკლეყუნწიანი. გვირგვინი თეთრია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყლების ფოთლოვან, მუქწიწვიან ტყეებში, ბუჩქნარში. მცენარე გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ევორეგიონს. მისი ენდემია.



Polygonatum verticillatum (L.) All. - სპინდრი

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლების განლაგება რგოლურია, ერთ რგოლში 4-8 ფოთოლი ფართო-ხაზურია. ერთ რგოლში – 4-8. ქვემოდან – ლეგა, შიშველი, გრძელყუნჩიანი. ყვავილი თითო ან ორორი ან სამ-სამი, გრძელყუნჩიანი. გვირგვინი თეთრია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სართყლების ტყეებში, მდელოებზე, ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებსა და მაღალ-ბალახეულობაში. იზრდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Pseudomuscari pallens (M. Bieb.) Garbari

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. უნაყოფო ყვავილები პატარა ზომისაა, თითქმის მჯდომარე; სანაყოფე ყვავილები მოკლეა და თავდაკიდებული, ყუნჩიანი. ყვავილსაფარი მილისებურ-ოვალურია, თეთრი ან ოდნავ ცისფერი. მტევანი მოკლეა და ოვალური, ფოთლები ვიწროა, ხაზურ-ძაფისებური, სიგრძით – ღეროსოდენა ან ოდნავ გრძელი, ღარიანი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის შუა, სუბალპური და ალპური სართყლების მდელოებზე, ხალებზე, კლდის ნაპრალებში, კირქვიან გაშიშვლებებსა და ნაზვავებზე. საქართველოში სპორადულად გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Ruscus aculeatus L. = Ruscus ponticus Woronow - თაბჭვისართ

ოჯახი: Asparagaceae - სატაცურისებრნი

30-50 სმ სიმაღლის დაბალი ბუჩქია, მორიგეობით განლაგებული ტოტებით. კლადოდიუმები (სახეცვლილი ყლორტი) პატარა ზომისაა - 1-3 სმ სიგრძის, ხეშეში, ტყავისებური, ლეგა, მუქი მწვანე, ლანცეტა, გრძლად წანვეტებული და წვრილი ეკლით დაბოლოებული. კლადოდიუმის მთავარი ძარღვი კარგადაა გამოსახული. ყვავილი - 1-2, რომლებიც სხედან კლადოდიუმების ქვედა მხარეზე. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, სადაც ქმნის რაყებს, აგრეთვე შედის მარადმწვანე ქვეტყის შემადგენლობაში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, კახეთსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და სამხრეთ ევროპას.

Ruscus colchicus Yeo - ძმერხლი

ოჯახი: Asparagaceae - სატაცურისებრნი

ნახევრად ბუჩქია, კლადოდიუმები (სახეცვლილი ყლორტი) დიდი ზომისაა, ტყავისებური, პრიალა, მწვანე, თავწანვეტებული, უეკლო, ქვედა კლადოდიუმები - მოპირისპირე, დანარჩენები - მორიგეობითი. ნაყოფი წითელი. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყეების ქვეტყეში, საკმოდ ფართოდ არის გავრცელებული. საქართველოში გვხვდება, ძირითადად დასავლეთ ნაწილსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონის დასავლეთ და, იშვიათად, ცენტრალურ ნაწილს. არის რეგიონის ენდემი.



Scilla monanthos K. Koch

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილის ყუნწი სწორია, ყვავილები – თავდახრილი, ღერო – 10-20 სმ სიმაღლის. ფოთოლი – 2-5, მოყვანილობით ფართო-ხაზური. ყვავილი საშუალო ზომისაა, თავდაღუნული. ყვავილსაფრის ფოთლები მოყვანილობით – მოგრძოლანცეტა, ღია ცისფერი, რომელსაც მიჰყვება ლურჯი ძარღვი. თანაყვავილი თეთრია, დიდი ზომის. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ტყის შუა და სუბალპური სარტყლების – მდელოებზე, კლდეებზე. საქართველოში გავრცელებულია იმერეთში, აჭარაში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Scilla rosenii K. Koch - როზენის ცისტოკლა

ოჯახი: Asparagaceae – სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილის ყუნწი მოღუნულია, ყვავილები დიდი ზომისაა და თავდახრილი, ზოგჯერ ყუნწი სწორია. ღერო მაღალია – 10-40 სმ სიმაღლის. ფოთოლი – 2-4, მოყვანილობით ფართო-ხაზური და ქალამნის წვერივით დაბოლოებული. ყვავილსაფრის ფოთლები უკანაა გადახრილი, მოყვანილობით – მოგრძოლანცეტა, ღია ცისფერი, ქვევითკენ უფრო მკრთალი და თეთრი. თანაყვავილი ორია და ერთ თანაყვავილედადაა შეზრდილი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ტყის ბედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, კლდეებზე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Scilla siberica Haw. - შისტჰალა

ოჯახი: Asparagaceae - სატაცურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 10-20 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვანი. ფოთოლი - 2-4, მოყვანილობით ფართო-ხაზური. ყვავილები ლაჟვარდოვანი ლურჯი- იისფერია, მუქი შუა ზოლით; ყვავილის ყუნწები თავდახრილია. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება ტყის სარტყელში, ტყის პირას, ბუჩქნარში, მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Impatiens noli-tangere L. - უკადრისა

ოჯახი: Balsaminaceae - ინასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, სიმაღლე - 40-100 სმ, ღერო მუხლებში გამსხვილებულია. ფოთლები ლეგა მწვანეა, კვერცხისებური ან ელიფსური, მსხვილბლაგვკბილა. ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, ქვედა - გრძელყუნწიანი. ყვავილები იღლიურია, დიდი ზომის, ყვითელი; ქვედა, განაპირა ნაკვთები გაფართოებულია, შუა კი - წანვეტებული. ხახა მონითალო ლაქებითაა დაფარული. ყვ. VI-VIII, ნაყ. IX. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, დამახასიათებელია დაჩრდილული, ტენიანი ადგილებისათვის. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას.



Berberis iberica Stev. & Fisch. ex DC. - ქართული კონახური

ოჯახი: Berberidaceae – კონახურისებრნი

ბუჩქოვანი მცენარეა, ახალგაზრდა ტოტები მოწაბლისფრო-ყვითელია, ცილინდრული, გლუვი ან სუსტად დაღარული. ფოთლები მარტივია, ტყავისებური, მოყვანილობით კვერცხისებურიდან ლანცეტასებურამდე. ქვედა ეკლები სამად არის გაყოფილი, ზედა ეკლები კი მარტოულია. ყვავილედით მრავალყვავილიანია. ნაყოფი მოგრძოა, წითელი ფერის, ლეგა ნაფიფქით. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ველებში, მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში და მდინარეების ტერასებზე. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. მცენარე კავკასიის ენდემია.

Berberis vulgaris L. - ჩვეულებრივი კონახური

ოჯახი: Berberidaceae – კონახურისებრნი

3 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია, ქაცვისებური ეკლები სამადაა დაყოფილი, ნორჩ ტოტებზე ზედა ეკლები მარტოულია. ფოთლები თხელია, შიშველი, მწვანე ფერისა. ფორმით – ელიფსურიდან მოგრძო-ლანცეტურამდე. ფუძისკენ შევიწროებულია და კიდებზე ხერხვბილა. ყვავილედით მრავალყვავილიანია, ქვევით ჩამოკიდებული. ყვავილი – ყვითელი. ნაყოფი ელიფსურია, წითელი, იშვიათად – ყვითელი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყისპირა ადგილებში, ხეობებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.



Gymnospermium smirnowii (Trautv.) Takht. - მრბვალი ნამალი


ოჯახი: Berberidaceae – კონახურისებრნი

მრავალწლიანი, ფესურიანი მცენარეა, მწვანე ან ლეგა ფერისა. ფესვთანური ფოთლები სამმაგად რთულია, ცალკეული ფოთოლაკები გრძელყუნწიანია და 5-4 ელიფსურ სეგმენტადაა თათისებურად დაყოფილი. ყვავილედის ყველა ფოთოლი ღეროზეა შემოხვეული. ყვავილენი მცირეყვავილიანია. ყვავილი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. II-IV. ითვლება კახეთის რეგიონის ენდემურ მცენარედ. გავრცელებულია დაბლობიდან ტყის შუა სარტყლამდე – ტყეებში. მცენარე აღწერილია 1881 წელს ლაგოდეხში.

Alnus glutinosa subsp. barbata (C. A. Mey.) Yalt. = Alnus barbata C. A. Mey. - ჩვეულებრივი მურყანი

ოჯახი: Betulaceae – არცისებრნი

30-38 მ-მდე სიმაღლის ხეა, მუქი რუხი ფერის დამსკდარი ქერქით. ფოთლის ფირფიტა 7-12 სმ სიგრძისაა და 4-8 სმ სიგანის, ფართო-ოვალური ან უკუკვერცხის ფორმის, წვერში მომრგვალოა, ქვედა მხარე ძარღვების გაყოფებით – მოყვითალო ბუსუსებით დაფარული. ფოთლის ყუნწი 1.5-3 სმ სიგრძისაა, თხლად შებუსული. ყვ. III-IV, ნაყ. VIII-X. იზრდება ზღვის დონიდან დაწყებული 1500 მ სიმაღლემდე. ქმნის ტყეებს დაბლობისა და მთისწინების უხვტენიან რაიონებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა ჯავახეთისა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.



Alnus incana (L.) Moench - ნახარბ მურყანი

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

15-18 მ სიმაღლის ხეა, გლუვი, რუხი ფერის ქერქით. ფოთლის ფირფიტა 7-11 სმ სიგრძისაა და 5-8 სმ სიგანის, მოყვანილობით - ოვალური, მახვილწვეტიანი ან წაწვეტებული, კიდეზე ორმაგხერხებილია. ნორჩი ფოთლები შებუსულია. ქვედა მხარე შებუსულია მოლევო ხაოიანი ბეწვით. ფოთლის ყუნწი 1.5-3 სმ სიგრძისაა, შებუსული. ყვ. III-IV, ნაყ. VIII-X. იზრდება ზღვის დონიდან 700-1800 მ სიმაღლეზე. გავრცელებულია თითქმის მთელ ტყიან საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკას.

Betula litwinowii Doluch. - ლიტივინოვის არყი

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

15-18 მ-მდე სიმაღლის ხეა, მეტწილად გამრუდებული ტანით, უმეტესად - მრავალღეროიანი. ქერქი მოთეთროა, ხშირად - ოდნავ მოვარდისფრო. ერთწლიანი ყლორტები და ფოთლები ოდნავ შებუსულია. ფოთლის ფირფიტა კვერცხის ფორმისაა, მახვილწვერიანი ან ოდნავ წაწვეტებული, კიდეზე არანათლად გამოხატული ორმაგხერხებილია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში, ზოგან კლდოვან და ქვიან ფერდობებზე. ტყის ზედა საზღვრის გაყოლებით ქმნის სუბალპურ ტანბრეცილ ტყეს დევას ქვეტყით ან მდიდარი ბალახოვანი საფრით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Betula medwediewii Regel. - მედვედევის არყი

ოჯახი: Betulaceae – არყისებრნი

5-10 მ სიმაღლის დაბალი ტანის ხეა. ქერქი ღეროს შუა ნაწილში და მსხვილ ტოტებზე ღია მოვარდისფრო-რუხი ან ღია ყავისფერია. ფოთლები დიდი ზომისაა, 3.5-12 სმ სიგრძისა და 3.5-9 სმ სიგანის, მომრგვალო-კვერცხისებური ფორმის, კიდეზე ფართო და მოკლე ხერხკბილა. ქვემოდან ძარღვების გაყოლებით შებუსულია. ყვ. V-VI, ნაყ. IX. გვხვდება 1,900-2,250 მ სიმაღლემდე, ატმოსფერული ტენისადმი მეტად მომთხოვნია, მაგრამ არ უყვარს ნესტიანი, დაჭაობებული ნიადაგები. საქართველოში გავრცელებულია გურიასა და აჭარაში. კავკასიის ენდემური მცენარეა. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობა.

Betula megrelica Sosn. - მებრული არყი

ოჯახი: Betulaceae – არყისებრნი

ტანდაბალი, ნახევრად გართხმული ხეა, მეტწილად ძალიან მახვილკუთხა დატოტვით. ფოთლები უმთავრესად კვერცხის ფორმისაა, წვერისკენ შევიწროებული, წვეტიანი ან ოდნავ წაწვეტებული. ყვ. V-VI, ნაყ. IX. აღწერილია სამეგრელოში. ქმნის ტანბრეცილ ტყეს სუბალპური სარტყლის უტყეო ფერდობებზე, მეტწილად – 1,700-2,000 მ სიმაღლეზე. ძირითადად გვხვდება კირქვიან ადგილებში. საქართველოს ენდემური მცენარეა. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობა.



Betula pendula Roth - მძირალა არყი

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

20-25 მ-მდე სიმაღლის, საშუალო ზომის ხეა, მეტ-ნაკლებად სწორი, ზოგჯერ ფერდობისაკენ ქვევით გადახრილი ღეროთი. ქერქი ახალგაზრდა ღეროზე თითქმის თეთრია, უფრო ხნიერ ღეროზე - მოშავო-მორუხო ფერის. სანაყოფე ტოტების ფოთლები კვერცხის ან რომბის ფორმისაა, 4-8 სმ სიგრძისა და 3-5 სმ სიგანის. ფესვთანური და ამონაყარი ყლორტების ფოთლები ფართო-კვერცხისებურია. ყვ. IV-V, ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის ზედა და შუა სარტყლებში, აგრეთვე სუბალპურ ტყეებში 2,100 მ-მდე. გვხვდება კლდიან და ქვიან ადგილებში, ჩამონახვავებზე, გაკაფულ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ევროპას, ციმბირს, შორეულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ აზიას.

Betula raddeana Trautv. - რადეს არყი

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

8-10 მ სიმაღლის, პატარა ზომის ხეებია, მოვარდისფრო ქერქით. ერთწლიანი ყლორტები ღია მურა ფერისაა, აქა-იქ მეჭეჭებითა და ჭირკვლოვანი ბუსუსებით მოფენილი, რომლებიც მეორე წელს ქრება, შემდგომ პერიოდში ტოტები შიშველია. ფოთოლი კვერცხის ფორმის ან კვერცხისებურ-ელიფსურია, 4.5 სმ-მდე სიგრძითა და 6 სმ-მდე სიგანით, 5-7 წყვილი გვერდითი ძარღვით. ყუნწი სქლად არის შებუსული და 4-5-ჯერ მოკლეა ფირფიტაზე. ნაყოფებიანი მჭადა გადახრილია ან სწორად მდგომი. ყვ. ნაყ. VIII-XI. იზრდება სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და თუშეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის კავკასიის ცენტრალურ ნაწილს. ენდემური მცენარეა. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Carpinus betulus L. = Carpinus caucasica Grossh. - კპკპსნიური (მვროკული) რცხილა

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

მაღალი ხეა, ოდნავ დამსკდარი ქერქით. ფოთლები შიშველია, მოკლეყუნნიანი, ფირფიტა მოყვანილობით მოგრძო-კვერცხისებურია, წანვეტებული, ორმაგხერხბილა. კვირტები ოვალურია, მონითალო მურა ფერის. მამრობითი ყვავილედნი მჭადაა, ყლორტის ძირებში განლაგებული. მდედრობითი ყვავილედნი კენწრულია. ნაყოფის საბურველი სამნაკვითიანია, ნაყოფი კაკალია. ყვ. III-IV, ნაყ. VI-VII. საქართველოში ტყის შემქმნელი ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. გვხვდება როგორც პირველადი, ისე მეორადი კორომების სახით (ნიფლის, ქართული და ჭალის მუხების ნაადგილეებზე). გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.

Carpinus orientalis Mill. - ჭბრცხილა

ოჯახი: Betulaceae - არყისებრნი

მაღალი ბუჩქი ან პატარა ხეა. ნორჩი ტოტები შებუსულია. ფოთოლი მოკლეყუნნიანია. ფირფიტა პატარა ზომისაა, მოგრძო-კვერცხისებური, კიდეებზე - ორმაგხერხბილა. მდედრობითი ყვავილების საბურველი მთლიანია, ფოთლისებური, არათანაბარგვერდიანი, კვერცხის ფორმის, ბლაგვი. კაკალი წანვეტებულია, კვერცხის ფორმის. ყვ. IV, ნაყ. VI-VII. გავრცელებულია მთელ საქართველოში დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და სამხრეთ ევროპას.



Corylus avellana L. - ჩვეულებრივი თხილი

ოჯახი: Betulaceae – არყისებრნი

პატარა ზომის ხეა ან ბუჩქი, გლუვი ან დაბზარული ქერქით. ფოთოლი მოკლევუნნია, კიდებზე მკაფიოდ ორმაგხერხბილა. სამტვრეები ძაფებიანად ყვითელია. საბურველი თხელია და ფოთლისებური, ორ ან ერთ-ფოთოლაკიანი, წვერზე მოკლე ნაკვთებით. საბურველი კაკალზე მოკლეა ან გრძელი. ნაყოფი 2-10 კაკლისგან შედგება. ნაჭუჭი გლუვია. ყვ. II-III, ნაყ. VIII-X. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყის პირას, ხშირად წმინდა ჯგუფებს ქმნის. საქართველოში გვხვდება ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას.

Ostrya carpinifolia Scop. - უხრპვი

ოჯახი: Betulaceae – არყისებრნი

პატარა ან საშუალო ზომის ხეა, მუქი მურა ან მუქი რუხი ფერის, ოდნავ დახეთქილი ქერქით. ნორჩი ყლორტები მურა ფერისაა, გრძელი ბენწვებით შემოსილი. ნორჩი ფოთლები მთლიანად ბენწვით არის შემოსილი, ფოთლის ფირფიტა ფორმით მოგრძო-კვერცხისებურია, კიდებზე ორმაგხერხბილა. კვერცხის ფორმის კაკალი მთლიანად არის დაფარული ბუშტიანებური საბურველით. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Anchusa arvensis subsp. orientalis (L.) Nordh. = Lycopsis orientalis L. - შპჰრობხ

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი, მთელი მცენარე შეხუსულია უხეში ბენჯით. ფოთლები მოგრძო, ოვალური ფორმისაა, ძირითადად - კიდემთლიანი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. ყვავილედნი წაგრძელებულია, მცირეყვავილიანი. გვირგვინი ლურჯი ფერისაა. ყვ. V, ნაყ. VII. იზრდება მშრალ ფერდობებზე, მინდვრებზე, რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ცენტრალურ აზიას.

Anchusa azurea Mill. = Anchusa italica Retz. - კბტბრძბლბ

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60 - 100 სმ სიმაღლისაა. მთელი მცენარე უხეში ჯაგრითაა შეხუსული. ფოთლები ოვალურია ან მოგრძო-ლანცეტა. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა კი - მჯდომარე. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ ხვეულებად. გვირგვინი მენამულ - ლურჯი ფერისაა. ხახა სქლად არის მოფენილი თეთრი ბენჯით. ყვ. IV, ნაყ. VII. იზრდება მშრალ ადგილებში, გზისპირებსა და ნათესებში. სპორადულად არის გავრცელებული მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს, შუა აზიას.



Arnebia pulchra (Willd. ex Roem. & Schult.) Edm.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ლეგა მწვანე ფერის, ხშირი რბილი ბენჯით შემოსილი. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, სწორია ან ძირიდანვე დატოტვილი. მთელი მცენარე გაფარჩხულია, ფესვთანური ფოთლები ხაზური ან ფართო-ლანცეტაა, ზედა ნაწილი ნაწვეტებუ-ლია, ხაზური, ღერომხვევი. გვირგვინი ყვითელია, გადანალუნზე აქვს იისფერი ლაქები. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილო – დასავლეთ ირანს.

Brunnera macrophylla (Adams) I. M. Johnst. - ციურა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო – 30-60 სმ სიმაღლის. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, გულის ფორმის, ფუძეში ფართოდ ამოკვეთილი, ნაწვეტებული წვერით. ღეროსეული ფოთლები პატარაა და კვერცხის ფორმის, ზედა ფოთლები მჯდომარეა. ყვავილედ მტევანია, გრძელყუნწიანი. გვირგვინი ცისფერია, ხახაში თეთრი დანამატებით. ყვ. ნაყ. III-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე მუხნარ და რცხილნარ ტყეებში. საქართველოში თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. აღწერილია საქართველოდან.



Buglossoides purpureocaerulea (L.) I. M. Johnst. = Lithospermum purpureo-coeruleum L. - კაკბის სპენკელა

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

20 - 50 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ხასიათდება უნაყოფო, მწოლიარე ყლორტებით. ღერო მარტივია, სქლად შეფოთლილი, ფოთლები შებუსულია, კიდემთლიანი. ქვედა ფოთლები ხაზურია, დანარჩენები - ლანცეტასებური. გვირგვინი მოიისფრო - ლურჯია, გაშლისას - მოწითალო. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპასა და ციმბირს.

Caccinia macranthera var. glauca (Savi) Govaerts = Caccinia rauwolfii K. Koch

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

20-40 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საგველასებურად დატოტვილი. ფოთლები ფართოა, მოგრძო-ლანცეტა, მჯდომარე, ზედა ფოთლები ღერომხვევია, 4-10 სმ-მდე სიგრძისა და 0.5-2 სმ-მდე სიგანის. ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე დაფარულია თეთრი პატარა ზომის ეკლებით. ჯამი ყვავილობისას ხასიათდება შებუსვით. გვირგვინი ცისფერია ან ვარდისფერი, მისი ნაკვთები ფართო-ლანცეტაა, ბლაგვწვერიანი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების, ნახევარუდაბნოების თიხნარ და ბიცობიან ნიადაგებზე. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Cerintho minor L. - ჭახრაპკული

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია ან დატოტვილი, მთელი მცენარე შიშველია, ლეგა. ქვედა ფოთლები ოვალური ფორმისაა, ყუნწებად ვიწროვდება. ღეროსეული ზედა ფოთლები ოვალური ან კვერცხის ფორმისაა, გულისებური ფუძით, ფართოდ ღერომხვევი. ყვავილეთი თანაყვავილიანია, გვირგვინი მილისებური, მკრთალი ყვითელი ფერის, ნახევრამდეა გაყოფილი ლანცეტა ფორმის სწორ ნაკვეთებად. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე – ბუჩქნარებში, ველებზე, ნათესებში, ქვიან ადგილებში. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.

Cynoglossum creticum Mill. - ძაღლის ენა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

20-80 სმ სიგრძის, ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი, მარტოული ან რამდენიმე. მთელი მცენარე შებუსუსულია რბილი, მონაცრისფრო ბუნვით. ფოთლები ლანცეტაა, ქვედა ფოთლები გრძელ ყუნწშია წარზიდული, ზედა ფოთლები მჭდომარეა. ხვეულები მცირეყვავილიანია, შეკრებილი დამოკლებულ საგველად. გვირგვინი ცისფერია, მუქი ლურჯი ძარღვების ბადით. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობსა და მთის ქვედა სარტყელში – მშრალ, ქვიან ადგილებში, ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს, შუა აზიას.



Cynoglossum officinale L. - ძაღლის ენა

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა - სწორი, მარტოული და დატოტვილი. მთელი მცენარე შებუსუსულია ქერის მსგავსი მონაცრისფრო ბენვით. ფესვთანური ფოთლები ლანცეტაა, ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწადაა შევიწროებული, ზედა ფოთლები მჯდომარეა. ყვავილეთი საგველაა, შედგება 2 კენწრული და რამდენიმე გვერდითი ხვეულისგან, ხვეულები მრავალყვავილიანია, გვირგვინი მუქი მწნამული ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე - მშრალ, ქვიან ადგილებში, გზებზე, მინდვრებსა და ბუჩქნარებში. ცნობილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე, ახლო აღმოსავლეთს და აღმოსავლეთ აზიას.

Echium biebersteinii Lacaita - ბიბერშტეინის ძირნითელა

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

30-100 სმ სიმაღლის, ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძლიერ დატოტვილი. მთელი მცენარე მოკლე, უხეში და გაფარჩხული ბენვითაა მოფენილი. ფესვთანური ფოთლები 30 სმ-მდე სიგრძისაა, ლანცეტა ფორმის, ღეროსეული ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა. ყვავილეთი ძლიერაა დატოტვილი, ფართო-საგველასებურია. გვირგვინი მოთეთრო - მოვარდისფროა, შებუსუსული, ვიწრო-ძაბრისებური. ყვ. VI, ნაყ. VIII. იზრდება მშრალ, ქვიან, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და ცენტრალურ აზიას.



Echium rubrum Forssk. - ძირნიქლა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, მარტივი, სწორი ან მოგრეხილი. მთელი მცენარე გაფარჩხული, თეთრი, ჯაგრისებური ბენჯითაა შეხუსული. ფოთლები ვიწრო-ლანცეტა ფორმისაა, შეხუსული. ხვეულები მრავალყვავილიანია, ვიწრო, კენწრულ, თავაკისებურ ყვავილედეებს ქმნის. გვირგვინი მენამული ფერისაა. ყვ. V, ნაყ. VII. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე – ბალახოვან ფერდობებზე, ველებზე, გბისპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Echium vulgare L. - ლურჯი ძირნიქლა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან მოკლედ დატოტვილი, სწორი. მთელი მცენარე გაფარჩხული, რბილი, ჯაგრისებური ბენჯითაა შეხუსული. ფოთლები ვიწრო-ლანცეტა ფორმისაა, მჯდომარე, შეხუსული. ყვავილედები ვიწრო საგველასებური ფორმისაა და ნაკლებ დატოტვილი. გვირგვინი ძაბრისებურია, ყვავილობის პირველ პერიოდში წითელი ფერისაა, შემდეგ კი ლურჯი ხდება. ყვ. V, ნაყ. IX. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – ველებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ჩრდილო ამერიკას, ჩრდილო აფრიკას.



Heterocaryum szovitsianum (Fisch. & C. A. Mey.) A. DC.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მომსხვილო, ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილი. მთელი მცენარე თხელი, ჯაგრის მსგავსი ბენჯითაა შებუსული. ფოთლები მოგრძოა, ვიწრო-ხაზური ფორმის, მჭდომარე, ბლაგვი წვერით. მტევანი ნაყოფობისას ფაშარია, მცირეყვავილიანი, ხაზურ-ლანცეტა ფორმის გრძელი თანაყვავილაკებით. გვირგვინი იისფერ-ლურჯია, ჯამის ტოლი. ყვ. IV-V, ნაყ. V-VI. იზრდება ქვიან და თიხნარ ფერდობებზე, მთისწინებზე, ნახევარუდაბნოსა და მეჩხერი ტყეების სარტყელში. გავრცელებულია კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიას, ირანს.

Lappula barbata (M. Bieb.) Gürke - ჩიჭის ბირკა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომია, ზედა ნაწილში საგველასებურად დატოტვილი, რბილი და მოკლე ბენჯით დაფარული. ფესვთანური ფოთლები შეკრებილია როზეტად, ლანცეტა-ნიჩბისებურია, 3-7 სმ სიგრძისა და 5-8 მმ სიგანის. ყვავილედო მსხმოიარობისას სიგრძით 20 სმ-მდეა. გვირგვინი ცისფერია ან მოთეთრო, ბრტყელი, ბორბლისებური. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – ქვიან ადგილებში, ნახევარუდაბნოს, სტეპისა და ფრიგანიისეულ მცენარეულობაში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, აჭარასა და იმერეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას და შუა აზიას, ირანს.



Lappula squarrosa (Retz.) Dumort.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 80 სმ სიმაღლისაა, ერთეული, სწორად მდგომი, შეფოთ-ლილი, ზედა ნაწილში გაფარჩხულად დატოტვილი, შებუსული. ფოთლები 7 სმ სიგრძისა და 5-6 მმ სიგანისაა, ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებურია, ღეროსეული – ხაზური ან ლანცეტა. ყვავილედის მოკლე, საგველასებურია ან თითქმის ფარისებური. გვირგვინი ცისფერია, სიგრძით 4.5 მმ-მდე. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის შუა, იშვიათად – სუბალპურ სარტყლამდე, ხშირად, როგორც სარეველა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას და შუა აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Lithospermum officinale L. - კაკბის საკენკელა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი, დაფარულია მოკლე და მიტკეცილი ბეწვებით. ფოთლები კიდემთლიანია, ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტასებური, 5-10 მმ სიგანის. ყვავილედის მტევანია ან ქოლგა. განლაგებულია ღეროს დატოტვილი ნაწილში. გვირგვინი თეთრია ან მოყვითალო-თეთრი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში, ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს.



Myosotis alpestris F. W. Schmidt - მთის კენახე

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 2-30 სმ სიმაღლისაა, მრავალღეროიანი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, მიტკეცილბენვიანი. ქვედა ფოთლები მოგრძო-ოვალურია ან ნიჩბისებური, შუათანა ღეროსეული ფოთლები - ელიფსური. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, მოკლე, მჭიდრო. გვირგვინი მუქი ცისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Myosotis amoena Boiss

ოჯახი: Boraginaceae - ლაშქარასებრნი

ერთ ან მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, სუსტად დატოტვილი, გაფარჩხულბენვიანი, ხშირად - მრავალღეროიანი და უნაყოფო ყლორტებით. ფოთლები თხელია, მოგრძო-ნიჩბისებური ან მოგრძო-უკუკვერცხისებური, 3-10 სმ სიგრძისა და 1.5-3 სმ სიგანის. ყვავილეთი ფარჩხატია, უფოთლო და მცირეყვავილიანი. გვირგვინი ცისფერია. ყვ. IV-VII, ნაყ. V-VII. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე, უმეტესად - დაჩრდილულ ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Myosotis arvensis (L.) Hill - მინდვრის კისანა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი, ქვედა ნაწილში რბილი, გაფარჩხული ბენჯითაა შებუსული. ფოთლები 2-5 სმ სიგრძისა და 0.5 სმ სიგანისაა, ფესვთანური მოგრძო-ნიჩბისებურია, ღეროსეული მოგრძო-ლანცეტა. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, ცალმხრივი, ფარჩხატი, აღმართული. გვირგვინი თავდაპირველად ვარდისფერია, შემდეგში – ცისფერი, იშვიათად – თეთრი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სართულამდე – მდელოებზე, მეჩხერ ტყეებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მთელ ევროპას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას, სამხრეთ აფრიკას, ჩრდილო ამერიკას.

Myosotis propinqua Fisch. & C. A. Mey.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30 სმ – მდე სიმაღლისაა, სუსტი, ძირიდანვე დატოტვილი, გაფარჩხული ბენჯით შებუსული. ფოთლები ძალიან ნაზია, ქვედა და უნაყოფო ყლორტების ფოთლები 4-6 სმ სიგრძისაა, მოგრძო-ნიჩბისებური, ღეროსეული ფოთლები – მჯდომარე. ყვავილეთი სიგრძით 10 სმ-მდეა, მრავალყვავილიანი, ნაკლებად ფარჩხატი. გვირგვინი ღია ცისფერია. ყვ. III-VI, ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სართულამდე – ტენიან ადგილებში, ტყეში, ტყის პირას, ბუჩქნარში. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Nonea lutea (Desr.) DC.


ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ორ ან ერთწლიანი მცენარეა. ღერო 14-40 სმ სიმაღლისაა, აღმავალი ან სწორი, მარტივი ან დატოტვილი. მთელი მცენარე შებუსულია გაფარჩხული ბენჯით. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა. ქვედა ფოთლები ყუნწად არის შევიწროებული, ხოლო ზედა ფოთლები მჭდომარეა, კიდემთლიანი ან კიდედაკბილული. ყვავილედი ცალმხრივია, გვირგვინი ლიმონისფერ – ყვითელია. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება ველებსა და ქვიან ფერდობებზე, კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.

Nonea rosea (M. Bieb.) Link

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთწლიანი მცენარეა, შებუსულია გაფარჩხული ბენჯით, ბენჯები სხედან ბორცვებზე. ღერო 14-40 სმ სიმაღლისაა, აღმავალი ან სწორი, მარტივი ან დატოტვილი. ქვედა ფოთლები როზეტულია. ფოთლები მოგრძო-უკუკვერცხისებური ფორმისაა. ქვედა ფოთლები ყუნწად არის შევიწროებული, ხოლო ზედა ფოთლები მჭდომარეა, კიდემთლიანი ან კიდედაკბილული. ყვავილედი ცალმხრივია. გვირგვინი იისფერია ან ვარდისფერ-იისფერი. ყვ. III-V, ნაყ. V-VIII. იზრდება ველებსა და ქვიან ფერდობებზე, კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Omphalodes lojkae Sommier & Levier

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 7-30 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი ან აღმავალი, მარტოული ან რამდენიმე, ზედა ნაწილში დატოტვილი, მიტკეცილბენვიანი. ფოთლები 2-10 სმ სიგრძისა და 1-5 სმ სიგანისაა, მოგრძო ან კვერცხისებური. ყვავილედო კენწრულია, მარტოული, ძალიან ფარჩხატი, მცირეყვავილიანი. გვირგვინი კაშკაშა ცისფერია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება 2,700 მ-მდე სუბალპებსა და ალპებში, კლდეებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას. კავკასიის ენდემური სახეობაა.

Onosma caucasica Levin

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო მარტივია, ნაკლებად დატოტვილი, სწორი ან აღმავალი. საკმაოდ სქლად არის მოფენილი მოკლე ბუსუსებითა და გაფარჩხული, ჯაგარივით ბენვით. ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებური ფორმისაა, დაფარულია ნახევრად მიტკეცილი, ჯაგარივით ბენვით. გვირგვინი მკრთალი ყვითელი ფერისაა ან მოთეთრო, წვრილბუსუსიანი. ყვ. V, ნაყ. VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ქვიან ფერდობებზე, ნაშალებზე, კლდეებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Onosma tenuiflora Willd.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ნაკლებად დატოტვილი, მონაცრისფრო, წამოწეული ან აღმავალი, სქლად შებუსული. ქვედა ფოთლები ხაზურ-ნიჩბისებურია, ზედა ფოთლები ხაზურია. ჯამის ფოთლებიც ხაზურია და სქლად შებუსული. გვირგვინი მოყვითალოა, ცილინდრული ფორმის. ყვ. IV, ნაყ. VII. იზრდება ქვიან ფერდობებსა და კლდეებზე. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.

Solenanthus biebersteinii DC.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიგრძე 40-80 სმ-ია. მცენარე მონაცრისფრო რბილი ბენჯით არის მოფენილი. ზედა ნაწილში დატოტვილია და დაღარული. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ოვალური. ღეროსეული ფოთლები უფრო პატარაა, უკულანცეტასებური, წარზიდული მოკლე ყუნწში. ყვავილედის სფეროს ფორმის თავთავია. გვირგვინი მღვრიე იისფერია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ტენიან ტყეებში. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ყირიმს.



Symphytum grandiflorum DC.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-40 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, იშვიათად – წამოწეული. მთელი მცენარე ჯაგარივით ბენჯით არის შებუსული. ქვედა და ღეროსეული ფოთლები ფართო-კვერცხისებურია. ხვეულები ყვავილობის პერიოდში კუმსია, ნაყოფობისას – ფაშარი. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა, მონითალო ზოლებით. ყვ. IV-V, ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირებსა და ღობეების გაყოლებით. გავრცელებულია ქართლში, თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას.

Symphytum abchasicum Trautv. = Symphytum ibericum Steven – ქართული ლაშქარა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან სწორად მდგომია. მცენარე შუბუსულია ჯაგრისებური ბენჯით. ქვედა ფოთლები კვერცხის ფორმისაა, ზედა ფოთლები მჭდომარეა, მომრგვალო ან ოდნავ გულის ფორმის ფუძით, კიდემთლიანი. ხვეულები მცირეყვავილიანია, ფარჩხატი. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა. ყვ. III-IV, ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე, ჩვეულებრივ, ფოთლოვან ტყეებში, ტენიან, დაჩრდილულ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Trachystemon orientalis (L.) D. Don - ბნახლა

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, მარტივი ან მცირედ დატოტვილი, შებუსუსული. ფესვთანური ფოთლები დიდია, 30 სმ სიგრძის, ფართო-კვერცხისებურ-გულისებური. ღეროსეული ფოთლები ძალიან პატარაა, მჯდომარე. ყვავილეთი ორკაპად დატოტვილი ხვეულებია. გვირგვინი მურა იისფერი ან მოციხფრო-მენამულია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლამდე ტენიან ტყეებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში, გარდა მესხეთ-ჯავახეთისა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Trigonocaryum involucreatum Medw.

ოჯახი: Boraginaceae – ლაშქარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ჯაგარივით ბენჯით შემოსილი. ღერო 2-5 (20) სმ სიმაღლისაა, ძირიდან დატოტვილი, ნახევრად მწოლიარე გაფარჩხული ტოტებით. ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებურია. ყვავილეთანური ფოთლები ბევრად აღემატება ყვავილებს. ჯამი ზარისებურია. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, ზოგჯერ – მოთეთრო. ყვ. V-VII, ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ჩამონახვავებზე და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მცენარე კავკასიის ენდემია. *Trigonocaryum* კავკასიის ენდემური გვარია.



Alliaria petiolata (M. Bieb.) Cavara & Grande - ნიპრისდედა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

20-90 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, ქვედა ნაწილში მეჩხერი ბენვით მოფენილი. ქვედა ყვავილები ზოგჯერ თანაყვავილებიანია, შუა ფოთლები გულისებურია, ხოლო ზედა - კვერცხისებურ-გულისებური ან სამკუთხა, მახვილკბილებიანი. გვირგვინის ფურცლები 6-8 მმ სიგრძისაა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება ზღვის დონიდან 1,700-1,800 მ-მდე - ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ბაღებში. უმეტესად მუხნარი ტყეების სარტყლისთვის არის დამახასიათებელი. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, შუა აზიას, ჩრდილო აფრიკასა და მცირე აზიას.

Alyssum alyssoides (L.) L.

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

5-34 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, ფოთლებიანად მორუხოა ვარსკვლავისებური ბენვების გამო. ქვედა ფოთლები მოგრძო-უკუოვალურია, დანარჩენი მოგრძო-ლანცეტაა, ძირთან შევიწროებული. ყვავილები შეკრებილია მტევნისებურ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები თეთრი ან ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება ველებზე, მშრალ გორაკებსა და ფერდობებზე, გზისპირებსა და მინდვრებში მთის ზედა სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და ჩრდილო ამერიკას.



Alyssum desertorum Stapf.

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

4-20 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რუხი და შებუსული ვარსკვლავისებური ბენწვებით. ღერო ძირიდანვე დატოტვილია. ფოთლები მოგრძო-ხაზურია, ძირთან შევიწროებული. ყვავილედით მტევანია, ნაყოფობისას – წაგრძელებული და მჭიდრო. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ყვითელია, მოგრძო-ხაზური. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ველებში, მშრალ ფერდობებსა და გორაკებზე, დამლაშებულ ადგილებსა და მშრალ საძოვრებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. საერთო გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.

Alyssum tortuosum Willd.

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

5-30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო-მოლღეო, ღერო ძირთან გახევებულია, დაკლაკნილი, წამოწეული ან სწორი. ფოთლები მოგრძო-უკუოვალურია ან ვიწრო ელიფსურ-ხაზური, შებუსულია ვარსკვლავისებური ბენწვებით. ყვავილედით ფარისებური საგველაა, დატოტვილი. გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ – ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მშრალ ფერდობებზე, კირქვიანებზე, ქვიან და ქვიშნარ ადგილებში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში. გავრცელებულია ქართლსა და მესხეთ – ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას.



Arabis caucasica Willd. - კავკასიური არაბულა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

10-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალრიცხოვანი ღეროებითა და მიწისზედა უნაყოფო მხოხავი ყლორტებით. მთელი მცენარე დაფარულია თეთრი, ქეჩისებური, დატოტვილი, ვარსკვლავისებური ბენჯებით. ღეროსეული ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია. გვირგვინის ფურცლები მოთეთრო-მოიასამნისფროა. ყვ. ნაყ. III-VII. იზრდება კლდეებზე მთის შუა და ზედა სარტყლებში. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას, ირანს.

Barbarea brachycarpa subsp. minor (K. Koch) Parolly & Eren = Barbarea minor C. Koch

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

5-35 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, თითქმის შიშველი, მარტივი ღეროთი და ოვალური ან ოვალურ-მოგრძო მთლიანი ფესვთანური ფოთლებით. ღეროსეული ფოთლები ჩაჭრილია ან ფრთისებურად გაყოფილი. სულ ზედა ფოთლები მთლიანია. ყვ. ნაყ. VI-VII იზრდება ზღვის დონიდან 2,000-3,000 მეტრის ფარგლებში ტენიან მდელოებსა და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია გურიაში, ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ირანსა და სირიას.



Cardamine quinquefolia (M. Bieb.) Schmalh. = Dentaria quinquefolia M. Bieb. - ოყის ბოლოკა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, დატოტვილი ფესურით. მცენარის სიმაღლე 20-25 სმ-ია, სწორი, მარტივი, შიშველი, ქვედა ნაწილში - უფოთლო. ფოთლები რგოლურად არის განლაგებული და 5-7 - ფოთოლაკიანია. ფოთლები მოგრძო ან ხაზურ-ლანცეტაა, დაკბილული, მოკლენამწამიანი კიდეებით. მტევანი მჭიდროა, 6-15 - ყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები იისფერია, ვარდისფერი ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაჩრდილულ ტყეებში, მეტწილად - კირქვიან სუბსტრატზე 1,500 მ-მდე ზღვის დონიდან. მთელ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Descurainia Sophia (L.) Web ex Prnati - წის ბაღახი

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

20-80 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი. ხშირი, დატოტვილ ბენჯიანი შებუსვის გამო - მონაცრისფრო. ფოთლები ორ-სამმაგადაა ფრთისებურად დაყოფილი ხაზურ ან მოგრძო - ხაზურ მახვილწვერიან ნაკვეთებად. მტევნები მრავალყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ზღვის დონიდან 2,000 მ-მდე - გზების გასწვრივ, დანაგვიანებულ ადგილებსა და ნათესებში. რუდერალური მცენარეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მთელ ევროპას, ჩრდილო აფრიკას, შუა აზიასა და ჩრდილო ამერიკას.



Draba bryoides DC. - ქუდუნა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ივითარებს ნახევარსფეროსებურ ბალიშებს. ფოთლები პატარა ზომისაა, როზეტად შეკრებილი, მოგრძო, კიდეებზე წამწამებიანი. საყვავილე ღერძი შიშველია და უფოთლო, 2-6 ყვავილით. ჯამის ფოთლები კვერცხისებურია, გვირგვინის ფურცლები - კაშკაშა ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კლდეებზე, მორენებზე, მეტ-ნაკლებად ტენიან ადგილებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემია.

Draba supranivalis Rupr.

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

3-7 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ქმნის მცირე ზომის კორდს. ფოთლები შეკრებილია საყვავილე ღეროს ძირში, ფორმით ხაზურ-ენისებურია, კიდეებზე მოკლენამწამებიანი. საყვავილე ღერძი უფოთლოა. მტევანი 2-6 - ყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები 7-9 მმ სიგრძისაა, თეთრი, უკუკვერცხისებური, თავზე ამოკვეთილი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ღორღიან და კლდოვან ადგილებში, ალპურ სარტყელში 2,700-3,300 მ-მდე. გავრცელებულია მთიულეთში, თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



***Erophila verna* (L.) DC.**

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 2-25 სმ-მდე. ღერო ზედა ნახევარში შიშველია, ქვედა ნახევარში – დატოტვილბენვებიანი, ერთი ან რამდენიმე. ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, მჭდომარე, კიდემთლიანი. ყვავილები შეკრებილია მტევნებად და ნაყოფობისას გრძელდება. გვირგვინის ფურცლები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მშრალ და რუდერალურ ადგილებში, ველებზე, ქვიშნარებზე, ნათესებსა და გზისპირებზე 1,800 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მთელ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.

***Erysimum cuspidatum* (M. Bieb.) DC.**

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

20-70 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დაღარული, მარტივია ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ხეშეში, შეფოთლილი. ფოთლები ოვალურია, ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა. ყველა ფოთოლი მონაცრისფროა და შებუსული, 3-4-ად გაყოფილი ბეწვებით. ყვავილედ მტევანია. გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუოვალური. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ველებზე, მშრალ გორაკებსა და ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, იმერეთში, ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Erysimum repandum L.

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსუსულია მალპიგის ბენჯებით. 10-50 სმ-მდე სიმაღლის ღერო მარტოულია. ზედა ნახევარში დატოტვილია, ტოტები ძალიან არის გაფარჩხული. ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა, კიდეებზე დაკბილული. ყვავილები შეკრებილია მტევნისებურ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები ყვითელია, 7-10 მმ-მდე სიგრძის. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ველებზე, მშრალ, მოშიშვლებულ ადგილებში, მინდვრებში, გზისპირებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, ცენტრალური და სამხრეთ ევროპა, შუა და მცირე აზია, ირანი.

Hesperis matronalis L. - ღამის იბ

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

100-120 სმ სიმაღლის ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მოფენილია გრძელი და მოკლე მარტივი ბენჯებით. სულ ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია და დაკბილული ან – თითქმის ჩანგისებური; ზედა ფოთლები ლანცეტა-კვერცხისებური ან ლანცეტაა. ყვავილედი, ჩვეულებრივ, დატოტვილი მტევანია. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-სოსანია ან ღია ვარდისფერი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებსა და მინდვრებზე, მთის ზედა სარტყლამდე. ხშირად ავრცელებენ ბაღებში და ველურდება. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Isatis cappadocica subsp. subradiata (Rupr.) P. H. Davis = Isatis subradiata Rupr. - მატრახხა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40-60 სმ-მდე სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები მთლიანია, კიდემთლიანი, იშვიათად - კიდეებზე წვრილგაფანტულ-ბენჯიანი. გვირგვინის ფურცლები ყვითელია, ჭოტაკები - ფართო-ელიფსური ან მომრგვალოა. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებსა და ნაშალებზე მთის ქვედა სარტყელში. ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და ირანს.

Lepidium draba L. = Cardaria draba (L.) Desv.

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

10-55 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მოკლე ბენჯით შებუსული, იშვიათად - თითქმის შიშველი. ღერო სწორად მდგომია, ზედა ნაწილში ფარისებურად დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-უკუკვერცხისებურია, ელიფსური ან ლანცეტასებური. ყვავილები თეთრია, ფარისებურ ყვავილედეებში შეკრებილი. ყვ. IV-VI, ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა, იშვიათად - შუა სარტყელში - მშრალ ქვიან ფერდობებზე, გზისპირებზე, მინდვრებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა დაბალმთიან რაიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო ამერიკასა და ირანს.



Lepidium vesicarium L.

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

20-50 სმ სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, სრულიად შიშველი, მუხლებში ალაგ-ალაგ ბუშტივით გამობერილი, თითქმის ძირიდანვე დატოტვილი. შუა და ზედა ფოთლები ფრთისებურად არის დაყოფილი ვიწრო ნაკვთებად. ყვავილედ მტევნისებურია. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მკრთალი ყვითელი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მშრალ ფერდობებზე, დამლაშებულ და რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, მიწაყრილებზე – მთის შუა სარტყელამდე. გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და ჩრდილო ირანი.

Nasturtium officinale R. Br. – წყლის ნიწმატი

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

10-60 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი, შიშველი, ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ფრთისებურად აქვს განკვეთილი 2-7 წყვილი მოგრძო, მრგვალკბილა ან ამოკვეთილი გვერდითი ნაკვთებითა და მომრგვალო ან კვერცხისებური, კიდეტალღოვანი კენწრული ნაკვთით. ყვავილედ ფარისებურია, კენწრული. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტენიან ადგილებში, ჭაობებში, მდორედ გამდინარე წყლებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევროპას, დასავლეთ აზიას, ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკას.



Sisymbrium officinale (L.) Scop. - ბონბოლა

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

ერთწლიანი მცენარეა, სიმაღლე - 15-60 სმ, შებუსუსი. ღერო სწორია, გაფარჩხულად დატოტვილი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ფრთისებურად განკვეთილი, მოგრძო-კვერცხისებური, არათანაბრად დაკბილული. ზედა ფოთლები შუბისებური ან ისრისებურია. ყვავილედითაა, გვირგვინი - ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ნათესებში, დასარეველიანებულ ადგილებში, გზების გასწვრივ. სარეველა მცენარეა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკას.

Sobolewskia caucasica N. Busch

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

40-70 სმ-მდე სიმაღლის, ერთ ან ორწლიანი, ბალახოვანი მცენარეა. წვრილმეჭვირებურ-ბენჯებიანია, განსაკუთრებით - ზედა ნაწილში. ღერო მრავალია, აღმავალი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებურ-სამკუთხაა, კიდებზე ღრმად მრგვალებილა, შიშველი, გრძელყუნწიანი. გვირგვინი თეთრია, 4,5 მმ-მდე სიგრძისა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ჩამონახვავებზე, ლოდნარებზე, კლდეებზე, რიყნარებზე - 900-2200 მ-მდე ზღვის დონიდან. გავრცელებულია მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Thlaspi macrophyllum Hoffm. = Pachyphragma macrophyllum (Hoffm.) N. Busch - ხბწმბ

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

20-40 სმ სიმაღლის, სრულიად შიშველი, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ერთი ან რამდენიმე, ძირითადად, მარტივი ღეროთი. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, გულის ან თირკმლის ფორმის, გრძელყუნწიანი. ღეროსეული ფოთლები კვერცხისებურია. ყვავილის ყუნწები ცერად არის აღმართული, ნაყოფობისას გრძელდება. გვირგვინი თეთრია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ტყეებში, ტყის პირას, დამახასიათებელია ტენიანი და მდიდარი ნიადაგით წარმოდგენილი ტყეებისათვის. ქმნის ტყის ტიპს. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და მცირე აზია. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Thlaspi orbiculatum Steven

ოჯახი: Brassicaceae - ჯვაროსნები

10-30 სმ სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან ფოთლებშებუსული, გრძელი წამწამებით. ღერო მარტივია ან დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო-ოვალური, ღეროსეული მჯდომარეა, მოგრძოლანცეტა. თითქმის ყველა ფოთოლი მეტ-ნაკლებად დაკბილულია. მტევანი დაყვავილებისას წაგრძელებულია. გვირგვინის ფურცლები მოგრძოა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება ზღვის დონიდან 1800 მ-მდე რუდერალურ ადგილებში, ნათესებსა და ნაჩხატებში. უმეტესად ბიცობი ნიადაგებისთვისაა დამახასიათებელი. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს.



Torularia contortuplicata O. E. Schultz

ოჯახი: Brassicaceae – ჯვაროსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძირიდანვე გაფარჩხულ – დატოტვილია, ხასიათდება აღმავალი, 5-30 სმ სიგრძის, ტოტებით, შებუსებულია დატოტვილი და მარტივი ბენჯებით. ფოთლები ვინრო-ელიფსურია, ყუნწიანი, ამოკვეთილ -დაკბილული ან თითქმის კიდემთლიანია. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, თავამოკვეთილი ან მომრგვალებული. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება ველებსა და ნახევარუდაბნოებში, თიხნარ, ბიცობ და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპის ნაწილსა და შუა აზიას.

Buxus sempervirens L. = Buxus colchica Pojark. – კოლხური ბბა

ოჯახი: Buxaceae – ბზისებრნი

2-15 მ სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქი ან ხეა, დიამეტრი 50 სმ-მდეა. ღერო სწორად მდგომია, ძირიდანვე ხშირი დატოტვით, ტოტები 4-ნახნაგოვანია, ნორჩობაში – შებუსული. ფოთლები მარტივია, ტყავისებური, შიშველი. მორიგეობით ან იშვიათად – მოპირისპირედ განლაგებული. ფორმით მოგრძო-კვერცხისებური ან ლანცეტა, მოკლეყუნწიანი. ფოთლის ფირფიტა 1-3 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანისაა, მუქი მწვანე, ქვედა მხარეზე ოდნავ ღია. ნაყოფი 3 რქისებური გამონაზარდით ბოლოვდება. ყვ. II-IV, ნაყ. VI-IX. იზრდება ქვეტყეში შერეულ და წიწვოვან ტყეებში. ზოგჯერ ქმნის რაყებს. კარგად ხარობს ქვიან ან ღრმა ნიადაგებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, კავკასიასა და მცირე აზიას. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა.



Asyneuma campanuloides (M. Bieb. ex Sims) Bornm.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, ქვედა ნაწილში სქლად შეფოთლილი. ქვედა ფოთლები კვერცხისებურია, თითქმის მჯდომარე. კენწრული ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, ყველა ფოთოლი კიდეებზე მრგვალკბილაა. ყვავილები შეკრებილია ვიწრო, მტევნისებურ-საგველა ყვავილედებად. გვირგვინი იისფერია და ჯამის კბილებს 3-ჯერ აღემატება. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა, სუბალპურ და ალპურ სარტყლებში – ტყის სარტყლის ველობებზე, მდელოებზე, მაღალ ბალახეულობაში, არყნარში, დეკიანში, კირქვიან ნაშალებზე 700-2700 მ სიმაღლემდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Campanula alliariifolia Willd. – ბუსკანტურა

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 70 სმ-მდე სიმაღლისაა, აღმავალი ან სწორია, დატოტვილი ან მარტივი, მოთეთრო ბენვით შებუსული. ფესვთანური ფოთლები ფართო სამკუთხა-გულისებური ან გულისებურია, წანვეტებული ან ბლაგვწვერიანი. ყვავილეთი გრძელი, ცალმხრივი მტევანია. ყვავილები მსხვილია, მოკლეყუნნიანი, მეტ-ნაკლებად თავდახრილი. გვირგვინი თეთრია და 10-20 მმ სიგრძისა, ძაბრისებურ-ზარისებური ფორმის. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთისწინებიდან ალპურ სარტყლამდე კლდეებსა და ნაშალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ჩრდილო ანატოლიას.



Campanula alliariifolia Willd. = Campanula ochroleuca (Kem. -Nath.) Kem. -Nath.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 80 სმ-მდე სიმაღლისაა, წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი, რბილი ბენვით შებუსული. ფესვთანური ფოთლები ფართო-სამკუთხა-გულისებურია, წანვეტებული. ღეროსეული ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, მოკლეყუნნიანი. ყვავილედო ცალმხრივი მტევანია. გვირგვინი ზარისებურია, 2,5-3,5 სმ სიგრძის, ღია ყვითელი ფერის, ნაკვთები კვერცხის ფორმისაა. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების კლდეებზე, ღორღიან სუბსტრატსა და ნაშალებზე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. კავკასიის ენდემია.

Campanula collina Sims

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 7-35 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, შეფოთლილი, მცირე ყვავილიანი, შიშველია ან ქვედა ნაწილში მეტ-ნაკლებად ხეშმბენვიანი. ფესვთანური ფოთლები ძირში გულისებურია, მოგრძო-კვერცხისებური ან მოგრძოლანცეტა ფორმის. ღეროსეული ფოთლები მოგრძო-ლანცეტადან, ლანცეტურამდე. ყვავილები შეკრებილია ცალმხრივ, მტევნისებურ ყვავილედად, ყვავილი იშვიათად მარტოულია, თავდახრილი, მოგრძოყუნნიანი. გვირგვინი მილისებურ-ზარისებურია, მუქი ლურჯი. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ და ალპურ სარტყლებამდე – მდელოებზე, ნაზვავებსა და მშრალ, ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დაღესტანს, სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიას.



Campanula collina subsp. sphaerocarpa (Kolak.) Ogan. = Campanula sphaerocarpa Kolak.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძლიერ შებუსუსული, სიმაღლე – 30-60 სმ. ფესვთანური ფოთლები კვერცხისებურია, მოკლეყუნწიანი, კიდეებზე – მრგვალკბილა, სქლად შებუსუსული. ღეროსეული ფოთლები პატარაა, მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე. მტევნები ცალმხრივია, 3-8-ყვავილიანი. ჯამი შიშველია ან შებუსუსული, ყვავილი იისფერ-ლურჯია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის ზედა და ალპური სარტყლების კლდეთა ნაპრალებსა და ღორღიან მდელოებზე. ცნობილია აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ საქართველოსა და ხევში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილს. კავკასიის ენდემია.

Campanula collina subsp. sphaerocarpa (Kolak.) Ogan. = Campanula albovii Kolak.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-27 სმ სიმაღლისაა, ძირიდან რკალისებურად აღმავალია, მარტოულყვავილიანი, ფესვთანური ფოთლები ფორმით მომრგვალო-კვერცხისებურია ან ზოგჯერ მოგრძო-ლანცეტა. ღეროსეული ფოთლები 3-5-ია, პატარა ზომის, რომელთაგან ქვედა მოკლეყუნწიანია, ზედა – თითქმის მჯდომარე, ფორმით მოგრძო-ლანცეტადან ხაზურ-სადგისისებურამდე. გვირგვინი 20-35 მმ სიგრძისაა, ძაბრისებურ-ზარისებური, მუქი ლურჯი ფერის. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ალპური სარტყლის ღორღიან, კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. საქართველოს ენდემური მცენარეა.



Campanula daghestanica Fomin = Campanula fedorovii Kharadze

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 15-40 სმ-ია, ძირიდანვე დატოტვილი. ღეროსეული ქვედა ფოთლები ლანცეტა ფორმისაა. შუა ფოთლები მჭდომარეა, კიდეებზე – მსხვილკბილებიანი. სულ ზედა ფოთლები პატარაა. ყვავილედის საგველასებურია. გვირგვინი მილისებურ-ზარისებურია. ცისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კლდეებსა და მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Campanula engurensis Kharadze

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 16-25 სმ სიმაღლისაა, მრავალი მარტივი, წამოწეული, გაფანტული ბენჯით მოფენილი. მთელი მცენარე მონაცრისფრო – მწვანე ფერისაა. წვრილი, გამჭვირვალე ბენჯით შებუსული. ფოთლების ქვედა მხარე ოდნავ ლეგაა, ზედა მხარე – მწვანე. ფესვთანური ფოთლები ასიმეტრიულია, კვერცხისებურ-ლანცეტა. ღეროსეული ფოთლები კვერცხისებურია. ყვავილედის მცირეყვავილიანია, ფარისებურ-მტევნისებური. გვირგვინი მილისებურ-ზარისებურია, გარეთა მხრიდან წვრილი, გაფანტული ბენჯით დაფარული, მუქი ცისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის სარტყელში – დაჩრდილულ კლდეებზე, ღრმა ხეობებში. გვხვდება სვანეთში. საქართველოს ენდემური მცენარეა.



Campanula glomerata subsp. oblongifolia (K. Koch) Fed. = Campanula oblongifolia (K. Koch) Kharadze - დილხაში

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100 სმ-მდე სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი, მონითალო ბენვით შებუსული. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები მოგრძოელიფსურია, წანვეტებული. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, დანარჩენები – მოკლექუნწიანი, მოგრძო-კვერცხისებურია, ხერხკბილა. უხეში შებუსვის გამო ფოთლები ხეშეშია. ყვავილედის მკვრივია და კენწრული. გვირგვინი ბარის ფორმისაა, ცისფერი ან ოდნავ მოიისფრო. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე ფოთლოვან და ფიჭვნარ ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.

Campanula glomerata subsp. caucasica (Trautv.) Ogan. = Campanula trautvetteri Grossh. ex Fed.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო აღმავალია, 10-60 სმ სიმაღლის, შიშველი ან მცირედ შებუსული. ფესვთანური ფოთლები კვერცხისებურია ან ელიფსური, გრძელყუნწიანი. ღეროსეული ფოთლები უფრო პატარაა, მოკლექუნწიანი ან მჭდომარე. სულ ზედა ფოთლები თავაკისებურია და ყვავილედის საბურველს ქმნის. ყვავილები 2-4 სმ სიგრძისაა, მუქი იისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და მცირე აზიას.



Campanula kachethica Kantsch. - კახეთის მარცხი

ოჯახი: Campanulaceae – მარცხასებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღეროები 15 სმ-მდე სიმაღლისაა, წამოწეული ან რკალივით გადაღუნული. მთელი მცენარე მონაცრისფროა, წვრილი, ხშირი ბუსუსებით დაფარული. ფოთლები ტყავისებურია, შებუსული, კიდეები ტალღისებურად, არათანაბრად არის დაკბილული. ყუნწი ვიწროფრთიანია, ფორმით – ფართო, სამკუთხა-კვერცხისებურია. ღეროსეული ფოთლები შედარებით პატარაა, ფართო, მომრგვალო-კვერცხისებური. სულ ზედა ფოთლები კი სამკუთხა-კვერცხისებურია. ყვავილები თეთრი ფერისაა. ნაკვთები გარედან ხშირბეწვიანია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება კირქვიან კლდეთა ნაპრალებში. კახეთის ენდემური მცენარეა.

Campanula kantschavelii Zagar. - ყანაპელების მარცხი

ოჯახი: Campanulaceae – მარცხასებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მრავალი ღერო, აღმავალი, გრძელი, გაფარჩხული, ხშირი და ხეშეში, მოთეთრო ბეწვით შებუსული. ფოთლები ხშირ და მოკლებეწვიანია, კიდეებსა და ძარღვებზე – გრძელბეწვიანი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ფართო-ნიჩბისებურია, გრძელი, ფრთიანი ყუნწით. ზედა ფოთლები კვერცხისებურია, მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი. ყვავილედი ქოლგისებურ-საგველასებურია, მრავალყვავილიანი. გვირგვინი 12-15 მმ სიგრძისაა, ბარისებურ-მილისებური, იასამნისფერი, ხახაში და გარედან, ძარღვების გაყოლებით, მოთეთრობეწვიანია. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება ტყის სარტყელში – კლდეების ნაპრალებში. აღწერილია კახეთში (ყვარლის მიდამოები), გასული საუკუნის 30-იან წლებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. საქართველოს ენდემური მცენარეა.



Campanula lactiflora M. Bieb. = Gadellia lactiflora (M. Bieb.) Schulkina - კანკაშა

ოჯახი: Campanulaceae - მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 150 სმ-მდე სიმაღლისაა, მარტივი, აღმავალი, შიშველი ან აქა-იქ შებუსული. ფოთლები ფართოა, კიდეებზე ორმაგად დაკბილული და ჭირკვლოვანი. ქვედა ფოთლები კვერცხისებურია ან ელიფსური, ზედა ფოთლები ნახევრად ღერომხვევია, ზედა მხრიდან შიშველია და ქვედა მხრიდან - მცირედ შებუსული. ყვავილედის საგველაა. ყვავილი დიდი ზომისაა, თეთრი ან ღია ცისფერი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლების ტყისპირა მიდამოებში, კლდეებზე, დეკიანებში, სუბალპურ მაღალ ბალახეულობაში. ზოგჯერ გვხვდება მასიურად. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია

Campanula latifolia L. - ალოშა

ოჯახი: Campanulaceae - მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 120 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, შიშველი ან შებუსული, წვერამდე შეფოთილი. ფოთლები კვერცხისებურია, 15 სმ-მდე სიგრძისა და 7 სმ-მდე სიგანის. ყვავილები ფოთლების ილღიებშია სათითაოდ ზემოთ აღმართული. ყვავილედის მტევნისებურია. გვირგვინი დიდია და ფართო, ზარისებური, მოლურჯო-იისფერი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, ტყის ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, დასავლეთ და ცენტრალურ აზიას, მცირე აზიას, თითქმის მთელ ევროპას, ირანის ჩრდილოეთ ნაწილს.



Campanula longistyla Fomin

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

ორწლიანი ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60 სმ-მდე სიმაღლისაა, წაგრძელებულია, აღმავალი, პირამიდისებური დატოტვით, მთელი მცენარე გაფანტული, გაკრული, პრიალა ბენვითაა შებუსული. ფესვთანური და ქვედაღეროსეული ფოთლები კვერცხისებურ – ლანცეტა ან მოგრძო-კვერცხისებურია. ზედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა. ყველა ფოთოლი ორივე მხრიდან შებუსულია. ყვავილები კენწრული და ილლიურია (1-3), მოგრძო ტოტების ბოლოებზე მოთავსებულ შემოკლებულ ყუნწებზეა შეკრებილი საგველასებურ ყვავილედებად. გვირგვინი 30 მმ-მდე სიგრძისაა და იისფერი. ყვ. V-IX, ნაყ. X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებსა და კირქვიანი კლდეების ნაპრალებში. საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთსა და ჯავახეთში. გავრცელებულია მთელ კავკასიაში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Campanula petrophila Rupr.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი, ფაშარკორდიანი მცენარეა, შებუსული. ღერო 4-25 სმ სიმაღლისაა, მრავლად აქვს საყვავილე ყლორტი, წვრილი, წამოწეული, შიშველი, 1-5-ყვავილიანი. ფესვთანური ფოთლები, კვერცხისებური ან უკუკვერცხისებური ფორმის, მკვეთრადაა შევიწროებული ყუნწად, წვერზე 3-5-კბილიანია. ღეროსეული ფოთლები პატარა ზომისაა და ნიჩბისებური. გვირგვინი ზარისებურია ან მილისებურ-ზარისებური, ღია ცისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში კლდეებზე. საქართველოში გავრცელებულია სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Campanula rapunculoides L. - მანჩიტა

ოჯახი: Campanulaceae – მანჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, ჯაგრისებური ბეწვით მოფენილი. ფესვთანური და ქვედაღეროსეული ფოთლები გულისებურ-სამკუთხა ან კვერცხისებურია. სულ ზედა ფოთლები ლანცეტაა, კიდეებზე არათანაბრად ხერხკბილა. ყვავილედი გრძელია, ცალმხრივად მტევნისებური. ყვავილები მოკლყუნწიანია და მუქი იისფერი ან ლურჯი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ღორღიან სუბსტრატზე. ძირითადად, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, დასავლეთ ციმბირს, მცირე აზიას, ირანის ჩრდილოეთ ნაწილს, ჩრდილო ამერიკას.

Campanula sarmatica Ker Gawl.

ოჯახი: Campanulaceae – მანჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მსხვილია, თითქმის ძირიდან დატოტვილი, გაფანტულბეწვიანი, მრავალყვავილიანი. მთელი მცენარე წვრილი, მოთეთრო და გრძელი, ჯაგრისებური ბეწვით არის შებუსული. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები კვერცხისებურ-მოგრძოა, ძირთან თითქმის გულისებური ან სოლისებური, მოკლყუნწიანი. ზედა ფოთლები ლანცეტა ფორმისაა. ყველა ფოთოლი ორივე მხრიდან ხშირი, წვრილი ბეწვითაა მოფენილი. ყვავილები ფართო, მტევნის მსგავს ყვავილედადაა შეკრებილი. გვირგვინი მუქი ცისფერია, შიშველი ან ძარღვების გაყოლებით – ბეწვიანი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე კლდოვან და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Campanula saxifraga subsp. aucheri (A. DC.) Ogan. = Campanula aucheri A. DC.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 7-16 სმ სიმაღლისაა, მარტოულყვავილიანი, აღმავალი, გაფანტულბენვიანი, მურა ფერის ქერცლებით დაფარული. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის. თავაკი – მრავალი, გვირგვინი მუქი მოიისფრო-ლურჯი ფერისაა, გაფანტული. მიტკეცილი ბენვით ან შიშველი, ზარის ფორმისაა და ჯამის ნაკვთებს 3-4-ჯერ აღემატება. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში კლდეებსა და ნაშალებზე. გავრცელებულია სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, შიდა ქართლში, მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Campanula sibirica subsp. Hohenackeri (Fisch. & C. A. Mey.) Damboldt = Campanula Hohenackeri Fisch. & C. A. Mey.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

ერთწლიანი ან ორწლიანი მცენარეა. ღერო 40 სმ-მდე სიმაღლისაა, უხვად დატოტვილი. დატოტვილია ყვავილედის, გვირგვინი პატარაა და მკრთალი ცისფერი. სხვა მაჩიტებისგან საკმაოდ განსხვავდება თავისი ჰაბიტუსით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთისწინეთიდან სუბალპურ სარტყლამდე – მშრალ, ღია ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ირანის ჩრდილოეთ ნაწილს.



Campanula sibirica subsp. hohenackeri (Fisch. & C. A. Mey.) Damboldt = Campanula charadzae Grossh.

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-35 სმ სიმაღლისაა, აღმავალი ან წამოწეული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ქვედა ფოთლები ფართო-ოვალურია, ზოგჯერ ოვალურ-ლანცეტა, გრძელ ყუნწად წაგრძელებული. ღეროსეული ფოთლები მოგრძოა, მჯდომარე, სულ ზედა – მოგრძოლანცეტა ფორმის. ყვავილები იისფერია, ოდნავ თავდახრილი ან სწორად მდგომი. გვირგვინი ძაბრისებურ – ზარისებურია, 20 მმ-მდე სიგრძის, 1/3-მდე ჩაჭრილი. ყვ. VII-VIII, ნაყ. IX. იზრდება სუბალპური სარტყლის მდელოებსა და ღია, ქვიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, გავრცელების საერთო არეალია სამხრეთ კავკასია. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Campanula stevenii subsp. beauverdiana (Fomin) Rech. f. & Schiman-Czeika = Campanula beauverdiana Fomin

ოჯახი: Campanulaceae – მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ერთია, მარტივი, 10-20 სმ სიმაღლის, აღმავალი, ზედა ნაწილში – შიშველი. ფოთლები მეტ-ნაკლებად შებუსულია, კიდებზე ოდნავ დაკბილული. ფესვთანური ფოთლები კვერცხისებურია, გრძელყუნწიანი. ღეროსეული ფოთლები, ხაზურ-ლანცეტა ან ხაზურია, მჯდომარე. ყვავილები ცისფერია და მარტოული ან 2-3 ერთად. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მშრალ ფერდობებსა და გორაკებზე. გავრცელებულია ქვემო და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს.



Campanula tridentata Schreb. - ჟარსხვი

ოჯახი: Campanulaceae - მაჩიტასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები 2-15 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, მარტოულყვავილიანი, შიშველი. ფესვთანური ფოთლები როზეტს ქმნიან. ფოთლები უკულანცეტა - ნიჩბისებურია, კიდემთლიანი, ხშირად - წვერზე მოკვეთილი, კიდეები - წამწამისებურად შებუსული. ღეროსეული ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა და კიდეებზე ბეწვიანი. გვირგვინი მუქი ცისფერი ან მოიისფროა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს.

Cannabis sativa L. = Cannabis ruderalis Janisch. - ჩვეულებრივი კანაფი

ოჯახი: Cannabaceae - კანაფისებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-150 სმ სიმაღლისაა, სამწახნაგოვანი, ხაოიანი, ხშირფოთლიანი. ფოთლები თათისებურ-ლანცეტა ნაკვთებად 5-9 ნაწილად არის დაყოფილი, კიდეებზე - ხერხებილა, ღეროს ქვედა ნაწილში ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული. მამრობითი ყვავილედები კენწრულია, მტევნისებური; მდედრობითი ყვავილი თავთავისებურია, ბედა ფოთლების უბეებში განთავსებული. მამრობითი ყვავილი მოყვითალო-მწვანეა. ნაყოფი კაკალია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, ქვიან ადგილებში, აგრეთვე - მინდვრებსა და ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას, ირანს, შუა აზიას.



Celtis australis subsp. caucasica (Willd.) C. C. Towns. = Celtis caucasica Willd. - კავკასიური აკაკი

ოჯახი: Cannabaceae – კანაფისებრნი

10 მ-მდე სიმაღლის ხეა, იშვიათად – ბუჩქი. ფოთლები 3-10 სმ სიგრძისაა და 1,5-5 სმ სიგანის, მოყვანილობით – კვერცხისებური ან მოგრძო-რომბული, ტყავისებური. წვერში მოკლედ წაწვეტებული, ზემოდან ხაოიანი და უფრო მუქი, ქვედა მხარე – მოყვითალო, მეტ-ნაკლებად შებუსული, კიდეებზე მრგვალხერხვბილა. ნაყოფი სფეროსებურია, მონითალო ან ყვითელი. ყვ. III-IV, ნაყ. IX-X. გვხვდება ქვიან და კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიას, მცირე აზიას, ირანს.

Humulus lupulus L. - სპიბ

ოჯახი: Cannabaceae – კანაფისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხვია-რაა, ოთხნახნაგოვანი, ხაოიანი. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია ან მომრგვალო, ძირში – გულისებური, მთლიანი ან 3-5-ნაკვთიანი. მდედრობითი ყვავილის ყვავილსაფარი და თანაყვავილები სიფრიფანაა, ზემოდან მოფენილია ჭირკვლებით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, ტყისპირებსა და მდინარეთა ხეობებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Capparis spinosa L. - ეკლიანი კაპარი

ოჯახი: Capparaceae - კაპარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 1-2 მ სიგრძისაა, მიწაზე გართხმული ტოტებით, შიშველი ან ოდნავ შებუსული. ფოთოლი მარტივია, ელიფსური ან უკუკვერცხისებური, წვერი - ეკლიანი. თანაფოთლები ეკლებადაა გადაქცეული. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ვარდისფერი, 30-45 მმ სიგრძის; ნაყოფი მრავალთესლიანი ჭოტისებური კოლოფია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება დაბლობებზე, ნახევარუდაბნოებსა და ველებზე. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, შუა აზიას.

Centranthus longiflorus Steven - კლდის იასამანი

ოჯახი: Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალღეროიანი. 1 მ-მდე სიმაღლისაა, შიშველი და ლეგა. ფოთლები მთლიანია, ლანცეტა-ხაზური ფორმის, ბლაგვწვერიანი, კიდემთლიანი, ზედა მხარეზე - მუქი მწვანე, ქვედა მხარეზე - ღია მწვანე, შიშველი. ღერო და ფოთლები ლეგა ფერის ნაფიფქით არის დაფარული. საგველასებური ყვავილედით 20-30 სმ სიგრძისაა. გვირგვინი მენამულ-ვარდისფერია. ყვ. V-VII, ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპური სარტყლის ჩათვლით კლდეებსა და ჩამონახვავებზე. გავრცელებულია სვანეთში, იმერეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Cephalaria gigantea (Ledeb.) Bobrov - სკიპალო

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორი, ღარებიანი, შიშველია ან ფოთლებიანად მონაცრისფრო სქლად შებუსული. ფოთლები დიდი ზომისაა, 2-6 წყვილ სეგმენტად ფრთისებურად განკვეთილი, მოგრძო-ლანცეტა ან მოგრძო-ოვალური ფორმის, საბურვლის ფოთოლაკები კვერცხისებურ-სამკუთხაა. გვირგვინი გოგირდისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მთის ზედა სარტყელში, ტყისპირა ადგილებში, მდელოებზე, მაღალი ბალახეულობის კომპონენტია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Dipsacus laciniatus L. - ბოქშო

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

50-200 სმ სიმაღლის, ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა: სწორი, ნახნაგოვანი, წიბოებზე ეკლებიანი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მოგრძო-უკუკვერცხისებური, დაკბილული ან ფრთისებურად განკვეთილი, ორივე მხარეზე ჯაგრით მოფენილი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, შეზრდილი, მოგრძო ფორმის, ფრთისებურად დაყოფილია კიდედაკბილულ, ხაზურ ნაკვეთებად. ქვედა მხარე, ძარღვის გაყოლებით, ეკლებიანია. თავაკები კვერცხისებურია, ყვავილები – თეთრი ან მკრთალი ლილისფერი. ყვ. ნაყ. VI-VII. სარეველა მცენარეა. იზრდება ტყის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, ირანს.



Knautia montana DC.

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

150 სმ-მდე სიმაღლის, ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, დატოტვილი, ერთი ან მრავალი თავაკით. მცენარე გრძელი ბენჯით არის შებუსული. ფოთლები კვერცხისებური, ნიჩბისებური ან ლანცეტა, ხორკლიანი ბენჯით დაფარული, ქვედა ფოთლები ყუნწად არის წარზიდული, ზედა ფოთლები – მჯდომარე. ყვავილის ღერძი გრძელია, ყვავილები ღია ყვითელი ან თითქმის თეთრია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების მაღალ ბალახეულობაში, ბუჩქნარებში, მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Linnaea borealis L.

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები წვრილია, პატარა ზომის, მიწაზე გართხმული. ფოთლები მოპირისპირედ არის განთავსებული. ფორმით კვერცხისებური ან ელიფსურია, ზედა მხარეზე მუქი მწვანეა, ქვედაზე – უფრო ღია და შებუსული, კიდემთლიანი ან ზედა ნაწილში დაკბილული. ფოთლის ყუნწები გრძელია და შებუსული. გვირგვინი ზარისებურ-ძაბრისებურია, ძირითადად – ღია ვარდისფერი. ყვ. VI-VIII, ნაყ. VIII-X. მაღალმთის მცენარეა, იზრდება დეკიანებსა და არყნარ ტყეებში. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ევროპას, ციმბირსა და ჩრდილო ამერიკას.



Lomelosia caucasica (M. Bieb.) Greuter & Burdet = Scabiosa caucasica M. Bieb. - ფოლიო

ოჯახი: Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო - 20-60 სმ სიმაღლის, შიშველი ან შებუსული; სწორი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულია, ლანცეტა, მთლიანი, იშვიათად - ფრთისებურად დანაკვეთული. ღეროსეული ფოთლებიც ფრთისებურად არის დანაკვეთული; კენწრული სეგმენტი ვიწრო-ლანცეტაა, გვერდითები კი - ხაზური. თავაკი თითის ზომისაა. გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ლურჯია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მაღალმთაში, მდელოებზე, ეტანება მშრალ ადგილებს. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Lonicera caprifolium L. - ჭიჭი

ოჯახი: Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

4-6 მ სიმაღლის, დატოტვილი ლიანაა. ქერქი რუხი ან ყვითელია. ნორჩი ყლორტები მკრთალი მწვანე ფერისაა ან მოიისფრო, შიშველი ან შებუსული. ფოთლები ფორმით კვერცხისებურიდან ელიფსურამდეა. ზედა მხარე მუქი მწვანეა, შიშველი. ქვედა მხარე კი - ლეგა მწვანე, ოდნავ შებუსული ან შიშველი. ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, ზედები შეზრდილია ფუძეებით მომრგვალო ან ფართოელიფსურ ფირფიტად. ყვავილები ზედა ფოთლების იღლიებშია განლაგებული 3-10-ყვავილიან ჩხროებად. გვირგვინი სურნელოვანია, მოთეთრო ან მოყვითალო, ზოგჯერ მოვარდისფრო ან წითელი მილით. ყვ. V-VI, ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა სართელამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Lonicera caucasica Pall. - წაწიწი

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

1,5-3 მ სიმაღლის ბუჩქია. ძველი ტოტები მუქი ნაცრისფერია ან ნაცრისფერი, ნორჩი ტოტები – შიშველი. ფოთლები მოკლექუნნიანია, ფირფიტა ოვალური, კვერცხისებური ან მოგრძო-ლანცეტა ფორმის, კიდემთლიანი. საყვავილე ღერძი თითქმის ყველა ფოთლის უბეშია განლაგებული. თანაყვავილები სადგისისებურია. გვირგვინი მენამული ან ვარდისფერ-იისფერია. ყვ. VI-VIII, ნაყ. IX. იზრდება ტყის შუა და ზედა სართყლების ტყეებსა და ტყისპირებში, ბუჩქნარებში ასევე, სუბალპური სართყლის არყნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.

Lonicera iberica M. Bieb. - ცხრატყავა

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

0,5-2 მ სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია, სწორად მდგომი, მაგარი, გაფარჩხული ტოტებით. ნორჩი ყლორტები ჭირკვლოვანი შეხუსვითაა. ფოთლები კვერცხისებურია ან მომრგვალო-კვერცხისებური. ფოთლის ფირფიტა ორივე მხარეზე შეხუსულია, ზედა მხარეს მუქი მწვანეა, ქვედა მხარეს – ღია. ყვავილები ილლიურია, განლაგებულია წყვილ-წყვილად. შეფერილობით მოყვითალო – თეთრია. ყვ. V-VI, ნაყ. VII-X. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სართყლების მშრალ, მეჩხერ ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Valeriana alpestris Steven - კაბაბლახა

ოჯახი: Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

მცენარის სიმაღლე 100 სმ-მდეა. ღერო მარტოულია, მაგარი, დაღარული, ხშირად – მოლევო. ფოთოლი მთლიანია, 3-5 წყვილი, მუხლებში შებუსული, გრძელყუნჩიანი, კვერცხისებური ან ელიფსური. კიდეებზე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული. შუა ფოთლები კვერცხისებურია ან რომბისებური. ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარე, ლანცეტა ან ხაზურია. ყვავილედის თავაკისებური ფარია, გვირგვინი მოვარდისფროა. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების, ტენიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Valeriana officinalis L. - სამკურნალო კაბაბლახა

ოჯახი: Caprifoliaceae - ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ-მდე სიმაღლისაა, ჩვეულებრივ, მარტოული, ღრუიანი, ძირში დაღარული, მონითალო-იისფერი, შიშველი. ფოთლები ფრთისებრურად არის განკვეთილი, შიშველი ან ქვედა მხარეზე მეტ-ნაკლებად შებუსული. ყვავილედის დიდი ზომისაა, გაფარჩხული, ფარისებურ-საგველასებური. ყვავილები მოვარდისფრო-თეთრია. ყვ. V-VIII, ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის სარტყელში – ტყისპირა ადგილებში, მდელოებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა და ჭაობების ნაპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Valeriana tiliifolia Troitzk.

ოჯახი: Caprifoliaceae – ცხრატყავასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 150 სმ-მდე სიმაღლისაა, მარტოული, მაგარი, გლუვი, ხშირად მოლევო ფერის, 2-4 წყვილი ფოთლით. ფოთლები მთლიანია; ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებურია, გრძელყუნჩიანი, კიდებებზე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული. ყვავილედნი მჭიდროა, ფარისებურ-თავაკისებური. გვირგვინი თეთრია, იშვიათად – მკრთალი ვარდისფერი. ყვ. V-VIII, ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის, სუბალპური და ალპური სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ნიფლნარი ტყეების, ნიფლნარ-სოჭნარი ტყეების ველობებზე, ფიჭვნარში, მდინარეთა და ნაკადულების გასწვრივ. გავრცელებულია მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Agrostemma githago L. - ჭიჭიბა

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

30-8-სმ სიმაღლის, ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, მეტ-ნაკლებად შებუსუსულია გრძელი, მატყლისებური ბეწვით. ღეროები მარტივია ან ოდნავ დატოტვილი. ფოთლები გრძელია, ხაზური ან ლანცეტასებურ – ხაზური, ყვავილები მარტოულია, კენწრული, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან წითელი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება უმთავრესად ხორბლის ნათესებში 1600 მ-ის სიმაღლემდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს.



Arenaria serpyllifolia L.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

5-35 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, ძირიდანვე გაშლილად დატოტვილი, შებუსებულია წვრილი ჯირკვალა ან მარტივი ბენვით. ფოთლები კვერცხისებურია, წანვეტებული და შებუსული. ყვავილედის შედგება მრავალყვავილიანი დიქაზიუმებისაგან, რომლებიც საგველასებურ ყვავილედად არის შეკრებილი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ღია ადგილებში, ველებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში, როგორც სარეველა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Cerastium arvense L. - მინდვრის კირთეთრბ

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

20 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ძირიდანვე მუხლისებურად აღმავალია, დატოტვილი. ხასიათდება მოკლე, უნაყოფო და წაგრძელებული საყვავილე ყლორტებით. მთელი მცენარე შებუსულია ხუჭუჭა და ჯირკვლოვანი ბენვებით. ფოთოლი ლანცეტაა. ყვავილედის მცირეყვავილიანია, ყვავილი თეთრი ფერისაა, ფურცლები მესამედ ნაწილამდე ან ზოგჯერ ნახევრამდე – შუაში ჩაჭრილი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Cerastium multiflorum C. A. Mey.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მრავალი, ძირიდანვე დატოტვილი, მწოლიარე ან წამოწეული ღერო, შებუსულია ხუჭუჭა, მწოლიარე ბენჯებით. ფოთოლი კვერცხისებურ-ლანცეტაა ან ლანცეტა, კიდეებზე – ტალღისებური. ყვავილები ქმნიან 3-7-ყვავილიან ყვავილედს. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ღორღიან ჩამონაზვავებზე, რიყნარებსა და მორენებზე, უმთავრესად – სუბალპურ, უფრო იშვიათად – ალპურ სარტყელში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Cerastium ruderale M. Bieb.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

7-30 სმ სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო აღმავალია, ზედა ნაწილში დატოტვილი ან მარტივი. მთელი მცენარე შებუსულია მარტივი ან ჯირკვლოვანი ბენჯებით. ფოთოლი მოგრძო-კვერცხისებურია ან ელიფსური. ყვავილედი კენწრული ქოლგაა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ველების, ნახევრად უდაბნოებისა და ტყის სარტყლების ბუჩქნარში. გავრცელებულია სვანეთში, ქართლში, კახეთში, მთიულეთსა და ხევსურეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას.



Dianthus armeria L.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

10-15 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო აღმავალია, მარტივი ან ზედა ნაწილში ცალმხრივად დატოტვილი, ქვედა ნაწილში – შიშველი, ზედა ნაწილში – გრძელი ბენჯებით შებუსული. ღეროსეული ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა ან ხაზური, ყვავილები თითქმის მჯდომარეა, ღეროებისა და ტოტების ნვერში ჯგუფებად შეკრებილი, იშვიათად ყვავილები მარტოულია. გვირგვინის ფურცლები მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის სარტყელში 1500 მ სიმაღლემდე – მშრალ ფერდობებზე, განათებულ ადგილებში, ბუჩქნარში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და ევროპა.

Dianthus cretaceus Adam. – მიხაკი

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

30-40 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალღეროიანი. ღერო აღმავალია, მარტივი ან დატოტვილი, შიშველი. ფოთლები ხაზურია, შიშველი, კიდებებზე ხაოიანი. ზედა ფოთლები ქვედა ფოთლებთან შედარებით უფრო მოკლეა. გვირგვინის ფურცლები თეთრია და შიშველი. ყვ. ნაყ. VII-VIII. სუბალპური და ალპური ზონების მცენარეა. იზრდება ქვიან და ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Dianthus crinitus Sm.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

15-40 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალღეროიანი. ღერო აღმავალია, დატოტვილი, შიშველი ან ხაოიანი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, ყვავილები კენწრულია, თითო-თითო. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან იშვიათად – ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – კლდეებზე, მშრალ და ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია ქართლში, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.

Dianthus cruentus Griseb = Dianthus calocephalus Boiss.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

30-60 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რამდენიმე აღმავალი, ლეგა, მარტივი შიშველი ღეროთი. ფოთლები ხაზურია, გრძლად წაწვეტებული, შიშველი, კიდეებზე ხაოიანი. ყვავილეთი კუმსი თავაკია, მრავალყვავილიანი. თანაყვავილები ფართო-კვერცხისებურია, შებუსული. გვირგვინის ფოთლის ფირფიტა აგურისფერ-წითელია, წვერზე მსხვილად ამოკვეთილკბილებიანი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – მშრალ მდელოებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Dianthus cyri Fisch. & C. A. Mey.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

12-30 სმ სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო აღმავალია, შიშველი და დატოტვილი, ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, შიშველი, 3-ძარღვიანი, კიდეებზე წამწამიანი. წვრილი ტოტების ბოლოებზე თითო-თითო ყვავილია. ჯამის კბილები ლანცეტაა; თანაყვავილები – 4; გვირგვინის ფურცლების ფირფიტა სოსანია, წვერში არაღრმად, არათანაბარზომიერად ამოკვეთილკბილებიანი. ყვ. ნაყ. VI. ნახევარუდაბნოებისა და ველების მცენარეა. გვხვდება სამეგრელოში, აჭარაში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალია სამხრეთ კავკასია, მცირე აზია, ავღანეთი.

Dianthus imereticus (Rupr.) Schischk. - იმერეთის მიხაკი

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

30-60 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, მარტივი ან დატოტვილი, შიშველი, ქვედა ნაწილში – გახევებული. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, კიდეებზე ხაოიანი. რამდენიმე ყვავილი ღეროებისა და ტოტების წვერში კონებადაა შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ფართო – უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება კირქვიან კლდეებზე მთის შუა სარტყელში. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Minuartia circassica (Albov) Woronow ex Grossh.


ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სქელკორდიანი ან ფაშარკორდიანი. 5-15 სმ სიგრძის საყვავილე ყლორტები წამოწეულია ან აღმავალი, წვერში ივითარებს 3-5 ან მეტ ყვავილს. უნაყოფო ყლორტების ფოთლები ვიწრო-ხაზურია, შიშველი, კიდეებზე მოკლენამწამებიანი. ყვავილები მოთავსებულია ჯამზე მოკლე ჭირკვალაბენვიან ყუნწებზე. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ღორღიან და კლდოვან ადგილებში – სუბალპურ და ალპურ სართყლებში 2500-3000 მ-ის სიმაღლეზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა მაღალმთიან რეგიონში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და მცირე აზია.

Oberna lacera Ikonn. = Silene lacera Sims.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროები 15-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან გართხმული. ქვედა ფოთლები კვერცხისებურია, გრძელ ყუნწად წარზიდული. ზედა ფოთლები ლანცეტაა. ყვავილები წაგრძელებულ ყუნწებზეა განთავსებული. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ფირფიტა დაყოფილია ფოჩებად და თანაგვირგვინი – ხაზურ-ლანცეტა ნაკვთებად. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სართყლების რიყნარებზე, ნაშალებსა და ჩამონახვავებზე. ცნობილია რაჭაში, ხევსურეთსა და თუშეთში. გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაში. კავკასიის ენდემია.



Petrorhagia prolifera (L.) P. W. Ball & Heywood = Kohlrauschia prolifera (L.) Kunth

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

10-15 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები ხაზურია, მახვილწვერიანი, კიდეებზე ხაოიანი, ღეროებისა და ტოტების წვერში ქმნის თავაკისებურ ყვავილედს. გვირგვინის ფურცლები მოწითალო-მწვანეა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ზღვის სანაპირო ქვიშებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, კახეთსა და მესხეთ – ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.

Silene compacta Fisch. - ლამბა

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ხასიათდება მარტივი ან, იშვიათად, ზედა ნაწილში დატოტვილი 20-70 სმ სიმაღლის ღეროთი. ქვედა ფოთლები ნიჩბისებურია, ღეროსეული – კვერცხისებურ-ლანცეტა, მჯდომარე, ღერომხვევი. ყვავილედი კენწრულია, თავაკისებური ან ფარისებური. ყვავილი კაშკაშა მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – ტყის პირას, ღორღიან ადგილებში, რიყნარებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, სამხრეთ ევროპა და მცირე აზია.



Silene conica L.

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

35 სმ-მდე სიმაღლის, ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსული. ღეროები მარტივია, ზოგჯერ – დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებურია და ადრევე ხმება. ღეროსეული ფოთლები ხაზურია ან ვიწრო-ლანცეტა. ყვავილები მარტოულია ან ჯგუფური, ილლიური. ჯამი გამობერილია, გვირგვინი-ვარდისფერი. ფირფიტა $\frac{1}{4}$ -ზეა ჩაჭრილი. ყვ. ნაყ. IV-VII. მცენარე გავრცელებულია მშრალ ფერდობებზე, გბისპირებზე, ქვიშნარებზე. საქართველოს ფარგლებში ცნობილია აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთსა და მესხეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას.

Silene vulgaris (Moench) Garcke – ჭყიპანთა

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

30-80 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ხასიათდება აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროებით. ფოთლები უკუკვერცხისებურია, მოგრძო-ელიფსური, ღეროს ზედა ნაწილში ნახევრად ღერომხვევია. ყვავილები შეკრებილია ქოლგისებურ ყვავილედად. გვირგვინის ფურცლები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება სუბალპური სარტყლის მაღალბალახიან და ნაირბალახიან მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Stellaria holostea L. - ოყის ჟუნჭრუკი

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

40 სმ-მდე სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, ზედა ნაწილში დატოტვილი. თითქმის მთელი მცენარე შებუსებულია წვრილი, კონუსური და მჯდომარე ბუნვებით. ფოთლები ვიწროსამკუთხა ფორმისაა. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან მეჩხერ ნახევარქოლგად. გვირგვინის ფურცლები თეთრი ფერისაა, თითქმის ნახევრამდე ორად არის გაყოფილი. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება 2000 მ სიმაღლემდე – მდელოებზე, ბუჩქნარებს შორის. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, დასავლეთ ციმბირს.

Stellaria media (L.) Vill. - ჟუნჭრუკი

ოჯახი: Caryophyllaceae – მიხაკისებრნი

10-35 სმ სიმაღლის, ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღია მწვანე ფერის. ღერო სუსტია, მწოლიარე ან წამოწეული. ქვედა ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებურია, ფოთლის ფირფიტა ზოგჯერ შიშველია, ზოგჯერ კი თეთრმეჭვებიანი, ფუძეში წამწამებით. ყვავილები შეკრებილია ნახევარქოლგად. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ღრმად ორად გაყოფილი. ყვ. ნაყ. III-IX. იზრდება ტენიან ადგილებში. როგორც სარეველა, გვხვდება ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში, აზოტით მდიდარ ნიადაგებზე. დამახასიათებელია ღია ცენოზებისთვის. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Helianthemum nummularium (L.) Mill. - მზესვავილა


ოჯახი: Cistaceae – საკმელასებრნი

10-40 სმ სიმაღლის ნახევრად ბუჩქია, დატოტვილი, სწორად მდგომი, წამოწეული, იშვიათად – გართხმული ღეროებით, შებუსული. ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ან მომრგვალო-კვერცხისებურია, ზემოდან – მწვანე, ქვემოდან – მონაცრისფრო-ქეჩისებური. ყვავილედნი წაგრძელებული ან დამოკლებული 3-10-ყვავილიანი ხვეულია. გვირგვინის ფურცლები ნარინჯისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება ტყის სარტყელში – მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ველობებზე, ბუჩქნარებში, ფრიგანისებურ მცენარეულობაში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.

Euonymus europaeus L. - ევროპული ჭანჭყატი, კიდობანა

ოჯახი: Celastraceae – ჭანჭყატასებრნი

2-5 მ სიმაღლის ბუჩქებია, ტოტები 4-ნახნაგოვანია, იშვიათად – ცილინდრული, შიშველი, ნახნაგები კორპიანია. ფოთლები მუქი მწვანეა, მოკლეყუნნიანი, ელიფსურიდან ფართო-უკუკვერცხისებური ფორმის. კიდედაკბილული, ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარეც – შიშველი ან მცირედ შებუსული. ყვავილედნი ფარისებური საგველაა, 3-7-ყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მომწვანო-მოთეთროა. ნაყოფზე არილუსი ნარინჯისფერია. ყვ. IV-V, ნაყ. VII-X. მცენარე იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ჭალებში, ნაკაფ ტყეებში. ხშირად სარეველა მცენარეა. ცნობილია მთელ საქართველოში. საერთო გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



***Euonymus verrucosus Scop.* - მეჭეჭიანი ჭანჭყატი**

ოჯახი: Celastraceae – ჭანჭყატისებრნი

1-2 მ სიმაღლის ბუჩქებია. ტოტები ცილინდრულია და მოფენილია მოშავო, მონითალო ან მონაცრისფრო მეჭეჭებით. ფოთლები ელიფსურია, კიდეზე – ხერხკბილა, შიშველი ან ქვედა მხარეზე მცირედ შებუსული. ყვავილედ 3-9-ყვავილიანი ფარია. გვირგვინის ფურცლები მონითალო-მურა ფერისაა. არილუსი კაშკაშა წითელია. ყვ. V-VI, ნაყ. VII-IX. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებს შორის. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

***Euonymus latifolius (L.) Mill.* - ბანიერფოთლიანი ჭანჭყატი, ტაბლაყურა**

ოჯახი: Celastraceae – ჭანჭყატისებრნი

1-3 მ სიმაღლის ბუჩქია, დატოტვილი. ტოტები შიშველია, ცილინდრული, ფოთლები დიდი ზომისაა, ტყავისებური, მუქი მწვანე. ქვედა მხარე ღია ფერისაა, ელიფსური ან კვერცხისებური, კიდეები – ხერხკბილა. გვირგვინის ფურცლები მომწვანოა. არილუსი მონარინჯისფერია. ყვ. IV-V, ნაყ. VII-IX. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებსა და ხეობებში, მეტწილად, 700 მ-დან 2300 მ-მდე. ცნობილია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.



Parnassia palustris L. - პარნასურა

ოჯახი: Celastraceae - ჭანჭყატასებრნი

10-40 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, სწორად მდგომი. ფოთლები როზეტულია, გრძელყუნჩიანი, მომრგვალო-კვერცხისებური, კიდემთლიანი. ღეროსეული ფოთოლი ერთია და გულის ფორმის, ღერომხვევი. გვირგვინი მოთეთრო ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სართყლების ტენიან ადგილებში, მდინარეებისა და რუების გაყოლებით. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. ბორეალური სახეობაა.

Colchicum speciosum Steven - უცუნა

ოჯახი: Colchicaceae - უცუნასებრნი

მრავალწლიანი, ტუბერბოლქვიანი მცენარეა, სიმაღლე - 20-60 სმ. ყვავილი ერთია, იშვიათად - სამი. ყვავილსაფრის გადანაღუნის სეგმენტები ღია ვარდისფერი ან მუქი იასამნისფერია. ფორმით მოგრძო-ელიფსური ან ოვალური. ყვ. ნაყ. X-VII. მცენარე იზრდება ტყის ზედა სართყლიდან სუბალპურ სართყლამდე - ტყისპირებსა და მდელოებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. კავკასიის ენდემია.



Merendera trigyna Woronow. - ჟნძელა

ოჯახი: Colchicaceae - უცუნასებრნი

8-12 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთოლი - 3-4, ყვავილობისას ვაგინას აღემატება, შიშველი, ხასხასა მწვანე, ბოლოვდება მოწითალო წვეტიტ. ყვავილები - 1-5, თეთრიდან მუქ იასამნისფრამდე, ზარისებური ფორმის. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება მთისწინე-ბიდან მთის ზედა სარტყლამდე მშრალ ველებსა და ფერდობებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიასა და ჩრდილო-დასავლეთ ირანს.

Achillea biserrata M. Bieb. - ოყის ფარსმანდუკი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია, სწორი, სიმაღლე - 30-100 სმ. მთელი მცენარე შიშველია ან თხლად შებუსული, უხვად შეფოთილი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, წაწვეტებული, ორმაგბასრხერხვბილა. ყვავილედის კალათია, რომლებიც ფარისებურ ყვავილედებადაა შეკრებილი. ყვავილები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ტყისპირებსა და ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Achillea filipendulina Lam. - ფარსმანდუკი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

30-100 სმ სიმაღლის, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მიტკეცილი ბენჯით მოფენილი, შეფოთლილი. ფოთლები მოხაზულობით მოგრძო-ლანცეტაა, ერთმაგფრთისებურად განკვეთილი ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა სეგმენტებად. ყვავილები შეკრებილია რთულ ფარისებურ ყვავილედებად. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე - ტყისპირა ადგილებში, მშრალ ფერდობებზე, რიყნარზე, წყაროებისა და ნაკადულების პირას. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე და შუა აზიას, ირანს, ერაყს.

Amberboa glauca (Puschk. ex Willd.) Muss. Puschk. ex Grossh.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე - 20-50 სმ. მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი, ლეგა. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა. მთლიანი ან ფრთისებურ-ჩანგისებურად განკვეთილი. ყვავილები დიდი ზომისაა - ძაბრისებური, კიდედანაკვეთული, მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ თიხნარ ფერდობებსა და ხევებში. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Ambrosia artemisiifolia L. - აჰჰანფოთლიანი ამბროზია


ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

20-120 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტივი ან ზედა ნაწილში საგველასებურად დატოტვილი, მიტკეცილი, ჯაგრისებური ბუნვით მოფენილი. ქვედა ფოთლები ორმაგფრთისებურად არის დაყოფილი, ზედა ფოთლები თითოეულ მხარეზე 2-3 მოგრძო ან ხაზურ ლანცეტანაკვთებიანია. კალათები თავთავისებურ ყვავილედეშშია შეკრებილი. ყვავილები ღია ყვითელია. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ქვედა, ზოგჯერ შუა სარტყლის რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, მიტოვებულ მიწებზე. აბეზარა სარეველა მცენარეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ცენტრალურ და ჩრდილო ამერიკას. ინვაზიური სახეობაა.

Anthemis candidissima Willd. ex Spreng. - კამანი

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ვერცხლისფრად შებუსული. ღერო – 5-15 სმ-მდე სიმაღლის, იშვიათად – მარტივი, უფრო ხშირად – ფესვის ყელიდანვე დატოტვილი. ფოთლები მოყვანილობით მოკლე-კვერცხისებურია, ორჯერ ან სამჯერ ფრთისებურად დანაკვთული. კალათები – მატყლის მსგავსი შებუსვით. აქვს თეთრი ფერის ენისებური ყვავილები. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ქვიან ფერდობებზე და ნახევარუდაბნოებში, არიდულ ტყეებში. გავრცელებულია მესხეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Arctium lappa L. - ოროჰანდი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100-180 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები ფართო ან თითქმის მომრგვალო-კვერცხისებური, შიშველი ან ოდნავ შებუსული. კალათები 3 სმ დიამეტრისაა. საბურველი თითქმის შიშველია. საბურველის ფოთოლაკები მწვანეა, სადგისისებური. გვირგვინი მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე - ტყისპირებში, ბუჩქნარებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Artemisia vulgaris L. - მამულა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო - 50-150 სმ სიმაღლის, სწორი, შიშველი ან გაფანტული ბენჯით შებუსული. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, დანარჩენი - მჯდომარე, ღრმადაა ფრთისებურად განკვეთილი ან დაყოფილი ფართო ან ვიწრო-ლანცეტა ნაკვეთებად. კალათები მრავალრიცხოვანია, შეკრებილია გრძელ, მჭიდრო მტევნებად და საგველასებურ ყვავილედს ქმნის. გვირგვინი მონითალო-მომურო ფერისაა. ყვ. ნაყ. VIII-X. იზრდება ზღვის სანაპიროდან მთის ზედა სარტყლამდე - ტყისპირებში, ბუჩქნარებში და მდინარეების გაყოლებით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს, ჩრდილო აფრიკას.



Aster alpinus L. - ალპური ასტრა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, კენწრული კალათით. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ნიჩბისებურია, ბლაგვი და კიდემთლიანი. ზედა ფოთლები მჯდომარეა. კალათა 3-5 სმ - მდე დიამეტრისაა. საბურველი ნახევრად სფეროსებურია. მილის მსგავსი ყვავილები ყვითელი ფერისაა, განაპირა ყვავილები - მოლურჯო-იისფერი. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კლდოვან, ბალახოვან ბიოტოპებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა მაღალმთიან რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიას.

Aster amellus subsp. ibericus (Steven) V. E. Avet. = Aster ibericus Steven ex M. Bieb. - იბერიული ასტრა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო- 20-80 სმ სიმაღლისა, ერთი ან რამდენიმეა, დატოტვილი ან მარტივი. მთელი მცენარე მონაცრისფრო ბუსუსებითაა მოფენილი. ფოთლები სამძარღვიანია, ლანცეტა. კალათები ფარისებურ ყვავილედად არის შეკრებილი. საბურველი მომწვანო-ნაცრისფერია, ზოგჯერ ოდნავ მონითალო. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე - მშრალ ფერდობებზე, ქვიან ეკოტოპებზე, ბუჩქნარში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Bellis perennis L. - ზიზილა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

5-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, უკუკვერცხისებური ან მოგრძო-ნიჩბისებური, კიდეებზე - წვრილხერხებილა, შებუსული. საყვავილე ღერო მარტოული კალათით ბოლოვდება. ყვავილები სუსტად შებუსული მილითაა, თეთრი ფერის ან ვარდისფერი წვეტით. მილისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე - ზღვისპირა ბოლში და მთისწინებზე, ფართოდ გავრცელებული მცენარეა. გვხვდება, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, ასევე ქართლსა და თრიალეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე და შუა აზიას, ჩრდილო ამერიკასა და აფრიკას.

Carduus acanthoides L. - კკლიანი ნარშაკი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო - 30-120 სმ სიმაღლის, დაღარული, გვერდებზე ეკლიანი ფრთებით. მცენარე მოფენილია გრძელი, ყვითელი ფერის ეკლებით. ფოთლები მწვანეა, მოხაზულობით - ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, ღრმად ფრთისებურადაა დაყოფილი. კალათები მარტოულია ან რამდენიმე ერთად. ყვავილები მენამული ან ხორცისფერ-წითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მინდვრებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია აჭარაში, ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Carduus crispus L. - ხუჭუჭა ნარშაპი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 60-100 სმ სიმაღლის ღერო დატოტვილია, შებუსულია აბლაბუდისებური ან გაბნეული, მოკლე ბენვით. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა ან თითქმის ელიფსური, არაღრმად ამოკვეთილ-დაყოფილი. კალათები ღეროების კენწეროებსა და ტოტებზე ჯგუფურად არის განლაგებული. საბურველი მოფენილია აბლაბუდისებური ბენვით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე - ტყეებში, ბუჩქნარებში, მებოფილურ ადგილებში, როგორც სარეველა - მინდვრებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, შუა და აღმოსავლეთ აზიას.

Carduus nutans L. - ჩვეულებრივი ნარშაპი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 30-100 სმ სიმაღლის ღერო მარტივია ან დატოტვილი, მაგარი, ეკლიანფრთიანი, ქვედა ნაწილში შიშველია, ზედა ნაწილში ქეჩისებური ბენვით მოფენილი. ფოთლები მოგრძო - ლანცეტა ფორმისაა, ამოკვეთილ-ფრთისებურად დაყოფილი, ეკლიანი კიდეებით. კალათები ღეროსა და ტოტების კენწეროებზეა მარტოულად განლაგებული. ყვავილები იისფერ - მწვანეა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება დაბლობებში, მთის ქვედა და შუა სარტყლების ნათესებში, მდელოებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას.



Carlina vulgaris L. - ნარისჭაბა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო- 15-50 სმ სიმაღლის, სწორი და აბლაბუდისებურად შებუსული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ტყავისებურია, მჩხვლექელი კბილებით. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა. კალათები 2,5 სმ დიამეტრისაა, ყვავილები - მენამულ-ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე - ტყეებში, მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე, გზისპირებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, ირანს.

Carpesium abrotanoides L. - ოროპინძრა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო - 30-80 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილია და ზედა ნაწილში - წვეპლისებურტოტებიანი, შებუსული. ქვედა ფოთლები ელიფსურია, ზედა უფრო ვიწროა, მოკლექუნნიანი; ყველა ფოთოლი კიდეებზე წვრილ კბილებიანია, თითქმის კიდემთლიანი. აქვს პატარა ზომის მრავალი კალათა. საბურველი კვერცხისებურია, ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში, ბაღებში, გზისპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას.



Carthamus lanatus L. - ალისბრწყლი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

1 მ-მდე სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო - მწვანე და მცენარის წვერზე აბლაბუდისებური შებუსვით. ღერო სწორია, მაგარი, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ფესვთანური ფოთლები ჩანგისებურია, ბასრკბილა. ღეროსეული ტყავის მსგავსი ფოთლები ლანცეტასებურია, წვერზე ეკლით, კედლებზე ეკლიანი სეგმენტებით. ყვავილები მკრთალი ყვითელია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ქვიშნარ და რუდერალულ ადგილებში, გზისპირებზე, ნათესებში, საძოვრებზე. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ აზიასა და ჩრდილო აფრიკას.

Centaurea diffusa Lam.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 15-50 სმ სიმაღლის, ღერო სწორი, წიბოებიანი, ძირში ძლიერ გაფარჩხულად დატოტვილი, მკრთალი მწვანე ფერისაა. ფესვთანური ფოთლები ორმაგფრთისებურად არის განკვეთილი, ზედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა. თითქმის ყველა ფოთოლი ნაცრისფერია და ქეჩისებური. კალათები მარტოულია. ყვავილები, ვიწრო-ცილინდრული თანაყვავილებით, მოთეთრო ან ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების, მთისწინებზე, მშრალ ეკოტოპებზე, სტეპებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას.



Centaurea iberica Trevir. Ex Spreng. - ნარცეცხლა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 20-60 სმ სიმაღლის ღერო სწორია, მონაცრისფრო-მწვანე, გაფარჩხულად დატოტვილი, ხაოიანი ბენვით მოფენილი. ფრთისებურად განკვეთილი ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა. კალათები საშუალო ზომისაა, კვერცხის ფორმისა და მარტოული. ყვავილები ვარდისფერ-მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე - მშრალ, ქვიან ფერდობებზე, გზისპირებზე და მთის სტეპებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას.

Centaurea macrocephala Muss. Puschk. ex Willd. = Grossheimia macrocephala (Muss. Puschk. ex Willd.) Sosn. & Takht. - ბახვისთაპა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, 60-100 სმ სიმაღლის ღერო სწორი, მსხვილი, მარტივი ან დატოტვილია, თხლად შებუსული ხუჭუჭა ბენვით. ქვედა ფოთლები ფართო-ლანცეტა ფორმისაა, ყუნად ნარზიდული. ღეროსეული ფოთლები მჭდომარეა. ყველა ფოთოლი კიდებზე ამოღრღნილ - დაკბილულია. კალათები სფეროსებურ-კონუსურია, კენწრული, მარტოული, კალათის ძირში ღერო გამსხვილებულია. ყვავილედი კაშკაშა ყვითელი ან მოყვითალო-ყავისფერია. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, მაღალ ბალახეულობაში. საქართველოში გვხვდება სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Centaurea salicifolia M. Bieb. - წითელი ღიღილო

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 50-100 სმ სიმაღლის ღერო სწორია, ოდნავ დატოტვილი, მოკლე, ხორკლიანი ბენჯით მოფენილი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ლანცეტა ფორმისაა, ღია მწვანე ფერის. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. კალათები მოგრძო-კვერცხისებურია. ყვავილები ვარდისფერ-მწვანეა. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან მთის შუა სარტყლამდე - მუხნარ-წიფლნარ ტყეში, ბუჩქნარებში, ტყისპირებსა და სუბალპურ მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Centaurea solstitialis L. - ეკალსოჭხი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 30-100 სმ სიმაღლის ღერო სწორია, ღარებიანი, ზედა ნაწილში დატოტვილია ზემოთ აშვერილი ტოტებით, მონაცრისფრო, ქეჩისებური შებუსვით. ფესვთანური ფოთლები ჩანგისებურია, მოგრძო ფორმის, კენწრული ფოთოლაკი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე გვერდითები. ღეროსეული ქვედა ფოთლები ხაზურია, კიდემთლიანი ან დაკბილული. საბურვლის ფოთოლაკები ეკლიანია, ყვავილები ყვითელი ფერისაა. განაპირა ყვავილები თითქმის არ არის გადიდებული. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ველებისა და ფრიგანისეული მცენარეულობის ზონაში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილო ამერიკას.



Cichorium intybus L. - პარდკაჭაჭა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, 40-125 სმ-მდე სიმაღლის ღერო, დაკუთხულ-დაღარულია, გაფარჩხულად დატოტვილი და მოლევო-მწვანე ფერის. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, ფრთისებურად განკვეთილი. კიდემთლიანი ან დაკბილული. კალათები ტოტების კენწეროებზე მართოულია, კენწრული ფოთლების იღლიებში კი ჯგუფად განწყობილი. ყვავილები ცისფერია, იშვიათად - თეთრი. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება მთის შუა სარტყლამდე - მინდვრებში, გზისპირებზე, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში, ბაღებსა და ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, ევროპა, შუა და მცირე აზია, ირანი.

Cirsium echinus (M. Bieb.) Hand. -Mazz. - ბარი

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 40-60 სმ სიმაღლის ღერო ზედა ნაწილში დატოტვილია, ღეროები დაღარულია და უხვად შებუსული აბლაბუდისებური ბეწვით. ფესვთანური და ქვედა ფოთლები მოყვანილობით ხაზურია, ფრთისებურად დაყოფილი სამკუთხა ნაკვთებით. კიდევებზე ხშირი, ნამწამისებური ეკლებითაა შემოსილი. ზემოდან შიშველია, ქვემოდან - შებუსული, ღერომხვევი. ზედა ფოთლები პატარაა, ხაზურ-ლანცეტა. კალათა მრავალია, კენწრული ან იღლიური. ყვავილები მოთეთრო-მოვარდისფროა. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მთის შუა სარტყელში მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, გზისპირებზე. საქართველოში გვხვდება ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.



Cladochaeta candissima (M. Bieb.) DC.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, ხშირფოთლიანი, თეთრი, ფიფქისებური შებუსვით. ქვედა ნაწილში – დატოტვილი, ფოთლები ოდნავ გასქელებულია, მჯდომარე. ქვედა ფოთლები მოკლე-ნიჩბისებურია, ზედა ფოთლები – ხაზური. კალათა ცილინდრულია, 15-20 – ყვავილიანი, შეკრებილია ხშირ ნახევარქოლგებად ან ტოტების ბოლოებში – ფარისებურ ყვავილედებად. საბურველიც და ყვავილებიც ყვითელია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე რიყეებზე და ქვიშნარებში. გვხვდება კახეთში, სამეგრელოში, ქართლში, ფშავსა და ხევში. კავკასიის ენდემური მცენარეა. გვარი *Cladochaeta* კავკასიის ენდემური გვარია.

Cota tinctoria (L.) J. Gay = Anthemis saguramica Sosn.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ჩვეულებრივ, მონაცრისფრო შებუსვით. ღერო -სწორი, 40-70 სმ სიმაღლის, დაკუთხულ-დაზოლილი, შუა ნაწილიდან ან უფრო მაღლიდან დატოტვილი. ღეროსეული შუა ფოთლები მჯდომარეა, უკუკვერცხისებური, ფრთის მსგავსად განკვეთილი. კალათები განლაგებულია ძალიან გრძელ და შიშველ ღერძებზე. ენისებური ყვავილები ოქროსფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა სარტყელის ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია ქართლსა და მთიულეთში. აღწერილია საგურამოს ქედიდან. საქართველოს ენდემია.



Cyanus cheiranthifolius (Willd.) Sojak = Centaurea cheiranthifolia Willd.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო - 10-45 სმ სიმაღლის, ქეჩისებურად შებუსული. ფოთლები ფრთისებურად არის განკვეთილი მომრგვალებულწვერიან მოგრძო ნაკვეთბად. უფრო იშვიათად ფოთლები კიდემთლიანია, ხაზური ან ლანცეტა ფორმის. კალათები 20-25 მმ დიამეტრისაა. გარეთა ყვავილები დიდი ზომისაა, მოთეთრო - მოყვითალო, ზოგჯერ ლურჯი ან მწვანე ფერის. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ტენიან და ღორღიან მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.

Cyanus segetum Hill = Centaurea cyanus L. - რუსული ღიღილო

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 10-80 სმ სიმაღლის, აბლაბუდისებური ბენჯით მოფენილი, ძირიდანვე დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, უკუკვერცხისებურ-ლანცეტა ფორმის, წანვეტებული. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული. განაპირა ყვავილები ლურჯია, შიგნით - იისფერი. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება დაბლობებზე, მინდვრებსა და ქვიან მდელოებზე. ცნობილია აფხაზეთსა და იმერეთში, აგრეთვე თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიას.



Cyanus triumfettii (All.) Dostál ex Á. Löve & D. Löve = Centaurea triumfettii All.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ახოვანია: 30 – 60 სმ სიმაღლის, მარტივი, გევით აშვერილი ტოტებით, მომწვანო ან იშვიათად – მონაცრისფრო (მიტკეცილი შებუსვის გამო). ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, მჯდომარე. კალათები მარტოულია. ყვავილები ლურჯია, უფრო იშვიათად – მენამული ან თეთრი ფერის. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების მდელოებზე, კლდეებზე, ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია თრიალეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალია სამხრეთ კავკასია და მცირე აზია.

Dolichorrhiza caucasica (M. Bieb.) Galushko

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, შეფოთილი. ფოთლები სქელია, ქვედა ფოთლები თირკმლისებურ-მომრგვალოა, შუა ფოთლები ძლიერ ვარირებს ფორმისა და ზომის მიხედვით. სულ ზედა ფოთლები კიდემთლიანია, ლანცეტადან ვიწრო-ხაზურამდე. კალათა, ჩვეულებრივ – 1-2, იშვიათად – 5-6. სუსტად შებუსული ყვავილები კაშკაშა ნარინჯისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ალპური და სუბალპური სარტყლების ტენიან ხევებსა და კლდეთა ნაპრალებში, მდელოებზე, არყნარში, დეკიანში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Dolichorrhiza renifolia (C. A. Mey.) Galushko

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი. ფოთლები თხელია, მომრგვალო-თირკმლისებური, კიდეებზე დაკბილული. შუა ფოთლები არ არის მრავალი, მცირე ზომისაა და მოკლექუნნიანი. ზედა ფოთლები ხაზური ფორმისაა, ქერქლისებური. კალათები დიდი ზომისაა, მარტოული ან იშვიათად – 2-4 ერთად. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ალპური სარტყლის დაჩრდილულ, ტენიან ადგილებში, კლდეთა ნაპრალებში, არყნარში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Echinops sphaerocephalus L. - თაპკომბალა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 0,5-1,5 მ სიმაღლის, ზედა ნაწილში დატოტვილი, ღარებიან-წიბოებიანი, შეფოთლილი, აბლაბუდისებური და ჭირკვლოვანი ბენჯით შებუსული. ფოთლები თხელია ან ტყავისებური, მწვანე. ქვედა ფოთლები ყუნნიანია, ფრთის მსგავსად განკვეთილი, კიდეეკლიანი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ზედა ფოთლები – დაკნინებული. კალათა მრავალია, ტოტების კენწეროებზე 3-4 სმ დიამეტრის, სფეროს მსგავს თავაკებად შეკრებილი. მღვრიე ცისფერი ან ცისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მშრალ, ბალახიან ფერდობებზე, ტყისპირებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას.



Erigeron alpinus L.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალ-
ლია, 6-25 სმ სიმაღლის, შებუსული და უკან გადახრილი,
გაფარჩხული ბენჯით. ღეროსეული ქვედა ფოთლები
მოგრძო-ნიჩბისებურია, საკმაოდ გრძელყუნჩიანი. და-
ნარჩენი ფოთლები ხაზურია, თითქმის ღერომხვევი.
კალათები, ჩვეულებრივ, მარტოულია, იშვიათად - 3-5.
ყვავილები ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება
ალპური სარტყლის მდელოებზე. გავრცელებულია სამ-
ხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების
საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და სამ-
ხრეთ-დასავლეთ ევროპას.

Erigeron canadensis L. = Conyza canadensis (L.) Cronquist - **სხენიკუდა**

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-150
სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, ჩვეულებრივ, ზედა
ნაწილში დატოტვილი, შეფოთლილი, დაფარულია
მარტივი, გაფშევილი ბენჯით. ფოთლები ხაზურ-ლანცე-
ტაა, მჯდომარე. ქვედა ფოთლები ყუნჩიანია, ფართოდ
დაკბილული. ყვავილედის შედარებით ვიწრო საგველაა.
კალათები მრავალრიცხოვანია, ყვავილები - თეთრი.
ყვ. ნაყ. VI-XI. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლე-
ბის რუდერალურ ადგილებში, ნათესების მახლობლად,
მდელოებზე და ტყეში, მდინარეებსა და ტბებთან, გზის-
პირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გა-
ვრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპას, შუა
აზიას, აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო და სამხრეთ ამე-
რიკას, ავსტრალიას.



Erigeron caucasicus Steven

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო – 10-45 სმ სიმაღლის, სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი, მოფენილია ხშირი და გრძელი, მარტივი ბენჯით. ფოთლები კვერცხის ფორმისაა ან მოგრძო-კვერცხისებური, თითქმის ღერომხვევი. კალათები შეკრებილია ფარისმსგავს ყვავილედად ან მარტოულია. საბურვლის ფოთოლაკები მუქია, ხშირად – მონითალო. მილისებური ყვავილები ყვითელია, ენისებური კი – კაშკაშა ვარდისფერი, 1,5 – ჯერ გრძელია საბურველზე. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ალპური და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, მორენებზე, ღორღიან ფერდობებსა და კლდეებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა მაღალმთიან რაიონში, კავკასიასა და მცირე აზიაში.

Erigeron caucasicus subsp. venustus (Botsch.) Grierson = Erigeron venustus Botsch.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, 3,5-30 სმ სიმაღლის, სწორად მდგომი, შებუსუსულია ხშირი და უხეში მრავალუჯრედიანი ბენჯით. ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებურია, ღეროსეული ფოთლები – კიდემთლიანი. ქვედა ღეროსეული ფოთლები მოკლესუნნიანია, ზედა – მჯდომარე. 1-3 კალათა 15 მმ-მდე სიგანისაა, მოთავსებული ღეროს წვერზე. ენისებური ყვავილები კაშკაშა ვარდისფერია, მილისებური ყვავილები – ყვითელი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, კლდეებზე, ღორღებზე – 2600-3500 მ-მდე. გავრცელებულია საქართველოს ყველა მაღალმთიან რაიონში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და მცირე აზია.



Eupatorium cannabinum L. - ჰარდკანაფა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო - 50-120 სმ სიმაღლის, სწორი ან წვერზე დატოტვილი, სუსტად დაღარული, ზოგჯერ მონაცრისფრო-ვარდისფერი. ფოთლები მოკლეყუნჩიანია, მოპირისპირედ განლაგებული, 3-5-ად დაყოფილი. ფოთოლაკები ლანცეტაა. კალათები 5-6 ყვავილიანია, შეკრებილია მჭიდრო, ფარი-სებურ-საგველა, კენწრულ ყვავილედებად. ყვავილები მოვარდისფროა, ძაბრისებური. ყვ. ნაყ. VI-XII. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლების ტენიან ადგილებში, მდინარეთა და წყაროების ნაპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და ჩრდილო ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო აფრიკას.

Filago arvensis L. - ნაბარა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 5-30 სმ სიმაღლის, რამდენადმე გაფარჩხულად და საგველასებურად დატოტვილი, თეთრი ან მონაცრისფრო, ხშირი მატყლისებური ბეწვით შებუსული. ფოთლები მჭდომარეა, პატარა ზომის, ლანცეტა ან ხაზური ფორმის. კალათები - 2-7, შეკრებილია თავაკის მსგავს ყვავილედებად ტოტების ბოლოებში ან ფოთლის იდლიებში. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლების მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, როგორც სარეველა. გავრცელებულია ქართლსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



Galinsoga parviflora Cav.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან მცირედ შეხუსული. ღერო სწორად მდგომია, 10-100 სმ სიმაღლის, ჩვეულებრივ, დატოტვილი. კვერცხის ფორმის და კიდეებზე წვრილად დაკბილული ფოთლები პირისპირ არის განლაგებული. ყვავილედის პატარა ზომის კალათია. ენისებური ყვავილები თეთრია, მილისებური ყვავილები – ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ნათესებში, ტყისპირებში. ამერიკიდან შემოტანილი მცენარეა. საქართველოში ცნობილია სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ აზიას, სამხრეთ ამერიკას.

Hieracium x auriculoides Láng - ხარნუყა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო– 50 სმ-მდე სიმაღლის, შეფოთილი მიწისზედა მხოხავი ყლორტებით, ჩვეულებრივ, ჯაგრისა და ვარსკვლავის მსგავსი შეხუსვით. ღერო დატოტვილია მხოლოდ წვერთან, 2-6 ღეროსეული ფოთოლი ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, დაფარულია მწვანე ან მოყვითალო-მომწვანო ნაფიფქით. ყვავილები შეკრებილია 7-50 საყვავილე კალათაში, რომლებიც წარმოქმნის საგველა ან ქოლგისებურ-ფარისებურ ყვავილედს. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლების ტყისპირებში, ბალახოვან და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ლიბანს, ირანს.



Inula magnifica Lipsky - მიბანძური მზიურა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 2 მ-მდე სიმაღლის ღერო სწორია, წვერისკენ დატოტვილი, ქვედა ნაწილში ბენვით არის მოფენილი, ზედა ნაწილში ბანჯგვლიანია. ფოთლები ძალიან დიდი ზომისაა, ღეროსეული ქვედა და შუა ფოთლები კვერცხისებურია, კიდეებზე ორმაგმსხვილ-ხერხებილა. კალათები ცოტაა, გრძელღერძიანი. ენისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა, მოწითალო ფერის ძარღვებით. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების, მაღალ ბალახეულობაში, ტყეებსა და ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და მთიულეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Inula orientalis Lam. - აღმოსავლური მზიურა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 20-50 სმ სიმაღლის ღერო სწორია, მეტწილად მარტივი, ქვედა ნაწილში სუსტად შებუსული, ზედა ნაწილში მოფენილია გრძელი, ხშირი ბენვით. ქვედა ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებურია, ზედა ფოთლები ელიფსურია, ნახევრად ღერომხვევი. ყველა ფოთოლი მჯდომარეა, ორივე მხარეზე მიტკეცილი, რბილი ბენვით შებუსული. კალათები მარტოულია. ენისებური ყვავილები კაშკაშა ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე, ფიჭვნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Jacobaea aquatica (Hill) "G. Gaertn. , B. Mey. & Scherb. " = Senecio aquaticus Hill - თავყვითელა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 40-80 სმ სიმაღლის ღერო წვრილია, ძალიან გაბნეული, აბლაბუდისებური ბუნვით შემოსილი ან შიშველი. ღეროსეული ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, ფირფიტა ჩანგისებურად არის დაყოფილი, ზედა ფოთლები მჭდომარეა. კალათა მრავალია, ნახევარსფეროსებური. ენისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-X. იზრდება ზღვის სანაპირო ზოლსა და მთის ქვედა სარტყელში ტენიან და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას.

Jurinea blanda (M. Bieb.) C. A. Mey.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, 30-60 სმ სიმაღლის, ზოგჯერ ძირში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები მთლიანია, წაგრძელებულ-ნიჩბისებური ან ლანცეტა ფორმის. ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე მომწვანოა, იშვიათად - მატყლისებური შებუსვით. კალათები მარტოულია, ძალიან გრძელსაყვავილე ღერძზე განლაგებული. გვირგვინი მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყლების მშრალ, განათებულ, ღორღიან და ქვიან ეკოტოპებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



**Jurinea moschus subsp. pinnatisecta
(Boiss.) Greuter = Jurinella subacaulis
(Fisch. & C. A. Mey.) Iljin**

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უღეროა ან ღერო იშვიათად 1-2 სმ სიმაღლისაა, მოფენილია ძველი ფოთლების ბოჭკოებით. ფოთლები ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, მრავალრიცხოვანია, ფრთისებურად ღრმად განკვეთილი. ზედა მხარე მწვანეა, შიშველი, ქვედა მხარე – ქეჩისებური ბენვით მოფენილი. კალათები 5 სმ სიგანისაა, მარტოული ან რამდენიმე ერთად. გვირგვინი ღია მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ალპური და სუბნივალური სარტყლების ჩამონახვავებზე, მორენებზე, ალპურ ხალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და მცირე აზია.

**Jurinea squarrosa Fisch. & C. A. Mey =
Jurinella squarrosa (Fisch. & C. A. Mey.) Iljin.**

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო შეუფოთლავია, 10-30 სმ სიმაღლის. ფოთლები ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, ფრთისებურად განკვეთილი ვიწრო, ხაზური ფორმის კიდემთლიან ნაკვთებად, ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე – თეთრი, ქეჩის მსგავსი ბენვით მოფენილი. კალათები მარტოულია, განლაგებულია საკმაოდ გრძელ საყვავილე ღერძზე. გვირგვინი მუქი მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში – უმეტესად კლდეებზე, ქვიან, ღორღიან ფერდობებზე, ნაშალებზე, ნაზვავებზე. გავრცელებულია ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Kemulariella caucasica (Willd.) Tamansch. - კაკკასიური კემულარიელა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია, 50-60 სმ-მდე სიმაღლის, მეტ-ნაკლებად წახნაგოვანი, შეფოთლილი, დაფარული გრძელი, რთული ბენჯით, ფოთლები 5-9 სმ სიგრძისაა, მჯდომარე. ღეროსეული ქვედა ფოთლები ფართო-ლანცეტაა. ყველა ფოთოლი ფუძესთან 3 ნათელი ძარღვითაა, მეტ-ნაკლებად ხვეული ბენჯით შებუსული. კალათა მარტოულია, 3-4, 5 სმ დიამეტრის. მილისებური ყვავილები ყვითელია, ენისებური ყვავილები კი ვარდისფერია ან ალისფერი. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, დეკიანში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, ასევე კავკასიასა და მცირე აზიაში.

Lactuca racemosa Willd. = Cicerbita racemosa (Willd.) Beauverd

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, წვრილი, ლეგა, სუსტად დაღარული, შიშველი, მარტივი ან შუა ნაწილში სუსტად დატოტვილი. ფოთლები შიშველია, ლეგა, მთლიანი, მოგრძო ან უკუკვერცხისებური. კალათები მცირეა, ფორმით – ცილინდრული, 20-ყვავილიანი, შეკრებილია მოკლე, ფარისებურ, შიშველტოტებიან საგველად. ყვავილები ლაჟვარდისფერ-ლურჯია ან მუქი ლურჯი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების, წიფლნარ-სოჭნარ, ფიჭვნარ და არყნარ ტყეებში, დეკიანში, სუბალპურ მდელოებზე, ქვიან და ღორღიან ეკოტოპებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ასევე – კავკასიაში, მცირე აზიასა და ირანში.



Lactuca serriola L. - ღორის ქადუნა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 30-100 სმ სიმაღლის, ოდნავ ღარებიანი, დატოტვილი, შიშველი ან ქვედა ნაწილში გაფარჩხულბენჯიანი. ფოთლები ღეროზე განლაგებულია მზიან მხარეს. ქვედა ფოთლები ამოკვეთილ - ფრთისებურად არის დანაკვეთული, შუა თითქმის მთლიანია, კვერცხისებურ-ლანცეტა ფორმის. კალათები შეკრებილია ფართო-საგველა ყვავილედებად. ყველა ყვავილი ენისებურია და ყვითელი ფერის. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ბოსტნებში, მდინარეების პირას, მდელოებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ჩრდილო აფრიკას.

Lapsana communis subsp. grandiflora (M. Bieb.) P. D. Sell = Lapsana grandiflora M. Bieb. - ფუჩფუჩა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია ან დატოტვილი, 30-100 სმ სიმაღლის, შიშველი ან მარტივი ბენჯით შებუსული. ქვედა ფოთლები ჩანგისებურია, ყუნწიანი, ამოკვეთილ-დაკბილული, შუა ფოთლები მჯდომარეა, კვერცხისებური. ზედა ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის. კალათები შეკრებილია ფარისებურ ან ფარისებურ - საგველა ყვავილედში. ყვავილები ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების - ტყეებში, ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Leucanthemum vulgare (Vaill.) Lam. - მინდვრის გვირილა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 20-60 სმ სიმაღლის, წიბოებიან-ღარებიანი, მარტოული ან რამდენიმე კალათით. შიშველი ან სუსტად შებუსული. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, უკუკვერცხისებურ-სოლისებური, ღეროსეული ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ზედა ფოთლები მჭდომარეა. კალათები 10-15 მმ დიამეტრისაა. ენისებური ყვავილები თეთრი ფერისაა, მილისებური – ყვითელი. ყვ. ნაყ. IV-XII. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე – მდელოებზე, გვხვდება ნათესებში, როგორც სარეველა. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ევროპას, შუა აზიას.

Matricaria matricarioides (Less.) Porter - გვირილა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო – 5-45 სმ სიმაღლის, შიშველი, ზედა ნაწილში დატოტვილი, უხვად შეფოთლილი. ფოთლები ორმაგფრთისებურად განკვეთილი, ხაზურლანცეტა ნაკვეთებად. კალათები სხედან მოკლე ყუნწებზე, საბურვლის ფოთოლაკები ოვალურია ან კვერცხის ფორმის. კალათები ჰომოგამურია. ყველა ყვავილი მილისებურია, მომწვანო – ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მდელოებზე, ბაღებში, მდინარეთა ნაპირებზე, რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე. შემოტანილი მცენარეა. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, სამხრეთ ამერიკას.



Otanthus maritimus (L.) Hoffmanns. & Link

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

20-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი, მრავალღეროიანი, ბალახოვანი მცენარეა. მსხვილი და ხშირფოთლიანია, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ხშირი, ქვიჩისებური, ხავერდოვანი შებუსვით. ფოთლები ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა, კიდემთლიანი ან მრგვალკბილა. კალათები ღეროს წვერშია ფარისებურ ყვავილედად შეკრებილი. ყვ. ნაყ. VII-X. იზრდება ზღვის სანაპირო ქვიშებზე, უშუალოდ ზღვის მიმოქცევის ზოლში. შემოტანილი მცენარეა. გავრცელებულია აფხაზეთში, გურიასა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Petasites albus (L.) Gaertn. - ბუკრა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო შეფოთლილია კვერცხის ან ლანცეტას ფორმის მიტკეცილი, ქერცლისებური ფოთლებით. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნჩიანია. ფირფიტა მომრგვალო-გულისებურია, ზედა მხარე შიშველია ან ხორკლიანი ბენვით შემოსილი. ქვედა მხარე ლეგაა სქლად შებუსვის გამო. ფოთლები კიდებზე ამოკვეთილ-მსხვილკბილებიანია. დაყვავილების შემდეგ ფოთლები დიდ ზომებს აღწევს. ყვავილები თეთრია ან ოდნავ მოყვითალო. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე - მდინარეთა ნაპირებზე, ტენიან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას.



***Pilosella piloselloides* subsp. *bauhinii*
(Schult.) S. Bräut. & Greuter = *Hieracium*
bauhinia var. *fastigiatum* (Nägeli & Peter)
Zahn**

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო – 15-50 სმ სიმაღლის, შიშველი ან იშვიათად – ჯირკვლოვანი, ზოგჯერ მარტივი ბენჯით შებუსული. როზეტის ფოთლები ხაზური, ვიწრო-ელიფსური ან თითქმის ლანცეტაა, მარტივი ბენჯით შებუსული. ღეროსეული 2-6 ფოთოლი როზეტის ფოთლების მსგავსია. ყვავილეთი ფაშარია, 3-50 საყვავილე კალათით. ყვავილები ყვითელი ფერისაა, ზოგჯერ წითელბოლიანი ან მენამული ბოლით ქვედა მხარეს. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების მშრალ მდელოებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ლიბანს.

***Pojarkovia pojarkovae* (Schischk.) Greuter
= *Senecio pojarkovae* Schischk.**

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს 80-100 სმ სიმაღლის სწორი ღერო, უხვად შეფოთლილი, ზედა ნაწილში ფარისებურად დატოტვილი. ფოთლები ლანცეტა ან ვიწრო-ლანცეტა ფორმისაა, ძლიერ წანვეტებული, კიდეებზე თანაბრად ამოკვეთილი. კალათა მრავალია, 4-5-ყვავილიანი, შეკრებილია რთულ ფარისებურ ყვავილედებად. ყველა ყვავილი მილისებურია, მოთეთრო, ოთხკბილიანი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, ტყისპირებში, მდინარისპირა რიყეებზე. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. კავკასიონის ენდემური მცენარეა.



Prenanthes petiolata (K. Koch.) Sennikov = Cicerbita pontica (Boiss.) Grossh.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-50 სმ სიმაღლისაა, წვრილი, ქვედა ნაწილში შეფოთლილია, ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი ბენვით მოფენილი. ფოთლები პატარა ზომისაა, შუბისებურ-სამკუთხა ან შუბისებურ-კვერცხისებური, კიდეებზე დაკბილული. მცირე რაოდენობის კალათები შეკრებილია ფარჩხატ საგველად, მოწითურო ბენვით შებუსული ტოტებით. ყვავილები ლურჯია. ყვ. VI-VIII, ნაყ. IX-XI. იზრდება მთის ქვედა სარტყელში – ტენიან, შერეულფოთლოვან, კოლხურ ტყეებში, ზოგჯერ – მთის წიფლნარ-სოჭნარ ტყეებში. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.

Psephellus dealbatus (Willd.) K. Koch

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან ძირიდანვე რკალივით მოხრილი. მცენარე შებუსულია. ფესვთანური ფოთლები ორმაგფრთისებურადაა განკვეთილი. სეგმენტებიც და ნაკვეთებიც ლანცეტაა. ღეროსეული შუა და ზედა ფოთლები ფრთის მსგავსად არის განკვეთილი, ან ხაზურია. მისი სეგმენტები ვიწრო-ლანცეტაა. კალათები ერთეულია და დიდი ზომის. ყვავილები მენამული ფერისაა, გარეთა ყვავილები ძლიერ გადიდებულია. ყვ. VI-VII, ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების – მშრალ და ქვიან ადგილებში. გვხვდება კახეთში, ქართლსა და მესხეთში. გავრცელებულია სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში.



Scolymus hispanicus L.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორად მდგომი, თითქმის ძირიდანვეა ძლიერ დატოტვილი, მრავალეკლიანი. ფოთლები მოგრძო – ლანცეტაა, უხეში, მკვეთრად გამოსახული დაძარღვით. კალათები მჭდომარეა, განლაგებულია ღეროსეული შუა და ზედა ფოთლების ილლიებში. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ზღვისპირა ქვიშნარებზე, იშვიათი მცენარეა. გავრცელებულია აფხაზეთსა და სამეგრელოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო აფრიკას.

Scorzonera czerepanovii Kuth. - ფამფარულა, კეპის ბალახი

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-22 სმ სიმაღლისაა, სქლად მატყლისებურად შებუსული. ღეროს ძირში თავმოყრილი ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, კალათები – დიდი ზომის: 2-2,5 სმ დიამეტრის, მარტოული, ღეროს კენწეროზე განწყობილი. ენისებური ყვავილები ლიმონისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. III-VI. იზრდება მშრალსა და კლდოვან ადგილებში, ველებსა და ნახევარუდაბნოებში. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Senecio leucanthemifolius subsp. caucasicus (DC.) Greuter = Senecio sosnovskyi Sofieva

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 5-25 სმ სიმაღლის ღერო ჩვეულებრივ, ძირიდანვე დატოტვილია, გაბნეული აბლაბუდისებური შებუსვით ან შიშველი. ფოთლები ხაზური ფორმისაა, ამოკვეთილ-ფრთისებურად დაყოფილი. კალათები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფარჩხატ – ფარისებურ ყვავილედეზად. ენისებური ყვავილები ოქროსფერ-ყვითელია და საბურველს ადემატება. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში 1800-3700 მ-მდე – ჩამონაბზავებზე, მორენებზე, მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Senecio leucanthemifolius subsp. vernalis (Waldst. & Kit.) Greuter = Senecio vernalis Waldst. & Kit. – ბაზაფხულის თაყვითელა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აბლაბუდისებური ბენვით შებუსული. აქვს 10-15 სმ სიმაღლის მრავალი ღერო, ზედა ნაწილში რამდენადმე დატოტვილი. ფოთლები მოხაზულობით ლანცეტა ფორმისაა, ამოკვეთილფრთისებურად დაყოფილი, კიდედაკბილული. კალათები შეკრებილია ფარჩხატ, ფარისებურ-საგველა ყვავილედეზად. ენისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის შუა სარტყელში ბალახოვან და კირქვიან ფერდობებზე, მშრალ ქვიან ადგილებში, ზოგჯერ, როგორც სარეველა. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Senecio pseudoorientalis Schischk.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 40-80 სმ სიმაღლის ღერო მარტოულია, მსხვილი და შეფოთლილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები მოგრძო-ელიფსური ან მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, კიდედაკბილული ან კიდეშთლიანი. კალათები მრავალია, დიდი ზომის, შეკრებილია ღეროს კენწეროზე ფარისებურ-საგველა ყვავილედეხად. ენისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, გამეჩხრებულ ტყეებში, ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Senecio vulgaris L. - ჩვეულებრივი თავყვითელა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან ოდნავ, აბლაბუდის მსგავსად, შებუსული. ღერო სწორია, 15-30 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-უკუკვერცხისებური ფორმისაა, ფრთისებურად დაყოფილი, კიდეებზე არათანაბრად დაკბილული. კალათები ვიწრო-ცილინდრული ფორმისაა, შეკრებილია ფარისებურ-საგველა ყვავილედეხად. კალათაში ყველა ყვავილი მილის ფორმისაა. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, რუდერალურ ადგილებში, ზღვებისა და მდინარეებისპირა ქვიშნარზე. გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ერაყს, აღმოსავლეთ აზიას.



Silybum marianum (L.) Gaertn. - ბაყაყურა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 100-150 სმ სიმაღლის, დატოტვილი, იშვიათად - მარტივი, სიგრძეზე დაღარული. შიშველი ფოთლები დიდი ზომისაა: 80 სმ-მდე სიგრძისა და 30 სმ-მდე სიგანის. თეთრლაქებიანია, უკულანცეტასებური ან ელიფსური, ფრთისებურად განკვეთილი. კალათები სფერულია, მარტოული. ყვავილები მრავალია და მენამული ფერის. ყვ. IV-V, ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყელში - რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, მიტოვებულ ნახნავ ადგილებში. გავრცელებულია აფხაზეთში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და ჩრდილო აფრიკას.

Solidago canadensis L. - კანადური ოქროსკვლა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მოკლე, ხეშეში ბენვით შებუსული. ღერო 100-250 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, მარტივი ან წვერზე დატოტვილი, შეფოთლილი. ფოთლის ფირფიტა ვიწრო-ლანცეტაა, მახვილხერხებილა, ორივე მხარე მოკლე, ხეშეშბენვიანი. კალათები შეკრებილია ცალმხრივ მჭიდრო მტევენებად. ენისებური ყვავილები ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება დაბლობებზე, მთისწინებსა და მთის შუა სარტყელში, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას, ჩრდილო ამერიკას. შემოტანილი და გავლურებული მცენარეა.



Solidago virgaurea L. - თურთაქაქლა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო - 15-100 სმ სიმაღლის, ხშირი, მოკლე შებუსვით. ფოთლები ხერხკბილაა. ფესვთანური ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია ან ფართო-ნიჩბისებური, ზედა ფოთლები ლანცეტაა, მჯდომარე. ყვავილედეები იღლიურია. კალათები საშუალო ზომისაა, მოკლეყუნწიანი. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტყისპირებში, ბუჩქნარებში, სუბალპურ მდელოებსა და გაძოვილ ადგილებში. მაღალმთის მცენარეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, შუა აზიას.

Sonchus asper (L.) Hill. - ღიჭა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 30-75 სმ სიმაღლის, მარტივი ან ზედა ნაწილში ქოლგისებურად დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია, მთლიანი ან ამოკვეთილი, ეკლიანი, წვეტიანი კბილებით. კალათები შეკრებილია ფარისებურ ან ფარისებურ-ქოლგა ყვავილედეებში, მრავალყვავილიანია. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე - რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ბუჩქნარებში, მდინარეებისა და სარწყავი არხების გაყოლებით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კოსმოპოლიტი მცენარეა.



Stenactis annua (L.) Cass.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომია, შეფოთილი, დაფარულია უხეში, გაფანტული ბენჯით. ფესვთანური ფოთლები ფართო და ოვალურია, დაკბილული და ორივე მხარეზე მოფენილია ბენჯით. კალათები მარტოულია ან საგველა ყვავილედებშია შეკრებილი. ენისებური ყვავილები თეთრია ან მოცისფრო, მილისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა, 5 – ნაკვთიანი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ველებზე, ტყისა და ზღვის სანაპიროებზე, გზისპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, აზიას, ჩრდილო ამერიკასა და ავსტრალიას. შემოტანილი და გავრცელებული მცენარეა.

Tanacetum aureum (Lam.) Greuter & al. = Pyrethrum chiliophyllum DC. – ასფურცქელა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 20-40 სმ სიმაღლის, თხლად შეფოთილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ლანცეტა ფორმის, ორმაგფრთისებურად განკვეთილი მოგრძო-კვერცხის ფორმის ნაკვთულებად. კალათები ღეროს კენწეროზეა შეკრებილი მარტივ, ფარჩხატ, ფარისებურ ყვავილედებად. ენისებური ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების მშრალ, ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია მესხეთ-ჭავჭავეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს, ერაყს.



Tanacetum coccineum (Willd.) Grierson = Pyrethrum carneum M. Bieb. - წითელი გვირილა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-80 სმ სიმაღლისაა და სწორი, შეფოთლილი, შიშველი ან თხლად შებუსული, მარტოული, კალათით დაბოლოებული. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწიანია, მოხაზულობით მოგრძო-კვერცხის ფორმისაა, ფირფიტა ღერძამდეა ფრთისებურად დაყოფილი. ენისებური ყვავილები ხორცისფერ-წითელია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, ტყისპირებსა და მაღალ-ბალახეულობაში. გავრცელებულია აფხაზეთში, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და ირანი.

Tanacetum macrophyllum (Waldst. & Kit.) Sch. Bip. = Pyrethrum macrophyllum (Waldst. & Kit.) Willd. - დიდფოთოლა გვირილა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, სქლად შეფოთლილი. ფოთლები დიდი ზომისაა, სულ ქვედა ფოთლები ყუნწიანია, დანარჩენი - მჯდომარე, კვერცხისებური ან მოგრძო-კვერცხისებური, ღრმად ფრთისებურად დაყოფილი. კალათები მრავალია, შეკრებილია რთულ, მჭიდრო, ფარისებურ ყვავილედად. ყვავილები თეთრი ფერისაა, მომრგვალო ფორმის. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების ტყის ველობებზე, ტყისპირებსა და მაღალ ბალახეულობაში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ ევროპასა და მცირე აზიას.



Tanacetum parthenium (L.) Sch. Bip. = Pyrethrum sevanense Sosn. ex Grossh.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-50 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები ორივე მხარეზე შებუსულია, ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები გრძელყუნჩიანია, ფირფიტა მოხაზულობით კვერცხის ფორმისაა. კალათები შეკრებილია ღეროს კენწეროზე ფარჩხატ, ფარისებურ ყვავილედად. ენის ფორმის ყვავილები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა სარტყლის კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიას, ჩრდილო ირანს.

Tanacetum sericeum (Adams) Sch. Bip. = Pyrethrum sericeum (Adams) M. Bieb.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აბრეშუმისებურად შებუსული. ღერო 15-35 სმ სიმაღლისაა, სწორი და მარტივი, მარტოული კალათით. ფესვთანური და უნაყოფო ყლორტების ფოთლები ყუნჩიანია, ფირფიტა ფორმით ლანცეტაა, ორმაგფრთისებურად განკვეთილი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა. ენის ფორმის ყვავილები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის შუა სარტყელში – მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში. გავრცელებულია ქართლში, კახეთსა და თრიალეთში, აგრეთვე – სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში.



Taraxacum campylodes G. E. Haglund = Taraxacum officinale (L.)Weber exF. H. Wigg. - ბურბუქილა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, საკმაოდ მსხვილი, მთელ სიგრძეზე აბლაბუდის მსგავსი ბენჯით შემოსილი. ფოთლები მოხაზულობით მოგრძო-უკუღანცეცაა, ჩანგისებურად და ფრთისებურად განკვეთილი, კიდემთლიანი ან დაკბილული. ყველა ფოთოლაკი მწვანეა ან მონაცრისფრო - მწვანე. ყვავილები მოოქროსფროა ან ღია ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. IV-X. იზრდება დაბლობიდან სუბნივალურ სარტყლამდე - მდელოებზე, გზისპირებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, აზიას, ავსტრალიას.

Taraxacum stevenii (Spreng.) DC.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო 4-20 სმ სიმაღლისაა, შიშველი ან კალათების ქვეშ ოდნავ შებუსული. ფოთლები შიშველია, უკუღანცეცა ან მოგრძო-უკუღანცეცა, კიდემთლიანი ან იშვიათად - ოდნავ დაკბილული. საბურვლის ფოთოლაკები მონაცრისფრო-მწვანეა ან მოშავო ფერის. ყვავილები ღია ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებსა და ხალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Tephrosieris integrifolia subsp. primulifolia (Cufod.) Greuter = Tephrosieris karjagini (Sofieva) Holub

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი, ქეჩის მსგავსი თეთრი ბეწვით შებუსული. ფესვთანური ფოთლები ფართო და კვერცხისებურია, მრგვალკბილებიანი; ღეროსეული ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ოდნავ ღერომხვევი. კალათა 1-3 მოკლე, მსხვილ ღერძზეა თავმოყრილი. ენის ფორმის ყვავილები მკრთალი ოქროსფერ – წითელია. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ალპური და სუბნივალური სარტყლების ღორღიან ჩამონახვავებზე, ქვიან ეკოტოპებზე – 2300-3500 მ-მდე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რაიონში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Tragopogon graminifolius DC. – ფამფარა

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 20-90 სმ სიმაღლის მრავალი ღერო, მარტივი ან დატოტვილი, წამოწეული ან სწორი, შიშველი ან ქულასებურად შებუსული. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ლანცეტა – ხაზური ფორმისაა, კიდემთლიანი. კალათები პატარა ზომისაა, მცირეყვავილიანი, ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – მდელოებსა და ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და მცირე აზიას, ირანს, ავღანეთს.



Tripleurospermum caucasicum (Willd.) Hayek

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 20-40 სმ სიმაღლის, მარტივი, შიშველი ან ძალიან გაბნეული შებუსვით, მოგჯერ წვერამდეა შეფოთილი. ქვედა და უნაყოფო ყლორტების ფოთლები ყუნწიანია, ზედა – თითქმის მჯდომარე, მოხაზულობით – უკუკვერცხისებური ან ელიფსური, ორჯერ ფრთისებურად განკვეთილი. კალათები მარტოულია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლიდან სუბნივალურ სარტყლამდე – მდელოებზე, ალპურ ხალებზე, მორენებსა და ნაშალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ავღანეთს.

Tripleurospermum inodorum (L.) Sch. Bip. = Tripleurospermum perforatum (Mérat) M. Lainz.

ოჯახი: Compositae – რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 20-80 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში მეტ-ნაკლებად ფარისებურად დატოტვილი, შიშველი ან გაბნეული შებუსვით. ფოთლები მჯდომარეა, ვიწრო-ლანცეტა ფორმის, სამმაგფრთისებურად განკვეთილი, ძაფის მსგავს ნაკვთებად. გრძელი ტოტები მარტოული კალათებით ბოლოვდება. ენის ფორმის ყვავილები თეთრი ფერისაა, მილის ფორმის ყვავილები კი – ოქროსფერ-ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ნათესებში და მდინარის ნაპირებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე, შუა და აღმოსავლეთ აზიას.



Tussilago farfara L. - ჰირისტირფა

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 10-25 სმ-ია, ფესურა გრძელია და მხოხავი. თავდაპირველად ვითარდება საყვავილე ღეროები მარტოული კალათებით. შემდეგ კი ვითარდება მომრგვალო-კვერცხისებური, კიდებე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული და ქვედა მხარეზე სქლად შებუსული ფოთლები, რომელთა ზედა მხარე შიშველია. ყვავილი ყვითელი ფერისაა, იშვიათად - მონითალო. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე - ტენიან ადგილებში, ჩამონახვავებზე, ქვიშიან ადგილებში, რუების ნაპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს, ჩრდილო აფრიკას.

Xeranthemum squarrosus Boiss.

ოჯახი: Compositae - რთულყვავილოვნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა და სუსტად დატოტვილი, მიტკეცილი, ნაცრისფერი ბენვით შებუსული. ფოთლები მოგრძო-ხაზურია, ნაცრისფერი ბენვით შებუსული. კალათები მარტოულია, ნახევარსფეროსებური, 30-40 - ყვავილიანი. საბურვლის შიგნითა ფოთოლაკები 2-3- ჯერ გრძელია გარეთა ფოთოლაკებზე, ელიფსურ-ხაზური ფორმისაა, ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების სტეპებში, ბუჩქნარებსა და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლში, მესხეთ - ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.



Calystegia silvatica (Kit.) Griseb. - მინდვრის ხვართულა

ოჯახი: Convolvulaceae – ხვართულასებრნი

მრავალწლიანი ხვიარა ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები დიდი ზომისაა, 4-10 სმ სიგრძისა და კვერცხისებური, სამკუთხა ფორმის, ძირში გულისებურ-ისრისებური ან ისრისებური. ზედა ფოთლები მოგრძო-სამკუთხაა. ყვავილები მარტოულია და ილლიური. ყვავილი დიდი ზომისაა, თეთრი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ნაკადულების ტერასებზე. გვხვდება თითქმის მთელ ტყიან საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Convolvulus arvensis L. - ხვართულა

ოჯახი: Convolvulaceae – ხვართულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი, ხვიარა მცენარეა. ღერო ძირში ბალახოვანია, შიშველი ან იშვიათად – შებუსული; ფოთლები მოგრძო-კვერცხისებური ფორმისაა, ძირში შუბისებური ან ისრისებური. ყვავილები ილლიურია, 2-3 ერთად; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ხაზურ-სადგისისებური ფორმის. გვირგვინი ვარდისფერია ან თეთრი, გარედან მუქი ვარდისფერი ზოლები ჩასდევს. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება 2000 მ-მდე ზღვის დონიდან – ნათესებში, გზისპირებზე, ველებსა და ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ამერიკას.



Convolvulus cantabrica L. - ხპართელა

ოჯახი: Convolvulaceae – ხვართელასებრნი

20-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი, არახვიარა, წითური ფერის გაფარჩხულბენვებიანი მცენარეა. ღერო ძლიერ დატოტვილია, ძირში გახევებული. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, ზედა ფოთლები მჭდომარეა, ხაზური ან ხაზურლანცეტა ფორმის. ყვავილები ზოგჯერ მარტოულია, უფრო ხშირად კი შეკრებილია ფარჩხატ ყვავილედებად. გვირგვინი ღია ვარდისფერია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების, ნაშალებსა და ქვიშიან კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Cuscuta europaea L. - აბრეშუმბა

ოჯახი: Convolvulaceae – ხვართელასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო საკმაოდ მსხვილია, წითელი ფერის, დატოტვილი. ყვავილები მოვარდისფროა, მოკლეყუნნიანი, შეკრებილია დიდი ზომის ყვავილედებად. ჯამი გვირგვინზე 2-ჯერ მოკლეა და უკუკონუსური ფორმისა. გვირგვინი 4-5 ნაწილადაა გაყოფილი, მოკლე-მილისებურია, მისი ნაკვთები კვერცხისებურია ან რომბული. ყვ. ნაყ. VI-VII. მასობრივი გავრცელების პარაზიტია. მეტწილად პარაზიტობს ჭინჭარზე, სვიაზე, ანწლსა და სხვა ბალახოვან მცენარეებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



***Ipomoea purpurea* (L.) Roth. - აბილილი**

ოჯახი: Convolvulaceae - ხვართქლასებრნი

2-3 მ სიგრძის მრავალწლიანი ხვიარა მცენარეა. ფოთლები დიდი ზომისაა, გულის ფორმის, ზედა ფოთლები მოგრძო-სამკუთხაა და შებუსული. ყვავილები დიდი ზომისაა. მარტოულია და ილლიური, შეფერილობით – იისფერი, ცისფერი, წითელი ან თეთრი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ნაკადულების ნაპირებზე, ხშირად – ნაგვიან ადგილებში, ეტანება მდიდარ ნიადაგებს. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ ამერიკას, კულტივირებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. საქართველოში გავრცელებულია.

***Cornus mas* L. - შინდი**

ოჯახი: Cornaceae - შინდისებრნი

1,5-9 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ახალ ტოტებს ოდნავ გამოსახული 5 წიბო აქვს და მოფენილია მწოლიარე ბეწვებით. ფოთლები ლანცეტა ფორმიდან დანყებული კვერცხისებურამდეა, კიდემთლიანი. ყვავილები ქოლგებადაა შეკრებილი, ყვავილი აქტინომორფულია. გვირგვინის ფურცელი – 4, ყვითელი ფერის. მწიფე ნაყოფი მუქი წითელი ფერისაა. ყვ. II-III, ნაყ. VIII-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში 1300 მ-მდე. გვხვდება ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად – ქვეტყის სახით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Cornus sanguinea subsp. australis (C. A. Mey.) Jav. = Swida australis (C. A. Mey.) Pojark. ex Grossh - შინდაუნლა

ოჯახი: Cornaceae - შინდისებრნი

2-4 მ სიმაღლის ბუჩქია ან ხე. ვარჯი გაშლილია. ნორჩი ტოტები მრგვალია, შებუსული. ფოთლები ყუნწიანია, მოპირისპირედ განლაგებული, მუქი მწვანე, ფორმით კვერცხისებრი, ორივე მხრიდან შებუსული. ყვავილედ მრავალყვავილიანია, გვირგვინი - თეთრი, მტვრიანები - მკრთალი ყვითელი. ნაყოფი შავია, სფერული. ყვ. V-VI, ნაყ. IX-X. იზრდება ბუჩქნარებში, მდინარეთა ნაპირებზე, ტყეებში - მთის შუა სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Cornus sanguinea subsp. australis (C. A. Mey.) Jav. = Swida koenigii (C. K. Schneid.) Pojark. ex Grossh.

ოჯახი: Cornaceae - შინდისებრნი

4 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ტოტები მუქი მონითალო-ყავისფერია. ფოთლის ფირფიტა ფართო-კვერცხისებურია ან კვერცხისებურ-ელიფსური, ორივე მხარეზე მარტივი მწოლიარე ბენჯითაა მოფენილი. ყვავილედ მრავალყვავილიანია, პლეოქაზიუმის მსგავსი. ჯამი 4-კბილაა. გვირგვინი 4-ფურცლიანია, თეთრი ფერის. ნაყოფი სფეროსებურია. ყვ. V-VI, ნაყ. IX-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში ქვეტყის სახით, ტყისპირებში, გზისა და მდინარეების ნაპირებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას.



Pseudorosularia sempervivoides (Fisch.) Gurgun.

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

10-30 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესვთანური ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, უკუკვერცხისებური. ღეროსეული ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურად სამკუთხაა, ორივე მხარეს შებუსული. ყვავილედითი ფარია, ყვავილედის ტოტები მენამულ-წითელია, ყვავილები სხვადასხვა ზომის, სქლად შებუსულ ყუნწებზე სხედან, გვირგვინის ფურცელი კაშკაშა წითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ბუჩქნარებს შორის უმთავრესად, მთის ქვედა და შუა სარტყლების ხავსიან კლდეებზე. გავრცელებულია ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Sedum acre L. - მწკაპე კლდისდუმა

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ყლორტების სიმაღლე 10 სმ-მდეა, უნაყოფო ყლორტებისა – 3 სმ-მდე. მცენარე შიშველია. ფოთლები რიგ-რიგად არის განლაგებული, კვერცხისებური, მჭდომარე. ყვავილედითი ქოლგისებურ-ფარისებურია. გვირგვინი ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე მშრალ, კლდიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო აფრიკას.



Sedum gracile C. A. Mey.

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო 10 სმ-მდე სიმაღლისაა, შიშველი. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, ნახევრად ცილინდრული, სადგისისებური, 5-8 მმ-მდე სიგრძისა და 1-1,5 მმ-მდე სიგანის. ყვავილედის ფარისებურია, რომელზედაც ყვავილები ცალმხრივად არის განლაგებული. გვირგვინის ფურცელი– 5, ლანცეტა, თეთრი და ზურგზე ქედინანი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ქვიან და კლდელორლიან ფერდობებზე, უმთავრესად – სუბალპურ სარტყელში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Sedum hispanicum L.

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

5-20 სმ-მდე სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მეტ-ნაკლებად ჭირკვლოვანი ბენჯებით შებუსული. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, მჯდომარეა, ვიწრო-ცილინდრული ან ნახევრად ცილინდრული. ყვავილედის 3-4 ტოტისგან შედგება. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ლანცეტა და წანვეტებული, შუაში მონითალო ზოლით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლის მშრალ, კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Sedum maximum subsp. ruprechtii (Jalas) **Soó = Sedum caucasicum (Grossh.) Boriss. -** **კავკასიური კლდისდუმბა**

ოჯახი: Crassulaceae - სქელფოთოლასებრნი

70 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მრგვალი, ხშირად - მოიისფრო-მეწამული მწვანე ფერის. ფოთლები მოპირისპირედაა განლაგებული, ბრტყელი, ფართო-კვერცხისებური. ყვავილედი ფარისებური მრავალყვავილიანი კენწრული საგველაა. გვირგვინის ფურცლები მომწვანო-თეთრია. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება კლდოვან და ქვიან ფერდობებზე შერეული და ფოთლოვანი ტყის ფანჯრებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Sedum cespitosum (Cav.) DC. = Sedum **rubrum (L.) Thell.**

ოჯახი: Crassulaceae - სქელფოთოლასებრნი

6 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი, შიშველი მცენარეა. ხასიათდება მარტივი ან მცირედ დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ელიფსური ან კვერცხისებური ფორმის. ყვავილედი 2-3 ცალგვერდა თავთავისებური ტოტისგან შედგება. გვირგვინის ფურცელი ლანცეტაა, მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ ადგილებში - ქვიან, ქვიშნარ და თიხნარ ნიადაგებზე, მთის შუა სართყელში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Sedum spurium M. Bieb. = Sedum oppositifolium Sims

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო 15-20 სმ – მდე სიმაღლისაა, შებუსული. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, ბრტყელი, უკუკვერცხისებური, ოდნავ ბუსუსიანი. ყვავილედ იფარისებურ-ქოლგისებურია, მრავალყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები ლანცეტაა, თეთრი, ზოგჯერ ოდნავ მოყვითალო ელფერით. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ღია, ქვა-ღორღიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას და ჩრდილო ირანს.

Sedum stoloniferum S. G. Gmel.

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ყლორტების სიმაღლე 30 სმ-მდეა, უნაყოფო ყლორტებისა – 15 სმ-მდე. მცენარე შიშველია ან ოდნავ შებუსული. ფოთლები მორიგეობითია, რომბის ფორმის, კიდებზე ამოღრღნილ-დაკბილული. ყვავილედ იქოლგისებურ – ფარისებურია. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყეებში და ტყის პირას. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას და ირანს.



Sempervivum caucasicum Rupr. ex Boiss. - კაკკასიური კლდისკაშლა

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

10-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ქვედა ნაწილში შიშველია, ზედა ნაწილში – ჭირკვლოვანი შებუსვით. ფოთლები როზეტულია, მწვანე ფერისა. ფოთლების რაოდენობა – 60-70. გვირგვინის ფურცლები და მტვრიანები ვარდისფერ-მწვანეა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კლდეებზე, ნახევრად დაკორდებულ ადგილებში, მყინვარულ მორენებზე, ფიჭვნარი ტყის ფანჯრებში. საქართველოში ცნობილია აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. დიდი კავკასიონის ენდემია.

Sempervivum transcaucasicum Muirhead

ოჯახი: Crassulaceae – სქელფოთოლასებრნი

10-45 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სქლად შებუსულია ჭირკვლოვანი ბენვებით. როზეტის ფოთლების რიცხვი 30-მდეა, სიგრძით – 2-3 სმ და სიგანით – 1,5 სმ-მდე, ორივე მხარეზე ჭირკვლოვანი ბენვებით სქლად შემოსილი. ყვავილედის ფარისებურ-ქოლგისებურია. გვირგვინის ფურცელი – 12-16, მომწვანო-ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – 450-3000 მ სიმაღლეზე. გავრცელებულია ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემია.



Bryonia cretica subsp. dioica (Jacq.) Tutin = Bryonia dioica Jacq. - ლეშქურბ

ოჯახი: Cucurbitaceae – გოგრისებრნი

მრავალწლიანი ორსახლიანი ხვიარა მცენარეა, გასქელებული ფესურით. ღერო წიბოებიანია და წვრილი, შიშველი ან შებუსული. ფოთლები მარტივია, ძირში გულისებური; 3-5 ნაწილად ან თათისებურად ღრმად განკვეთილი, ტალღისებურად დაკბილული, შებუსული ან შიშველი, სიგრძით – 6-12 სმ და სიგანით – 5-10 სმ. პწკალები გრძელია, მარტივი და წვრილი. გვირგვინი მომწვანო-ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ბუჩქნარებში. ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ჩრდილო აფრიკას.

Ecballium elaterium (L.) A. Rich. - კიჭრანბ

ოჯახი: Cucurbitaceae – გოგრისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო გართხმულია ან სწორი. ფოთლები გრძელყუნწიანია, ბეწვებიანი. ფოთლის ფირფიტა გულისებურ-კვერცხისებური, სამკუთხა ან სამწკვირთიანია, კიდეებზე არათანაბრად დაკბილული. ქვედა ნაწილი მოსქელოა და უფრო მეტად არის შებუსული, ვიდრე ზედა. ყვავილები ილლიურია, ცალსქესიანი, ღია ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, ველებისა და ნახევარუდაბნოების მცენარეა. გავრცელებულია სამეგრელოში, კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Datisca cannabina L. - დათვის კანაფი

ოჯახი: Datisceaceae - დათვისკანაფისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 1 მ-მდე სიმაღლისაა, შიშველია, სწორად მდგომი. ფოთლები კვერცხისებურია, ლანცეტა, ნაწვეტებული. კიდეებზე უსწორმასწორო, ხერხებილა, მორიგეობით განლაგებული, გრძელი, 3-7 სმ სიგრძის ყუნწებით. ყვავილები ორსახლიანია, შეკრებილია კენწრულ მტევნებად. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება უმთავრესად მთის შუა სართელის ხეობების, მდინარეებისა და მთის ნაკადულების ნაპირებზე - 1500 მ სიმაღლემდე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, იმერეთში, აჭარაში, მესხეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Dioscorea communis (L.) Caddick & Wilkin = Tamus communis L. - ძაღლის სატახური

ოჯახი: Dioscoreaceae - დიოსკორეასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 150 სმ-მდეა, სუსტი, გართხმული ან ხვიარა. ფოთლები გულისებურია, შიშველი, პრიალა. ყვავილედ მტევანია, ერთსქესიანი. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება ტყეებში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს.



***Drosera rotundifolia* L. - მრავალფოთოლა დროზერა**

ოჯახი: Droseraceae - დროზერასებრნი

მრავალწლიანი, მწერიჭამია, ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო - 1-3, სწორი, 5-25 სმ სიმაღლის. ფოთლები გართხმულია, მომრგვალო ფორმისაა ან სიგანეზე მომრგვალო-ოვალური, 4-10 მმ სიგრძისა და 4-18 მმ სიგანის. ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი ფერის, შეკრებილია 1-15-ყვავილიან ვიწრო მტევნებად. გვირგვინის ფურცლები მოგრძოუკუკვერცხისებურია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტორფიან ჭაობებში. გავრცელებულია გურიასა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

***Diospyros lotus* L. - ჩვეულებრივი ხურმა**

ოჯახი: Ebenaceae - აბანოზისებრნი

25 მ-მდე სიმაღლის ხეა, დიდი ზომის ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. მოკლეყუნწიანი, მოგრძოუკვერცხისებური ან ელიფსურია, კიდემთლიანი, კიდეებზე წამწამებით. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე მოლენგო-მწვანეა, მცირედ შებუსული. ყვავილები მოკლეყუნწიანია, მოყვითალო-წითელი ფერის, მარტოული ან ჯგუფად განლაგებული ფოთლის იღლიებში. ყვ. ნაყ. IX-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ხეობაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, აღმოსავლეთ და შუა აზიას, მცირე აზიას, ირანს.



Elaeagnus angustifolia L. - ჭალაფშაბა

ოჯახი: Elaeagnaceae - ფშატისებრნი

4-6 მ-ის სიმაღლის ბუჩქი ან ხეა, უეკლო ან ეკლიანი. ქერქი მონითალო-მურა ფერისაა. ნორჩი ტოტები მოვერცხლისფრო ქეჩისებური შებუსვითაა. ფოთლები ორივე მხარეზე ვარსკვლავა-ქეჩისებური ქერცლებითაა მოფენილი, ქვედა მხრიდან მოვერცხლისფრო თეთრია, ზედა მხრიდან - მონაცრისფრო-მწვანე, ფორმით - ლანცეტა ან ხაზური. ყვავილები ილლიურია, ყვითელი, სურნელოვანი. ყვ. IV-V, ნაყ. IX-X. მცენარე იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, ჭალებში, სარწყავი არხების გასწვრივ. ცნობილია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს.

Elaeagnus rhamnoides (L.) A. Nelson = Hippophae rhamnoides L. - შებვი

ოჯახი: Elaeagnaceae - ფშატისებრნი

3-6 მ-ის სიმაღლის ბუჩქია ან იშვიათად - ხე, ძლიერ დატოტვილი გაშლილი ვარჯით, ეკლიანი. ქერქი მონაცრისფრო ფერისაა. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა ან ხაზური, თითქმის მკდომარე. ფოთლები ორივე მხარეზე ვარსკვლავა-ქეჩისებური ქერცლებითაა მოფენილი, ქვედა მხარეს მოვერცხლისფრო - თეთრია, ზედა მხარეს - მონაცრისფრო - მწვანე. ყვავილები ილლიურია, ყვითელი, სურნელოვანი. ყვ. IV-V, ნაყ. VIII-X. იზრდება მდინარეთა ნაპირებზე, ჭალებში, სარწყავი არხების გასწვრივ. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Arbutus andrachne L. - ხიმბრწყა

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

5 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ღერო გლუვქერქიანია და წითელი ფერისაა. ფოთლები მარადმწვანეა, შიშველი, კვერცხის ფორმის ან ელიფსური, 7-10 სმ სიგრძისა და 4-6,5 სმ სიგანის. ყვავილედ კენწრულია, მრავალყვავილიანი, მოკლე, ჭირკვლოვანბენვიანი საგველა. ყვავილები პატარა ზომისაა, ჭირკვლოვანი ყუნწებით. გვირგვინი მოყვითალო-მოთეთრო ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ზღვისპირა კირქვიან კლდეებზე. გავრცელებულია აფხაზეთსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ერაყს. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.

Empetrum nigrum subsp. caucasicum (Juz.) Kuvaev = Empetrum caucasicum (V. Vassil) Juz. - კენწრა

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

5-15 სმ სიმაღლის დაბალი ბუჩქია, მიწაზე გართხმული, უხვად დატოტვილი. ტოტები მთლიანად არის შეფოთლილი. ფოთლები ვიწრო-ელიფსურია, მოკლეყუნწიანი, ერთმანეთთან მჭიდროდ და მორიგეობით განლაგებული, კიდემთლიანი ან ოდნავ დაკბილული. ყვავილები ილიურია, 2-3 ერთად, მოვარდისფრო. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ტანდაბრევილ ტყეებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და მცირე აზიას.



Epigaea gaultherioides (Boiss. & Balansa) **Takht. - კვიბე**

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

მარადმწვანე ბუჩქია. ღერო გართხმულია. ფოთლები ტყავის მსგავსია, ელიფსურ-ლანცეტა ფორმის, კიდეშთლიანი და ჯაგრისებურწამწამიანი, 7-10 სმ სიგრძისა და 3,5-5,5 სმ სიგანის. ყვავილედის კენწრული, 2-5-ყვავილიანი ფარჩხატი მტევანია. ჯამის ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა. გვირგვინი დაბრისებურია, 5-ნაკვთიანი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება 1000-2500 მ სიმაღლეზე – ნიფლნარში, უნგერნისა და პონტური შქერის, მდევდევის არეის რაიონებში. საქართველოში გავრცელებულია აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონაცვლადი სახეობა.

Pyrola minor L. - მსხალიჭა

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-15 (20) სმ სიმაღლისაა. ფოთლები ფესვთანურია, ფართო, მკვრივი, ელიფსური ფორმის, კიდეებზე დაშორიშორებულკბილა. ყვავილედის მჭირდო მტევანია, გვირგვინი თითქმის სფეროს ფორმისაა, თავდახრილი. ფურცლები თეთრია ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Rhododendron caucasicum Pall. - დეკა

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

მარადმწვანე ბუჩქია. ღერო – წამოწეული, 1-1,5 მ სიმაღლის, ხშირად გართხმული, მხოხავი ღეროებითა და ტოტებით. ყლორტები მოფენილია ქერცლებითა და ჩამოცვენილი ფოთლების კვლებით. ფოთლები ტყავისებურია, ზედა მხარე შიშველია, მუქი მწვანე; ქვედა მხარე თხელი ქეჩის მსგავსად არის შებუსული, ზრდასრული ფოთოლი ჟანგისფერი ხდება; ფოთლის ფირფიტა მოგრძო-ოვალურია, 5-12 სმ სიგრძის, 1,8-5 სმ სიგანის; ფოთლის ყუნწი მოკლეა. გვირგვინი დიდი ზომისაა და მომწვანო-მოყვითალო, ჩალისფერ-მოყვითალო, მოვარდისფრო ან თეთრი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში. სუბალპურ ტყეში ქმნის შეკრულ ქვეტყეს, ხოლო ალპურ სარტყელში – რაყებს. საქართველოში ცნობილია ყველა მაღალმთიან რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ბალკანეთს.

Rhododendron luteum Sweet = Azalea pontica L. - იქლი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

ფოთოლმცვენი ბუჩქია. ღერო 1-2 მ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი. ფოთლები თხელია, მეტ-ნაკლებად შებუსული რბილი, ზოგჯერ ჭირკვლოვანი ბენვითაც, ფოთლები ვითარდება ყვავილობის შემდეგ, ფოთლის ფირფიტა მოგრძო-ოვალური ან მოგრძო-ლანცეტაა, ძირში შევიწროებული, 6-12 სმ სიგრძისა და 3-4,5 სმ სიგანის. ყვავილედო მრავალყვავილიანი მტევანია. ყვავილის ყუნწი და ჯამი ძლიერ ჭირკვლოვანია. 3-4,5 სმ დიამეტრის გვირგვინი ყვითელი ფერისაა, გარედან – ჭირკვლოვანი. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მთისწინეთიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყისპირებში და ღია ფერდობებზე, ნატყევარ ადგილებში, არის ბუჩქნარების შემადგენლობაში. გავრცელებულია მთელ საქართველოში, გარდა მშრალი, უტყეო რეგიონებისა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას.



Rhododendron ponticum L. - კონიური შჟერი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

მარადმწვანე ბუჩქია. ღერო 3-4 (8)მ სიმაღლისაა. ფოთლები ტყავისებურია, სრულიად შიშველი, მოგრძო ან მოგრძო-ლანცეტა ფორმის. ფოთლის ფირფიტა კიდეგადაკეცილია, 10-27 სმ სიგრძისა და 4-7 სმ სიგანის. ყვავილეთი კენწრული, მრავალყვავილიანი, ფარისებური მტევანია. გვირგვინი ზარისებურია, 4,5-6 სმ-მდე დიამეტრის, იისფერი ან იისფერ-მწვანე. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ზღვის დონიდან ტყის შუა სარტყლამდე, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელსაც აღწევს. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ბალკანეთს, მცირე აზიას.

Rhododendron ungeronii Trautv. - უნგერნის შჟერი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

მარადმწვანე ბუჩქია. ღერო 3,5-6 მ სიმაღლისაა, ტოტები და ყლორტები თეთრი ქეჩის მსგავსი შებუსვითაა. ფოთლის ფირფიტა დიდი ზომისაა, მოგრძო-ოვალური ფორმის, 13-25 სმ სიგრძისა და 3,5-8 სმ სიგანის, ტყავისებური, ნორჩობაში თეთრი, უფრო გვიან წითური ქეჩის მსგავსი ბუნვით შებუსული. ყვავილეთი კენწრული, მრავალყვავილიანი, ფარის მსგავსი მტევანია, დაგრძელებული ღერძით. გვირგვინი თეთრი ფერისაა, ზარისებური, 5 ბლაგვი ნაკვითით. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას. მესამეული ფლორის რელიქტური მცენარეა. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Vaccinium arctostaphylos L. - ბალალი მოცვი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

0,5-2 მ სიმაღლის ბუჩქია ან პატარა ზომის ხე. ფოთლები მჯდომარეა, 4-10 სმ სიგრძის, მოგრძო-ელიფსური ან კვერცხისებური ფორმის. კიდებზე ხერხკბილა. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვემო – ლევა, მეტ-ნაკლებად შებუსული. ყვავილედ მტევანია. გვირგვინი ზარისებურია, მოთეთრო-მონითალო ფერის, ნაყოფი შავია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ტყეებში და ტყის პირას. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილო ირანს.

Vaccinium myrtillus L. - შავი მოცვი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

40 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები მოკლეყუნწია-ნია, 4-10 სმ სიგრძის, მოგრძო-ელიფსური ან კვერცხის ფორმისა, კიდებზე ხერხკბილა. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვემო – ლევა, მეტ-ნაკლებად შებუსული. ყვავილები მარტოულია. გვირგვინი სფეროს მსგავსია, მომწვანო-ვარდისფერი. ნაყოფი შავია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, დეკიანებში, ტანდაბრეცილ ტყისპირებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Vaccinium vitis-idaea L. - წითელი მოხვი

ოჯახი: Ericaceae – მანანასებრნი

დაბალი ბუჩქია, მინაზე გართხმული ან წამოწეული ტოტებით. ფოთლები მარადმწვანეა, ტყავისებური, ელიფსური ან უკუკვერცხისებური ფორმის. ყვავილები მოკლეყუნწიანია, შეკრებილია მოკლე, 2-10-ყვავილიან, გადახრილ მტევნებად. ზარის ფორმის გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი. ნაყოფი წითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სართყლების მდელოებზე, შქერიანში, დეკიანში, კენერიანში, კლდეებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, ციმბირს, აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Euphorbia maculata L.

ოჯახი: Euphorbiaceae – რძიანასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი ლეგა მცენარეა, შემდეგ ხშირად მონითალო ხდება, გაფარჩხულბენწიანია. 5-15 სმ სიგრძის ღერო გართხმულია, წვრილი, ძლიერ დატოტვილი. ფოთლები მოკლეყუნწიანია, ირიბი ფუძით, მოგრძო-კვერცხისებურიდან მოგრძო-ხაზურამდე, ზედა მხარეზე შიშველი, ქვემოდან შებუსული. კათხისებური ყვავილედო მარტოულადაა განწყობილი ღეროს ორკაპებში. სანექტრეები ელიფსურია, წითელი ან თეთრი. ყვ. ნაყ. I-X. იზრდება მთის შუა სართყლამდე – ზღვისპირა ქვიშებზე, გზებზე, რუდერალურ ადგილებში, ჩაის პლანტაციებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და დასავლეთ ევროპას.



Euphorbia myrsinites L. = Euphorbia pontica Prokh.

ოჯახი: Euphorbiaceae – რძიანასებრნი

15-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი, მონაცრისფრო-მუქი მწვანე. ღერო მრავალია, აღმავალი. ღეროსეული ფოთლები უკულანცეტაა ან რომბულ-უკუკვერცხისებური, მჭიდროდ განლაგებული, სუსტად დაღარული და ხორცოვანი. კენწრული საყვავილე ღერძი, რიცხვით 5-12, მარტივი ან წვერზე ორად გაყოფილია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ქვიან ფერდობებზე, მშრალ, ღორღიან ადგილებში, კლდეთა ნაპრალებსა და გამეჩხრებულ ტყეებში. გავრცელებულია აფხაზეთში, აჭარაში, ქართლსა და მესხეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას.

Castanea sativa Mill. - ჩვეულებრივი ნაბლი

ოჯახი: Fagaceae – ნიფლისებრნი

30 მ სიმაღლის ხეა, გადაშლილი, დატოტვილი ვარჯით. კვირტები კვერცხისებურია. ტოტები მოწითალო მურა ფერის მეჭეჭებითაა მოფენილი. ფოთლები ყუნწიანია, ტყავისებური, იშვიათად – სიფრიფანა. მოყვანილობით – ვიწრო-ლანცეტადან მოგრძო-კვერცხისებურამდე, ხერხებილა. ფოთლების ზედა მხარე მუქი მწვანეა და შიშველი, ქვედა – ნაწილობრივ შებუსული. მამრობითი ყვავილედები მჭადაა, ყვავილები მოთეთრო – მოყვითალოა. 1-3 ცალი მდედრობითი ყვავილი მამრობითი ყვავილედების ძირშია. ყვ. VI, ნაყ. IX-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. გვხვდება როგორც შერეული, ასევე მომცრო ჯგუფების სახით. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Fagus orientalis Lipsky - აღმოსავლური ნიფელი

ოჯახი: Fagaceae – ნიფლისებრნი

20-40 მ სიმაღლის ხეა, გლუვი, რუხი ან თეთრი ფერის ქერქით. ფოთლები რიგ-რიგად ორ მწკრივად არის განლაგებული, ფორმით – ელიფსურიდან უკუკვერცხისებურამდე. კიდეებზე ოდნავ ტალღისებური ან ოდნავ დაკბილულია. ზედა მხრიდან მუქი მწვანე ფერისაა, პრიალა, შიშველი. ქვედა მხარე ღია მწვანეა, ძარღვების გაყოლებაზე – შებუსული. ყვ. IV-V, ნაყ. IX-X. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში, გარდა თუშეთისა და აღმ. საქართველოს ჭალის ტყეებისა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას და ირანს. საქართველოს ფოთლოვანი ტყეების წამყვანი სახეობაა.

Quercus hartwissiana Stev. - ჰართვისის მუხა

ოჯახი: Fagaceae – ნიფლისებრნი

25 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი, იშვიათად მარადმწვანე ხეა, მომრგვალო ფორმის ვარჯით. წლიური ყლორტები მუქი მურა ფერისაა, შიშველი და ნახნაგოვანი. კვირტები მომრგვალო ან კვერცხისებურია. ფოთლის ფირფიტა ტყავისებურია ან სიფრიფანა, მოყვანილობით – უკუკვერცხისებური, ზემოდან – პრიალა მწვანე და შიშველი, ქვემოდან – ოქროსფერი ბეწვებით შებუსული. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება თიხნარ, ენერ, ყომრალ, კარბონატულ და დაჭაობებულ ნიადაგებზე, ზღვისპირა დაბლობებში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში 1200-1400 მ სიმაღლემდე. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Quercus macranthera Fisch. & C. A. Mey. ex Hohen. - მალაშთის მუხა

ოჯახი: Fagaceae - წიფლისებრნი

20-28 მ სიმაღლის ხეა, მსხვილი, მოკლე ღეროთი, დაფარულია სქელი, მუქი ქერქით. ერთწლიანი ტოტები სქლადაა შებუსული. ფოთლები მკვრივია, ტყავისებური, ქერის მსგავსად შებუსული. ფირფიტა ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან - მოყვითალო-მონაცრისფრო, მეტ-ნაკლებად შებუსული. მოყვანილობით - ოვალური ან კვერცხისებური, გვერდებზე ამოკვეთილნაკვთიანი, თითოეულ მხარეზე 8-12 მოკლე, ბლაგვი, კიდემთლიანი ან მსხვილკბილებიანი ნაკვთებით. ყვ. ნაყ. V. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლების სამხრეთის მშრალ ფერდობებზე, ქმნის მუხნარ ტყეებს. გვხვდება ცალკეულადაც ფოთლოვან, ფიჭვნარ ტყეებში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Quercus petraea subsp. iberica (Steven ex M. Bieb.) Krassiln. = Quercus iberica Steven ex M. Bieb. - ქართული მუხა

ოჯახი: Fagaceae - წიფლისებრნი

საშუალო სიმაღლის ხეა, მონითალო-მურა ან მუქი რუხი ფერის ერთწლიანი ტოტებით, რომელიც ნორჩობაში შებუსულია, შემდეგ - შიშველი. ფოთლები ტყავისებურია, მოყვანილობით უკუკვერცხისებურია, ზემოდან - პრიალა მწვანე, ქვედა მხარეს - მკრთალი მწვანე ფერის, თხლად და ნაცრისფრად შებუსული და შიშველი; ფოთლის კიდეები მოკლენაკვთებიანია ან თითქმის მსხვილკბილა, 8-10 წყვილი, თითოეულ მხარეს; ნაკვთები ბლაგვია ან წვერში შევიწროებული. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Quercus pontica K. Koch. - ჰონთოს მუხა

ოჯახი: Fagaceae - წიფლისებრნი

5-12 მ სიმაღლის ბუჩქი ან ხეა. ერთწლიანი ტოტები შიშველია, მონითალო-მურა ფერის. კვირტები კვერცხისებურია ან მომრგვალო. ფოთლები დიდი ზომისაა, მორიგეობით განლაგებული, სიფრიფანა, ზოგჯერ - ტყავისებური, მოყვანილობით - ფართო-უკუოვალური. ზემოდან - პრიალა მუქ-მწვანე, შიშველი, ქვემოდან - ღია მწვანე, ხშირად შებუსული ვარსკვლავისებური ბუნვებით. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ზედა და სუბალპურ სარტყლებში - ტყის საზღვარზე, ტენიან კირქვიან კლდეებზე, ხშირად - თიხნარ ნიადაგებზე, ძირითადად, სამხრეთ ფერდობებზე 2200 მ სიმაღლემდე. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.

Quercus robur subsp. imeretina (Steven ex Woronow) Menitsky = Quercus imeretina Stev. - იმერეთის მუხა

ოჯახი: Fagaceae - წიფლისებრნი

30 მ-მდე სიმაღლის ხეა, ფართოდ გადაშლილი ვარჯით. ერთწლიანი ტოტები მონითალო-მურა ფერისაა, შემდეგ - რუხი. კვირტები წვრილია, მოგრძო-ოვალური. ფოთლები თითქმის მჯდომარეა; ფოთლის ფირფიტა ნაზია, უკუკვერცხისებური, ზედა მხარე შიშველია, ღია მწვანე, ქვედა მხარე - ძარღვების გასწვრივ გაფანტული ბუნვით შემოსილი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყელში - 300-400 მ სიმაღლეზე - ჭარბტენიან, ენერ, თიხნარ, წითელმიწა, ტორფიან ნიადაგებზე. ქმნის შერეულ, ფოთლოვან კოლხურ ტყეებს ჰართვის მუხასთან, მურყანთან, ძელქვასთან, რცხილასა და ლაფანთან ერთად. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ენდემური მცენარეა. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Quercus robur subsp. pedunculiflora (K. Koch) Menitsky = Quercus longipes Steven - ბრძელყუნწა მუხა

ოჯახი: Fagaceae - წიფლისებრნი

30 მ სიმაღლის ხეა, უხვად დატოტვილი, სფეროსებური ვარჯით. ტოტები მორუხო-მურა-მოყავისფროა. ფოთლის ფირფიტა მკვრივია, თითქმის ტყავისებური, უკუკვერცხისებური ან მოგრძო; ზემოდან მუქი მწვანეა, შიშველი; ქვემოდან - მუქი მომწვანო, შემოსილი გრძელი ბეწვებით, იშვიათად - შიშველი, დანაკვთული ან ფრთისებურად დანანევრებული. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება 1000-1100 მ სიმაღლემდე. ქმნის კორომებს, ძირითადად, მდინარისპირა ტერასებზე, დაბლობებზე, ხევებში, ტაფობებში, ხრამების გასწვრივ. საქართველოში გავრცელებულია კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას.

Centaurium pulchellum (Sw.) Druce - ასფურცელა

ოჯახი: Gentianaceae - ნაღველასებრნი

5-25 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი, ბასრწახნაგებიანი, ქვედა ფოთლები უკუკვერცხისებურია, ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მოპირისპირედ განლაგებული. ყვავილები ყუნწიანია, განლაგებულია ტოტების ბოლოებში. გვირგვინი ვარდისფერია ან თეთრი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება წყალსატევების სანაპიროებზე, ტენიან ადგილებში, ჭაობიან მდელოებსა და სილნარებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ჩრდილო აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, შუა და ცენტრალურ აზიას.



Gentiana asclepiadea L.

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრნი

40-120 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია, ფოთლები – კვერცხისებურ-ლანცეტა. ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, თითქმის გულისებური ძირით, მოპირისპირედ განლაგებული. ყვავილები განლაგებულია ზედა ფოთლის ილღიებსა და ღეროს ბოლოში. გვირგვინი ცისფერია ან თეთრი. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყის შუა სართელიდან ალპურ სარტყლამდე ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, მაღალ ბალახეულობაში. ტყის შემდგომი ცენოზების სარეველაა. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Gentiana cruciata L. – ჭპარისებრი ნაღველა

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრნი

20-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს რამდენიმე აღმავალი ღერო, ფოთლები – კვერცხისებურ-ლანცეტა, კიდეებზე ხორკლიანი, ყვავილები ზედა ფოთლების ილღიებშია განლაგებული. გვირგვინი ლურჯია, ღია ფერის მილით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ქვედა სართელიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყისპირებში, ბუჩქნარებსა და ნატყვევარ ადგილებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ციმბირს, შუა და ცენტრალურ აზიას.



Gentiana paradoxa Albov - საოცარი ნაღველა

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრი

20-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს რამდენიმე წამოწეული ღერო. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, ჩხროებად განლაგებული, კიდეებზე ხორკლიანი. ყვავილები მარტოულია ან 2-3 ერთად განლაგებული. გვირგვინი მკრთალი იისფერია, ნაკვთები – კბილებიანი, მეორადი ნაკვთები კი – ფოჩებიანი. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ტყისა და სუბალპური სარტყლების კირქვიან კლდეებზე. საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილს. კავკასიის ენდემია. იშვიათი მცენარეა.

Gentiana pyrenaica L.

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრი

2-4 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეჩხერკორდიანი. აქვს რამდენიმე წამოწეული ღერო. ფოთლები ვიწრო-ლანცეტა ან ხაზურია, კრამიტისებურად განლაგებული. ყვავილები მარტოულია, კენწრული. გვირგვინი მუქი ლურჯია, ნაკვთები კბილებიანია. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ხალებზე, მარცვლოვან მდელოებზე. გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Gentiana septemfida Pall.

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრნი

10-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, შეფოთილი. ფოთლები ფართო-ლანცეტა ან კვერცხისებურია. ყვავილედითა-ვაკისებურია, ყვავილი ზოგჯერ მარტოულია, კენწრული. გვირგვინი მუქი ლურჯია, მეორადი ნაკვთები – ფოჩებიანი. ყვ. ნაყ. VIII-X. იზრდება ტყის, სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, საძოვრებზე. გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Gentiana verna subsp. pontica (Soltok.) Hayek = Gentiana angulosa (M. Bieb) Holub

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრნი

4-10 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი ბასრწახნაგებიანი. ფოთლები კვერცხისებურია ან ლანცეტა. ყვავილები მარტოულია, განლაგებულია ღეროს ბოლოებში. გვირგვინი კაშკაშა ლაჟვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ხალებსა და მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Gentianella caucasea (Lodd. ex Sims) Holub - კავკასიური ნაღველა

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრი

5-20 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი. ქვედა ფოთლები კვერცხისებურია ან მოგრძო-კვერცხისებური, ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მოპირისპირედ განლაგებული. ყვავილები ყუნწიანია, განლაგებულია ზედა ფოთლების ილღიებში. გვირგვინი იისფერია, ცისფერი ან თეთრი. ყვ. ნაყ. VIII-X. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ხალებსა და მდელოებზე, ღორღიან და გაძოვილ მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Swertia iberica Fisch. ex Boiss. – ბებლუპარბ

ოჯახი: Gentianaceae – ნაღველასებრი

20-70 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მსხვილი, ფუნჯა ბენვით შებუსული, მარტივი ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილი. ფესვთანური და ქვედა ფოთლები ფართო-ელიფსურია ან კვერცხისებური, შევიწროებულია ბრტყელ ყუნწში. ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, ზედა ფოთლები დაპატარავებულია. ყვავილედით ფარჩხატი საგველაა. ყვავილები მოთეთრო ყვითელია ან მკრთალი ცისფერი, ვარდისფერი წინწკლებით. ყვ. ნაყ. VII-X. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ტენიან მდელოებსა და ფერდობებზე, იშვიათად – კლდეებზე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Erodium ciconium (L.) L'Her. - საპარსხელა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

15-16 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, გართხმული ან წამოწეული, ზედა ნაწილში შებუსულია ჭირკვლოვანი ბეწვით. ფოთლის ფირფიტა ძირამდე განკვეთილია უკუკვერცხისებურ – ოვალურ სეგმენტებად. საყვავილე ღერძი იღლიურია, ყვავილები ცოტაა და ქოლგისებურ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი იისფერია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ველის, ნახევრად უდაბნოსა და ტყის სარტყელში – ქვიან, რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე და ვენახებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ეგვიპტესა და შუა აზიას.

Erodium cicutarium (L.) L'Her. - საპარსხელა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

5-35 სმ სიგრძის ერთ ან ორწლიანი მცენარეა, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, ზოგჯერ მცენარე უღეროა. დაფარულია გაფარჩხული ბეწვით. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ძირამდეა ფრთისებურად განკვეთილი კვერცხისებურ-ელიფსურ სეგმენტებად, რომლებიც, თავის მხრივ, არის ფრთისებურად განკვეთილი მოგრძო ნაკვეთებად. ყვავილედ იღლიურია, 2-7-ყვავილიანი. გვირგვინი, ძირითადად, ვარდისფერია (შეფერილობა მერყეობს მოთეთრო ფერიდან მუქ იისფრამდე). ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ველობებზე. ცნობილია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს, შუა აზიასა და ავსტრალიას.



Geranium columbinum L.

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

8-40 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მიტკეცილი და ხეშეში, მარტივი ბენჯით მოფენილი. ღერო გართხმულია ან აღმავალი, გაბნეულად მიტკეცილბენჯიანი. ფოთლების ფირფიტა მომრგვალო-ხუთკუთხიანია, თითქმის ძირამდეა დაყოფილი უკუკვერცხისებურ ნაკვთებად. საყვავილე ღერძი ილლიურია, ერთყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ყვ. ნაყ. III-VIII. იზრდება ტყის სარტყელში – გზისპირებზე, ბუჩქნარებსა და ტყისპირებში, ბოსტნებსა და ვენახებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Geranium finitimum Woronow – ნემსიწვერა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

50-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მთელი მცენარე შებუსულია. აღმავალად დატოტვილი. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები რომბის ფორმის 5-7 სეგმენტად არის დაყოფილი. თითოეული სეგმენტი, თავის მხრივ, ხაზურნაკვთებიანია. ჯამის ფოთლები კვერცხისებურ-ელიფსურია, 3-5-ძარღვიანი, გაფარჩხული ბენჯით შემოსილი და კიდევებზე თეთრი არშიით. გვირგვინი მენამულ-იისფერია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე. გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთის ქედზე და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Geranium gracile Ledeb. Ex Nordm.

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

20-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შებუსულია მარტივი, გაფარჩხული ბენვით. 1-2 ღერო წამოწეული, მარტივი ან დატოტვილია. ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა ნაწილში 3-ად განკვეთილი 10-18 სმ სიგანის 5 სეგმენტად. ორივე მხარეზე გაბნეული ბენვით არის მოფენილი. ყვავილედ კენწრულია, მცირეყვავილიანი. გვირგვინი მონითალოა, მუქძარღვიანი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყისა და სუბალპურ სარტყლებში – 2300 მ-მდე. გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილსა და სამცხე-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.

Geranium gymnocaulon DC. – ნემსიწვერა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

15-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 1 ან 2 წამოწეული ღერო, რომელიც გაფარჩხული ბენვით არის შემოსილი. ფესვთანური ფოთლები მრავალრიცხოვანია. ფოთლის ფირფიტა 5-კუთხოვანია, მომრგვალო, 6-7 სმ სიგანის, თითქმის ძირამდე 5 ნაწილად დაყოფილი, სეგმენტები მოგრძო-კვერცხისებურია, ფრთისებურად ღრმად ჩაჭრილი ლანცეტა ფორმის ნაკვეთებად. ყვავილედ 2-10-ყვავილიანი ქოლგაა. მუქი იისფერია კარგად გამოკვეთილი ძარღვებით. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებსა და მორენებზე. გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Geranium lucidum L. - მბრწყინავი ნემსიწვერა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

8-30 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, პრიალა ბენჯით შემოსილი. ღერო სუსტია, წამოწეული, დატოტვილი, ზედა ნაწილში ცალმხრივად გაბნეულბენჯიანი. ფოთლის ფირფიტა ნახევრამდე დაყოფილია ფართო, უკუკვერცხისებურ, მობლაგვო 5-7 სეგმენტად. საყვავილე ღერძი იდლიურია. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ველებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია იმერეთში, მესხეთ-ჭავახეთში, თრიალეთის ქედზე, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს.

Geranium pratense L. = Geranium kemulariae Kharadze.

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

40-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ხასიათდება მიტკეცილი, ზედა ნაწილში ჭირკვლოვანი ბენჯით. ღერო აღმავალია, სუსტად დატოტვილი. ფოთლის ფირფიტა 8-10 სმ სიგანისაა, თითქმის ძირამდეა დაყოფილი წაგრძელებულ-რომბულ, ნაწვეტებულ 5-7 სეგმენტად; ორივე მხარე მიტკეცილი ბენჯით არის დაფარული. ყვავილები მცირეყვავილიან საგველასებურ ყვავილედშია შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის სარტყელში, ტყისპირა ადგილებში, მთის მდინარეთა გასწვრივ, მაღალბალახოვანი მცენარეულობის შემადგენლობაში. გავრცელებულია მთიულეთში. კავკასიის ენდემია.



Geranium psilostemon Ledeb.

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

80 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო აღმავალია, დატოტვილი, ზედა ნაწილში ჭირკვლოვანი ბენჯით შემოსილი. ფოთლის ფირფიტა ფართოა, ქვედა – ხუთკუთხოვანი, დაყოფილია 5 რომბისებურ, წაწვეტებულ, ღრმად სამნაკვთიან სეგმენტად. ყვავილეთი მცირეყვავილიანია, საგველასებური. გვირგვინის ფურცლები სისხლივით წითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური სარტყლის მაღალ ბალახეულობასა და დეკიანებში. გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Geranium pyrenaicum Burm. f.

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

15-60 სმ სიმაღლის ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. გრძელი, მარტივი და ჭირკვლოვანი ბენჯით შებუსული. ღერო რამდენიმეა, წამოწეული და დატოტვილი. ფოთლის ფირფიტა 2-8 სმ სიგანისაა, მომრგვალო-თირკმლისებური, 1/3-2/3-მდე განკვეთილია წაგრძელებულ, სწორკუთხოვან – მობლაგვო სეგმენტებად. ყვავილეთი ვიწრო-საგველასებურია. გვირგვინის ფურცლები ღია იისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების (2400 მ-მდე) ჩრდილიან ტყეებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Geranium robertianum L. - უუმურა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

15-40 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სუსტია, წამოწეული და დატოტვილი, ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი ბენვით შემოსილი. ფოთლის ფირფიტა ხუთკუთხოვანია, თითქმის ძირამდეა გაყოფილი მოგრძო-კვერცხისებურ 5 სეგმენტად. საყვავილე ღერძები ილლიურია. გვირგვინის ფურცლები მწნამული ფერისაა, ზოგჯერ – მოთეთრო ზოლებით. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტენიან, დაჩრდილულ ადგილებში, ხევებში, მდინარეთა და რუების ნაპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს.

Geranium sanguineum L. - ნემსიწვერა

ოჯახი: Geraniaceae – ნემსიწვერასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გაფარჩხული თეთრი ბენვით შემოსილი. ღეროს სიმაღლე 20-50 სმ-ია. ფოთოლი მომრგვალოა ან თირკმლისებური, 5-7 ლანცეტა ან ვიწრო-ელიფსურ სეგმენტად გაყოფილი, რომლებიც, თავის მხრივ, 2-3 ნაწილად იყოფა. საყვავილე ღერძი ერთყვავილიანია. ჯამის ფოთლებს აქვთ მოკლე წვეტი, გაფარჩხულბენვიანი. გვირგვინი სისხლისფერ-წითელია. ყვ. ნაყ. V-X. მცენარე იზრდება ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და სამხრეთ ევროპას.



Ribes petraeum Wulfen = Ribes biebersteinii Berland. ex DC. - კლდის მოსხარი

ოჯახი: Grossulariaceae - ხურტკმელისებრნი

2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ერთწლიანი ყლორტები ღია ფერისაა, შიშველი. ფოთლები დიდი ზომისაა, ძირითადად, სქლად შებუსული, ხუთნაკვთიანი და გულის ფორმის ძირით. ყვავილეთი მტევანია, 15-20-ყვავილიანი. ნაყოფი მუქი მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ტყის პირას და ბუჩქნარებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიასა და ირანში.

Hydrangea macrophylla (Thunb.) Ser. - კოროენზია

ოჯახი: Hydrangeaceae - წყალფოთოლასებრნი

2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, ფორმით უკუკვერცხისებურია ან ფართო-ელიფსური, სიგრძით – 15 სმ-მდე, კიდეებზე წვრილხერხებილა, ფოთლის ფირფიტა მახვილი წვეტით ბოლოვდება. ყვავილეთი კენწრული ფარია, რომელიც შედგება მრავალი ყვავილისგან. ყვავილედს ხშირად სფეროს ფორმა აქვს. ყვავილი შეფერილობით მრავალგვარია: წითელი, ვარდისფერი, ლურჯი. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, გზისპირებზე, პარკებში. გვხვდება აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ აზიას. ინტროდუცირებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. საქართველოში გავლურებულია.



Philadelphus coronarius L. = Philadelphus caucasicus Koehne - უხვმოქალაქე

ოჯახი: Hydrangeaceae - წყალფოთოლასებრნი

3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ტოტების ქერქი მოყვითალო ან მონითალოა. ფოთლები ფართო-კვერცხისებური, ელიფსური, კიდებე დაკბილული, ზედა მხარე კამკამა მწვანეა, ქვედა - რუხი. ყვავილედ მტევანია, 7-9-ყვავილიანი, ყვავილი - თეთრი ან მოყვითალო, სურნელოვანი. ყვ. V-VII, ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლების ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, ხეობების გაყოლებაზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან, გარდა სამხრეთ საქართველოსი. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. მისი ენდემია.

Hypericum androsaemum L. - კორობეჭა

ოჯახი: Hypericaceae - კრაზანისებრნი

ნახევრად ბუჩქია, რომელსაც აქვს 1 მ-მდე სიმაღლის ღერო, შიშველი, მურა ფერის ქერქით. ფოთლები კვერცხისებურია, თითქმის მჯდომარე. ყვავილედ მცირეყვავილიანი, ნახევრად ქოლგა ან ფარია. გვირგვინის ფურცლები ბლაგვია, ყვითელი. ნაყოფი კენკრაა, მომწიფებისას ჯერ წითელია, შემდეგ - მუქი მწვანე. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტენიან ტყეებსა და ხეობებში, ზოგჯერ - ნაკადულების პირას. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Hypericum bupleuroides Griseb.

ოჯახი: Hyperidaceae – კრაზანისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, შიშველი. მოპირდაპირედ განლაგებული ფოთლები წყვილ-წყვილად არის შეზრდილი ერთ მოგრძოელიფსურ ფოთლად, კიდემთლიანია. ყვავილები სამ-სამად არის შეკრებილი ნახევარქოლგისებურ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ყვ. ნაყ. I-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე დაბურულ ტყეებსა და ტენიან ადგილებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიას.

Hypericum linarioides Bosse

ოჯახი: Hyperidaceae – კრაზანისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, მომრგვალო, ცილინდრული ან ზედა ნაწილში 2 ბლაგვი ნახნაგია განვითარებული. ფოთლები თითქმის ტყავისებურია, ოვალური ან მოგრძო, იშვიათად – ვიწრო-ლანცეტა. ყვავილები შეკრებილია წყვეტილ, ვიწრო საგველად. გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მკრთალი ყვითელი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, ღია და მშრალ ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Hypericum orientale L. = Hypericum ptarmicaefolium Spach

ოჯახი: Hyperidaceae – კრაზანისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, შიშველი, წამოწეული ან აღმავალი, სქლად შეფოთლილი. ფოთოლი მოგრძო, მოგრძო-ხაზური ან ნიჩბისებური ფორმისაა, ფირფიტა გამჭვირვალე ჭირკვლებით არის მოფენილი. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან ნახევარქოლგისებურ, ფარისებურ ან მტევნისებურ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთისწინებზე ალპურ სარტყლამდე მშრალ, ღორღიან, ქვიან და კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Hypericum perforatum L. - კრაზანა

ოჯახი: Hyperidaceae – კრაზანისებრნი

20-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი, შიშველი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი ან მარტივი. ფოთლები მჯდომარეა, ოვალური, კიდეებზე გადაკეცილი. ფოთოლი მოფენილია ჭირკვლებით. ყვავილედები საგველაა ან ფარისებური საგველა. გვირგვინი ყვითელია. გვირგვინის ფურცლები არათანაბარგვერდებიანია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ბუჩქნარებში, ნათესებში, ველებზე, ტყეებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ირანს, ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკას.



Crocoshia × crocosmiiflora (Lemoine) N. E. Br.

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-50 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან იშვიათად მცირედ დატოტვილი, სუსტი, წვეკლისებური, რკალისებური. ფოთლები გრძელი, ლანცეტა, ოდნავ მოღეგო. ყვავილი კენწრულია, მარტოული ან 2-3 ერთად, მოწითალო ან ნარინჯისფერი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება დაბლობებზე, ტენიან მდელოებზე და ბუჩქნარში. ინვაზიური სახეობაა. გავრცელებულია აჭარასა და გურიაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ავსტრალიას, სამხრეთ ამერიკას. ეს მცენარე *Crocoshia aurea*-ს და *Crocoshia pottsii*-ს ჰიბრიდს წარმოადგენს, ეს ორი სახეობა სამხრეთ აფრიკაშია გავრცელებული.

Crocoshia biflorus subsp. adamii (J. Gay) K. Richt. = Crocoshia adamii J. Gay – ზაფრანბ

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

ფოთლები ხაზურია და ყვავილთან ერთად ვითარდება. ყვავილსაფრის ლურჯი იისფერი, ლილისფერი ფოთლები წანვეტებულია. ხახაში – ოქროსფერ-ყვითელი, ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ხასიათდება მუქი იისფერი დატოტვილი ზოლებით. სამტვრეები ყვითელია, დინგი – ნარინჯისფერი, სამად გაყოფილი. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება ველებზე, ტყისპირებში, მდელოებზე. გავრცელებულია იმერეთში, ქართლსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს, სამხრეთ კავკასიას, შუა და სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს. სახეობა აღწერილია საქართველოში.



Crocus speciosus M. Bieb. - ზაფრანა

ოჯახი: Iridaceae - ზამბახისებრნი

ტუბერბოლქვიანი მცენარეა. ფოთლები ხაზურია, ვითარდება დაყვავილების შემდეგ. ყვავილი დიდი ზომისაა, ლილისფერი, მენამული ფერის, სამი სიგრძივი ზოლითა და თეთრი, შიშველი ხახით, დინგი ნარინჯისფერია, სამად გაყოფილი. ყვ. ნაყ. VIII-X. იზრდება ველებზე, ტყისპირებში, მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Gladiolus caucasicus Herb. - კაკაბსიური ხმალა

ოჯახი: Iridaceae - ზამბახისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ყვავილედ ცალგვერდაა, მრავალყვავილიანი. ყვავილსაფარი დიდია, 4-6 სმ სიგრძის, მუქი იისფერი ან მენამული, გრძელი და ძლიერ მოხრილი მილით. ყვავილსაფრის ფოთლები არათანაბარია. ქვედა ფოთლები გვერდით ფოთლებთან შედარებით გრძელია, ხოლო ზედა ფოთლები – მოკლე. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტენიან მდელოებზე, ყამირებსა და ნათესებში. საქართველოში სპორადულად თითქმის ყველგან არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Gladiolus italicus Mill. - ხმალა

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

ბოლქვიანი მცენარეა. ყვავილედ გრძელია, მეჩხერი, ორგვერდა. ყვავილსაფარი ვარდისფერია, ზარისებური. მილი მოკლეა. ქვედა სამ ფოთოლს თითო თეთრი ზოლი გასდევს. ყვავილსაფრის ზედა ფოთოლი დანარჩენებისგან დაცილებულია და მისი წვერი გადაღუნულია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ნათესებში, ნატყვევარ ადგილებში, ქვიან ეკოტოპებზე, ველებზე. გავრცელებულია საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილო აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიას.

Iris aphylla L.

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-20 სმ-მდე სიგრძისაა, ძირიდანვე ან ქვედა ნახევრიდან დატოტვილი, მცენარე თითქმის უღეროა. ფოთლები მწვანეა, პრიალა ან მონაცრისფრო-მწვანე; ქვედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ოდნავ ხმლისებური, ვიწრო, სიფრიფანაკიდებიანი და ღეროზე მოკლე. ყვავილი – 1-3. ყვავილსაფარი კაშკაშა იისფერია, ლურჯი იისფერი, მუქი იისფერი ან მოშავო-იისფერი. ყვავილსაფრის ფოთლები თითქმის თანაბარი ზომისაა. მისი გარეთა ფოთლები ფრჩხილის შუა ხაზის გასწვრივ ყვითელი ბანჯგვლით ხასიათდება. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ბუჩქნარსა და სტეპებში. საქართველოში ცნობილია აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებიდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, განსაკუთრებით – მის აღმოსავლეთ ნაწილს. გავრცელებულია ასევე სამხრეთ რუსეთის დაბლობზე.



Iris caucasica Hoffm. = Juno caucasica (Hoffm.) Tratt. - კავკასიური ზამბახი

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

ტუბეროლქვიანი მცენარეა. ღერო შეფოთლილია. ფოთლები ბრტყელია, ნამგლისებური, ვიწრო, მოთეთრო არშიით შემოვლებული. ყვავილი – 1-2. მკრთალი ყვითელი ფერის ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ძლიერ დაპატარავებულია და ბევითაა აღმართული. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება მთის ქვედა სარტყლის მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, სტეპებში, ხეულებში. გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონსა და ჩრდილო ერაყს.

Iris iberica Steven - ქართული ზამბახი

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ლეგაა, ნამგალივით მოღუნული. ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები თეთრია ან ოდნავ მოცისფრო, ხშირად მკრთალი სოსანი ძარღვებით დაქსელილი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლებს შიგნიდან სიგრძეზე ბანჯგვლიანი ბოლი ჩასდევს, ან მრავალი გაფანტული ბენვითაა მოფენილი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მომრგვალოა, ქვევით დახრილი, ჩაზნეჭილი, მკრთალ ყვითელ ფონზე ხშირი, მღვრიე ნაბლისფერი ზოლებითაა დაქსელილი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, სტეპად ქცეულ მდელოებზე. გავრცელებულია კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სომხეთს. სამხრეთ კავკასიის ენდემური მცენარეა.



Iris pseudacorus L. - წყლის ზამბახი

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მაღალია. ფოთლები ხმლისებურია ან ხაზური. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები შიშველია, კაშკაშა ყვითელი ან მკრთალი ყვითელი. ყვავილის შიგნითა ფოთლები უკუკვერცხისებურია, ძალიან პატარა ზომის, გარეთა ფოთლების იმ ადგილას, სადაც ფირფიტა ფრჩხილში გადადის, მუქი ყვითელია, ნარინჯისფერი ლაქა აქვს და მოწითალო-ყავისფერი ძარღვები გასდევს. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება დაბლობზე და მთის ქვედა სარტყლის ჭაობებში, ტბებსა და მდინარეების ნაპირებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ციმბირს.

Iris pumila L. - ქონდარა ზამბახი

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-15 სმ სიმაღლისაა. ყველა ფოთოლი ღეროს ძირშია, ხაზურ-ლანცეტა ან ხმლისებური, ლეგა. ყვავილსაფარი ყვითელია, სოსანი, მოთეთრო ან გოგირდისფერი, ზოგჯერ ყვავილი ზოლებიანია; მისი გარეთა ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-კვერცხისებურია, შიგნიდან – ბანჯგვლიანი ზოლით. ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები უკუკვერცხისებურია ან ნიჩბისებური. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარსა და სტეპებში. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპის დიდ ნაწილსა და ციმბირს.



Iris reticulata M. Bieb. - შინდვრის ზამბახი


ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ოთხნახნაგია, წიბოებიანი, დაყვავილების შემდეგ გრძელდება. ყვავილი ერთია, იისფერი, იშვიათად – ცისფერი ან მოთეთრო, ყვავილსაფრის გარეთა ფურცლების ყვითელი, შუა ზოლი მუქი წინწკლებით არის მოფენილი, ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლებში – სტეპებში, ბუჩქნარებში, ტყისპირებში. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად, საკმაოდ იშვიათია. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონსა და ჩრდილო ერაყს.

Iris sibirica L.

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო მაღალია, ფოთლები – ხეშეში, მოყვანილობით – ვიწრო-ხაზური, გრძლად წანვეტებული. ყვავილსაფარი ზარისებურია, ლურჯი, მოიისფრობოლებიანი. ყვავილსაფრის მილი თითქმის შეუმჩნეველია, ყვავილსაფარს წვერზე ამონაკვეთი არა აქვს. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სართყლების მაღალ ბალახეულობაში, ტენიან, დაჭაობებულ მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპის დიდ ნაწილსა და ახლო აღმოსავლეთს, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ციმბირს.



Iris spuria subsp. carthaliniae (Fomin) B. Mathew = Iris carthaliniae Fomin - ქართლის ზამბახი

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მაღალია, შეფოთლილი, სიგრძით – ფოთლების ტოლი ან ქვედა ფოთლებზე გრძელი. ღეროსეული ქვედა ფოთლები ხეშეშია, ხაზური ან ხმლისებური, ღეროზე გრძელი ან ღეროს ტოლი. ყვავილსაფარი ლაჟვარდოვან-ცისფერია, მუქი ლურჯი, ზოგჯერ – იისფერი ელფერით, თეთრი, მკრთალი ყვითელი ძარღვებით. ყვავილსაფრის ფოთლები წვერზე ამოკვეთილია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ჭაობებში, არხებში, ტენიან მდელოებზე. გვხვდება ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ კავკასიას. კავკასიის ენდემური ქვესახეობაა.

Sisyrinchium rosulatum E. P. Bicknell

ოჯახი: Iridaceae – ზამბახისებრნი

ერთ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-20 სმ სიმაღლისაა, სუსტი, მარტივი ან ორად გაყოფილი, შიშველი. ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა ან ხაზური. ყვავილი – 1-3, კენწრული, შეფერილობით – მკრთალი იასამნისფერ – მოთეთრო, ძირში იისფერი, ყვითელი ლაქით. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, ტყისპირა ადგილებში, ველებზე. საქართველოში გავრცელებულია აჭარასა და კახეთში. სახეობის გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. საქართველოში ადვენტურია.



Juglans regia L. - კაკალი

ოჯახი: Juglandaceae – კაკლისებრნი

30-35 მ-მდე სიმაღლის ხეა, მუქი რუხი, დახეთქილი ქერქითა და კენტფრთისებური ფოთლებით. მოყვანილობით ოვალურია ან კვერცხისებური, წვერზე მობლაგვო ან მოკლე წვეტით. ყვავილები პატარა ზომისაა, ყვავილსაფრით. ნაყოფი კაკლისებური კურკიანაა და ხორცოვანი, მწვანე, შემდეგ – მოყავისფრო, ნაოჭიანი გარეთა შრით. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში 1,500-1,700 მ სიმაღლემდე – მდინარის ნაპირებზე, მთის ფერდობებზე, მუხნარებსა და რცხილნარებში, მარტოულად ან კორომების სახით. გავრცელებულია მთელ საქართველოში, გარდა მაღალმთიანი რაიონებისა. მცენარე შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწვევლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ირანს.

Pterocarya pterocarpa Kunth ex I. Iljinsk - ლაფანი

ოჯახი: Juglandaceae – კაკლისებრნი

25-30 მ-მდე სიმაღლის ხეა, მოთეთრო ქერქით. ფოთოლს აქვს მრავალი წყვილი ხერხკბილა ფოთოლაკი, მოყვანილობით მოგრძო-კვერცხისებურია, ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებით თეთრი ბეწვით მოფენილი. ყვავილები შეკრებილია მჭადა ყვავილედებად. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მთის ქვედა სარტყელის ტენიან ტყეებში, მდინარეთა და მათი შენაკადების ნაპირებზე ერთეული ეგზემპლარების სახით ან მცირე კორომებად. ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე – კახეთში. მცენარე შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწვევლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.



Ajuga chamaepitys subsp. chia (Schreb.) Arcang. = Ajuga comata stapf

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ან ნახევრად ბუჩქია. 8-40 სმ სიგრძის ღერო წამოწეულია, სწორად მდგომი ან გართხმული, ძირში დატოტვილი. შებუსულია კანზე მჭიდროდ მიკრული ბეწვით. ღეროსეული ფოთლები სამნაკვთიანია. ნაკვთები მთლიანია, ხაზური, ქვედა ფოთლები მეტწილად მთლიანია, მოგრძო-წიწბისებური ან წვერზე სამნაკვთიანი. ყვავილები ფოთლის უბეებში სხედან 2-ყვავილიან ჩხროებად. გვირგვინი ლიმონისფერ-ყვითელია, მენამულხოლებიანი მილითა და დაწინწკლული ქვედა ტუჩით. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირას, მინდვრებში და, იშვიათად, ნათესებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ირანს.

Ajuga genevensis L. – პირწმინდა

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს ძირში მხოხავი ყლორტები არა აქვს; ღერო 10-50 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი ან ძირთან წამოწეული. ზედა ნაწილში, ძირითადად, ბეწვით არის შემოსილი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო-წიწბისებურია ან უკუკვერცხისებური. კიდეები მსხვილმრგვალებილსაა, ზოგჯერ – კიდემთლიანი, ღეროსეული ფოთლები უკუკვერცხისებურია. გვირგვინი ცისფერია, იშვიათად – თეთრი ან ვარდისფერი, გარედან ოდნავ შებუსულია. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყის პირას, მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე, შედარებით იშვიათად – სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში – დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, თითქმის მთელ ევროპასა და მცირე აზიას.



Ajuga orientalis L.

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მეტ-ნაკლებად მატყლისებურად ბანჯგვლიანია, ზოგჯერ ქვედა ნაწილში - შიშველი. ღერო სწორად მდგომია ან ძირში წამოწეული, მარტივი, 10-30 სმ-მდე სიმაღლის. ფესვთანური ფოთლები მოგრძო-ელიფსურია ან ფართო-კვერცხისებური, ძირში სოლისებურად შევიწროებული, მოკლე ყუნწით, კიდებზე მრგვალებილა. ყვავილები თითქმის მჯდომარეა, 4-8-ყვავილიან ჩხროებად განლაგებული, გვირგვინი ცისფერია, იშვიათად - თეთრი. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის ველობებზე და ა. შ. დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Ajuga reptans L. - პირნმინდა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 15-40 სმ სიმაღლის ღეროს ძირში გრძელი, მხოხავი, დაფესვიანებული და შეფოთლილი ყლორტებია განვითარებული; ღერო მარტივია, სწორად მდგომი ან წამოწეული, შიშველი ან ორ მოპირდაპირე მხარეს მიტკეცილებიანი. ფესვთანური ფოთლები დიდი ზომისაა, ნიჩბისებური ან უკუკვერცხისებური. ღეროსეული ქვედა ფოთლები მცირერიცხოვანია, მოგრძო, ელიფსური, მჯდომარე. ყვავილები 6-8-ყვავილიან რგოლებადაა განლაგებული, გვირგვინი ცისფერი, ვარდისფერი ან თეთრია. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება ტენიან მდელოებზე, ტყეებში, ტყის პირას - ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Ballota nigra L. - ძაღლის კიბნა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

50-120 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია ან არა, ნორჩობაში – მწვანე, მოგვიანებით – მონივრული ან მოყავისფრო-იისფერი, ხეშეში, მეჩხერი ბენვით შებუსულია ან შიშველი. ყველა ფოთოლი კვერცხისებურია, ბასრხერხებილა ან ორმაგად დაკბილული კიდით, ორივე მხარეზე მეჩხერი და მიტკეცილი ბენვით. ყვავილები მოკლეყუნწიანია, მრავალყვავილიან ჩხროებად შეკრებილი. გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერია, იშვიათად – თეთრი, ჯამიდან ამოყოფილი მილითა და ოდნავ მოხრილი, წვერზე ამოკვეთილი ან ოდნავ დაკბილული ზედა ტუჩით. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების რუდერალურ ადგილებში, ღობეების ძირებსა და გზისპირებზე, უმეტესად საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, იშვიათად – ბუჩქნარებში, ხევებსა და ფერდობებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.

Clinopodium acinos (L.) Kuntze

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

8-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, ჩვეულებრივ, ძირიდანვე დატოტვილი, მეტ-ნაკლებად შებუსული, გადახრილი, მარტივი ბენვით. ფოთლები – კვერცხისებურ-რომბისებური, სოლისებური ფუძით, ზედა ნაწილში რამდენიმე კბილით ან იშვიათად – კიდეშლიანი. ფოთლის ქვედა მხარე მოფენილია გაფანტული ჯირკვლებით. ყვავილები შეკრებილია 6-12, უფრო იშვიათად – 16-24-ყვავილიან ჩხროებად. გვირგვინი იასამნისფერია, 2-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მშრალ ფერდობებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ჩრდილო ამერიკას.



Clinopodium nepeta (L.) Kuntze = Calamintha nepeta (L.) Savi

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

40-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი, სქლადაა შებუსული გრძელი, გაფარჩხული ან მოკლე ბენვით. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია, ძირში სოლისებური, კიდეებზე წვრილ-მრგვალკბილებიანი, ორივე მხარეზე შებუსული გრძელი, მიტკეცილი ბენვით. ყვავილების ჩხროები 5-25-ყვავილიანია. გვირგვინი მკრთალი იასამნისფერია და 2,5-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება მშრალ, ქვიშიან ადგილებში, კირქვიან კლდეებზე, ზღვის ნაპირებზე. გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.

Clinopodium vulgare L. – მოპიონაო

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

15-90 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია ან მარტივი, ჩვეულებრივ – მრავალი. შებუსულია გაფარჩხული ან ქვევით გადახრილი ბენვით. ფოთოლი კვერცხისებურია ან მოგრძო-კვერცხისებური, წვრილ-მრგვალკბილა, იშვიათად – კიდემთლიანი, ორივე მხარეზე მეტ-ნაკლებად სქლად შებუსული, განსაკუთრებით ძარღვებსა და კიდეებზე. 8-40-ყვავილიანია. გვირგვინი ვარდისფერია, გარედან სქლად არის შებუსული მარტივი ბენვით. ყვ. ნაყ. IV-X. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე ტყეებსა და ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში, მშრალ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიას, ირანს, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს და ჩრდილო ამერიკას.



Galeopsis bifida Boenn. - თაპსეხლა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

15-60 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მარტივი ან დატოტვილი. ჯაგრისებური ბენჯით შებუსული, ზოგჯერ - შიშველი. ფოთლები კვერცხის ფორმისაა ან ლანცეტა, მრგვალკბილა, შებუსული. ყვავილედის ჩხროები სფეროსებურია, შებუსული. გვირგვინი მენამულია, სოსანი, მოყვითალო ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, თითქმის მთელ ევრაზიას, ჩრდილო ამერიკას/შეტანილია.

Glechoma hederacea L. - ოშოშა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, მხოხავი, მუხლებში დაფესვიანებული, მრავალი წამოწეული ან სწორად მდგომი ყლორტით. ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებურია, კიდევებზე მსხვილ-მრგვალკბილა, ზედა მხარე - მუქი მწვანე, ქვედა მხარე კი უფრო ღია ფერისაა ან მოწითალო-იისფერი. ყვავილები შეკრებილია 3-4-ყვავილიან შუა და ზედა ფოთლების იღლიებში განლაგებულ ჩხროებად. გვირგვინი მოცისფრო-იისფერია, გარედან შებუსული, ღრმად ამოკვეთილი ზედა და უფრო გრძელი ქვედა ტუჩით. ყვ. ნაყ. III-VII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში, მდინარის სანაპიროებზე და, როგორც სარეველა, ბოსტნებსა და ბაღებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილო ამერიკას.



Lamium album L. - ჭინჭრის დედა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

10-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტივი, ფოთლები კვერცხისებურია, გრძლად წანვეტებული, კიდეებზე – ხერხკბილა, ორივე მხარეზე თხლად შებუსული, მჯდომარე, 8-9, ერთმანეთისგან დაშორებულ, ჩხროდ განლაგებული. გვირგვინი მოყვითალო ან ჭუჭყისფერ-თეთრია, მისი ქვედა ტუჩის თითო სადგისისებური დანამატი და ორი პატარა ზომის კბილია, ზედა ტუჩი გარედან სქლადაა დაფარული გრძელი წამწამა ბენვით. ყვ. ნაყ. IV-X. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე ფოთლოვან ტყეებში, მდინარეთა სანაპიროებზე, ველებზე, ჩამონახვავებზე, ღობეებსა და ბუჩქების ძირში, ბაღებსა და ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ინდოეთს, მონღოლეთს, აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Lamium amplexicaule L. - ჰაზისძირა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

10-30 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ძირიდანვე მეტ-ნაკლებად დატოტვილია, უფრო იშვიათად – მარტოული, ზედა ნაწილში შებუსულია, ღეროსეული ქვედა ფოთლები მოკლეყუნჩიანია, ზედა ფოთლები – მჯდომარე, ღერომხვევი, გაბნეული, მოკლე ბენვით მოფენილი ან თითქმის შიშველი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან თავაკისებურ ჩხროებად, ჩხროები ერთმანეთისგან დაშორებულია ან ზედა ნაწილში მიახლოებული. გვირგვინი ხორცისფერ-წითელია ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. III-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე – მინდვრებში, ფერდობებზე, ბაღებში, ვენახებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Lamium tomentosum Willd.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

6-23 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო უმეტესად ზედა ნაწილში შებუსულია სქელი, მეტნაკლებად გაფარჩხული ბენვით, ჩვეულებრივ, რამდენადმე მუქი მონითალო ფერისაა. ღეროსეული და ყვავილთანური ფოთლები ერთნაირი ფორმისაა, კვერცხისებური, 1,2-2,5 სმ სიგრძისა და 1-1,5 სმ სიგანის. ორივე მხარეზე მეტ-ნაკლებად ხშირი, მიტკეცილი ბენვით დაფარული. ყვავილები 1,5-2,7 სმ სიგრძისაა, მჯდომარე, 5-6-ყვავილიან ჩხროებად განწყობილი. გვირგვინი მოთეთროა, ჩალისფერი ან მკრთალი ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპური და სუბნივალური სარტყლების ჩამონაბზავებსა და მორენებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, იმერეთში, აჭარაში, შიდა ქართლში მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ირანს.

Leonurus quinquelobatus Gilib. – შაპბაღახა

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

50-200 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს მრავალი დატოტვილი, მახვილწვერიანი ღერო. ქვედა ფოთლები მომრგვალო ფორმისაა, გულისებური ძირით, ღრმად თათისებურად 5-7-ნაკვთიანი. ღეროსეული შუა და ზედა ფოთლები ლანცეტა ან ოვალური ფორმისაა. ყველა ფოთოლი ყუნჩიანია, ზედა მხარე მუქი მწვანე ფერისაა, ქვედა – ღია ფერის, ორივე მხარე მოკლე და რბილბენვიანია. ყვავილები მოკლეყუნჩიანია, მრავალყვავილიან მჭიდრო ჩხროებად შეკრებილი, რომლებიც განლაგებულია კიდემთლიან ან 1-2-კბილიან თანაყვავილის იდლიებში. გვირგვინი ვარდისფერია ან მოვარდისფრო-იისფერი, გარედან – ბანჯგვლიან-ბენვიანი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე რუდერალურ ადგილებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს.



Marrubium vulgare L. - ფოლორცის ბალახი

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

30-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, თეთრი, ქეჩისებური შებუსვით. აქვს მრავალი მარტივი ან დატოტვილი ღერო. ფოთლები კვერცხისებურია ან ელიფსური, კიდებე მსხვილად კბილისებრ განკვეთილი. ფოთლის ფირფიტა დანაოჭებულია, ზედა მხარეზე გაბნეულბენჯიანი, ქვედა - მოთეთრო. ქეჩისებური შებუსვით. ჩხროები მრავალყვავილიანია, დაშორიშორებული. გვირგვინი თეთრია, ზედა ტუჩი ქვედა ტუჩის ტოლია და წვერზე ორად არის გაყოფილი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია აფხაზეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და ინდოეთს.

Mentha longifolia (L.) L. - მენთის პიტნა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

30-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყლორტები მეტ-ნაკლებად დაფარულია ქეჩისებური მარტივი ბენჯით. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-კვერცხისებურიდან ლანცეტამდე, სუსტად გამოსახული ფრთისებური ძარღვებით. ყვავილები შეკრებილია გრძელ, მჭიდრო, ზოგჯერ წყვეტილ, ცილინდრული ფორმის თავთავისებურ ყვავილედებად ან მეტწილად - საგველასებურ ყვავილედებად. გვირგვინი ლილისფერია, ხორცისფერ - წითლამდე. ყვ. ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყისპირებში, ველობებსა და ბუჩქნარებში, მდინარეთა და არხების ნაპირებზე, ტენიან მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ციმბირს, შუა აზიასა და ჩრდილო აფრიკას.



Nepeta grandiflora M. Bieb. - ჯარბქენძი

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

125 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მეტწილად დატოტვილი, შიშველია ან თხლად შეხუსული. ფოთლები დიდი ზომისაა, მოგრძო-კვერცხისებური, ბლაგვკბილებიანი, მოკლეყუნწიანი. ჩხროები მრავალყვავილიანია, ყვავილეთი საგველაა. ჯამი იისფერია, გვირგვინი - მუქი ლურჯი ან იისფერი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტყის, სუბალპური და ალპური სარტყლების ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია რაჭაში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Origanum vulgare L. - მავშპაპა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი, შეფოთლილი, ზედა ნაწილში ყვავილეთით ან ტოტებით ბოლოვდება. ფოთლები კვერცხისებურია. ყვავილები მოკლე ყუნწებზეა განლაგებული, ყვავილეთი ფარისებური საგველაა. გვირგვინი ღია ყავისფერ-წითელია ხორცისფერ-წითლამდე, ზოგჯერ ჭუჭყისფერ-თეთრია. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების ბუჩქნარებში, მდელოებზე, ტყისპირებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, შუა აზიას, ირანსა და ჩრდილო ამერიკას.



Phlomis herba-venti subsp. pungens (Willd.) Maire ex DeFilipps = Phlomis pungens Willd. - ჭინჭარა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

30-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია ან დატოტვილი, უხვად შებუსუსი. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, გრძელყუნწიანი. კიდევებზე მსხვილ-მრგვალებილაა. ღეროსეული ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა, მოკლეყუნწიანი. კენწრული ფოთლები კიდემთლიანია, პატარა ზომის. ყვავილები შეკრებილია 6-10-ყვავილიან ჩხროებად. გვირგვინი მონითალო-იისფერია ან ლილისფერი. ზედა ტუჩი რკალივით არის მოხრილი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ველებზე, ნასვენ ადგილებში, ბუჩქნარებში. ცნობილია სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანსა და ცენტრალურ აზიას.

Phlomoides laciniata (L.) Kamelin & Makhm. = Eremostachys iberica Vis.

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

60-100 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მძლავრია, მარტივი ან დატოტვილი, აბლაბუდისებურ-ქეჩისებურად შებუსუსი. ფოთლები ფრთისებურია, დაყოფილია მოგრძო-ლანცეტა ან თითქმის ხაზურ სეგმენტებად. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია. ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე მეტ-ნაკლებად აბლაბუდისებურბენწიანია. ყვავილები მჯდომარეა, 8-10-ყვავილიან ჩხროებად შეკრებილი. გვირგვინი მომწვანო-მოყვითალოა, მისი ზედა ტუჩი სწორია და მხოლოდ ზედა ნაწილშია მოხრილი, გარედან გრძელბენწიანია, რომელსაც მოკლე, ჭირკვლოვანი ბენწებიც ერევა. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ფერდობებზე. საქართველოში გავრცელებულია კახეთსა და თბილისის მიდამოებში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილო ირანს.



Phlomis tuberosa L. (Moench) = Phlomis tuberosa L.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

50-150 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია ან დატოტვილი, შიშველი ან ყვავილედში ოდნავ შებუსული, მონითალო-მოიისფრო. ფესვთანური და შუათანა ფოთლები მოგრძო-სამკუთხა – კვერცხისებურია, ზედა ფოთლები სამკუთხა-ლანცეტაა. ყველა ფოთოლი კიდეზე მსხვილ-მრგვალებილია. ყვავილები მჭიდრო მრავალყვავილიან ჩხროებად არის შეკრებილი, რომლებიც განლაგებულია ლანცეტა, მჯდომარე, კენწრული ფოთლების ილღიებში. ჯამი მილისებურ-ბარისებურია. გვირგვინი მოვარდისფრო-სოსანია, ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ადგილებსა და ნაირბალახოვან სტეპურ დაჯგუფებებში, ბუჩქნარებში, მდელოებსა და საძოვრებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, შუა აზიასა და ჩრდილო ირანს.

Prunella laciniata (L.) L.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მოფენილია ხშირი, თეთრი ბენჯით. 5-30 სმ სიგრძის ღერო წამოწეულია. ფოთლები კვერცხისებურია, ელიფსური ან ლანცეტა. ზედა ფოთლები ფრთისებურადაა განკვეთილი ხაზურ ნაკვეთებად, ქვედა ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, კიდემთლიანია ან დაკბილული. ყვავილედითა ვთავისებურია, ხშირი, კვერცხისებური ან მოგრძო. გვირგვინი, ჩვეულებრივ, მოყვითალოა ან თეთრი. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყეებში, გზის პირას, ბუჩქნარებში, ნატყევარ მდელოებზე, მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, მდინარეთა რიყნარებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Prunella vulgaris L. - გობისცხვირა


ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გაფანტულბუნვიანი ან თითქმის შიშველი. 8-40 სმ სიმაღლის ღერო წამოწეულია ან სწორად მდგომი. ფოთლები კვერცხისებურია ან მოგრძოკვერცხისებური, კიდემთლიანი ან დაშორიშორებულ-მრგვალებილა. ყვავილედითა და თაფლისებურია, კვერცხისებური ან მოგრძო, ჯამი მენამული ფერისაა, თითქმის მოშავო-იისფრამდე. გვირგვინი იისფერია, ზოგჯერ - თეთრი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე - ტყეებში, ტყისპირა მდელოებზე, ბუჩქნარებსა და ნატყვეარ მდელოებზე, მდინარეთა და ტბების ნაპირებზე, ბაღებსა და გზისპირა ადგილებში, ზოგჯერ, როგორც სარეველა - ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკას.

Salvia aethiopsis L. - ბამბიქულა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

20-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მთელი მცენარე მოფენილია თეთრი, მატყლისებური ბუნვით, ძირიდანვე დატოტვილია. ფესვთანური ფოთლები როზეტულია, კვერცხისებური ან რომბისებურ-ელიფსური. კიდეებზე არათანაბრად ამოღრღნილი, დანაოჭებული ზედაპირით. ღეროსეული ფოთლები პატარაა, სულ ზედა ფოთლები ღერომხვევია, გულისებური ფორმის. ყვავილედით სწორად მდგომი საგველაა. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სტეპებში, ველებზე, ხნულებსა და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.



Salvia garedjii Troitsky - ბარეჯის სალბი

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

20-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო მწვანე ფერის, ძირიდანვე დატოტვილი. ღერო აღმავალია ან თითქმის სწორი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, მოფენილია საკმაოდ გრძელი და ხშირი ბენვით. ფოთლები მოკლეყუნნიანია, სქლადაა მოფენილი გრძელი, გაფარჩხული ბენვებით, 5-6 სმ სიგრძის, ფრთისებურად განკვეთილია 2-4 წყვილი ფოთოლაკით. ყვავილენი საკმაოდ ფარჩხატია, ჩხროები 8- ყვავილიანია. გვირგვინი კაშკაშა მენამული ფერისაა, გარეთა მხარე ხუჭუჭა ბენვითაა შებუსული, მოფენილია მჭდომარე ჯირკვლებით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სილაქვებზე, ვიწრო ხეხვებში. მცენარე საქართველოს ენდემია. მცენარე აღწერილია 1928 წელს გარეჯის მიდამოებში. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.

Salvia glutinosa L. - შალამანდილი

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

40-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მეტწილად სწორია, მარტივი, ხშირად ფოთლების იდლიებში მოკლე ყლორტებია განვითარებული ან მეტ-ნაკლებად დატოტვილი. ყველა ფოთოლი ყუნნიანია, შუბის ან კვერცხისებური, კაშკაშა მწვანე ფერის, ორივე მხარეზე თხლად თეთრი ბენვით შებუსული, საკმაოდ ჯირკვლოვანია, მცენარე ხასიათდება მძაფრი სუნით. ყვავილები შეკრებილია მტევნისებურ, ზოგჯერ საგველასებურ ყვავილედებად. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა, ქვედა ტუჩი მოთეთრო ან მონითალო მოხატულობისაა. ყვ. ნაყ. IX-X. იზრდება დაჩრდილულ ტყეებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.



Salvia nemorosa L.

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

20-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მიტკეცილი და მეტ-ნაკლებად ქეჩისებურად შებუსული. ღერო ნამონეულია, ძირიდან სწორი; ზედა ნაწილში, ჩვეულებრივ, დატოტვილია, ნაცრისფრად შებუსული. ქვედა ნაწილში თითქმის სულ შიშველია, ხშირად მონითალო-იისფერია. ფოთლები მეტწილად ღეროსეულია. ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, კვერცხისებურ-ლანცეტა ფორმის, ზედა მხარე თითქმის შიშველია, მკრთალი მწვანე ფერის, ქვედა მხარე – მონაცრისფროდ შებუსული. ყვავილები მოკლეყუნებიანია, ჩხრო, ჩვეულებრივ, 2-4-ყვავილიანია და ქმნის თავთავისებურ ყვავილედს. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, უფრო იშვიათად – ვარდისფერი ან თეთრი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ბუჩქნარებში, სტეპებზე, მშრალ მდელოებსა და ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიასა და ირანს.

Salvia verticillata L. - დაჭირა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

30-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხშირად ძირიდანვე დატოტვილია, თხლად ან საკმაოდ სქლად შებუსული მოკლე, ჯაგრისებური ბენვით. ფოთლები მეტწილად ღეროსეული და ფესვთანურია, ფორმით გულისებურ-კვერცხისებურიდან შუბისებურამდეა; 20-40-ყვავილიანი ჩხროები შეკრებილია ფარჩხატ, მტევნისებურ, ზოგჯერ საგველასებურ ყვავილედებად. გვირგვინი კაშკაშა იისფერია, მისი ზედა ტუჩი თითქმის გულისებურია, ძირში სანელური აქვს და გარედან ოდნავ შებუსულია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ქვიან, თიხნარ, ღორღიან ეკოტოპებზე, მშრალ ფერდობებზე, სტეპებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, სირიას, ირანსა და ჩრდილო ერაყს.



Satureja laxiflora C. Koch

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

10-30 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, წვრილი ტოტე-ბით, ხშირად ძირიდან მეჩხრად დატოტვილი ღერო ისევე, როგორც ტოტები, ხშირად შებუსულია წვრილი, ხუჭუჭა ბენვით. ფოთლები ვიწრო-უკუღანცეტა-ხაზური ან თითქმის ხაზური ფორმისაა, წვერში მობლაგვოა და ყუნწი არ აქვს მკაფიოდ გამოსახული. ჩხროები 1-3-ყვავილიანია, დაშორიშორებული, შეუცვლელი კენწრული ფოთლების იღლიებში განლაგებული. გვირგვინი ვარდისფერი ან იასამნისფერია, ხახაში მენამული ფერის წერტილებით. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების, ღორღიან და კლდოვან ადგილებში, მშრალ ფერდობებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, მთიულეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ირანს.

Scutellaria altissima L. - მუზარადა

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

120 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი, სულ ქვედა ნაწილში – ირგვლივ შებუსული, ზედა ნაწილში მხოლოდ წიბოებია მოკლე, ხუჭუჭა ბენვით შებუსული. ფოთლები მეტწილად დიდი ზომისაა, კვერცხისებური. ყველა ფოთლის ზედა მხარე მუქი მწვანე ფერისაა, შიშველი, ქვედა მხარე – უფრო ღია ფერის. ყვავილედნი მტევნისებურია, მოგრძო, ცალმხრივი. გვირგვინი ზედა ნაწილში მოციფრო-იისფერია, ქვედა ნაწილში – მოთეთრო. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ფოთლოვან და წიწვიან ტყეებში, ტყის პირას, ბუჩქნარებში, ტყის ველობებზე, ხეებში, მაღალ ბალახეულობაში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Scutellaria orientalis L. - მუზარადა

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო - 7-25 სმ სიმაღლის, გახევებული, წამოწეული, ჩვეულებრივ, დაკლაკნილი, ხუჭუჭა ბენჯით მოფენილი. ფოთლები - მომრგვალო - სამკუთხა ან ფართო-კვერცხისებური, ზედა მხარე - მოკლე, მჭიდროდ მიკრული ბენჯით მოფენილი, მუქი მწვანე ან მორუხო-მწვანე ფერის. გვირგვინი საშუალო ზომისაა ან საკმაოდ მსხვილი, ყვითელი, გარედან მოკლე, მარტივი და ჭირკვალა ბენჯით მოფენილი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ქვიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში. გავრცელებულია კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Sideritis montana L. - საყვიითლო

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-50 სმ სიმაღლისაა, შებუსული, სწორად მდგომი ან წამოწეული, მარტივი ან შუა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ელიფსურია, ბლავი, წვეტიანი ან წაწვეტებული, მოკლეყუნჩიანი; ფოთლები მეტწილად კიდემთლიანია, ორივე მხრიდან - მქრქალი მწვანე, შებუსული. ყვავილები განლაგებულია ჩხროებში, შეკრებილი გრძელ, დანანევრებულ, ცრუ თავთავებად. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე - მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე, ველებზე, ნათესების სარეველაა. საქართველოში სპორადულად თითქმის ყველგან გვხვდება. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, შუა აზიასა და ავღანეთს.



Stachys atherocalyx K. Koch

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, 80 სმ-მდე სიმაღლის, დატოტვილი, მოფენილი მეჩხერი ბეწვით. ღეროსეული ქვედა და შუა ფოთლები მოგრძო-ელიფსურია ან მოგრძო-ლანცეტა; კიდევებზე ხერხკბილა ან ზოგჯერ კიდემთლიანია, შებუსული. გვირგვინი მოთეთროა, მის ზედა ტუჩს გასდევს მკვეთრად გამოსახული მენამული ბოლი, ქვედა ტუჩზე მოწითალო ლაქაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მშრალ ბალახოვან და ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და ტყისპირებში – მთის ქვედა და შუა სარტყლებში, ზოგჯერ ადის სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Stachys fruticulosa Bieb.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გაფარჩხულტოტებიანი ნახევრად ბუჩქი. მცენარის მწვანე ნაწილები თხლად შებუსულია მოკლე, ხუჭუჭა ბეწვით. ღეროსეული ფოთლები პატარა ზომისაა, მოგრძო-ნიჩბისებური, მოგრძო-ელიფსური ან ხაზური. ჩხროები 2-ყვავილიანია, დაშორიშორებული, ყვავილები ყუნწიანია, ზოგჯერ – თითქმის მჯდომარე. თანაყვავილაკები ძალიან პატარა ზომისაა, სადგისისებური, თეთრი და თხლად შებუსული. გვირგვინი ვარდისფერია, ზედა ტუჩის ძირთან ორივე მხარეზე აქვს თითო მენამული ფერის ბოლი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის შუა სარტყლამდე მშრალ, ღორღიან, თიხნარ ადგილებში, ხშირად სუსტად დამლაშებულ ფერდობებზე. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას, მცირე აზიის აღმოსავლეთ და ირანის დასავლეთ ნაწილს.



Stachys macrantha (K. Koch) Stearn = *Betonica grandiflora* Steph. ex Willd. - ბბრნისპირბ

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

25-70 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსულია გრძელი და მარტივი ბენწებით. ღერო მარტივია, რამდენიმე, სწორად მდგომი, ოთხწახნაგოვანი, ძირისკენ გადახრილი ბენწით შებუსული. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია, ბლაგვი, კიდეებზე მსხვილ-მრგვალკბილა, ძირთან კიდეითლიანი. ყველა ფოთლის ზედა მხარე გაფანტულბენწიანია, ქვედა მხარეზე კარგად გამოსახული ძარღვებია და შებუსულია ხშირი ჯაგრისებური ბენწით. ყვავილები შეკრებილია 5-10-ყვავილიან ჩხროებად, რომლებიც მჭიდრო ან წყვეტილ თავაკისებურ კენწრულ ყვავილეებს ქმნიან. გვირგვინი გაფანტულბენწიანია, მუქი ვარდისფერი - მენამულამდე, ყვ. ნაყ. VII-VIII. იბრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების მდელოებსა და სუბალპური ტყეების ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანს.

Stachys sylvatica L.

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

90 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტივი ან მხოლოდ ზედა ნაწილში დატოტვილი, დაფარულია გაფარჩხული, რბილი ან ოდნავ უხეში, გაფანტული, დანაწევრებული ბენწით. ღეროსეული ფოთლები მეტწილად საკმაოდ დიდი ზომისაა, კვერცხისებურ-გულისებური. ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე მიტკეცილბენწიანია. ყვავილედი გრძელია, ნახევრად ჩხროები, ჩვეულებრივ, 6-ყვავილიანია; ქვედა ჩხროები დამორიშორებულია, ზედა კი - მიახლოებული. ჯამი სწორია, შიშველი ხახით. გვირგვინი მუქი წითელია, წვერზე გარედან მოკლედ შებუსული ზედა ტუჩითა და გარედან შიშველი ქვედა ტუჩით. ყვ. ნაყ. V-VIII. იბრდება ტყეებში, ტყისპირებში, მდელოებზე და ხეობებში, იშვიათად გვხვდება, როგორც სარეველა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ციმბირს, შუა და აღმოსავლეთ აზიას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.



Teucrium chamaedrys subsp. nuchense (K. Koch) Rech. f. = Teucrium nuchense K. Koch

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

10-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძირთან გახევებული, შებუსული. საყვავილე ყლორტები წამოწეული, მარტივი ან დატოტვილია, დაფარულია მეტ-ნაკლებად ხუჭუტა, ძირს დახრილი ბენვით. ფოთლები კვერცხისებური ან მოგრძო-კვერცხისებურია, კიდებე – მომრგვალო, ზემოდან გაბნეულბენვიანი, ქვემოდან – შედარებით ხშირბენვიანი. ყვავილეთი კენწრულია, კუმსი, ჩხროები მრავალყვავილიანია, მჭიდრო; ჯამი ზარისებურია და შებუსული. გვირგვინი მენამული ფერისაა. გარედან ძლიერ შებუსული. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთისწინებიდან 2350 მ-მდე მშრალ ფერდობებზე, ნაშალებზე, ტყის ველობებზე, ბუჩქნარებში. ცნობილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, გარდა აჭარისა, გურიისა და სამეგრელოსი. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Teucrium orientale L.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

10-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს რამდენიმე ღერო – სწორად მდგომი ან წამოწეული, ზედა ნაწილში დატოტვილი, ოთხნახნაგოვანი, მეტ-ნაკლებად შებუსული ან შიშველი. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია, ერთ ან ორმაგად, ფრთის მსგავსად განკვეთილი. ყვავილეთი საგველასებურ-ფარისებურია, ჩხროები – 1-3-ყვავილიანი; გვირგვინი ცისფერია ან მოიისფრო-ლურჯი, ქვემოდან შებუსულია, გვერდითი ნაკვთები კვერცხისებურია ან ლანცეტა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე მშრალ ფერდობებსა და ტყის ველობებზე. გავრცელებულია აჭარაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, მცირე აზიასა და ირანს.



Teucrium polium L. - კუთი ბალახი

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

5-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, დატოტვილი, თეთრი, ქეჩისებური შეხუსვით. ფოთლები მოგრძოა ან უკუღანცეტა, კიდებზე მრგვალკბილა ან ქვედა ნაწილში კიდემთლიანი; ფოთლის ფირფიტა ორივე მხარეზე ქეჩისებური შეხუსვითაა, ზემოდან - მწვანე ან მოთეთრო, ქვემოდან - მოთეთრო. ყვავილედ თავაკისებურია, მომრგვალო ან კვერცხისებური, ყვავილები მჯდომარეა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე, ნაშალებზე, ველებში, ბუჩქნარებში, ფრიგანოიდურ მცენარეულობაში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Thymus collinus M. Bieb.

ოჯახი: Lamiaceae - ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ან ნახევრად ბუჩქი, წამოწეული, ძირში გახევებული, დატოტვილი ღეროებით. საყვავილე ყლორტები 5-20 სმ სიმაღლისაა, მთელ სიგრძეზე შეხუსულია ძირს დახრილი მოკლე ბეწვით. ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო-კვერცხისებური ან კვერცხისებური, ფოთლის ზედა მხარე შიშველია, გვერდითი ძარღვები 2-3 წყვილია, წერტილოვანი ჯირკვლებით. ყვავილედ თავაკისებურია, მჭიდრო. ზედა ტუჩის კბილები ფართოსამკუთხაა, შიშველი ან კიდუნამწამიანი. გვირგვინი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან 2400 მ-მდე ქვიან-ლორდიან სუბსტრატზე, კლდეებზე, ბუჩქნარში და მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემია.



Thymus tiflisiensis Klokov & Des. -Shost.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ან ნახევრად ბუჩქი, ძლიერ გახევებული, სუბსტრატზე მიკრული ღეროებით, რომლებიც საყვავილე ყლორტებით ბოლოვდება. ღეროებზე მწკრივშია განლაგებული. ფოთლები მოკლევუნნიანია, მკვრივი, მოგრძო-ლანცეტასებური ფორმის, ყვავილეთი მოგრძო-თავაკისებურია, ჩვეულებრივ – წყვეტილი, დიქაზიუმების ყუნწები გაფარჩხული ბენჯითაა შებუსული ან ზედა მხარეზე შიშველი. გვირგვინი 6-7 მმ სიგრძისაა, მკრთალი სოსანისფერი, გარედან შებუსული. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ადგილებში, ძეძვიანებში, ძეძვიან-უროიანებსა და ვაციწვერიან-უროიან ველებში. გავრცელებულია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Ziziphora capitata L.

ოჯახი: Lamiaceae – ტუჩოსნები

10-25 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძირიდანვე დატოტვილი, სწორად მდგომი, დაფარულია ხშირი, მოკლე, ქვემოთ დახრილი ბენჯებით. ღეროსეული ფოთლები ფართო-ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, კიდეები და ქვედა მხარე, ძარღვების გაყოლებაზე, შებუსულია გრძელი, გაფანტული ბენჯით. ყვავილეთი სფეროსებურია, გვირგვინი მონითალო-იისფერია, გვირგვინის მილი ოდნავ არის ამოყოფილი ჯამიდან. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებში, ველებსა და მითოვებულ მინდვრებში. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, ბალკანეთს, მცირე აზიას, სირიას, ერაყსა და ირანს.



Laurus nobilis L. - კეთილშობილი დაფნა

ოჯახი: Lauraceae – დაფნისებრნი

ხე ან ბუჩქია, გლუვი წაბლისფერი ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, მარადმწვანე, ტყავისებური, მოგრძო-ლანცეტა ფორმის, მოკლეყუნჩიანი. ყვავილი პატარაა, შეკრებილია ფოთლის უბეებში მჭდომარე ცრუქოლგისებურ ყვავილედებად. ნაყოფი ელიფსურია ან კვერცხისებური; მნიფე ნაყოფი შავია, ჩვეულებრივ, ლეგა ნაფიფქით. ყვ. ნაყ. III-VIII. იზრდება ტყის ქვედა სარტყელში ან მთისწინებზე. გავრცელებულია სამეგრელოსა და იმერეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და სამხრეთ ევროპას. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.

Anthyllis vulneraria subsp. boissieri (Sagorski) Bornm. = Anthyllis lachnophora Juz. - კურდღლის ბაღბხი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

25 სმ-მდე სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 2-5 ღერო, რკალივით წამოწეული ან გართხმული, შებუსული ხშირი, მოკლე, მიტკეცილი ბენვით. ღეროსეული ფოთლების ფოთოლაკები 3-5 წყვილია, ვიწრო-კვერცხისებური ან მოგრძო-ლანცეტა ფორმის, ზედა მხარე გაფანტულბენვიანია, ქვედა – ხშირი და გრძელი აბლაბუდისებურბენვიანი. საყვავილე თავაკი – რიცხვით 2-5. გვირგვინი ყვითელია, ჭკნობისას მომურო ფერის ხდება. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მდელოებსა და ჩამონახვავებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Astracantha denudata (Steven) Podlech = Astragalus denudatus Steven.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

80 სმ სიმაღლის ეკლიანი ბუჩქია. ფარისებური, დაბალი, ქოლგისებური ან ნახევარსფეროსებური ფორმის. ტოტები დაფარულია ოდნავ მოღუნული, 2-4 სმ სიგრძის, ეკლებით. ფოთლები შედგება 6-8 წყვილი ფოთოლაკისაგან, ფოთოლაკები ვიწროა, მოგრძო ან მოგრძოხაზური, წვერში ეკლით დაბოლოებული, ქეჩისებურად შებუსული. ფოთლის იღლიაში 2-3 ყვავილია. ყვავილედო მოგრძო-ოვალურია. გვირგვინი ჩალისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ქვიან, ღორღიან სუბსტრატზე სამხრეთ და აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე 1800 მ-მდე. გავრცელებულია მთიულეთში, თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Astragalus brachycarpus M. Bieb.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, თითქმის უღერო, ძირში ოდნავ გახევებული, ნაცრისფერ-მწვანე; სქლად არის შებუსული მოკლე, მიტკეცილი მალპიგის ბენჯით. ფოთლები შედგება 10-17 წყვილი ელიფსური ან მოგრძო-ელიფსური ფოთოლაკისაგან. ყვავილედო ხშირი მტევანია, კვერცხისებურ-მოგრძო, ფარჩხატი. გვირგვინი მღვრიე მენამულ-იისფერია. ყვ. IV-V, ნაყ. V-VI. იზრდება მთის შუა სარტყელში მშრალ, თიხნარ და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Astragalus bungeanus Boiss. - ასტრაბგალი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

20-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო-მწვანე, მალპიგის ბენჯით შებუსული. ღერო წამოწეულია, დატოტვილი. თანაფოთლები თითქმის შეზრდილია, ფოთლები შედგება 7-21 წყვილი მოგრძო-ელიფსური ფოთოლაკისაგან. ყვავილედ მტევანია, ხშირი, კვერცხისებური ფორმის. გვირგვინი კაშკაშა ვარდისფერ-იისფერია. ყვ. IV-V, ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. მცენარე საქართველოს ენდემია.

Astragalus eriocarpus DC. = Astragalus mollis M. Bieb.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, თითქმის უღერო, სქლადაა შებუსული რბილი ბენჯით. ფოთლები შედგება 10-12 წყვილი ელიფსური ან მოგრძოელიფსური ფოთოლაკისაგან. ყვავილედ მტევანია, ხშირი, მოყვანილობით – კვერცხისებური, ნაყოფობისას გრძელდება და უფრო ფარჩხატია. გვირგვინი მომწვანო-ყვითელია. ყვ. IV-V, ნაყ. V-VI. იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყელში. გავრცელებულია თბილისის მიდამოებში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Astragalus stevenianus DC.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

20-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრგვალია, წვრილი, ძირში წამოწეული. ფოთლები შედგება 5-7 წყვილი ხაზური ფოთოლაკისაგან, რომლებიც შებუსულია მიტკეცილი მალპიგის ბენვით. ყვავილები შეკრებილია მეტ-ნაკლებად თავაკისებურ ყვავილელებში. გვირგვინი მენამულია. ყვ. IV-V, ნაყ. V-VI. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ნაშალებზე, ავშნიან-უროიან ნახევარუდაბნოში. გავრცელებულია ქვემო ქართლში, მესხეთ-ჭავჭავთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.

Caragana grandiflora (M. Bieb.) DC. – შდრბეულა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

1 მ-მდე სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია. ტოტები წახნაგოვანია, მურა ნაცრისფერი, წახნაგებთან კორპისაგან შექმნილი მოთეთრო ფერის გასწვრივი ზოლებით. თანაფოთლები ეკლიანია; ფოთლები მოკლეყუნწიანია, ოთხი, ერთმანეთთან მიახლოებული, სოლისებური, 4-10 მმ სიგრძის, შიშველი ან შებუსული. ყვავილები მარტოულია. ჯამის ფოთოლაკები – ყვითელი, ქვედა ნაწილში – მურა ფერის; კბილები სამკუთხაა, ყვავილი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ხშირად გაუვალ რაყას ქმნის. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიასა და მცირე აზიას.



Colutea cilicica Boiss & Balansa.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ლეგა, 6-9 სმ სიგრძის ფოთლებით, კენტფრთისებური, შედგება 3-6 წყვილი ფოთოლაკისაგან. ფოთოლაკები ოვალურია ან უკუკვერცხისებურ-ელიფსური, ზედა მხარე – შიშველი, ქვემოდან – მიტკეცილებნვიანი. ყვავილეთი 3-7-ყვავილიანია, მტევნისებური, გრძელი ყუნწებით. გვირგვინი ყვითელი ფერისაა. ყვ. V, ნაყ. VI-VIII. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში, ველების, მეჩხერი ტყეებისა და ქსეროფილური ბუჩქნარების ცენოზებში, უპირატესად – მთისწინებზე. გავრცელებულია აფხაზეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიას.

Colutea orientalis Mill. - ფუჭფუჭა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

1-2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ლეგა, თხლად შებუსული ტოტებით. 5-6 სმ სიგრძის ფოთლები კვერცხისებურია, შედგება 3-5 წყვილი ფოთოლაკისაგან; ფოთოლაკები უკუკვერცხისებურია ან მომრგვალო, ზედა მხარე შიშველია, ქვემოდან შებუსული. ყვავილეთი 1-5-ყვავილიანი მტევანია. ყვავილი ნარინჯისფერ-წითელია, უფრო მუქი ძარღვებით. აფრას ძირში ორი ყვითელი ლაქა აქვს. ყვ. V-VI, ნაყ. VI-VII. იზრდება კლდოვან და ქვიან ადგილებში, ნახევრად უდაბნოს, ველების, მეჩხერი ტყეებისა და ქსეროფილური ბუჩქნარების ცენოზებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმსა და სამხრეთ ევროპას.



Cytisus ruthenicus Wol. = Cytisus caucasicus Grossh. - ტყინცოცხი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

60-200 სმ სიმაღლის ბუჩქია. ღეროები და ყლორტები (განსაკუთრებით – ნორჩი ნაწილები) სქლადაა შებუსუსული. ფოთლები 25 მმ სიგრძისაა და უკუკვერცხისებური ან ელიფსურია. ყვავილედ მრავალყვავილიანი მტევანია. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის შუა სარტყელში ქვიან ფერდობებზე, იშვიათად – მუხნარ-რცხილნარი ტყეების ქვეტყეში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Dorycnium herbaceum Villar - ხუთყურა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

20-27 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ზედა ნაწილში მეტ-ნაკლებად მიტკეცილი ან ოდნავ გაფარჩხული ბენჯით შებუსუსული. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, დატოტვილი. ფოთლები მჯდომარეა ან მოკლეყუნჩიანი. ფოთოლაკები მოყვანილობით მოგრძო-სოლისებურია ან მოგრძო-უკუკვერცხისებური. ყვავილედ თავაკისებურია, სფერული, მრავალყვავილიანი. გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყისპირებში, ბუჩქნარებს შორის, ქვიან ფერდობებზე, ჩამონაშალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Galega orientalis Lam. - ხბოშუბლა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

50 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ოდნავ დაკლაკნილია, დატოტვილი, შიშველი ან მოკლე ბენვით თხლად მოფენილი. ფოთოლი კენტფრთისებურია, ბლაგვი, 9-13 წყვილი მოგრძო-კვერცხისებური ფოთოლაკისაგან შემდგარი. ყვავილები მრავალია, შეკრებილია მოგრძო, ფარჩხატ, ჯირკვლოვან-ბუსუსიან ილლიურ მტევნებად. გვირგვინი კაშკაშა მოცისფრო-იისფერია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების ტყეებში, ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მთიულეთსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Genista tinctoria L. = Genista patula M. Bieb.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

50-100 სმ სიმაღლის ბუჩქია. ღერო მარტოულია, ძლიერ დატოტვილი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტასებური ან მოგრძო-ლანცეტასებურია, შიშველი, კიდებებზე წამწამებიანი. თანაფოთლები ნემსისებურია. მტევანი მრავალყავილიანია, თანაბარი. ყვავილები 9-12 მმ სიგრძისაა. გვირგვინი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ნახევარუდაბნოებში, ველებსა და ფართოფოთლოვან ტყეებში. გავრცელებულია იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Genista transcaucasica Schischkin

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

20-40 სმ სიმაღლის ბუჩქია. ღერო მრავალია, ხშირი შეფოთვლით, სუსტად შებუსული. ფოთლები ვიწროა, ლანცეტა-ხაზური, მახვილწვერიანი, მიტკეცილი ბეწვით შებუსული ან თითქმის შიშველი. მტევანი კენწრულია, მრავალყვავილიანი, ხშირი. გვირგვინი ყვითელია, შიშველი. ყვ. V-VI, ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელებულია თითქმის მთელ კავკასიაში. მცენარე კავკასიის ენდემია.

Glycyrrhiza glabra L. - ძირთქბილა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

40-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველია ან მოკლებენვიანი, გაფანტული, წერტილისებური ჭირკვლებით მოფენილი. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი. ფოთლები 10-20 სმ სიგრძისაა, შედგება 3-9 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც ფორმით კვერცხისებურიდან ხაზურამდეა. ყვავილეთი მტევნისებურია, მრავალყვავილიანი. გვირგვინი იისფერია ან მოთეთრო-იისფერი. ყვ. V-VIII, ნაყ. VII-IX. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, უპირატესად – მდინარისპირა დაბლობებში, სარწყავი არხების ნაპირებზე, მლაშობებზე, როგორც სარეველა მცენარე. საქართველოში გვხვდება შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელებულია კავკასიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიაში.



Halimodendron halodendron (Pall.) Voss - მლაშობის ჩინბილი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

3 მ სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია, ეკლიანი. ფოთლები წყვილფრთისებურია, შედგება 2-5 წყვილი ფოთოლაკისაგან. ფოთლის საერთო ყუნწი წვერში ეკალივითაა. ფოთოლაკები უკულანცეტაა, კიდემთლიანი, მოლევო-მომწვანო ფერისა. ქვედა მხარე მჭიდროდ მიკრული ბენვით არის შებუსული, კარგად გამოხატული შუა ძარღვით. თანაფოთლები ეკლიანია, გვირგვინი – იისფერი. ყვ. ნაყ. VI. იზრდება მშრალ და მლაშე ფერდობებზე. გავრცელებულია ქვემო ქართლსა და კახეთში. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს შუა აზიას, ციმბირს, მცირე აზიასა და ირანს.

Hedysarum caucasicum M. Bieb. - კრიბლოსანა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-50 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, სუსტად დატოტვილი, თანაბრად შეფოთლილი. ფოთოლი შედგება 7-12 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც ოვალურია, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებური, ზედა მხარე შიშველია, ქვედა – მოკლე და მიტკეცილი ბენვით. მტევანი კენწრულია, არც ისე ხშირი. გვირგვინი მუქი მენამულია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ტენიან კლდეებსა და მორენებზე ზღვის დონიდან 3000 მ-მდე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და მთიულეთში. გავრცელებულია დიდ კავკასიონზე. კავკასიის ენდემია.



Lathyrus aphaca L. - ყანის მათკპარსანა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

15-60 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი, ნაცრისფერ-მწვანე ფერის. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, ოთხნახნაგოვანი, სწორად მდგომი ან აღმავალი. ფოთლის ნაცვლად განვითარებული აქვს ორი თანაფოთოლი და უღვაში. თანაფოთლები კვერცხისებური ან სამკუთხა-კვერცხისებური ფორმისაა. საყვავილე ღერძზე თავდახრილი ყვავილებია განწყობილი. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, მდინარეთა ნაპირებზე, ბუჩქნარებში მთის ქვედა სარტყლიდან 1800 მ-მდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და შუა აზიას.

Lathyrus cicera L.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 10-40 სმ. ღერო რამდენიმეა, გართხმული ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი, სიგრძეზე ჩასდევს ვიწრო ფრთები. ფოთოლი შედგება 1 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც ფორმით მოგრძო-ელიფსურია ან ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი. მტევანი 1-ყვავილიანია. გვირგვინი მღვრიე წითელია. ყვ. ნაყ. III-VII. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ბალახოვან ფერდობებზე, ნათესებსა და ნაჩხატებში. გავრცელებულია აფხაზეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Lathyrus digitatus (M. Bieb.) Fiori = Orobus cyaneus Stev.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, წიბოებიანი. ფოთლები შედგება 1-2 წყვილი ფოთოლაკისაგან. ფოთოლაკები ლანცეტა ან ხაზურლანცეტა ფორმისაა, მახვილწვერიანი. საყვავილე ღერძი წვრილია, 2-4 – ყვავილიანი. გვირგვინი მოლურჯო-ლილისფერია, ძირში თეთრი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მაღალმთის მდელოებზე 1500-2400 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიას.

Lathyrus incurvus (Roth) Willd.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ლეგა ფერის, ოდნავ შებუსული. ღერო სწორია ან ოდნავ წამოწეული, წახნაგოვანი, სიგრძეზე ჩასდევს ვიწრო ფრთები. ფოთოლი შედგება 3-5 წყვილი ფოთოლაკისა და ულვაშისაგან. ფოთოლაკები ფორმით მოგრძო-ელიფსურია ან მოგრძო-ლანცეტა. მტევანი 3-10 – ყვავილიანია. გვირგვინი მღვრიე მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლების მდელოებზე, მდინარეთა და ნაკადულების ნაპირებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, მცირე აზიასა და ირანს.



Lathyrus miniatus M. Bieb. ex Steven - ატრაჭუჭი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიგრძეზე განიერი ფრთები ჩასდევს. ფოთოლი შედგება ერთი წყვილი ფოთოლაკისა და დატოტვილი ულვაშისაგან. ფოთოლაკები ფორმით მომრგვალო-ელიფსურია ან უკუკვერცხისებური. მტევანი 5-7-ყვავილიანია. გვირგვინი მღვრიე ვარდისფერია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებს შორის 1500-1800 მ სიმაღლეზე. გავრცელებულია აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, მესხეთ-ჭავჭავთვში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Lathyrus pratensis L. - მდელოს მათკპარსანა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 30-100 სმ. შიშველი ან მეტ-ნაკლებად რბილმიტკეცილბენვიანი. ღერო სწორად-მდგომია, დატოტვილი, უფრო, ოთხნახნაგოვანი. ფოთოლი შედგება 1 წყვილი ფოთოლაკისა და ულვაშისაგან. ფოთოლაკები ოვალურია ან ხაზურ-ლანცეტა. მტევანი 3-12-ყვავილიანია. გვირგვინი ლიმონისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. II-VII. იზრდება მდელოებსა და ბუჩქნარებს შორის 1800-2000 მ-მდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, შუა აზიასა და ჩრდილო ამერიკას.



Lathyrus roseus Steven - არჭაბკელი

ოჯახი: Leguminosae - პარკოსნები

3-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია, ზედა ნაწილი მეტ-ნაკლებად გაფარჩხულტოტებიანი, წახნაგოვანი. ფოთლები შედგება 1 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც ნაზია და ფორმით მომრგვალო-ოვალური, უკუკვერცხისებური ან ფართო-ელიფსური. მტევანი 1-5-ყვავილიანია. გვირგვინი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიას.

Lotus corniculatus L. = Lotus caucasicus Kuprian. - კურდღლისფრჩხილა

ოჯახი: Leguminosae - პარკოსნები

40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მრავალი ღერო, გართხმული ან წამოწეული. ქვედა ფოთოლაკები კვერცხისებურია, ზედა ფოთლები - ლანცეტა. ყვავილედები 5-6-ყვავილიანია. გვირგვინი ყვითელი ფერისაა. გვირგვინის აფრა ბოგჯერ ნარინჯისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ტენიან მდელოებსა და ნაკადულების ნაპირებზე, ბალახოვან ფერდობებზე, მინდვრებსა და ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Medicago minima (L.) L. - პატარა იონჭა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

5-40 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეტ-ნაკლებად ბანჯგვლიანი ბენვით მოფენილი. ღერო სწორად მდგომია, წამოწეული ან გართხმული, უხვად შეფოთილი. ფოთოლაკები უკუგულისებურია ან უკუკვერცხისებური. ყვავილეთი 2-8-ყვავილიანი, მოკლე, თავაკისებური მტევანია. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება დაბლობიდან თითქმის სუბალპურ სარტყლამდე მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ქვიან და ქვიშნარ ადგილებში, გბისპირებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Medicago sativa L. = Medicago grandiflora (Grossh.) Vassilcz. - მდელოს იონჭა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

40-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო რამდენიმეა, დატოტვილი, სწორი, წამოწეული ან გართხმული, ზედა ნაწილში – მიტკეცილბენვიანი. თანაფოთლები ლანცეტაა, ფოთოლაკები მოგრძო ან მოგრძო-ხაზური, ქვედა მხარეზე მიტკეცილი ბენვით შებუსული. ყვავილეთი მტევანია, მოკლე-ოვალური ან თავაკისებური. გვირგვინი მოლურჯო ან ლურჯი იისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ბალახოვან ფერდობებზე, ტყისპირებსა და ბუჩქნარებს შორის. გავრცელებულია აჭარაში, მესხეთ-ჭავჭავთვსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Melilotus officinalis (L.) Lam. = Melilotus luteus Gueldenst. - ყვითელი ძიძო, სამკურნალო ძიძო

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 30-100 სმ. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, დატოტვილი, შიშველი ან ზედა ნაწილში შებუსული. ფოთოლაკები 7-28 მმ-მდე სიგრძისაა, ფორმით უკუკვერცხისებური ან სოლისებური, მომრგვალო ან მოგრძო-ლანცეტა, დაკბილული ან კიდემთლიანი. ყვავილედის მრავალყვავილიანი, ხშირი მტევანია. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში, მინდვრებსა და გზისპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევრაზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Onobrychis cyri Grossh. - მტკვრის მსკარსეთი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მიტკეცილ-გაფანტულბეწვიანი. ღერო მრავალია, სწორად მდგომი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთოლაკები ოვალურია, მოგრძო-ოვალური ან ლანცეტა-ხაზური, მობლაგვო ან წვეტიანი, ზედა მხარე შიშველია, ქვედა – მოკლე და გაფანტულბეწვიანი. ყვავილედის 5-8 სმ-მდე სიგრძისაა, აყვავებამდე – ქოჩრიანი. გვირგვინი მუქი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყელში მშრალ, ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია თბილისის მიდამოებში, თრიალეთის ქედზე და კახეთში. კავკასიის ენდემია.



Ononis spinosa subsp. hircina (Jacq.) Gams. = Ononis arvensis L. - ფშნის კაპლი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ჭირკვლოვანი ბენვით შებუსუსული. ღერო სწორია ან წამოწეული, მსხვილევლიანი ან უეკლო. ფოთლები სამფოთოლაკიანია, კენწრულები – ერთფოთოლაკიანი, ფორმით – ელიფსური ან ლანცეტა, კიდეებზე – ბასრხერხებილა. ყვავილედით თავთავია, გვირგვინი-ღია ვარდისფერი. აფრა ფართო და ოვალურია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ნესტიან ადგილებში, ნაკადულებისა და მდინარეების ნაპირებზე, ჭაობების მახლობლად. ცნობილია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ციმბირს, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Robinia pseudoacacia L. - ზრუ აკაცია

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

25-30 მ სიმაღლის ხეა, ყავისფერი ქერქით. თანაფოთლები სახეშეცვლილია მკვირვ, 1,5 სმ-მდე სიგრძის, ეკლებად. ფოთლები 10-20 სმ სიგრძისაა, კენტფრთისებური, შედგება 9-19 ფოთოლაკისაგან, რომლებიც მოგრძო-კვერცხისებური ან ელიფსური ფორმისაა. ყვავილები დიდი ზომისაა, სურნელოვანი, შეკრებილია მრავალყვავილიან დაკიდებულ მტევნებად. გვირგვინი თეთრია ან მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა და შუა სართყლების ტყეებში, ტყისპირა და ნატყევარ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპას, შუა აზიას, აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილო ამერიკას. გავლურებულია.



Securigera varia (L.) Lassen = Coronilla varia L. - ყვავისფრჩხილა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-100 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, სწორად მდგომი, წამოწეული ან გართხმული, მეტ-ნაკლებად დატოტვილი. ფოთლები შედგება 7-12 წყვილი ფოთოლაკისაგან. ფოთოლაკები ოვალურია ან მოგრძო-ხაზური, ბლაგვი და მოკლეყუნჩიანი. ყვავილედნი ქოლგისებური მტევანია, 12-20-ყვავილიანი. გვირგვინი ვარდისფერია ან თეთრი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებსა და ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Sophora alopecuroides L. - მანაჟი

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ზედა ნაწილში დატოტვილი და ხშირფოთლიანი. ფოთლები კენტფრთისებურია. ფოთოლაკები ოვალურია ან მოგრძო-ელიფსური, წვერში – ბლაგვი, კიდემთლიანი და ორივე მხრიდან თეთრი, აბრეშუმის მსგავსი მწოლიარე ბეწვით შებუსული. ყვავილედნი მოგრძო მტევანია, მრავალყვავილიანი. გვირგვინი თეთრია ან მოყვითალო. ყვ. IV, ნაყ. VI. იზრდება ნესტიან ადგილებში, ბუჩქნარებში, ავშნიან ველებში, მდინარის სანაპირო მდელოებზე, ჭალის ტიპის ტყეებში, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ციმბირს, შუა აზიას, ირანსა და მცირე აზიას.



Spartium junceum L. - მსკანური კურდღლისცოცხა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

1-3 მ-მდე სიმაღლის ხე ან ნახევრად ბუჩქია, გრძელი, ნკეპლისებური, მცირედ შეფოთლილი ტოტებით. ფოთლები მარტივია, მოგრძო-ხაზური ან მოგრძო-ელიფსური. ყვავილები კაშკაშა ყვითელია, მეჩხერ, კენწრულ მტევნებად შეკრებილი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის ქვედა სარტყელში. სპორადულად მთელ საქართველოშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას. გაველურებულია.

Trifolium alpestre L. - მაღალმთის სამყურა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა; ჩვეულებრივ, მჭიდროდ მიკრული ბენჯითაა მოფენილი. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, მაგარი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, 15-40 სმ სიმაღლის. ფოთლები მეტწილად ღეროსეულია, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ხოლო ზედა – მოკლეყუნწიანი, ზოგჯერ ხეშეში, ლანცეტა ან ვიწრო-ელიფსური ფორმის. ყვავილეთი მარტოულია, ზოგჯერ ორ-ორი, ხშირი, მრავალყვავილიანი. გვირგვინი მენამულ-წითელი ფერისაა, იშვიათად – ღია ვარდისფერი ან თითქმის თეთრი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ბუჩქნარებში, ნათელ ტყეებსა და ტყისპირა ადგილებში, მშრალ მდელოებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Trifolium angustifolium L. - წვრილფოთიოლა სამყურა


ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მჭიდროდ მიკრული გრძელი ბენჯით მეტ-ნაკლებად მოფენილი. 10-40 სმ სიმაღლის ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული,; ჩვეულებრივ, მარტივი, იშვიათად – ძირთან დატოტვილი. თანაფოთლები შეზრდილ ნაწილში ხაზურ-ლანცეტაა. ფოთოლაკები ჯაგრის მსგავსად შებუსული, მოკლე ყუნწებით. თავაკები მარტოულია, მრავალყვავილიანი. გვირგვინი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთისწინების მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში და ველობებზე მთის შუა სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Trifolium arvense L. - ბურთყლა სამყურა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

10-15 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსულია მეტ-ნაკლებად გაფარჩხული, რბილი ბენჯით. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, ჩვეულებრივ, დატოტვილი ან მარტივი. ფოთოლაკები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, ჩვეულებრივ – მოკლენვეტიანი, ორივე მხარეზე შებუსული. ყვავილედით თავაკია, მარტოული, კვერცხისებური, მრავალყვავილიანი. გვირგვინი მოთეთრო-ვარდისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზისპირებზე, რუდერალურ ადგილებში, რიყნარებსა და მდინარეთა ტერასებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და შუა აზიას.



Trifolium campestre Schreb.

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

10-13 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილია, სწორად მდგომი ან წამოწეული, იშვიათად – გართხმული, ჩვეულებრივ – დატოტვილი. თანაფოთლები კვერცხისებურია, ფოთოლაკები უკუკვერცხისებურია ან სოლისებური. ყვავილედნი მრავალყვავილიანი თავაკია, ილლიური. გვირგვინი ყვითელი ფერისაა, ნაყოფობის დროს – მოყვითალო-მურა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – მინდვრებსა და მდელოებზე, ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში და ქვიშიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და შუა აზიას.

Trifolium pratense L. – მდელოს სამყურა

ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მთავარი ღერო მეტ-ნაკლებად დამოკლებულია. ფესვთანური ფოთლების ილლიებიდან გამოდის რამდენიმე წამოწეული, 15-50 სმ სიმაღლის, დატოტვილი ღერო. ფოთოლაკები კვერცხისებურია ან ელიფსური, ორივე მხარეს მეტ-ნაკლებად მიტკეცილი ბენვით მოფენილი. ყვავილედნი თავაკია, მარტოული ან ორ-ორი. გვირგვინი წითელია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ნათელ ტყეებში, ტყისპირა ადგილებსა და ბუჩქნარებში, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანსა და ჩრდილო ამერიკას.



Vicia sepium L. - ზერცვი


ოჯახი: Leguminosae – პარკოსნები

30-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები შიშველია ან, იშვიათად – რბილბუნვიანი, შედგება 4-8 წყვილი თითქმის მჯდომარე ფოთოლაკისაგან, ფორმით მოგრძო-ელიფსური ან მოგრძო-ლანცეტა. 2-4 ყვავილი შეკრებილია ილლიურ მტევნებად. გვირგვინი მონითალო-იისფერია ან მღვრიე ცისფერი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში და მდელოებზე 2000 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და აღმოსავლეთ აზიას.

Erythronium caucasicum Woronow - კაბაჭრელა

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

10-15 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შუაში ორი მოპირისპირე ფოთლით, ფოთოლი მოგრძო-კვერცხისებურია, კაშკაშა მწვანე, მარმარილოსებური ლაქებით. ყვავილი ერთია, თავდახრილი, ყვავილსაფრის ფოთლები უკან არის გადაღუნული; გარედან თეთრი ან ვარდისფერია, შიგნიდან – ყვითელი, ძირში მუქი ყვითელი ლაქით, რომელიც მუქი წითელი წინწკლებითაა მოფენილი. ყვ. ნაყ. II-V. იზრდება ტყის ზედა, სუბალპური და ალპური სარტყლების ტყეებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე, ქვიან ფერდობებზე. საქართველოში იზრდება დიდი კავკასიონის ფარგლებში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დიდი კავკასიონის ქედსა და ჩრდილო ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Fritillaria caucasica Adam

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე 40 სმ – მდეა, შუა ნაწილიდან შეფოთლილი. სულ 3-4 ფოთოლი აქვს. ლეგა, ელიფსური ან ლანცეტა. ყვავილი ერთია, დაკიდებული, ვიწროზარისებური, იასამნისფერ – ღვინისფერი და ლეგა, მოხატულობის გარეშე. ყვ. ნაყ. IV. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ქვიან და ღორღიან ადგილებში, ქსეროფიტულ ბუჩქნარებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. კავკასიის ენდემია.

Fritillaria collina Adam - ყვითელი ღვინა

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

სიმაღლე 15-20 სმ-ია. ზემო ნახევარი შეფოთლილია, ფოთოლი – 5-6, ვიწრო- ლანცეტა ან ხაზური ფორმის. ყვავილი ერთია, თავდახრილი, შეფერილობით – მუქი ყვითელი ან იისფერი, ჭადრაკულად განლაგებული ლაქებით. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ველობებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილო- აღმოსავლეთ ნაწილსა და ყირიმს.



Fritillaria latifolia Willd. - ღვინჯა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

მცენარის სიმაღლე 30 სმ-ია, მომსხო და ზედა ნაწილში შეფოთლილი. აქვს 5-6 ფოთოლი, ოვალური ან ვიწრო-ლანცეტა ფორმის. ყვავილსაფარი ღვინისფერ-მწვანეა ან იისფერი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, დეკიანებსა და ღვინანებში. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Gagea caroli-kochii Grossh. - ჩიტიშაპა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

5-10 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ერთი ბოლქვი. ძირის ფოთოლი, რომელიც ერთია, ყვავილედზე გრძელია და ხაზური ფორმის. საყვავილე ღერო 5-8 სმ-ია, ბენჯებით მოფენილი. ყვავილეთი 1-4 - ყვავილიანია. ყვავილსაფარი შიგნიდან ყვითელია, გარედან ვიწრო, მწვანე ბოლით. ყვ. ნაყ. III-IV. მშრალი თიხნარი ფერდობების, ქვიანი ადგილებისა და ველების მცენარეა. საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. კავკასიის ენდემია.



Gagea chlorantha (M. Bieb.) Schult. & Schult. f. - ჩიჭისთაპა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

4-10 სმ სიმაღლია მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ძირის ერთი ფოთოლი, რომელიც ყვავილედზე გრძელი და ვიწრო - ხაზური ფორმისაა. სადგისისებური ღერო შეფოთლილია. ყვავილედები 1-5-ყვავილიანია, სხვადასხვა ზომის, ყვავილსაფარი შიგნიდან ოქროსფერ-ყვითელია, გარედან - მღვრიე მწვანე. ყვ. ნაყ. II-III. იზრდება მშრალ ფერდობებსა და ველებზე. საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, ყირიმს, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

Gagea commutata K. Koch - ჩიჭისთაპა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ძირის ორი ფოთოლი, ღარისებურია და უხეში. საყვავილე ღერო 20 სმ - მდე სიგრძისაა. ყვავილედის ძირის ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, არათანაბარი ზომის. ყვავილსაფრის ფოთლები შიგნიდან ყვითელია, გარედან - მწვანე. ყვ. ნაყ. IV-VI. ველებისა და ნახევრად უდაბნოების მცენარეა. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს, სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Gagea dubia A. Terracc. - ჩიჭისთაპა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მცენარე მთლიანად შებუსულია. ძირის ფოთოლი ღრუს გარეშეა. ყვავილსაფრის ფოთლების წვერში ბენვების ფუნჯია განვითარებული. ყვავილედნი 5-15 - ყვავილიანია. ყვავილსაფარი შიგნიდან ყვითელია, გარედან - მომწვანო, გვირგვინის ფურცლების წვერები ბლაგვია. ყვ. ნაყ. III-V. გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყლების, ტყეებში, ტყისპირა ადგილებსა და ბუჩქნარებში. ცნობილია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, მცირე აზიასა და ირანს.

Gagea lutea (L.) Ker Gawl. - ჩიჭისთაპა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ძირის ფოთოლი ფართოა. ყვავილედის ძირში ზის ორი, სხვადასხვა სიგრძის, გაბნეულბენვიანი ფოთოლი. ერთი ფოთოლი ლანცეტაა, მეორე - ხაზური. ყვავილედნი 3-10 - ყვავილიანია. ყვავილსაფარი შიგნიდან მკრთალი ყვითელია, ოდნავ მომწვანო. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიას.



Gagea serotina (L.) Ker Gawl. = Lloydia serotina (L.) Rchb.

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო სწორია, 5-15 სმ სიმაღლის, ღეროს ფუძიდან 2 ფოთოლი ვითარდება. ფოთლები ხაზურია, გრძელი, ხეშეში. ღეროს აქვს 5-მდე ფოთოლი, ყვავილი ერთია, იშვიათად – ორი, თეთრი, გარედან შიდა ფოთლები წითელი, მოყავისფრო ძარღვებით ხასიათდება. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბნივალურ სარტყლამდე – მდელოებზე, კლდეებზე, ველებზე. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ციმბირსა და ჩრდილო ამერიკას.

Lilium monadelphum M. Bieb. – შროშანი

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 1 მ-მდე სიმაღლის სქელი, ძირიდანვე ფოთლებით შემოსილი ღერო. ფოთლები ელიფსურიდან ხაზურ-ლანცეტამდე ფორმისაა და ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული; კიდევებზე და ქვედა მხრიდან – ძარღვის გაყოლებით სქლადაა დაფარული ბენჯით. ყვავილსაფარი ფერით მუქი ყვითელია და მუქი მენამულ-იისფერი წინწკლებით მოფენილი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლების ტყისპირა ადგილებში, არყნარში, მაღალ-ბალახეულობაში და მდელოებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას.



Lilium szovitsianum Fisch. & Avé-Lall. - მთის შროშანი

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

70-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხშირფოთლიანია, ფოთლები ფართო-ლანცეტაა, ქვემოდან, ძარღვების გასწვრივ შებუსული მოკლე ბეწვით, ოდნავ ხაოიანი. ყვავილსაფარი გოგირდისფერია, ფორმით – ნაკვეთილ-უკუკონუსური, ლანცეტა ფორმის, ძირისკენ შევიწროებული, პრიალა, შიგნიდან მრავალი მუქი მენამული ფერის წინწკლებით მოფენილი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე, ტყისპირა ადგილებში, ქვიან და ღორღიან ეკოტოპებზე. მაღალბალახეულობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას. შეიძლება ჩაითვალოს ეკორეგიონის ენდემად.

Tulipa biebersteiniana Schult. & Schult. f. - ყვითელი ტიბა

ოჯახი: Liliaceae – შროშანასებრნი

15-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთოლი ორია, შებუსული, ფორმით – ხაზური ან ლანცეტა. ყვავილი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, ბუჩქნარებში, სტეპებზე. საქართველოში საკმაოდ იშვიათია, გავრცელებულია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიას.



Tulipa eichleri Regel - ნოიელი თიბა

ოჯახი: Liliaceae - შროშანასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-50 სმ სიმაღლისაა, ყვავილი ყუნწიანად მოკლე ბუსუსებითაა შემოსილი. ყვავილი წითელია, ალისფერი, სწორად მდგომი. ყვავილსაფრის ფოთლები წანვეტებულია, შიგნიდან შავი ლაქითაა დაფარული, რომელიც ყვითელი არშიითაა გარშემოვლებული. ფოთლები, ჩვეულებრივ - 3, უფრო ხშირად - ხუჭუჭაკიდებიანი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლის მშრალ, ქვიან ეკოტოპებზე, სტეპებში. საქართველოში გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ კავკასიას. მცენარე კავკასიის ენდემია.

Linum austriacum L.

ოჯახი: Linaceae - სელისებრნი

15-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, ძირიდანვე დატოტვილი, სქლად შეფოთლილი, სწორად მდგომი ან წამოწეული. ფოთლები ხაზურიდან ხაზურ-ლანცეტამდეა, შიშველი, ოდნავ მონაცრისფრო-მწვანე, ერთძარღვიანი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები კამკაშა ცისფერია. ყვ. V-VII, ნაყ. VII-VIII. იზრდება მდელოებსა და ველებზე, მშრალ გორაკებზე. გავრცელებულია მესხეთ-ჭავჭავეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Linum bienne Mill. = Linum angustifolium Hiuds.

ოჯახი: Linaceae – სელისებრნი

30-60 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, იშვიათად -მარტოული, რკალისებურად მოხრილი ან მარტოული, ხშირფოთლიანი. ფოთლები პატარა ზომისაა, ვიწრო-ხაზური ფორმის, მონაცრისფრო-მწვანე, კიდეებზე ხორკლიანი. ყვავილედნი ფარჩხატია. გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ცისფერია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მდელოებზე მთის შუა სარტყლამდე. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Linum corymbulosum Reichenb. = Linum libernicum Scop.

ოჯახი: Linaceae – სელისებრნი

7-45 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეტ-ნაკლებად ხაოიანი. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, ზედა ნაწილში გაფარჩხულტოტებიანი. ფოთლები მორიგეობითია, ხაზურ-ლანცეტა ფორმის, კიდეებსა და ზურგის მხარეზე ნათლად გამოსახული ხორკლებით. ყვავილედნი ფარჩხატია, ფარისებური. გვირგვინის ფურცლები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია აფხაზეთში, გურიაში, ქართლში, მესხეთ-ჭავჭავთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანსა და ჩრდილო აფრიკას.



Linum hypericifolium Salisb. - სქლი

ოჯახი: Linaceae - სელისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 30-90 სმ სიმაღლის ღერო ერთი ან რამდენიმეა; მსხვილი, სწორი ან წამოწეული; წვრილღარებიანი, ქვედა ნაწილი შიშველია, ზედა - შებუსული. ფოთლები ფორმით მოგრძო-ლანცეტაა. გვირგვინი დიდია, სოსანი ან მკრთალი მენამული ფერის. გვირგვინის გადანაღუნი ფართო-უკუკვერცხისებურია. ყვ. ნაყ. VI-VIII. სუბალპური და ალპური სარტყლების მცენარეა. იზრდება მდელოებზე, მაღალბალახეულობაში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Linum nervosum Waldst. & Kit.

ოჯახი: Linaceae - სელისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, სიმაღლე - 20-55 სმ. ზედა ნაწილში - შიშველი, ძირში - მცირედ შებუსული. ქვედა ნაწილში ხშირფოთლიანია. ფოთლები მჯდომარეა, ლანცეტა, 3-5-ძარღვიანი, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსული. გვირგვინის ფურცლები დიდი ზომისაა, ცისფერი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე - მდელოებზე, ბუჩქნარებსა და ტყისპირა ადგილებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Linum nodiflorum L.

ოჯახი: Linaceae - სელისებრნი

10-55 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, ზედა ნაწილში – შიშველი, ძირში მცირედ შებუსული. ქვედა ფოთლები ნიჩბისებურია. ზედა ფოთლები მჯდომარეა, ლანცეტა ან ფართო-ხაზური, 3-5-ძარღვიანი, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსული. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება დაბლობიდან შუა სარტყლამდე – მდელოებზე, ბუჩქნარებში და ტყისპირებში, მინდვრებში და ფერდობებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Linum tenuifolium L.

ოჯახი: Linaceae - სელისებრნი

15-45 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, გახევებული, ძირიდან ამოსული, სწორი, ზედა ნაწილში გაფარჩხული ტოტებით. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, ერთძარღვიანი, კიდეებზე ძლიერ ხორკლიანი. ყვავილები ფარჩხატ საგველას მსგავს ხვეულებადაა განლაგებული. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-მონითალო ფერისაა. ყვ. V-VI, ნაყ. VI-IX. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – მშრალ, ღორღიან, ქვიან ფერდობებსა და გორაკებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Lythrum salicaria L. - ცოცხამბბრა

ოჯახი: Lythraceae – ცოცხამაგარასებრნი

30-200 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მთელი მცენარე შებუსულია, სწორად მდგომი. სამ-სამი ან ოთხ-ოთხი ფოთოლი პირისპირ ან რიგ-რიგად არის განლაგებული, ფორმით – კვერცხისებურიდან ლანცეტამდე. გვირგვინის ფურცლები მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტენიან ადგილებში, წყალსატევების, ტბების, ჭაობებისა და მდინარეების ნაპირას. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო აფრიკას, ჩრდილო ამერიკასა და ავსტრალიას.

Punica granatum L. - ბრონეული

ოჯახი: Lythraceae – ცოცხამაგარასებრნი

1-4 მ სიმაღლის ბუჩქია ან ხე. ტოტები ეკლიანია, ფოთლები წაგრძელებულ ყლორტებზე მოპირდაპირედ არის განლაგებული, ხოლო დამოკლებულზე – ჯგუფებად. ფოთლები მოგრძო-ელიფსურია ან უკულანცეტა, კიდემთლიანი ან დაკბილული. ყვავილები 2-5-წევრიან ჯგუფებს ქმნიან. შეფერილობით წითელია, დიდი ზომის. ყვ. V-VIII, ნაყ. IX. იზრდება მშრალ ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, ირანსა და ავღანეთს.



Alcea rugosa Alef. - ოშხოი

ოჯახი: Malvaceae – ბალბასებრნი

2 მ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, შებუსული ხშირი, გაფარჩხული, ვარსკვლავისებური ბენვით. ქვედა ფოთლები თათისებურია, შუა ფოთლები ფირფიტის ნახევრამდეა დანაკვთული, ზედა ფოთლები ორივე მხარეზე ვარსკვლავისებური ბენვით არის შებუსული. ყვავილები 1 ან 2-2 გრძელ, შეფოთლილ მტევნადაა შეკრებილი. გვირგვინი გოგირდისფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ზღვის სანაპირო ზოლიდან ალპურ სარტყლამდე მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარში, ზოგჯერ გვხვდება, როგორც სარეველა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ-დასავლეთ ევროპას, შუა აზიასა და მცირე აზიას.

Lavatera thuringiaca L. - ქაბი

ოჯახი: Malvaceae – ბალბასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, სიმაღლე – 50-150 სმ, ნაცრისფერ-ხავერდით შებუსული. გულის ფორმის ფოთლები გრძელყუნჩიანია. ქვედა ფოთლები 5-ნაკვთიანია, ზედა – 3-ნაკვთიანი. შუა ნაკვთი უფრო პატარა ზომისაა, მრგვალკბილა ჯამქვეშა ფოთლები მომრგვალო ფორმისაა. გვირგვინის ფოთლები თეთრია ან მოვარდისფრო, დიდი ზომის, წვერში ამოკვეთილი და ძირში შევიწროებული. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარეთა ნაპირებზე, დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და შუა აზიას.



Malva neglecta Wallr. - ბალბა

ოჯახი: Malvaceae - ბალბასებრნი

10-40 სმ სიმაღლის ერთ, ორ ან მრავალწლიანი მცენარეა. ღერო გართხმულია ან წამოწეული, დატოტვილი და მეტ-ნაკლებად შებუსული ხშირი, ვარსკვლავისებური ბენვით. ფოთლები გრძელყუნწიანია, თირკმლის ან გულის ფორმის, ოდნავ შესამჩნევი 5-7 - ნაკვთიანი. რამდენიმე ყვავილი შეკრებილია ილიურ, რამდენადმე უთანაბრო ზომის, ყუნწებზე. გვირგვინი მკრთალი სოსანია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, შენობებთან, დაუმუშავებელ მიწებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და შუა აზიას, ირანს.

Malva sylvestris L. - ტყის ბალბა

ოჯახი: Malvaceae - ბალბასებრნი

10-100 სმ სიმაღლის ერთ, ორ ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, სწორად მდგომი, შიშველია ან მეტ-ნაკლებად სქლად მოფენილი მარტივი ან ორკაპისებური ბენვებით. ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო-თირკმლისებური, 5-7 მრგვალკბილა ნაკვთებით. ყვავილები ილიურია, 2-5 ერთად არის განლაგებული ღეროს ზედა ნაწილში. გვირგვინი იისფერია. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტყის ქვედა და შუა სარტყლების ბუჩქნარებში, ნათელ ტყეებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Malvalthaea transcaucasica Iljin - ბალბათუხი

ოჯახი: Malvaceae - ბალბასებრნი

5-70 სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტოული ან მრავალრიცხოვანი, მთელი მცენარე დაფარულია გაბნეული, ვარსკვლავისებური ბეწვებით. ფოთლები ყუნწიანია, კიდეებზე – მრგვალკბილა; ქვედა ფოთლები ოდნავ შესამჩნევად 3-5-ნაკვთიანია, გულისებურ-თირკმლისებური. ყვავილის ყუნწები ხეშეშებნიანია, გვირგვინის ფურცლები – ვარდისფერი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება ავშნიან ნახევარუდაბნოებში, კლდოვან ადგილებში, იშვიათად – როგორც სარეველა. საქართველოში მხოლოდ კახეთშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიასა და ირანს.

Malvella sherardiana (L.) Jaub. & Spach - ბალბალუკა

ოჯახი: Malvaceae - ბალბასებრნი

მთელი მცენარე ხავერდით არის შებუსუსული. 8-10 სმ სიგრძის ღერო გართხმულია ან წამოწეული. ფოთლის ფირფიტა გულივით მომრგვალოა ან თირკმლის ფორმის. ყვავილები მარტოულია, გრძელყუნწიანი, გვირგვინის ფურცლები წითელი ფერისაა ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. V-X. მცენარე იზრდება მშრალ ველებზე, თიხიან ადგილებში, ზოგჯერ სარეველაა. გავრცელებულია კახეთსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Tilia cordata Mill. - ტაშხვი

ოჯახი: Malvaceae - ბალბასებრნი

25 მ-მდე სიმაღლის ხეა. ნორჩი ტოტები მომწვანოა, მონითალო-მურა, შიშველი. ფოთლები პატარა ზომისაა, 3-7 სმ სიგრძის, მომრგვალო ან ფართო-კვერცხისებურ-გულისებური. ფოთლის ზედა მხარე მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე - ლეგა, კიდეებზე ბლაგვ-წვრილხერხვილია. ყვავილეთი 5-7-ყვავილიანია. ნაყოფი 5 მმ სიგრძისაა, წითური, ქეჩისებური შეხუსვით. ყვ. VI-VII, ნაყ. VII-IX. იზრდება მთის ტყეებში, უმთავრესად - ზედა სარტყელში, 1200-2000 მ-მდე - მშრალ, განათებულ ადგილებში. გავრცელებულია მთელ ტყიან საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Paris incompleta M. Bieb. - ხარისთვალა

ოჯახი: Melanthiaceae

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 15-25 სმ სიმაღლისაა. 6-12 ფოთოლი ჩხროდ არის განლაგებული. ფორმით მოგრძო-ოვალური ან უკუკვერცხისებურია. ყვავილი ერთია, კენწრული. ყვავილსაფარი შედგება 4 გარეთა მწვანე ფოთოლაკისგან. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ტყეებში, ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში და მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალია კავკასიის ეკორეგიონი, მისი ენდემია.



Veratrum lobelianum Bernh. - შხამბ

ოჯახი: Melanthiaceae

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს სქელი, მრავალფოთლიანი ღერო, ზედა ნაწილში შებუსული, ფართო-ელიფსური ან ლანცეტა. ყვავილედო მრავალყვავილიანი საგველაა. ყვავილსაფარი მომწვანო - ყვითელია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში მაღალ ბალახეულობაში. მაღალმთის საძოვრების აბეზარი სარეველაა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიასა და აღმოსავლეთ აზიას.

Ficus carica L. - ლეღვი

ოჯახი: Moraceae - თუთისებრნი

დაბალი ტანის ბუჩქი ან ხეა. ფოთლები 7-30 სმ სიგრძისა და 8-25 სმ სიგანისაა, გულისებურ-კვერცხისებური ან მომრგვალო-კვერცხისებური, მთლიანი ან 3-7-ნაკვთიანი, ქვედა მხარე, ქეჩის მსგავსად, თხლად არის შებუსული, ზედა მხარე მუქი მწვანეა, გრძელყუნჩიანი. ნაყოფი 2-5 სმ სიგანისაა, მსხლისებური ან გაბრტყელებულ-სფეროსებური, მომწვანო-ყვითელი ან მწვანე-იისფერი. ყვ. III-V ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ქვედა სარტყელში კლდოვან გაშიშვლებებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა აზიასა და მცირე აზიას, ირანს.



Morus nigra L. - ხართუთა

ოჯახი: Moraceae – თუთისებრნი

3-8 მ სიმაღლის ხეა, მონითალო-მურა ფერის ტოტებით. ფოთლები ფორმით კვერცხისებურია, მთლიანი ან დანაკვეთული, ორივე მხარეზე – ხაოიანი, 5-10 სმ სიგრძისა და 3-8 სმ სიგანის. მდედრობითი მჭადები მჭდომარეა ან ყუნწიანი. ნაყოფი წვნიანია, 2-2,5 სმ სიგრძის, შავი ან მოშავო-იისფერი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ჭალის ტყეებში, გაველურებულია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა აზიასა და მცირე აზიას, ირანს.

Peganum harmala L. - მარიაშსაჰმელა

ოჯახი: Nitrariaceae – ნიტრარიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს ძლიერ დატოტვილი, 20-65 სმ სიმაღლის მრავალი ღერო. შიშველი ფოთლები დაყოფილია ხაზურ ნაკვეთებად. თანაფოთლები პატარაა და სადგისისებური. ყვავილები – 1-3, კენწრული. გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მოთეთრო ან ყვითელი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მშრალ, რუდერალურ და დამლაშებულ ადგილებში. გვხვდება, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, შუა აზიას.



Nuphar lutea (L.) Sm. - ყვითელი ღუმფარა

ოჯახი: Nymphaeaceae – ღუმფარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ორნაირია: წყალში ჩაკიდებული, თხელი, თითქმის გამჭვირვალე ან წყლის ზედაპირზე მოტივტივე, ოვალურ-გულისებური, სქელი, თითქმის ტყავისებური. ყვავილი 4-5 სმ დიამეტრისაა, სურნელოვანია და ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტბებში, მდორე წყლებსა და ჭაობებში. გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Fraxinus excelsior L. - იჭანი

ოჯახი: Oleaceae – ზეთისხილისებრნი

მაღალი ხეა, აქვს ნაცრისფერი ქერქი. ნორჩი ყლორტები მწვანე ფერისაა. ფოთლები 11 ფოთოლაკისაგან შედგება, ფორმით კვერცხისებურია ან მოგრძო-ლანცეტა, აქვს ხერხკბილა კიდეები, ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე – მცირედ შებუსული. ყვავილედები მტევანია. ყვ. IV-V, ნაყ. VI-VIII. გავრცელებულია ტყეებში, ზოგჯერ მცირე ჯგუფებს ქმნის. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სართელამდე. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.



Jasminum fruticans L. - ჟასმინი

ოჯახი: Oleaceae – ზეთისხილისებრნი

სწორად მდგომი ბუჩქია, შიშველი, დაღარულ-ნახ-ნაგოვანი ტოტებით. ფოთლები 3-ფოთოლაკიანია. ფოთოლაკები მოგრძო-ნიჩბისებურია, კიდემთლიანი, შიშველი. გვერდითი ფოთოლაკები მჯდომარეა. ყვავილები ყვითელი ფერისაა. ტოტების კენწეროებზე განთავსებულია 1-5 ყვავილი. გვირგვინი მილად არის შეზრდილი. გადანაღუნი 5-ნაკვთიანია. ყვ. IV-VI, ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლის ბუჩქნარებში, მშრალ ფერდობებზე. საქართველოში გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიას, ირანს.

Ligustrum vulgare L. - კვიდი

ოჯახი: Oleaceae – ზეთისხილისებრნი

1,5-3 მ სიმაღლის ბუჩქია, ძირითადად – შიშველტოტებიანი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ელიფსურია, შიშველი, ტყავისებური, პრიალა, მოკლეყუნნიანი, კიდემთლიანი. ყვავილედო კენწერული საგველაა. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვავილის ყუნწები ბეწვიანია. ნაყოფი მუქი მურა ფერისაა. ყვ. V-VI, ნაყ. VII-IX. ტყის ქვედა სარტყლის მცენარეა, იზრდება ტყეებში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ყირიმს, მცირე აზიას.



Circaea lutetiana L. - თეთრძირა

ოჯახი: Onagraceae – წყალნაწყენისებრნი

20-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი, რბილი ბენვით შებუსული. ფოთლები პირისპირ არის განლაგებული, ფოთლის ფირფიტა კვერცხისებურია ან კვერცხისებურ-ლანცეტა, ქვედა ნაწილში გაფართოებული და მჭიდროდ მიკრული ბენვით შებუსული, ხერხებილა. ყვავილეთი მტევანია, ილიური ან კენწრული, მარტივი ან დატოტვილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ორნაკვითიანი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, შუა აზიას, ჩრდილოეთ ამერიკას, ირანსა და ჩრდილო ამერიკას.

Epilobium angustifolium L. = Chamerion angustifolium (L.) Scop. - მხნარმხალა

ოჯახი: Onagraceae – წყალნაწყენისებრნი

50-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მარტივი ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილი, მჭიდროდ მიკრული ბენვით შებუსული. ფოთლები მჭდომარეა ან ყუნწიანი, ხაზურ-ლანცეტა ფორმის. კიდებზე ოდნავ გადაკეცილი და ზოგჯერ ჯირკვლოვანკბილებიანი. ფოთოლი ზედა მხარეზე მუქი მწვანეა, პრიალა, ქვედაზე – მოლევო. ყვავილეთი მრავალყვავილიანი მტევანია. ყვავილი მენამულ-ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. ფართოდ გავრცელებული მცენარეა, იზრდება მდელოებზე, მაღალ ბალახეულობაში, ტყეებში, ნაკაფებში. ცნობილია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა, აღმოსავლეთ და მცირე აზიას, ევროპას, ირანს, ჩრდილო ამერიკას.



Epilobium dodonaei Vill.

ოჯახი: Onagraceae – წყალნაწყენისებრნი

ნახევრად ბუჩქია, მიწისქვეშა, გრძელი, ხორციანი ყლორტებით. ღერო წამოწეულია ან სწორად მდგომი, დატოტვილი, სიმაღლე – 20-100 სმ. ქვედა ნაწილი შიშველია, ზედა – მოიხფრო-წითლად შებუსული. ფოთლები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, 2-6 სმ სიგრძისა და 1-4 სმ სიგანის, კიდემთლიანი ან წვრილკბილა. ყვავილები შეკრებილია კენწრულ მტევნებად. ჯამის ნაკვთები მუქი იისფერი ბენჯითაა შემოსილი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ვარდისფერია. ყვ. VI-IX, ნაყ. VII-X. იზრდება მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე, ქვიშნარებსა და ნაშალებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Epilobium hirsutum L. – წყალნაწყენი

ოჯახი: Onagraceae – წყალნაწყენისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 150 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი, ზეადმართული ტოტებით. ღერო ქვედა ნაწილში ოდნავ წიბოებიანია და გაფარჩხული ბენჯით არის შებუსული ან შიშველი. ფოთლები მჯდომარეა, ვიწრო-ლანცეტა ფორმის, იშვიათად – კვერცხისებური, შიშველი, მონაცრისფრო, კიდედაკბილული. გვირგვინის ფურცლები ღია მენამულია ან წითელი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მდინარეების, რუების ნაპირებზე, ჭაობებში, სარწყავ არხებში – მთის ქვედა და შუა სართყლებში. ცნობილია მთელ საქართველოში. საერთო გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა, აღმოსავლეთ და მცირე აზიას, ჩრდილოეთ აფრიკას.



Epilobium montanum L. - მთის წყალნაწყენი

ოჯახი: Onagraceae – წყალნაწყენისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, 1 მ-მდე სიმაღლის, მარტივი ან დატოტვილი, თხლად შეფოთილი, ხუჭუჭა ბენვებით შემოსილი. ქვედა ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია, კიდედაკბილული. შუა ფოთლები კვერცხისებურია ან ელიფსური, მოკლეყუნჩიანი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი წითელია, მახვილი ამონაკვეთებით. ყვ. ნაყ. V-IX. მცენარე გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე ტყეებსა და ტყისპირა ადგილებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, დასავლეთ ციმბირსა და ახლო აღმოსავლეთის ნაწილს.

Anacamptis coriophora (L.) R. M. Bateman Pridgeon & M. W. = Orchis coriophora L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

ღერო 1-50 სმ სიმაღლისაა, ქვედა ნაწილში შეფოთილი. ვაგინები ფოთლისებურია და წაწვეტებული. ფოთლები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა. ყვავილედები ცილინდრულია. ყვავილები მღვრიე ყავისფერ-მწვანე ფერისაა, ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები კვერცხისებურია, შიგნითა გვერდითი ფოთლები – ხაზურ-ლანცეტა. ტუჩი სამნაკვთიანია. შუა ნაკვთი მოგრძოა და ბლაგვად წაწვეტებული. გვერდითი ნაკვთები ოთხკუთხა ან რომბული. დეზი ცილინდრულ-კონუსურია. ყვავილსაფარი მუზარადის ფორმისაა და უსიამოვნო სუნი აქვს. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ტყის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყისპირა ადგილებში და მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.



Anacamptis laxiflora (Lam.) R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase = Orchis laxiflora Lam.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

15-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მცენარე მხოლოდ ღეროს ქვედა ნაწილშია შეფოთლილი. ფოთოლი 2-5-ია, მოგრძო-ლანცეტა, მახვილწვერიანი. ყვავილეთი მეჩხერია, მრავალყვავილიანი. ყვავილი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მდელოებზე, ჭაობიან ადგილებში. საქართველოში ცნობილია ქართლსა და კახეთში, საკმაოდ იშვიათია, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მთელ ევროპას, წინა აზიას.

Anacamptis morio (L.)R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase Pridgeon & M. W. = Orchis morio L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

15-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს ძირში 5-7 ვიწრო – ხაზური ან მოგრძო-კვერცხისებური ფოთოლია განვითარებული; ბლაგვი ან ბლაგვად წაწვეტილებული ფოთლები სიგრძეზე დაკეცილია და რკალივით გადაღუნული. ყვავილეთი მეჩხერია, ცილინდრული, კაშკაშა მენამულ-იისფერი; ყვავილსაფრის გარეთა წრის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია, ტუჩი მოყვანილობით – მომრგვალო-თირკმლისებური, არაღრმად სამნაკვთიანი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ველობებზე, ბუჩქნარში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.



Anacamptis papilionacea (L.) R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase. = *Orchis papilionacea* L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

10-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, მწვანე ფერის, ქვედა ნაწილში შეფოთლილი. ვაგინები ფოთლისებურია და წაწვეტებული. ყვავილედის თხელია, ყვავილები – მღვრიე ღია წითელი ან ნარინჯისფერი. ყვავილსაფარის გარეთა ფოთლები კვერცხისებურია, შიგნითა გვერდითი ფოთლები – ხაზურლანცეტა. ტუჩი სამნაკვეთიანია. შუა ნაკვეთი მოგრძოა და ბლაგვად წაწვეტებული. გვერდითი ნაკვეთები ოთხკუთხაა ან რომბული. დეზი მოხრილია. ყვავილსაფარი მუზარადის ფორმისაა. ყვ. ნაყ. IV-VI. მცენარე იზრდება ღია, მშრალ ფერდობებზე, ველებზე. საქართველოში ძალიან იშვიათია. გვხვდება მხოლოდ კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთს, მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთს, დასავლეთ ირანს.

Anacamptis pyramidalis (L.) Rich.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მცენარე 20-60 სმ სიმაღლისაა. ღერო სწორია, შეფოთლილი, ფოთლები მწვანე ფერისაა, ღერომხვევი. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, ხაზური, ზედა კი – პატარა, ხაზურლანცეტა. ყვავილედის მოკლე, კონუსური ან კვერცხისებურია. თანაყვავილები ფოთლის მსგავსია, მწვანე ან შეფერილი. ყვავილები მენამულია, ვარდისფერი ან მოთეთრო ფერის. ტუჩი დეზიანია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ველებზე და ბუჩქნარებში. არცთუ ხშირი მცენარეა. სპორადულად მთელ საქართველოშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და წინა აზიას, დასავლეთ ირანს.



Cephalanthera damasonium (Mill.) Druce

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

20-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ფართო-ელიფსურია ან ელიფსურ-ოვალური, ოდნავ ბლაგვი. ყვავილედის ღერძი დაკლაკნილია და 3-10- ყვავილიანი. ყვავილები დიდია, შიშველი, სწორად მდგომი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მოგრძოა, შიგნითა – სამკუთხა-კვერცხისებური. ტუჩი თეთრია, შიგნიდან – ყვითელი. თირკმლის ფორმის წინა ნაკვთი ყვითელი ლაქითაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე, ტყეებსა და ბუჩქნარებში. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევროპას, აზიის ზომიერ და სუბტროპიკულ ზონას, სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის ჩათვლით.

Cephalanthera longifolia (L.) Fritsch

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

20-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, შიშველი; ღერო სწორია ან ოდნავ დაკლაკნილი, შეფოთლილი. ფოთლები დიდი ზომისაა, ზოგჯერ – ღეროზე გრძელი. ლანცეტა ან ხაზურლანცეტა, სიგრძეზე დაკეცილი, ქვედა ფოთლები ღერომხვევია. ყვავილეთი 3-15-ყვავილიანია. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ლანცეტა-კვერცხისებურია, შიდა ფოთლები – ელიფსური. ტუჩი თეთრია და მისი წინა ნაკვთი ოქროსფერ-ყვითელი ლაქითაა დაფარული. ყვ. ნაყ. III-VI. იზრდება დაბლობიდან ზედა სარტყლამდე დაჩრდილულ ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ჩრდილო აფრიკას, შუა აზიას, სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთსა და ჩრდილო ინდოჩინეთს.



Cephalanthera rubra (L.) Rich.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო სწორია ან მოხრილი, ფოთლები მოგრძოლანცეტა ან ლანცეტა, წანვეტებული. ყვავილედი ჯირკვლოვანი შებუსვითაა – 2-10-ყვავილიანი. ყვავილები დიდი ზომისაა, მონიტალო ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, დაახლოებით, 700-1300 მ-მდე სიმაღლეზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ასევე – თითქმის მთელ კავკასიაში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

Dactylorhiza euxina (Nevski) Czerep.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

15-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა ფორმის, ბლაგვი 4-5 ფოთოლი, ზემოდან მუქი ლაქებით. ყვავილედის მოკლეა, ხშირყვავილიანი. ყვავილი იისფერ-მწვანეა, თანაყვავილები – ვიწრო ან კვერცხისებურ-ლანცეტა. ტუჩი მთლიანია და მომრგვალო-კვერცხისებური. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ჭაობებში, მეზოფილურ მდელოებზე, სუბალპურ და ალპურ სარტყლებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. კავკასიის ენდემია.



Dactylorhiza iberica (M. Bieb. ex Willd.) Soó

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

25-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ხაზურ-ლანცეტა ფორმის 2-3 ფოთოლი. ყვავილედ ცილინდრულია, ყვავილები – ვარდისფერი, ტუჩი მენამული წინწკლებით არის მოფენილი და სამნაკვითიანი წინა ნაწილი გაფართოებულია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე. ძირითადად, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, მცირე აზიასა და ირანს.

Dactylorhiza romana subsp. georgica (Klinge) Soo ex Renz & Taubenheim

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მცენარის სიმაღლე 15-40 სმ-ია. ფოთლები ღეროს ქვედა ნაწილშია შეჯგუფებული ან ღეროს შუა ნაწილამდე განვითარებული, ფორმით ხაზურ-ლანცეტაა. ყვავილედ მოგრძო-კვერცხისებურია. თანაყვავილები ბალახოვანია, ყვავილის ზომის ან მასზე გრძელი. ყვავილი ჩალისფერია, მოყვითალო, მოთეთრო ან მენამული. ყვავილის ტუჩი მომრგვალო-ოთხკუთხაა. მისი გვერდითი ნაკვთები ოვალურია. ყვ. ნაყ. IV-V. მცენარე გავრცელებულია მთის შუა სარტყლის ტყეებსა და ბუჩქნარებში. ფართოდ არის გავრცელებული თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიას.



Dactylorhiza sambucina (L) Soo - ბუბულის კბბ

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

10-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები – 4-7, ლანცეტა ან ვიწრო-ელიფსური ფორმის. ყვავილენი ცილინდრულია, ყვავილი მოყვითალო ჩალისფერია. ტუჩზე ნარინჯისფერი, წითელი წინკლებით, ტუჩის შუა ნაკვთი ოთხკუთხაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე მდელოებზე, ბუჩქნარებს შორის. საქართველოში ეს სახეობა ძალიან იშვიათია. მისი გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ ევროპას.

Dactylorhiza urvilleana (Steud.) H. Baumann & Kunkele

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-60 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი – 3-5, ლაქებით მოფენილი, ქვედა ფოთოლი მოგრძო-ლანცეტაა, ან მოგრძო-უკუკვერცხისებური. შუა ფოთოლი უფრო ვიწროა, ზედა – ვიწრო-ხაზურ-ლანცეტაა. ყვავილენი ცილინდრულია, ხშირ და მრავალყვავილიანი. თანაყვავილები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა. ქვედა ფოთლები ყვავილებზე გრძელია. ყვავილები მოვარდისფრო-სოსანია. ტუჩი იისფერწინკლებიანია, მომრგვალო, ფართო-რომბულია ან მომრგვალო-ელიფსური, სამი მოკლე ნაკვთით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყეებში, ველობებზე, ჭაობიან ადგილებში, მდელოებზე – მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე. საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახეობაა. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Dactylorhiza urvilleana (Steud.) H. Baumann & Künkele = Dactylorhiza amblyoloba(Nevski) Aver.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

გარკვეული მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდება *Dactylorhiza urvilleana*-სგან და განიხილებოდა, როგორც ცალკე სახეობა, თუმცა ახლა განიხილება, როგორც *Dactylorhiza urvilleana*. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, შედარებით ტენიან ადგილებში. მცენარე ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ კავკასიას.

Dactylorhiza viridis (L.) R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase = Coeloglossum viride (L.) C. Hartm.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, შეფოთლილი, ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია ან ლანცეტა. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები კვერცხისებურია, შიგნითა – ხაზური. ყვავილი მურა ფერისაა ან მოყვითალო-ყავისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებსა და ხალებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო ნახევარსფეროს ბომიერ და ცივ სარტყლებს.



Epipactis purpurata Sm.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მცენარის სიმაღლე 30-100 სმ-ია. ღერო მარტივია, სწორად მდგომი, უხვად შეფოთლილი, ზედა ნაწილში მცირედ შებუსული. ფოთლები ზედა ნაწილში პატარავდება, ქვედა ფოთლები ღერომხვევია და ვაგინიანი. ყვავილედში 30-ზე მეტი ყვავილია. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ოვალურია, მომწვანო. შიდა ნაწილი მკრთალი მწვანეა, ძირი – ვარდისფერ-იისფერი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მუხნარ, რცხილნარ და ფიჭვნარ ტყეებში, ბუჩქნარებში – დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპას, ჩრდილო აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, შუა და ცენტრალურ აზიას. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებულია და მას ზოგჯერ სარეველა ორქიდეასაც უწოდებენ.

Epipogium aphyllum Sw.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

7-35 სმ სიმაღლის საპროფიტი მცენარეა, მარჯნისებურად დატოტვილი, შიშველი, ღერო ღია ყვითელია, წითელბოლებიანი. ფოთლები ქერცლისებურია, ყვავილედი – მეჩხერი. ყვავილები თავდახრილია, მოყვითალო-თეთრი, ღია ყვითელი და მონითალო-იისფერი ბოლებით. ტუჩი სამნაკვთიანია, მონითალო-იისფერი მეჭეჭებით, დებიც მონითალო-იისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტენიან ტყეებში. საკმაოდ იშვიათი მცენარეა, რაც გამოწვეულია ინდივიდების რაოდენობის სიმცირით, აგრეთვე მცენარის გამრავლების დაბალი ინტენსივობით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევრაზიის კონტინენტის ზომიერ და სუბარქტიკულ სარტყლებს.



Goodyera repens (L.) R. Br.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

8-30 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს ზედა ნახევარი დაფარულია ჭირკვლოვანი ბუსუსებით. ფოთლები ღეროს ძირშია შეკრებილი. აქვს მორიგეობითი განლაგება. ფორმით კვერცხისებურია, ფოთლის ყუნწები ფრთიანია. დანარჩენი ფოთლები პატარაა, ღერომხვევი, ლანცეტა ფორმის. ყვავილედ ცალგვერდაა, შებუსული, ყვავილები თეთრია ან მოყვითალო. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – წინვთან ტყეებში, არყნარებსა და იშვიათად – დეკიანებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, მაგრამ საკმაოდ იშვიათია. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ბორეალურ აზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Gymnadenia conopsea (L.) R. Br.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

15-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეფოთლილია, ძირში მურა ფერის ვაგინებით. ფოთლები სიგრძეზე დაკეცილია, ხაზურ-ლანცეტა ფორმის. ყვავილედ მრავალყვავილიანია, თავაკის ან თავაკის ფორმისა. ყვავილები პატარაა, სურნელოვანი, ლილისფერი ან მენამული. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, არყნარებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.



Herminium monorchis (L.) R. Br

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

7-25 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეჩხრად შეფოთლილი. ღეროს ძირში განლაგებულია მოგრძო-ლანცეტა ან ხაზური ფორმის 2-3 ფოთოლი. ზედა ფოთლები ძალიან დაპატარავებულია – ხაზური ფორმის. ღეროს ძირში კი ფოთოლი ქერცლისებურია. ყვავილედის მეჩხერია. ყვავილები მოყვითალო მწვანეა, სურნელოვანი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა და ალპური სარტყლების. მდელოებზე, იშვიათი მცენარეა. საქართველოში გვხვდება, ძირითადად, აღმოსავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიას, ევროპასა და აზიას.

Himantoglossum formosum (Steven) K. Koch

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

10-25 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მეჩხრად შეფოთლილი. ფოთოლი 2-3-ია, ღეროს ძირში განლაგებული, მოგრძო-ლანცეტა ან ხაზური. ყვავილედის ცილინდრულია. ქვედა ტუჩი ყვავილის ყვავილსაფრის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით 2-ჯერ გრძელია და ხასიათდება დანამატებით. ყვავილები მუქი იასამნისფერია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლის. მდელოებზე. იშვიათი მცენარეა. საქართველოში გვხვდება, ძირითადად, აღმოსავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს.



Limodorum abortivum (L.) Sw.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

უქლოროფილო, პარაზიტული მცენარეა. ღერო მაღალი და მსხვილია. ფოთლები ქერცლისებურია. ყვავილედნი მერხურია, თანაყვავილენი – ლანცეტა, ყვავილზე მოკლე. ტუჩი მთლიანია და ქვევითაა მიმართული, ყვავილსაფარზე მოკლე. მუქი იისფერ-ლილისფერი. დეზი ვიწროა. ყვ. ნაყ. IV-VI. დაბლობის მცენარეა, იზრდება ფოთლოვან ტყეებში, ბუჩქნარებში. გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.

Neotinea tridentata (Scop.) R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase = Orchis tridentata Scop.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მცენარის ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, მისი ქვედა ნაწილი 3-6-ფოთლიანია, ღეროს ზედა ნაწილი 2-5 ნაწვეტებული ფოთლის მსგავსი ვაგინითაა შემოსილი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ბლაგვწვერიანი და ძირისკენ შევიწროებული. ყვავილედნი მოკლეა, ხშირი, კვერცხის ფორმის ან სფეროსებური. ყვავილენი წვრილია, ვარდისფერ-სოსანი; ტუჩი ღია ვარდისფერია. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები კვერცხისებურ-ლანცეტაა და გრძლად ნაწვეტებული. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს.



Neotinea ustulata (L.) R. M. Bateman, Pridgeon & M. W. Chase = Orchis ustulata L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი; ზედა ნაწილში დაფარულია წანვეტებული ფოთლისმაგვარი ვაგინებით. ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-ლანცეტაა, ლეგა, ძირისკენ შევიწროებული და პატარა წვეტიტ დაბოლოებული. ყვავილედნი ხშირ და მრავალყვავილიანი, ცილინდრული. ყვავილები პატარა ზომისაა; მუზარადი მოშავო-მენამული ფერისაა და მობლაგვო; ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები ვარდისფერია; ტუჩი ღია ვარდისფერია ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება შუა და ზედა სარტყლების ტყისპირებსა და ბუჩქნარში, მდელოებზე. სპორადულად გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Neottia nidus-avis – ჩიტიბუდა

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი, პარაზიტული ბალახოვანი მცენარეა. მისი ფესვები ქმნის დამახასიათებელ, ბუდის ფორმის გროვას. ღეროს სიმაღლე 15-30 სმ-ია. ფოთლების ადგილას ქერცლები აქვს განვითარებული. ყვავილედნი გრძელია, მრავალყვავილიანი, ყვავილი მურა ფერისაა, სურნელოვანი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ტყეებსა და ბუჩქნარებში. არცთუ ისე ხშირია. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან. საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.



Neottia ovata (L.) Bluff & Fingerh = Listera ovata (L.) R. Br. - ორფოთოლა

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით – 30-60 სმ. ღერო ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი ბუსუსით არის მოფენილი. ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებურია, მახვილწვერიანი. ყვავილედის გრძელია, მრავალყვავილიანი, ყვავილები მომწვანო-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება დაბლობსა და მთის შუა სარტყლის ტყეებში, ბუჩქნარებსა და ველობებზე. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან, მაგრამ – არცთუ ისე ხშირად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, აზიის ზომიერი სარტყლის დიდ ნაწილსა და ჩრდილო ამერიკას.

Ophrys apifera Huds. - ფუტკრის დედა

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 50 სმ – მდე. ფოთლები უფრო ღეროს ქვედა ნაწილშია თავმოყრილი, ფორმით მოგრძო-ლანცეტაა. ზედა ფოთლები პატარა ზომისაა, ღერომხვევი. ყვავილედის მეჩხერია, 3-5-ყვავილიანი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ვარდისფერია, სამი მწვანე ძარღვით. შიგნითა ფოთლები მომწვანო ან ვარდისფერი. ტუჩი ხავერდოვანია, ოვალური, მონითალო-ყავისფერი, ძირში ყვითელლაქიანი პატარა დანამატი. ყვ. ნაყ. V-VI. დაბლობის საკმაოდ იშვიათი მცენარეა, იზრდება მუხნარებსა და ბუჩქნარებში, საკმაოდ იშვიათია. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.



Ophrys apifera Huds. = Ophrys oestrifera M. Bieb.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

20-45 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს ძირში აქვს 2-5 მოგრძო ფოთოლი. ღერო მეტ-ნაკლებად თანაბრად არის შეფოთლილი. ყვავილედის მუხურია – 2-5 – ყვავილიანი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ღია სოსანია, ფორმით – ხაზურ-ლანცეტა, სამი მწვანე ძარღვით. შიგნითა ფოთლები მომწვანო-სოსანია. ტუჩი სამწკვირანია, ხავერდოვანი, ფართო-ოვალური, მოშავო-ყავისფერი, ზემო მხრიდან ნალის ფორმის მოლურჯო-იისფერი მოხატულობით, რომელიც ყვითელი არშიით არის შემოვლებული. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მუხნარებსა და ბუჩქნარებში, ღია, ქვიან ადგილებში. ამ გვარის სახეობებიდან ყველაზე ხშირია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Ophrys caucasica Woronow ex Grossh

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

20-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები უფრო ღეროს ქვედა ნაწილშია თავმოყრილი, ფორმით მოგრძო-ლანცეტაა. ზედა ფოთლები პატარა ბომისაა, მწვანეყავიანი, ღერომხვევი. ყვავილედის მუხურია – 1-4 ყვავილიანი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მომწვანო ან მოყვითალო-მწვანე, ფორმით – მოგრძო-ლანცეტა, სამი ძარღვით. შიგნითა ფოთლები მომწვანო-მურა ფერისაა. ტუჩი სამწკვირანია, ხავერდოვანი, ფართო-კვერცხისებური, მონითალო-მურა ან მოცისფრო-იისფერი, H-ის მსგავსი მოხატულობით. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მუხნარებსა და ბუჩქნარებში, ღია, ქვიან ადგილებში. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. მისი ენდემია.



Orchis mascula (L) L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები 7-14 სმ სიგრძისაა, ლანცეტა, ძირში შევიწროებული და ღეროს ქვედა ნაწილში განლაგებული. ყვავილედ ცილინდრულია, ხშირ და მრავალყვავილიანი. ყვავილები ყავისფერ-მეწამულ-იისფერია ან მომწვანო-მეწამული; ტუჩის ფუძე მოთეთროა და მუქი მეწამული ან იისფერი წინწკლებით მოფენილი. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მოგრძოა, კვერცხისებური ან კვერცხისებურ-ლანცეტა, მახვილი ან გრძლად წანვეტებული; ყვავილსაფრის გვერდითი ფოთლები ასიმეტრიულია. ტუჩი ფართო-სოლისებურია, სამნაკვთიანი; მისი გვერდითი ნაკვთები ფართოა და ოდნავ მრგვალებილა. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – ტყისპირებსა და მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთს.

Orchis militaris L.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

20-45 სმ სიმაღლის მცენარეა, ძირთან 2 მოთეთრო, სიფრიფანა ვაგინით, ფოთოლი – 3-5, მოგრძო -ელიფსური ან მობლაგვო. ყვავილედ მკვრივია, მრავალყვავილიანი, ჯერ პირამიდული, შემდეგ კი – ცილინდრული. ყვავილები სურნელოვანია, გარეთა ფოთლები კვერცხისებურ-ლანცეტაა, წანვეტებული, სამძარღვიანი, გარედან მოთეთრო – მოვარდისფრო, შიგნიდან 3 იისფერ-წითელი ძარღვით. ტუჩი მოთეთროა, წითელი წინწკლებით. ნაკვთები ხაზურია, შუა ნაკვთი დიდია. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ტყისპირებსა და მდელოებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდილო და აღმოსავლეთ აზიას.



Orchis punctulata Steven ex Lindl.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-65 სმ სიმაღლისაა, მის ძირში განვითარებულია 4-5 ლანცეტა ან უკუკვერცხისებური ბლაგვი ფოთლები. ყვავილედით მუხრია, ცილინდრული, მრავალყვავილიანი; ყვავილს ვანილის სუნი აქვს. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მოყვითალო-მომწვანოა. ყვავილსაფრის შუა ფოთოლი სამძარღვიანია, გვერდითი – ოთხძარღვიანი და არათანაბარგვერდიანი. ტუჩი მომწვანო-მოყვითალოა ან ზეთისხილისფერი, ორნაკვთიანი, ნახევარმთვარისებურად მოხრილი ნაკვთებით. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყისპირებში, ბუჩქნარში. საქართველოში საკმაოდ იშვიათია, იზრდება კახეთსა და აფხაზეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთის ცენტრალურ ნაწილს.

Orchis purpurea subsp. caucasica (Regel) B. Baumann & al. – ჯადვარი

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მცენარის ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა; ფოთლები, რომელთა რაოდენობა 3-6-ს უდრის, ღეროს ძირთანაა თავმოყრილი. ელიფსურ-ლანცეტა ფორმისაა და ბლაგვი; მათ ზემოთ ვაგინაა, რომელიც ფოთლის მსგავსია, გრძელი და წაწვეტებული. ყვავილედით გრძელია, ხშირ და მრავალყვავილიანი. თანაყვავილები ხასიათდება მუქი მენამული ფერის წინწკლებით, რომელიც ვარდისფერ ფონზეა მოფენილი; ზოგჯერ ეს წინწკლები ერთმანეთს უერთდება და მთლიან ლაქადაა წარმოდგენილი. ტუჩი მოთეთროა ან ვარდისფერი, მუქი მენამული ფერის წინწკლებით მოფენილი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ტყეებში, ნესტიან ადგილებში, ბუჩქნარებში, ტყისპირებში. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Orchis simia Lam. - მაიმუნის ჯადვარი

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მცენარის ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, 4-5-ფოთლიანი, მოყვანილობით – მოგრძო-ლანცეტა, მობლაგვო, 1-2 ვაგინიანი ფოთოლი. ყვავილედის ხშირია, მრავალყვავილიანი, კვერცხისებური. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მონაცრისფრო-იისფერია. ტუჩი ღია ვარდისფერია, მისი შუა ნაკვთი წინწკლებიანია, გვერდითი ნაკვთები – ვიწრო-ხაზური და მოღუნული. შუა ნაკვთი გაყოფილია ორ ვიწრო-ხაზურ ნაწილად და მათ შორის სადგისისებური კბილია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ, სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Platanthera bifolia (L.) Rich.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

30-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთოლი ორია, ფართო-ოვალური, ბლაგვწვერიანი. ყვავილედის მეჩხერია, ცილინდრული ფორმის. ყვავილები თეთრი ფერისაა, წვერში ოდნავ მომწვანო, ძლიერ სურნელოვანი, განსაკუთრებით – ღამით. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ხუთძარღვიანია, შიგნითა – სამძარღვიანი. თანაყვავილები ლანცეტაა, ბლაგვი. ტუჩი ხაზურია ან ენისებური. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ციმბირის ზოგიერთ რეგიონს.



Platanthera chlorantha (Custer) Rchb.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

30-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მთლიანია, წაწვეტებული, მოგრძო-კვერცხისებური. ფოთოლი ორია, ფართო და ბლაგვწვერიანი; ღეროს ზედა ნაწილში პატარა ლანცეტა და მახვილი ფოთლებია. ყვავილედნი მერხერია, ცილინდრული ფორმის, მრავალყვავილიანი. თანაყვავილები ფოთლისებურია, მწვანე, ლანცეტა, წაწვეტებული ან ბლაგვი. ყვავილები მომწვანო-თეთრია. ტუჩი ხაზურია ან ლანცეტა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლის ფართოფოთლოვან ტყეებში, ძირითადად, წიფლნარ-მუხნარებში, წიწვოვან ტყეებში, ბუჩქნარში, ალპურ სარტყელში – მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.

Serapias vomeracea (Burm. f.) Briq.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო შეფოთლილია, ფოთლები ღეროს წვერისკენ უფრო პატარაა, ლანცეტა. ყვავილედნი გრძელია, 12 სმ-მდე სიგრძის. თანაყვავილებს სიგრძესა და სიგანეზე აქვს მრავალი მუქი წითელი ფერის ძარღვები. ყვავილები დიდი ზომისაა, ყვავილსაფრის ფოთლები გარედან მომწვანო-მურაწითელი ფერისაა, ტუჩი უდებოა, მუქი წითელი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ბუჩქნარებში, მდელოებზე. საქართველოში ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ ნაწილში, იშვიათად -კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილს, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Spiranthes spiralis (L) Chevall.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

8-35 სმ სიმაღლის მცენარეა. ყველა ფოთოლი ფესვთანურია და ადრევე კვდება, თუმცა მალევე მეორე წლის ფოთლები ვითარდება. ყვავილედის ცალგვერდაა, ყვავილი თეთრი ფერისაა. ყვავილედის ღერძი შებუსუსულია. ყვ. ნაყ. VIII-X. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე, ქვიშნარებზე, ქვიან ადგილებში, ფიჭვნარებში, ტყისპირებსა და ველობებში. ცნობილია დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას (სპორადულად), სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო აფრიკასა და ირანს.

Steveniella satyroides (Spreng.) Schltr.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სიმაღლე – 20-40 სმ. ღერო შეფოთლილია, 3-5-ფოთლიანი. ძირის ფოთლები სიფრიფანაა, მათ ზემოთ ორი მწვანე ფოთოლია, დამახასიათებელი წაბლისფერი ლაქებით. ყვავილები გრძელია, ყვავილის მუზარადი მოწითალო-მწვანეა, ყვავილსაფრის ფოთლები კი – წაბლისფერ-მწვანე, წითელი ლაქებით. ტუჩი მურა მწვანე ფერისაა, ძირში – მოწითალო-ყავისფერი, წვრილმეჭვებიანი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მუხნარებში, რცხილნარებში, ბუჩქნარებსა და ტყისპირა ადგილებში. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მაგრამ საკმაოდ იშვიათია. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ყირიმსა და მცირე აზიას. მცენარე აღწერილია საქართველოდან.



Traunsteinera sphaerica (M. Bieb.) Schltr.

ოჯახი: Orchidaceae – ჯადვარისებრნი

70 სმ- მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ორი ან სამი ფოთოლი მოგრძო-ლანცეტა ან ბოლოში მოკლენვეტიანია. ყვავილედნი ხშირ და მრავალყვავილიანია, მოყვანილობით – პირამიდული ან კვერცხისებურ-სფეროსებური; ყვავილი თეთრია; ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები კვერცხისებურ-ლანცეტაა, სამძარღვიანი, ზევით გაფართოებული. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ზედა და სუბალპურ-ალპური სარტყლების მდელოებზე, ნაკადულების გასწვრივ და ტენიან მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Euphrasia amblyodonta Juz. -

კორდისკბილა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი პატარა ზომის მცენარეა, ღერო სიმაღლით – 2-10 სმ, სწორად მდგომია ან წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი, ტოტები მოპირისპირეა, ხუჭუჭა ბენვით შემოსილი. ფოთლები კვერცხისებურია, 1-2 ნიჩბისებური ნაკვთით თითოეულ მხარეზე. ყვავილედნი თავაკისებურია. ყვავილები თეთრია, ზოგჯერ ლილისფერი ზედა ტუჩით, ზედა ტუჩს იისფერი ზოლები გასდევს და ყვითელი ლაქა ახასიათებს. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპურ მდელოებსა და მორენებზე. საქართველოში ცნობილია სპორადულად დიდი კავკასიონის გაყოლებებზე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Euphrasia caucasica Juz. - კორდისკბილა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-35 სმ სიმაღლისაა, მარტივი, შებუსულია თეთრი ხუჭუჭა ბეწვით. ფოთლები კვერცხისებურია, შებუსული. ღეროსეული ფოთლები 3-5 – ფხიანი კბილით ხასიათდება. გვირგვინი მოთეთრო ფერისაა, მუქი იისფერი ზოლებით. ზედა ტუჩი მკრთალი იისფერია, ქვედა ტუჩს ყვითელი ლაქა აქვს. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ღორღიან ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Lathraea squamaria L. - ჩანყობილა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი პარაზიტული ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, ძირში ქერცლებიანია, მოწითალო-თეთრი ფერისა. ყვავილედ მჭიდროა, ცალმხრივი, გვირგვინი მილისებურია, ორტუჩა, შეფერილობით – მოთეთრო-ვარდისფერი. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. პარაზიტობს თხილის, რცხილის, მურყნის, წიფლისა და სხვა მცენარეთა ფესვებზე. საქართველოში ეს მცენარე ცნობილია იმერეთიდან, შიდა ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან და კახეთიდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპასა და მცირე აზიას.



Melampyrum arvense L. - ყანის სანთელა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, დატოტვილი, შებუსული. ფოთლები ლანცეტაა, კიდემთლიანი, 2-4 კბილით. ყვავილედო ცილინდრული თავაკია. თანაყვავილები მოგრძო-კვერცხისებურია, შეფერილობით – მწნამულ-მოვარდისფრო ან მოთეთრო, ღრმად დანაკვთული, კიდეებზე წამწამებიანი. გვირგვინი დიდი ზომისაა, მწნამული ფერის. ქვედა ტუჩი ყვითელი ლაქებითაა დაფარული. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ველებზე, ტყის ველობებზე, ნათესებში, ყამირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, დასავლეთ ციმბირს.

Melampyrum caucasicum Bunge - ყანის სანთელა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებურ-ლანცეტაა, კიდემთლიანი ან დაკბილული. ყვავილედო ცილინდრული თავთავია. თანაყვავილები კვერცხისებურ-ლანცეტაა, შეფერილობით – მწვანე, ზედა ნაწილში თათისებურად გაფარჩხული, კიდეებზე წამწამებიანი. გვირგვინი დიდი ზომისაა, ყვითელია ან მწნამული. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ველებზე, ნათესებში, ყამირებზე, ტყის ველობებზე, იშვიათად – ტყეებში. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ აღმოსავლეთ კავკასიას. კავკასიის ენდემია. სახეობა აღწერილია საქართველოდან.



Orobanche arenaria Borkh.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ორ ან მრავალწლიანი მცენარეა, 15-20 სმ სიმაღლის მარტივი და ძლიერი ღერო, შეფერილობით გახუნებული იისფერი ან მოყვითალოა, ქვედა ქერცლები კრამიტისებურია, ზედები – ლანცეტა. გვირგვინი ქვედა ნაწილში გაფართოებულია, შემდეგ ვიწროვდება. შეფერილობით მოლურჯო-იასამნისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობებში და პარაზიტობს ავშნის (*Artemisia*) სახეობათა ფესვებზე. საქართველოში მისი ნახვა შესაძლებელია შიდა ქართლში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას.

Orobanche caryophyllacea Sm.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი მცენარეა, ღერო მარტივია, აქვს 15-40 სმ სიმაღლის, მკრთალი ან ღია იისფერი, გლუვი ან ბოლებიანი, შებუსული ჯირკვლოვანი ბეწვით. ქვედა ქერცლები კვერცხისებურ-მოგრძოა, ზედები – ლანცეტასებური, გვირგვინი დიდი ზომისაა, ფართო მილით. ქვედა ნაწილში გაფართოებულია, ზედა ტუჩი მუზარადისებურია, ქვედა კი ხასიათდება თანაბარი ნაკვთებით. შეფერილობით გახუნებული ლილისფერია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობებიდან მთის შუა სარტყლამდე და პარაზიტობს ენდროსებრთა (*Rubiaceae*) ფესვებზე. საქართველოში მისი ნახვა შესაძლებელია აფხაზეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Orobanche cernua Loefl. = Orobanche cumana Wallr.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთ, ორ ან მრავალწლიანი მცენარეა. აქვს 15-50 სმ სიმაღლის მარტივი ღერო, შებუსული თიხისფერი ჯირკვლოვანი ბენჯით. ქერცლები კვერცხისებური ან ლანცეტასებურია. გვირგვინი საშუალო ზომისაა, რკალივით მოხრილი მილით. ყვავილები გაშლამდე ზემოთ არის აღმართული, მერე – გაფარჩხული. გადანადუნი შეფერილობით ლილისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობებიდან მთის შუა სარტყლამდე და პარაზიტობს რთულყვავილოვანთა და ძაღლყურძენასებრთა ოჯახების სახეობების ფესვებზე. საქართველოში მისი ნახვა შესაძლებელია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას, ავსტრალიას.

Orobanche gracilis Sm.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი მცენარეა. ღერო მარტივია და სიმაღლით – 60 სმ-მდე, შეფერილობით – მღვრიე-მუნამული, შებუსული ჯირკვლოვანი ბენჯით ან თითქმის შიშველი. ქერცლები კვერცხისებურია. გვირგვინი დიდი ზომისაა, ზარის ფორმის. ზედა ტუჩის ნაკვთები გადაკეცილია და ქედიანი, ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი დიდი ზომისაა. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება დაბლობებიდან მთის შუა სარტყლამდე და პარაზიტობს პარკოსანთა ოჯახის სახეობების ფესვებზე. საქართველოში მისი ნახვა შესაძლებელია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპასა და მცირე აზიას.



Orobanche lutea Baumg.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი მცენარეა, ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი, ძლიერი, შეფერილობით მურა-მენამული ან მოყვითალო, შებუსულია ჭირკვლოვანი ბეწვით. ქვედა ქერცლები კრამიტისებურია და ზედები დაშორებულია, გვირგვინი ქვედა ნაწილში გაფართოებულია. შეფერილობით გახუნებული მურა ფერისაა ან მოწითალო. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობებში და პარაზიტობს პარკოსანთა სახეობათა ფესვებზე. მისი ნახვა შესაძლებელია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიას.

Parentucellia latifolia Caruel

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, მარტივი ან დატოტვილი. ღეროსეული ფოთოლი 4-8 წყვილია, ფართო-კვერცხისებური, კიდედაკბილული. გვირგვინი მენამულია, ქვედა ტუჩი – სამნაკვთიანი. ყვავილები ილლიურია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ველებზე, მდელოებზე და ბუჩქნარებში, ტენიან ადგილებში, ზოგან – მასობრივად. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპას.



Pedicularis comosa L. - საბილია

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, დადარული, შიშველი ან ღარების გასწვრივ შებუსული, ხშირფოთლიანი. ქვედა ფოთლები როზეტულია, ფორმით – მოგრძო-ხაზური, ფრთისებურად განკვეთილი. ღეროსეული ფოთლები პატარაა, ძირითადად – მჯდომარე. ყვავილეთი ფართო-კვერცხისებურია, ხშირყვავილიანი. გვირგვინი მოთეთრო – მოყვითალოა. ყვ. ნაყ. VI-VII. მცენარე გავრცელებულია შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – მდელოებზე. საქართველოში ცნობილია რაჭა-ლეჩხუმიდან, გურიიდან, აჭარიდან, ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და კახეთიდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო და დასავლეთ ირანს.

Pedicularis condensata M. Bieb. - საბილია

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, ღრმად დადარული, შიშველი ან ღარების გასწვრივ ხუჭუჭა ბენვით შებუსული, ხშირფოთლიანი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, შუა ფოთლები – მოკლეყუნწიანი, ფორმით მოგრძო-ხაზურია, ფრთისებურად განკვეთილი. ზედა ფოთლები შედარებით პატარაა, ძირითადად – მჯდომარე. ყვავილეთი ფართო-კვერცხისებურია, ხშირყვავილიანი. გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალოა. ყვ. ნაყ. VI-VII. გავრცელებულია მთის ზედა და ალპური სარტყლების მდელოებზე. ცნობილია მთელ საქართველოში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.



Pedicularis crassirostris Bunge - საბილია

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 5-15 სმ სიმაღლის მრავალი ღერო, წამოწეულია, მუქი ფერის, წიბოებზე თეთრი ბენვით მოფენილი. ფესვთანური ფოთლები შიშველია, ფოთლის ყუნწები ხუჭუჭა ბენვითაა შებუსული. ფოთოლი დაყოფილია მსხვილ, ფრთისებურად დანაკვეთულ სეგმენტებად. ღეროსეული ფოთლები 2-4-წევრიან ჩხროდ არის განლაგებული. ყვავილედითა ვაკია, ყვავილი მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ტენიან და ღორღიან ადგილებში. სპორადულად მთელ საქართველოშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს, გარდა ჩრდილო ირანისა. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Pedicularis eriantha T. N. Popova - საბილია

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, დაღარული, შიშველი ან ღარების გასწვრივ შებუსული, ხშირფოთლიანი. ქვედა ფოთლები მრავალია, ფორმით – მოგრძო-ხაზური, ფრთისებურად განკვეთილი. ღეროსეული ფოთლები პატარაა, ძირითადად – მჯდომარე. ყვავილედით ფართო-კვერცხისებურია, ხშირყვავილიანი. გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალოა. ყვ. ნაყ. VI-VII. გავრცელებულია შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – მდელოებზე. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო და დასავლეთ ირანს.



Phelypaea coccinea (M. Bieb.) Poir. = Diphelypaea coccinea (M. Bieb.) Nicolson - პირიმბე

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

პარაზიტული მცენარეა, აქვს 30 სმ სიმაღლისა და 3-6 მმ სისქის მრავალი, ღრუიანი ღერო, მუქი წითელი ჯირკვლოვანი შებუსვით, ქერცლებით თანაბრად შემოსილი. ქერცლები კვერცხისებური მოგრძო ფორმისაა, სხვადასხვა სიგრძის, ნახევრად ღერომხვევი. გვირგვინი ფართო მოხრილი მილითაა. გვირგვინი გარედან ყვითელია, შიგნიდან – კაშკაშა წითელი. ყვ. ნაყ. IV-VII. მცენარე იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში, ბალახოვან ფერდობებზე, მდელოებზე, პარაზიტობს სხვადასხვა Asteraceae-ს სახეობაზე. საქართველოში გვხვდება მთიულეთში, თუშეთში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს, სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონს.

Rhinanthus schischkinii Vassilcz. - ხრიალა

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-12 სმ სიმაღლისაა, მეტ-ნაკლებად შებუსული. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა. თანაყვავილედნი ჯამის ფოთლებზე გრძელია. გვირგვინი ყვითელია. ქვედა ტუჩი ზედასგან დაშორებულია. ზედა ტუჩის ნისკარტი იისფერია. ყვ. ნაყ. VII-VIII. გავრცელებულია ალპურ მდელოებზე. საქართველოში მცენარე გავრცელებულია დიდი კავკასიონის ქედის გაყოლებებზე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებს. კავკასიის ენდემია.



Rhinanthus serotinus subsp. aestivalis (N. W. Zinger) Dostál = Rhinanthus vernalis (N. W. Zinger) Schischk. & Serg.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, მწვანე ან მოყავისფრო, ღარებიანი ან ნიბოებიანი, შიშველი ან სუსტად შებუსული. ფოთლები მჯდომარეა, ფორმით მოგრძო-ლანცეტაა. ყვავილის ქვედა ტუჩი ზედა ტუჩთან შედარებით მოკლეა და მისგან დაშორებული. გვირგვინი ყვითელია. ზედა ტუჩის ნისკარტი მოთეთროა ან იისფერი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპურ მდელოებზე. საქართველოში მცენარე გავრცელებულია დიდი კავკასიონის ქედის გაყოლებებზე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ციმბირსა და ჩრდილო ამერიკას.

Rhynchocorys elaphas (L.) Griseb. – საყურე

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი, შებუსული ან შიშველი. ფოთლები მჯდომარეა ან მოკლეყუნჩიანი, მოპირისპირედ განლაგებული, მოგრძო ან მოგრძო-კვერცხისებური ფორმის. ყვავილები მარტოულია, იდლიური, ყვითელი, ხორთუმი სწორია ან აღმავალი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების ბუჩქნარებში, ტენიან მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Rhynchocorys orientalis Benth.

ოჯახი: Orobanchaceae – კელაპტარასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი, შებუსული. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, თითქმის მჯდომარე, ფორმით – მოგრძო, სამკუთხა-ლანცეტა ან კვერცხისებური. ყვავილები მარტოულია, ილღიური, ყვითელი, ხორთუმი რკალივით არის მოხრილი, რომელიც ბოლოვდება ფართო ფირფიტით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლების ბუჩქნარებში, ტენიან მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.

Oxalis corniculata L. - მუკველა

ოჯახი: Oxalidaceae – მუაველასებრნი

ერთ ან ორწლიანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 8-25 სმ-ია, ზოგჯერ გართხმული, გრძელტოტებიანი. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, სამფოთოლაკიანი, გრძელყუნჩიანი. ფოთოლაკები უკუგულისებურია, ორივე მხარეზე მოფენილია მიტკეცილი, ჯაგრისებური ბუნვით. საყვავილე ღერო მარტოული 1-3 ყვავილითაა. გვირგვინის ფურცლები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, მდინარეთა ნაპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ევრაზიის კონტინენტზე გარდა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩრდილოეთი ნაწილისა.



Oxalis violacea L.

ოჯახი: Oxalidaceae – მჟაველასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი, უღერო მცენარეა. ფოთლები გრძელ და სუსტყუნნიანია. ფოთოლაკები უკუგულისებურია, ღრმად არის ამოკვეთილი, ორივე მხარეზე მიტკეცილი ბენვით მოფენილი, მონითალო ფერის, წვრილი წერტილებით დაწინწკლული. საყვავილე ღერო მრავალყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები მოლურჯო-იისფერია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება რუდერალურ ადგილებში. საქართველოში შემოტანილი მცენარეა. გავრცელებულია აფხაზეთსა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Paeonia daurica subsp. coriifolia (Rupr.) D. Y. Hong. = Paeonia caucasica (Schipcz) Schipcz. - კავკასიური იორდასალაში

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, სწორია ან ოდნავ დაკლავნილი, შეფოთლილი. ფოთოლი ორივე მხარეს შიშველია ან ქვემოდან შებუსული. ფოთლის ნაკვეთები მოგრძო-ოვალურიდან თითქმის მომრგვალომდეა. ყვავილი მენამული ფერისაა, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებურია. მტვრიანას ძაფები მენამულ-წითელია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში, მუხნარებსა და რცხილნარებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემია.



***Paeonia daurica* subsp. *coriifolia* (Rupr.) D. Y. Hong = *Paeonia ruprechtiana* Kem. -Nath. - რუპრეხტის იორდასალამი**

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, სქელი, შეფოთლილი, ოდნავ დაკლავნილი და წახნაგებიანი. ფოთოლი ტყავისებურია, ძირითადად – ცხრანაკვთიანი, მისი ნაკვთები ფართო-უკუკვერცხისებურია ან თითქმის რომბისებური. ყვავილები ფართოდაა გადაშლილი, მოვარდისფრო-წითელია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში, ხევებში. გავრცელებულია რაჭაში, იმერეთსა და ქართლში. საქართველოს ენდემური მცენარეა.

***Paeonia daurica* subsp. *wittmanniana* (Hartwiss ex Lindl.) D. Y. Hong = *Paeonia wittmanniana* Hartwiss ex Lindl. - ვიტმანის იორდასალამი**

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 80-100 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ორმაგ-სამფოთოლაკიანია, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსული. მისი ნაკვთები უკუკვერცხისებურია, წანვეტებული ან მობლაგვო. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი. გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მოთეთროა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყისპირა ადგილებში, ნიფლნარებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ენდემური მცენარეა.



***Paeonia daurica* subsp. *macrophylla* (Albov)
D. Y. Hong = *Paeonia steveniana* Kem.
-Nath. - სთევენის იორდასალაში**


ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100 სმ-მდე სიმაღლისაა, მაგარია და ხშირფოთლიანი. ფოთოლი 9-ნაკვთიანია, ნაკვთები უკუკვერცხისებურია, მოგრძო-ოვალური ან კვერცხისებური. ყვავილი არ არის ფართოდ გადაშლილი. ჯამის ფოთლები არათანაბარია. გვირგვინის ფურცლები რძისფერია და უკუკვერცხისებური, ძლიერ ჩაზნექილი. ყვ. ნაყ. V. იზრდება ტყის ზედა სარტყლის ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. საქართველოს ენდემური მცენარეა.

***Paeonia daurica* subsp.
mlokosewitschii (Lomakin) D. Y. Hong
= *Paeonia mlokosewitschii* Lomakin -
მლოკოსევიჩის იორდასალაში**

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო შეფოთლილია. ფოთოლი ორ-სამფოთოლაკიანია, სულ ზედა ფოთოლი მთლიანია. ორივე მხარე ან მხოლოდ ქვედა მხარე ლეგა ფერისაა, შიშველია ან ქვედა მხარეს შებუსული. ფოთლის ნაკვთები უკუკვერცხისებურია. ყვავილი ფართოდ არ არის გადაშლილი, გვირგვინი თეთრია ან მოყვითალო. სამტვრეები ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში, გვხვდება მხოლოდ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. საქართველოს ენდემია. მცენარე აღწერილია 1897 წელს ბოტანიკურ ბაღში კულტივირებული ეგზემპლარების მიხედვით.



***Paeonia x lagodechiana* Kem. -Nath. - ლაგოდეხის იორდასალამი**

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, ნახნაგებიანი და შეფოთლილი. ფოთლები ორ-სამნაკვთიანია, ლეგა, ნაზი და სადა. ფოთლის ნაკვთები მოგრძო-ელიფსურია. ყვავილი მოთეთრო – ვარდისფერია, ფართოდ არის გადაშლილი. მტვრიანების ძაფები მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. V. იზრდება შუა სარტყლის ტყეებში. მისი ნახვა შესაძლებელია ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. კავკასიის ენდემია. აღწერილია 1953 წელს ლაგოდეხში. გავრცელებულია ასევე დაღესტანში. მცენარე მლოკოსევიჩისა და კავკასიური იორდასალამის ბუნებრივ ჰიბრიდად განიხილება.

***Paeonia tenuifolia* L. - წვრილფოთოლა იორდასალამი**

ოჯახი: Paeoniaceae – იორდასალამისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-50 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი, ფოთლები ძალიან ვიწროა, თითქმის ძაფისებური, 1-2 მმ სიგანის ნაკვთებით. ყვავილები დიდი ზომისაა, გვირგვინის ფურცლები მუქი წითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში – ველებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გვხვდება კახეთსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ცენტრალურ ევროპას, ყირიმს, შუა აზიის დასავლეთ ნაწილს.



Argemone mexicana L.

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

45-90 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ლეგაა და დატოტვილი, შიშველი ფოთლები დიდი ზომისაა, 8-20 სმ სიგრძის, ამოკვეთილნაკვეთებიანი, მისი ნაკვეთები ქიცვისებურ-კბილებიანია, თეთრძარღვიანი. გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან ნარინჯისფერი, უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ზღვისპირა ქვიშებზე, შემოტანილი მცენარეა, საქართველოში გავრცელებულია აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ და ტროპიკულ ამერიკას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას – გაველურებულია

Chelidonium majus L. - ქრისტეწიწხლა

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

30-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ღარებიანია, სწორი და ზედა ნაწილში დატოტვილი, შიშველია ან რამდენადმე ბენჯებიანი. ფოთლები შიშველია ან გაფანტულბენჯიანი – 5-7, ოვალური ან კვერცხისებური. ყვავილები, რომელთა რაოდენობა არის 3-8, შეკრებილია კენწრულ ქოლგისებურ ყვავილედად. გვირგვინის ფურცლები კამკაშა ყვითელია, მოგრძო უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. IV-IX. რუდერალური მცენარეა, იზრდება ტყის ზედა სარტყელამდე, უპირატესად ტყეებში, ბუჩქნარებში, ბაღებში, ბოსტნებში, დანაგვიანებულ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას.



Corydalis angustifolia (Bieb.) DC.

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

10-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტივია, გამოდის ქერცლისებური ფოთლის ილლიდან. ფოთოლი ორია და მორიგეობითი, ორჯერ სამად დაყოფილი მოგრძო ან ვიწრო-ხაზურ ნაკვეთად. მტევანი მცირეყვავილიანია, ფარჩხატი. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა ან თეთრი, 20-25 სმ სიგრძის. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, მცირე აზიასა და ირანს.

Corydalis caucasica DC. – ბუჩქისძირა

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილია, 10-25 სმ სიგრძისა, სწორად მდგომი, ძირითადად – მარტივი. 2-3 გრძელყუნწიანი ფოთოლი რიგებად არის განლაგებული, 2-3 ნაწილად დაყოფილი, ფოთლის სემენტები ძირამდეა დაყოფილი სამ უკუკვერცხისებურ ნაკვეთად. ყვავილედ მტევანია. გვირგვინის გარეთა ფურცელი მენამულ-იისფერია, შიგა ფურცელი ყვითელია ან გვირგვინი თეთრია. ყვ. ნაყ. IV-V. მცენარე გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში, ბუჩქნარებსა და ტენიან ადგილებში. სპორადულად არის გავრცელებული თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



**Corydalis cava subsp. marschalliana (Willd.)
Hayek = Corydalis marschalliana (Willd.)
Pers. - ბუჩქისძირა**

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მწვანე ფერისა. ღერო მარტივია, 10-30 სმ სიმაღლის. ფოთოლი ორია, მორიგეობით განწყობილი, გრძელყუნჩიანი, ორჯერ სამად განკვეთილი, ფოთლის სეგმენტები ელიფსურია, შუაში - უფრო დიდი და ზოგჯერ ნაკვეთბიანი. მტევანი მრავალყვავილიანია. გვირგვინის გარეთა ფურცლები ვარდისფერ-მეწამული ან მოთეთროა. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება ბუჩქნარებსა და ჩრდილიან ადგილებში. საქართველოში სპორადულად გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Corydalis conorhiza Ledeb. - ბუჩქისძირა

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 4-10 სმ სიმაღლის მარტივი ღერო. ქვედა ნაწილში 1-2 ქერცლისებური, წვრილი, ღეროზე მჭიდროდ მიკრული ფოთლით. ფორმით ფრთისებურია, 2-3 წყვილი სეგმენტით. სეგმენტები ძირამდე განკვეთილია 2-3 ნაკვეთად. ყვავილედ ფოთლებზე გრძელია. ჯამის ფოთოლი დიდია და გრძელფოჩებიანი, ლილისფერი. გვირგვინი ვარდისფერი, მეწამული ან ყვითელია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ალპურ მდელოებზე, მდნობი თოვლის ახლოს. საქართველოს მაღალმთიანეთში არცთუ იშვიათი მცენარეა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Corydalis pallidiflora (Rupr.) N. Busch

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი ლეგა მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, დაუტოტავი, ღეროზე განლაგებულია 2-3 ქერცლისებური, მიტკეცილი ფოთოლი. 2-4 ფოთოლი განლაგებულია ღეროს ქვედა ნაწილში, გრძელყუნწიანი და სამფოთოლაკიანი. მტევანი ყვავილობისას აშკარად აღემატება ფოთლებს. გვირგვინი 20-35 სმ სიგრძისაა, მოლურჯო-იისფერი ან ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში, 2000-3000 მ ზღვის დონიდან – მდელოებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, მთიულეთში, ხევსურეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Fumaria officinalis L. - შაჰმარტა

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

15-20 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, დატოტვილი, ფოთლები 3-4 ნაწილად არის დაყოფილი ვიწრო-ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილედ მტევანია. გვირგვინი მოვარდისფრო – იისფერია, უფრო მუქი ტუჩით. ყვ. ნაყ. III-VI. იზრდება ქვიან ადგილებში, ნათესებში, მინდვრებსა და ყამირებზე. ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ციმბირს.



Glaucium corniculatum (L.) Curtis - ყაყაჩურა

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

10-40 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წახნაგოვანია, ღარებიანი, ჩვეულებრივ, გაფარჩხულ-დატოტვილი. მთელი მცენარე ჯაგრიტაა მოფენილი. ფოთლები ღრმად ფრთისებრურად არის დანაკვეთილი, არათანაბარ ბასრხერხვბილა სეგმენტებად. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, ღეროსეული ფოთლები - მჯდომარე. გვირგვინის ფურცლები 1,5-3 სმ სიგრძისაა, შეფერილობით ღვინისფერ-წითელია, ძირში მოშავო-იისფერი ლაქით. ყვ. ნაყ. IV-VIII. დაბლობების, მშრალი ფერდობებისა და ნათესების მცენარეა. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Hypocoum pendulum L. - ყპპვისხმალა

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, სიმაღლით - 10-30 სმ, დატოტვილი. ფოთლები სამ ნაწილად ფრთისებურად არის განკვეთილი ძაფისებურ-ხაზურ წვეტიან ნაკვეთებად. ფესვთანური ფოთლები როზეტულია. ღეროსეული ფოთლები ძალიან პატარაა და თათის მსგავსად დაყოფილი. ყვავილები გრძელ ტოტებზეა მოთავსებული. გვირგვინი ყვითელი ფერისაა. გვერდითი ნაკვეთები შავი წერტილებით არის დაფარული. ყვ. ნაყ. IV-V. მცენარე გავრცელებულია ნათესებსა და კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Papaver fugax Poir. - ყაყაჩო

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

15-40 სმ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ლეგა, ჯაგრისებურბენჯიანი. წვერზე მოკლე გვერდითი ტოტებით, რომლებზედაც განთავსებულია ყვავილები. ფოთლები ფრთისებურად არის განკვეთილი კვერცხის ფორმის წვერზე ჯაგრიან სეგმენტებად. ყვავილეთი მტევანია. გვირგვინი პატარა ზომისაა, მოყვითალო-მოვარდისფრო. შავი ლაქა არ აქვს. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების მშრალ, კლდოვან ადგილებში, ნაზვავებზე. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანსა და ერაყს.

Papaver hybridum L. - ყაყაჩო

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

10-50 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, დატოტვილი, სწორი, ჯაგრისებურად შებუსული. ღეროსეული ფოთლები ვიწრო-ხაზურად არის დანაკვეთილი. ყვავილის ყუნწებიც და კოკრებიც ჯაგრისებურად არის შებუსული. ყვავილი ვარდისფერია ან წითელი. გვირგვინის ძირი მცირე ზომის შავი ლაქით არის წარმოდგენილი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება ველებისა და ნახევარუდაბნოების ფორმაციებში, ნათესებში და მშრალ ფერდობებზე. გავრცელებულია იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Papaver monanthum Trautv.

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო რამდენიმეა, უფოთლო, ფოთლებთან ერთად ხეშეში, თეთრი, ჯაგრისებური ბენჯით შეხუსული. ყველა ფოთოლი ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, მოყვანილობით მოგრძო-ლანცეტაა. ყვავილები მარტოულია, განლაგებული გრძელ, 24-25 სმ სიგრძის ღერძზე. გვირგვინის ფურცლები მკრთალი წითელი ფერის ან წარინჯისფერ-ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მშრალ, ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია აჭარაში, გურიაში, ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს.

Papaver oreophilum Rupr.

ოჯახი: Papaveraceae – ყაყაჩოსებრნი

10-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, შუამდე დატოტვილი და შეხუსული მოთეთრო, გაფარჩხული ბენჯებით. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, წაგრძელებული და ფრთისებურად განკვეთილი. საყვავილე ღერძი სამჯერ აღემატება ღეროს. კოკრები ხშირ, გაფარჩხულ-წითურბენჯებიანია. გვირგვინის ფურცლები აგურისფერ-წითელია, ძირთან მუქი ლაქა აქვს. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყლებში, 1700-3000 მ-მდე – მშრალ, ქვიან და ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია სვანეთში, რაჭასა და მთიულეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Papaver orientale L. - აღმოსავლური ყაყაჩო

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

90 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მსხვილია, მარტოული, შუამდე შეფოთლილი, ქვედა ნაწილში გაფარჩხული, ზედა ნაწილში კი მიტკეცილი ბენჯით დაფარული. ფოთლები ხეშეში, ჯაგრისებური გაფარჩხული ბენჯითაა მოფენილი, ღრმად ფრთისებურად განკვეთილია მრავალ მოგრძო ან ლანცეტა-ხერხვბილა ნაკვეთებად. კოკრები თავჩაქინდრულია, ჩვეულებრივ, ფართო-კვერცხისებური. გვირგვინის ფურცლები - 4 ან 6, ნარინჯისფერ-ალისფერი ან წითელია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ბუჩქნარებსა და მდელოებზე ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში. გავრცელებულია ქართლში, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Papaver rhoeas L. = Papaver commutatum Fisch. , C. A. Mey. & Trautv.

ოჯახი: Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი

50 სმ-მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დატოტვილია, გართხმული, მეჩხრად მოფენილი ჯაგრისებური ბენჯებით. ფოთლები ფრთისებურად განკვეთილია, ლეგა, შიშველი ან მეჩხერი ბენჯით არის დაფარული. ქვედა ფოთლები კვერცხისებურია, ზედა კი ხაზური სევმენტებითაა. ყვავილები მარტოულია. გვირგვინი წითელია ან ღვინისფერ-წითელი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ნათესებში, ქვიან ფერდობებზე, უფრო ხშირად - ნახევარუდაბნოს ფორმაციებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. საერთო გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Paulownia tomentosa steud.

ოჯახი: Paulowniaceae – პაულოვნიასებრნი

10-25 მ სიმაღლის ხეა. მოპირისპირედ განლაგებული ფოთლები დიდი ზომისაა, გულისებური. ყვავილები დიდი ზომისაა, ზიგომორფული, ვარდისფერი, მცენარე ყვავის ფოთლების გამოსვლამდე. ნაყოფი კაკალია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობებზე, ტყეებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილსა და კახეთში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ აზიას, კულტივირებულია მთელ მსოფლიოში. საქართველოში გავლურებულია.

Antirrhinum majus L. - ძაღლისპირა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 25-80 სმ სიმაღლის ღერო მარტივია ან დატოტვილი, ზედა ნაწილში შებუსული. ფოთლები – ლანცეტა ფორმის, მოპირისპირედ ან, იშვიათად, მორიგეობით განლაგებული. ყვავილედ კომპაქტურია, ყვავილი დიდი ზომისაა, მენამული, ყვითელი ან თეთრი. ყვ. ნაყ. VI-IX. მცენარე იზრდება ქვიან ადგილებში, კედლებზე. ფართოდ არის კულტივირებული და გავლურებული. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილო ამერიკას/გავლურებულია.



Digitalis ciliata Trautv. - ფუტკარა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

30-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, ოდნავ ღარებიანი, მცირედ შებუსუსული, ძირთან წინა წლის ფოთლების ნარჩენებით ხასიათდება, ფოთლები ვიწრო-ლანცეტაა, ბასრხერხვილა, შებუსუსული, ზედა მხარე – კამკაშა მწვანე, ქვედა – მკრთალი. ყვავილეთი კენწრული მტევანია, ყვავილი – მოყვითალო – მოთეთრო, ზედა ტუჩი 2-ნაკვთიანია, ქვედა – 3. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება კლდეებზე, ჩამონახვავებზე, ტყეებსა და ტყისპირებში, მეტწილად ფიჭვნარებში. ცნობილია საქართველოს დასავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილს. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Digitalis ferruginea L. - ფუტკარა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

40-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სწორად მდგომი, დაღარული, მარტივი, შიშველი ან მცირედ შებუსუსული. ფოთლები მთლიანია, კიდევებზე დაშორიშორებულკბილებიანი, ზედა მხარე – შიშველი, ქვედა – ძარღვების გასწვრივ შებუსუსული. ქვედა ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, გრძელყუნწიანი. ზედა ფოთლები – მოგრძო-ლანცეტა, მჯდომარე. ყვავილები ორგვერდა, კენწრული მტევანია. ყვავილი მღვრიე ყვითელი ფერისაა, შიგნიდან უფრო მუქი დაძარღვით. ყვავილის ზედა ტუჩი ორნაკვთიანია და ქვედა ტუჩზე მოკლე. ქვედა ტუჩი 2-3 – ნაკვთიანია. ყვ. ნაყ. VI-VIII. მცენარე იზრდება ტყისპირა მიდამოებსა და ველობებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მცირე აზიას.



Digitalis ferruginea subsp. schischkinii (K. V. Ivanova) K. Werner = **Digitalis schischkinii Ivanina** - ფუტკბრა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

50-150 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სწორად მდგომი, დაღარული, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი. ზედა ნაწილში – შიშველი, ქვედაში – მცირედ შებუსული. ფესვთანური ფოთლები როზეტულია. ფოთლები მთლიანია, კიდევებზე – დაშორიშორებულკბილებიანი, ქვედა ფოთლები საზურ-ლანცეტაა, გრძელყუნწიანი. ზედა ფოთლები ლანცეტაა ან კვერცხის ფორმის, ყუნწიანი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა. ყვავილები ორგვერდა, კენწრული მტევანია. ყვავილი მღვრიე ყვითელი ფერისაა, ყვავილის ზედა ტუჩი ორნაკვითანია და ქვედა ტუჩზე მოკლე. ქვედა ტუჩი 2-ნაკვითანია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყისპირებსა და ველობებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილსა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Globularia trichosantha Fisch. & C. A. Mey.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს მინისქვეშა მხოხავი ყლორტები. მინისზედა ყლორტები 5-30 სმ სიმაღლისაა. ფესვთანური ფოთლები სოლისებურ-უკუკვერცხისებურია ან ნიჩბისებური, ძირისკენ გრძლად შევიწროებული, როზეტების სახით შეკრებილი, წვერში მობლაგვო, ამოკვეთილი ან სამკბილიანი. ღეროსეული ფოთლები ელიფსური ან საზურია. ყვავილედის კენწრული, სფეროსებური თავაკია. ყვავილები პატარა ზომისაა. გვირგვინი ცისფერია, წვრილი მილითა და ორტუჩა გადანაღუნით. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში, თიხიან და კირქვიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სპორადულად მთელ კავკასიას, ბალკანეთს, ყირიმს, მცირე აზიას.



Linaria genistifolia (L.) Mill. - სელიჭა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

50-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი, ღეგა, სწორად მდგომი, მარტივი ან დატოტვილი. მთავარი ღეროს ფოთლები კვერცხისებურ-ლანცეტაა, ხორცოვანი, 5-ძარღვიანი. დანარჩენი ფოთლები ლანცეტაა და 3-ძარღვიანი. ყვავილეთი მტევანია ან საგველა. ყვავილები გოგირდის ფერისაა, ყვითელი. დეზი მეტ-ნაკლებად მოხრილია. ყვ. ნაყ. V-XI. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყელამდე – მშრალ, კლდოვან ადგილებში, ქვიშნარებზე, ბუჩქნარებსა და ფიჭვნარ ტყეებში. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, დასავლეთ ციმბირს, შუა აზიას.

Linaria simplex Desf. - სელიჭა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 10-40 სმ, შიშველი, წვრილი ღეროთი, სწორი, მარტივი ან დატოტვილი. ყვავილეთი თავაკია. ყვავილის ყუნწი და ჯამი შებუსუსულია. გვირგვინი პატარაა, ყვითელი ფერის. ზედა ტუჩი – ოდნავ შესამჩნევი, მკრთალი იისფერი ზოლებით. დეზი მოხრილია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, სტეპებში; ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთს.



Plantago lanceolata L. - ლანცეტა მრავალძარღვა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

5-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მიტკეცილი ბენჯით შებუსული. საყვავილე ღერო – რამდენიმე, სწორი ან წამოწეული. ფოთლები ფესვთანურ როზეტად არის შეკრებილი, ფორმით ელიფსურია ან ხაზურ-ლანცეტა, კიდემთლიანი, ყუნწში შევიწროებული და წანვეტებული. საყვავილე ღერო გრძელია, სიგრძივდარებიანი, თავთავები მოგრძო-კვერცხისებური, კონუსური ან ცილინდრული. ყვ. ნაყ. IV-X. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სართყლამდე – მდელოებზე, ქვიან, კლდოვან და ღორღიან ადგილებში, გმისპირებზე, ბოსტნებში, სარწყავი არხების გაყოლებაზე. საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული. გავრცელების არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და თითქმის მთელი ჩრდილო ნახევარსფეროს არატროპიკულ ნაწილს, აგრეთვე – ჩრდილოეთ ამერიკას.

Plantago major L. - მრავალძარღვა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 2-20 სმ. ძირითადად – შიშველი. საყვავილე ღერო – რამდენიმე, სწორი ან წამოწეული. ფოთლები ფესვთანურ როზეტად არის შეკრებილი, კვერცხის ან ელიფსის ფორმის, ძირში მომრგვალო ან გულის მსგავსი, კიდემთლინი, გაფართოებული ყუნწით. საყვავილე ღერო ფოთოლზე მოკლე ან გრძელია, ზოგჯერ მისი ტოლი, თავთავები ვიწრო-ცილინდრულია. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სართყლამდე – მდელოებზე, ქვიან, კლდოვან და ღორღიან ადგილებში, გმისპირებზე, ბოსტნებში, სარწყავი არხების გაყოლებაზე. საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და თითქმის მთელი ჩრდილო ნახევარსფეროს არატროპიკულ ნაწილს.



Veronica anagallis-aquatica L. - ჩაღანდრი

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 15-80 სმ. ღერო მარტივი ან დატოტვილია, სწორი, შეფოთ-ლილი. ფოთლები მჯდომარეა, მოყვანილობით – ფართო ან მოგრძო-ლანცეტა, კიდეები დაკბილულია ან კიდე-მთლიანი. ყვავილედ მრავალყვავილიანია, იდლიური მტევანი. გვირგვინი ჯამზე გრძელია, მკრთალი ცისფერი ან მოვარდისფრო-იისფერია. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში; არხების, მდინარეების და ტბების ნაპირებზე. საქართველოში გავრცელებულია ყველა რაიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ ევროპას, შუა აზიას, მცირე აზიას, აღმოსავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკას.

Veronica austriaca L. = Veronica jacquinii Baumg.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე 30-50 სმ-მდე. ღერო ერთი ან რამდენიმეა, სწორად მდგომი ან წამოწეული. ფოთლები მოკლეყუნჩიანია, მთლიანი, კვერცხისებური ან ლანცეტა. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან წაგრძელებულ მტევნებად. გვირგვინი კამკაშა ცისფერია, წაგრძელებული, წვეტიანი ნაკვთებით, იშვიათად ვარდისფერია ან თეთრი ფერის. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სარტყლის ფერდობებსა და ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.



Veronica beccabunga L.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

10-60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მსხვილი, ძირთან დაფესვიანებული, წამოწეული ან სწორად მდგომი, ზედა ნაწილში ზოგჯერ – დატოტვილი, შიშველი ან ჯირკვლოვანი ბენჯით მეჩხრად დაფარული. ფოთლები მოგრძო-ოვალური, მოგრძო-კვერცხისებური ან ლანცეტაა, წვერზე ბლაგვი, კიდეებზე წვრილად დაკბილული, ზოგჯერ კიდეშთლიანია, შიშველი, პრიალა, მუქი მწვანე ფერის. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ, ილლიურ მტევნებად. გვირგვინი ღია ცისფერია ან კაშკაშა ცისფერი, უფრო მუქი ზოლებით. ყვ. ნაყ. IV-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე ტენიან ადგილებში, რუებისა და მდინარეთა ნაპირებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო ამერიკას, ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპას.

Veronica caucasica M. Bieb.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ხუჭუჭბენჯიანი, ჯირკვლოვანი შებუსვით. ღერო სწორია ან წამოწეული. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო კვერცხის ფორმის, ერთგან ან ორგან ფრთისებურად დაყოფილი მოგრძო-ლანცეტა ნაკვთებად. კიდეები დაკბილულია. ყვავილედი მცირეყვავილიანია, მტევანი ილლიურია. გვირგვინი თეთრია, იისფერი ზოლებით. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტენიან ადგილებში, კლდეთა ნაპრალებში, ნაზვავებში. გავრცელებულია დიდი კავკასიონის ფარგლებში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო კავკასიას. კავკასიის ენდემია.



Veronica chamaedrys L.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

15-30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ძირთან გართხმული და დაფესვიანებულია. ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებური ან მოგრძო-კვერცხისებურია. ორივე მხარეზე დაფარულია ბუსუსებით, განკვეთილ-დაკბილული ან მრგვალკბილა. ყვავილები შეკრებილია მტევნის მსგავს მეჩხერ ყვავილედებად, რომლებიც მოპირდაპირედ არის განლაგებული ღეროს ზედა ნაწილში. გვირგვინი კაშკაშა ცისფერი ან ზოგჯერ მოთეთრო ფერისაა, მუქზოლებიანი ქვედა ნაკვთით. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის ზედა სარტყლის მდელოებზე, ტყეებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილო, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას.

Veronica filiformis Sm.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 10-30 სმ-მდე. ღერო სუსტია, წვრილი და დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, დაფესვიანებული ტოტებით. ფოთლები კვერცხის ფორმისაა ან მომრგვალებული, პატარა ზომის, ძირთან – ოდნავ გულისებური, კიდეები – თითქმის მრგვალკბილა. ყვავილები მარტოულია, ღეროსეული ზედა ფოთლების ილიებში განწყობილი, ზოგჯერ ჭირკვლოვან-ბენვიანია. გვირგვინი ცისფერია ან მოთეთრო, ჯამზე გრძელი, 8-12 მმ-მდე დიამეტრის. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის ზედა სარტყლის მდელოებზე, ტყეებსა და ტყისპირებში. მცენარე გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ყირიმს, მცირე აზიასა და ირანს.



Veronica gentianoides Vahl.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

10-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მწვანე ან მონაცრისფრო. თითქმის მთლიანად შეხუსულია, ღერო დატოტვილია, გართხმული ან წამოწეული, შეფოთლილი. ფესვთანური ფოთლები მჭდომარეა, ერთგან ან ორგან ფრთისებურად განკვეთილი ხაზურ, მთლიან ან დაყოფილ ნაკვეთებად. ყვავილედო მრავალყვავილიანია, მტევანი ილლიურია. გვირგვინი ლურჯია, ცისფერი ან მოთეთრო. გვირგვინის ზედა, შუანაკვეთი სამკუთხა-კვერცხისებურია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებსა და ველებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Veronica liwanensis K. Koch.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

5-20 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, ძირში გახევებული, შეფოთლილი ყლორტებით დაბოლოებული, გართხმული, ზოგჯერ მოკლე ხუჭუჭი ბენჯით დაფარული. ფოთლები ოდნავ გასქელებულია, პატარა ზომის, უკუკვერცხისებური ან მოგრძო ფორმის, მრგვალკბილა ან კიდემთლიანი. ყვავილები შეკრებილია ხშირ ილლიურ მტევნებად. გვირგვინი ცისფერია, სიგრძით ჯამს აღემატება. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე – კლდეებზე, ნაბზავებზე. გავრცელებულია აჭარაში, ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს.



Veronica officinalis L. - დედოფლის თიბა

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

10-40 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსული ბანჯგვლიანი, ზოგჯერ ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი ბენჯებით დაფარული. ღერო დატოტვილია, გართხმული, ძირთან დაფესვიანებული და წვერით წამოწეული. ფოთლები ელიფსურია ან უკუკვერცხისებური, კიდეებზე ხერხისებურად დაკბილული, ძირთან კიდეშლიანი, ორივე მხარეზე მარტივი ბენჯით შებუსული. ყვავილები შეკრებილია ზედა ფოთლების იღლიებში მოთავსებული მტევნისებურ ყვავილედებად. გვირგვინი მკრთალი ცისფერია ან ლილისფერი, ზოგჯერ მოთეთროა, იასამნისფერი ძარღვებით. გვირგვინის ნაკვთები 1/3-ზე შეზრდილია მილად. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე – ტყეებში, ტყისპირებსა და მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ციმბირსა და ჩრდილო ამერიკას.

Veronica peduncularis Bieb.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

15-30 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსული ან შიშველი, მონაცრისფრო ან მწვანე ფერის. ღერო მრავალია, წამოწეული ან გართხმული, ჩვეულებრივ, თანაბრად შებუსული. ფოთლები მოკლეყუნწიანია, ზოგჯერ – მჯდომარე, კვერცხის ფორმის ან ელიფსური, ზედა – მომრგვალებული, შიშველი ან მიტკეცილებენჯიანი. ყვავილედი მრავალყვავილიანია, იღლიური, ფარჩხატი მტევანი. გვირგვინი ჯამზე გრძელია, მოკლე მილით, ცისფერია ან მოთეთრო, ხახაში მონითალო ზოლებით. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების – ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და ტყეებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და სამხრეთ ევროპას.



Veronica persica Poir. - ბოსონის ია

ოჯახი: Plantaginaceae - მრავალძარღვასებრნი

10-50 სმ სიმაღლის ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ერთია ან რამდენიმე, სუსტი, გართხმული, მწოლიარე ან წამოწეული. ფოთლები მოპირდაპირედ არის განლაგებული, ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, დანარჩენი - ყუნწებიანი. ყვავილები მარტოულადაა განლაგებული ღეროსეული ფოთლების იდლიებში. გვირგვინი ცისფერი, ლურჯი ან ღია იისფერია, ლურჯი ზოლებით; გვირგვინის ქვედა ნაკვთი ზოგჯერ თეთრია, ყველა ნაკვთი ბლავგია, რომელთაგან 3 მომრგვალოთირკმლისებურია, ერთი - კვერცხის ფორმის. ყვ. ნაყ. III-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების რუდერალურ ადგილებსა და მინდვრებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას, ირანს, აფრიკასა და ახალ ზელანდიას.

Veronica petraea (Bieb.) Stev.

ოჯახი: Plantaginaceae - მრავალძარღვასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე - 10-15 სმ-მდე, ღია მწვანე, მეჩხერი, ხუჭუტაბენვიანი და კორდიანი. ღერო წვრილი, გართხმული ან წამოწეულია, დატოტვილი, ხშირი შეფოთვლით. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია, ზოგჯერ რომბის ფორმისა და ტყავისებური, ყველა ფოთოლი შიშველია ან შებუსული. ყვავილები მტევნის მსგავსად არის შეკრებილი იდლიურ, მეჩხერ, ჯირკვლოვან ყვავილედებად. გვირგვინი ცისფერია, ჯამზე 2,5-ჯერ გრძელი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კლდოვან ფერდობებსა და ნაზვავებზე. საქართველოში გავრცელებულია კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. მცენარე კავკასიის ენდემია.



Veronica polita Fr. - ზიპროთი

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე 10-25 სმ-მდე. მოკლე, ბანჯგვლიანბენვიანი, ზოგჯერ – ჭირკვლოვანი. ღერო სუსტი და დატოტვილია, გართხმული, ძირთან აღმავალი ან მწოლიარე, დაფესვიანებული ყლორტებით, ხშირი შეფოთვლით. ფოთლები მომრგვალო კვერცხის ან კვერცხის ფორმისაა, თითქმის გულისებური ძირით. ზედა ფოთლები უფრო პატარა ზომისაა და კვერცხის ფორმის. ყვავილები მარტოულია და განლაგებული ზედა ფოთლების იღლიებში. გვირგვინი ცისფერია, უფრო იშვიათად – თეთრი, ჯამის ტოლია ან მასზე ცოტა მოკლე. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის ქვედა სარტყელში – მინდვრებზე, მშრალ ფერდობებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, შუა აზიას. აღმოსავლეთ აზიას და ჩრდილო ამერიკას.

Veronica telephiifolia Vahl.

ოჯახი: Plantaginaceae – მრავალძარღვასებრნი

5-15 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მხოხავ და გართხმულყლორტებიანი, მოლევო-მონაცრისფრო ნაფიფქით დაფარული. ღერო წვრილია, შიშველი, გაფანტულბენვიანი ან ზოგჯერ მიტკეცილბენვიანი და ძლიერ დატოტვილი. ფოთლები მოპირდაპირედ არის განლაგებული; ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა ან ფართო-ელიფსური, ზოგჯერ ფართო-კვერცხისებური. ყვავილედ კენწრულია, მოკლეყუნნიანი ან მჯდომარე, შებუსული გრძელი, გადახლართული ბენვით, მუქი ცისფერი ზოლებით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ალპური და სუბალპური სარტყლების ქვიან, ნაშალ ადგილებში, მორენებსა და ვულკანურ კლდეებზე. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Psylliostachys spicatus (Willd.) Nevski

ოჯახი: Plumbaginaceae – ტყვიაბალახასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყველა ფოთოლი ფესვთანურია, მოლევო-მწვანე ფერის, ღრმად ფრთისებურად დაყოფილი. საყვავილე ღერძი 10-14 სმ სიმაღლისაა, მარტოული ან მრავალი. ყვავილები შეკრებილია კენწრულ, ცილინდრულ თავთავებად. ჯამის მილი მოფენილია ჯირკვლოვანი ბენწვებით. გვირგვინი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მშრალ, ბიცობ ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია კახეთში. გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას, შუა აზიას, ირანს.

Polemonium caucasicum N. Busch

ოჯახი: Polemoniaceae – პოლემონიუმისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, სწორად მდგომი, მარტივი, შეფოთლილი, მხოლოდ ზედა ნაწილშია შებუსული. ფოთლები მორიგეობითია, კენტფრთისებური, 5-11 ფოთოლაკით. ფოთოლაკები კვერცხისებურ-ღანცეტა ფორმისაა, თითქმის შიშველი. ყვავილედის საგველასებურია, შეკუმშული. გვირგვინი ცისფერია ან ლურჯი. ყვ. VI-VIII, ნაყ. VIII-IX. იზრდება, ძირითადად, მთის ზედა სარტყელში – ტყეებსა და ბუჩქნარებში, ტყისპირებში. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე და შუა აზიას.



Polygala alpicola Rupr. - ალპური წიწნაური

ოჯახი: Polygalaceae – წიწნაურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი. ღერო, ჩვეულებრივ, სწორია ან წამოწეული, ხშირი შეფოთვლით. ქვედა ფოთლები ძლიერ პატარაა, უკუკვერცხისებური ან ნიჩბისებური. ზედა ფოთლები უფრო დიდია, ლანცეტა ფორმის. ყვავილეთი მოკლე მტევანია. გვირგვინი ლურჯია, იშვიათად – ვარდისფერი. ყვ. ნაყ. V-VII. მცენარე იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს.

Polygala anatolica Boiss. & Herdr.

ოჯახი: Polygalaceae – წიწნაურისებრნი

10-15 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, წამოწეული, ქვედა ნაწილში ხშირფოთლიანია, ზედა ნაწილში – ნაკლებად შეფოთლილი. ფოთლები ხაზურია, იშვიათად – მოგრძო-ლანცეტა, ქვედა მხრიდან მკაფიოდ გამოხატული შუა ძარღვით. ყვავილეთი კენწრულია, მტევნისებური. ყვავილები ღია მუწამულია ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლის ბუჩქნარებში. გავრცელებულია შიდა ქართლსა და მესხეთ-ჭავჭავეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Polygala transcaucasica Tamamsch. - წიწინაპური

ოჯახი: Polygalaceae – წიწინაურისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველია ან სუსტად შებუსული. ღერო შეფოთლილია, წამოწეული ან სწორი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ზედა ფოთლები – ხაზური. ყვავილედო კენწრული მტევანია. გვირგვინი მენამულ-ისფერია ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. V-VIII. დაბლობისა და მთისწინეთების მცენარეა, იზრდება ველებზე და ბუჩქნარებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ასევე – სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში.

Atraphaxis spinosa L. - ხორციფურა

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრნი

ბუჩქია. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, გაფარჩხული, ეკლიანი, დაკლაკნილი ტოტებით. ფოთლები პატარა ზომისაა, მონაცრისფრო-მწვანე, შიშველი, 3-5 მმ სიგრძის, ელიფსური ან მომრგვალო. 2-6 ყვავილი ყლორტების ბოლოებში იდლიურ კონებადაა შეკრებილი; ყვავილსაფარი ორნაკვთიანია, მოთეთრო ან კაშკაშა ვარდისფერი. ნაყოფი ბრტყელია, კვერცხის ფორმის ან მომრგვალო. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება მშრალსა და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



Fagopyrum tataricum (L.) Gaertn. - წიწიბურა

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, იშვიათი დატოტვისა და შიშველი, ჩვეულებრივ, მწვანე. ფოთლები ისრისებურ-გულისებურია, მათი სიგანე სიგრძეზე მეტია. ყვავილები შეკრებილია ილიურ მტევნებად, რომლებიც ფარისებურ ყვავილედს ქმნიან, ყვავილსაფარი მომწვანოა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მინდვრებსა და დანაგვიანებულ ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, შუა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.

Fallopia convolvulus (L.) Á. Löve = Polygonum convolvulus L. - ყანის ჭლექი

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-100 სმ სიმაღლისაა, ხვიარა, იშვიათად – მწოლიარე ან სწორი, დაკუთხულ-დაღარული, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებურია, საკმაოდ გრძელყუნწიანი. ყვავილები შეკრებილია 3-6 მეჩხერ, კენწრულ მტევნებად. ყვავილსაფარი ნახევრამდე ხუთნაკვთიანია, მომწვანო ფერისა. ნაყოფი სამწახნაგოვანია, შავი, 3-3,5 მმ სიგრძის. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება ნათესებსა და ნაჩხატებში, დანაგვიანებულ ადგილებში, იშვიათად – ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ირანს.



Persicaria maculosa Gray = Polygonum persicaria L. - ბოსონის ნაღიპა

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, სწორია, იშვიათად – წამოწეული და დატოტვილი. ფოთლები ლანცეტაა ან ხაზურ – ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული, ქვედა ფოთლები მოკლევუნნიანია, ზედა მხარეზე ხშირად მუქი ლაქა აქვს. მტევნები ცილინდრულია. ყვავილსაფარი ვარდისფერია ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება რუებისა და მდინარეების ნაპირებზე, ტენიან, დანაგვიანებულ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.

Persicaria vivipara (L.) Ronse Decr. = Polygonum viviparum L. - დვალურა

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი, ძირთან შეფოთილი. ფესვთანური ფოთლები ყუნნიანია, ელიფსური ან ლანცეტა ფორმის. ქვედა მხარე – შიშველი ან შებუსული. აქვს 2-3 ღეროსეული ლანცეტა, მჯდომარე ფოთოლი. ყვავილედო ცილინდრული თავაკია. ყვავილსაფარი თეთრია ან ვარდისფერი. ყვ. ნაყ. VI-IX. გავრცელებულია სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Polygonum carneum C. Koch - ღვაღურა

ოჯახი: Polygonaceae - მათიტელასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-100 სმ სიმაღლისაა, დაღარული. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია, წანვეტებული. ღეროსეული ფოთლები მჭდომარეა, ღერომხვევი, ლანცეტა ფორმის. მტევანი მარტოულია, ცილინდრული ფორმის. ყვავილსაფარი ვარდისფერია ან ხორცისფერ-წითელი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე, დეკიანებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Polygonum dshawachischwilii Kharkev.

ოჯახი: Polygonaceae - მათიტელასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 110 სმ-მდე სიმაღლისაა, ქვედა ნაწილში მატყლისებურად არის შებუსული. ფოთლის ფირფიტა ლანცეტასებური ან ვიწრო-ლანცეტა ფორმისაა, 15 სმ-მდე სიგრძის და 2,5 სმ სიგანის, კიდეებზე ოდნავ ტალღისებური, შებუსული. ყვავილედი ფარჩხატსაგველასებურია. ყვავილები თეთრია, 4 მმ-მდე დიამეტრის. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სუბალპურ მდელოებზე, გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ჯავახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Polygonum panjutinii Kharkev.

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რამდენიმე ღეროიანია. ღერო სიმაღლით – 60-130 სმ, შიშველი. ქვედა ნაწილში – ღია მწვანე ფერის, მოლევო ქერცლებით. ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილია. ფოთლები ლანცეტაა, რომელთა ზედა მხარე მწვანეა, შიშველი, ქვედა ღიაა და თხლად შებუსუსული. ყვავილედ 50 სმ-მდე სიგრძისაა, ფარჩხატი საგველა, თითქმის უფოთლო, ყვავილები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. სუბალპური და ალპური სარტყლების მცენარეა, იზრდება მდელოებზე, ქვიან ადგილებზე, მაღალ ბალახეულობაში. კავკასიის ენდემია.

Polygonum patulum M. Bieb. – წიპლა

ოჯახი: Polygonaceae – მათიტელასებრნი

10-100 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ძირიდანვე დატოტვილია. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, მცირერიცხოვანი, მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე. 1-4 ყვავილი ერთად არის შეკრებილი, ყუნწიანია, ყვავილსაფარი მწვანე ან მოყავისფრო-მწვანე, კიდევსა და წვერში მოწითალო. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება დანაგვიანებულ ადგილებსა და ნათესებში. გავრცელებულია ქართლში, კახეთში, მთიულეთსა და მესხეთ-ჭავჭავთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



Rumex acetosa L. - ღოლო

ოჯახი: Polygonaceae - მათიტელასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, ხშირად იღებს წითელ ფერს. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებური, ოდნავ ხორცოვანი, 2,5-15 სმ სიგრძის. ყვავილეთი ვიწრო საგველასებურია, ფარჩხატი, უფოთლო. ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები მომრგვალოა, გულისებური ძირით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე - ნატყევარ მდელოებზე, ბუჩქნარებში, მეჩხერ ტყეებში, ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Portulaca oleracea L. - დანდური

ოჯახი: Portulacaceae - დანდურისებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ღერო ხორცოვანია, გაფარჩხული, მიწაზე გართხმული ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მჯდომარე, სქელი და ბრტყელი, მოყვანილობით - მოგრძო. ყვავილები ფოთლის იღლიებშია თითო-თითოდ ან ჯგუფ-ჯგუფად განწყობილი. გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებურია, 10 მმ-მდე სიგრძის, ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყლის რუდერალურ ადგილებში, ბოსტნებსა და გზისპირებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ირანს.



Anagallis arvensis L. - საპონელა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მთელი მცენარე შიშველია, ან მხოლოდ ნორჩობაშია შებუსული. ღერო ოთხნახნაგოვანია, გართხმული ან წამოწეული, ფოთლები მჯდომარეა, მოპირისპირედ განლაგებული, ლანცეტა ან მოგრძო-კვერცხისებური, ქვედა მხარეს წერტილოვანი ჭირკვლებით დაწინნკლული. ყვავილები მარტოულია, ფოთლის უბეებში განლაგებული. გვირგვინი ლურჯი ან ცისფერია, ბორბლისებური და თითქმის ძირამდე გაყოფილი გადანალუნით, რომლის ნაკვთები ელიფსური ან კვერცხისებურია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მდელოებზე, რუდერალურ ადგილებში, რუებისა და არხების გაყოლებით, ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, ავსტრალიას, აფრიკას, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას.

Anagallis arvensis subsp. foemina (Mill.) Schinz & Thell. = Anagallis foemina Mill.

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი, მხოლოდ ნორჩობაშია ღერო და ფოთლები შებუსული. ღერო ოთხნახნაგოვანია, წამოწეული ან თითქმის სწორად მდგომი. ფოთლები მჯდომარეა, ზოგჯერ სამ-სამია ჩხროებად განლაგებული, ლანცეტა ან მოგრძო-კვერცხისებური. ქვედა მხარეზე ხშირად წერტილოვანი შავი ჭირკვლებით დაწინნკლული. ყვავილები მარტოულია, ფოთლის უბეში განლაგებული. გვირგვინი ცისფერია ან ლურჯი ბორბლისებური. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე მდელოებზე, რუდერალურ ადგილებში, მშრალ ფერდობებზე, რუებისა და არხების გაყოლებით. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ციმბირს, მცირე აზიას, ირანს, აფრიკასა და ავსტრალიას.



Androsace villosa L. - **თკაცუნა**

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მცენარე კორდულებს ქმნის, ლეგა მწვანეა, ხშირი ბენჯით მოფენილი. ფოთლები როზეტებადაა შეკრებილი, ლანცეტაა ან ხაზურ-ლანცეტა, კიდე მთლიანი და სქლად შებუსული, რომელიც ფოთლის წვერზე ფუნჯს ქმნის. საყვავილე ღერძი ერთია, ქოლგები 2-6-ყვავილიანია. გვირგვინი თეთრია ან მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – ღორღიან და ქვიან ადგილებში, კლდეებზე. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანსა და ჩრდილო ამერიკას.

Cyclamen colchicum (Albov) Correvon - **კოლხური ყორიპარდა**

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ტუბერი სფეროსებურია, ოდნავ შებრტყელებული. ფოთლები თირკმლისებურია, მომრგვალო წვერით. ზედა მხარე მწვანეა, ქვედა მხარე იისფერ-მეწამული ფერისაა. ჯამი დაფარულია მიტკეცილი, გაბნეული ბენჯით. გვირგვინი ვარდისფერია, გადანაღუნი ნაკვთები ელიფსურია ან მოგრძო-კვერცხისებური. ყვ. VIII-IX, ნაყ. IX-X. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ღორღიან ადგილებში, კლდეებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში. მცენარე საქართველოს ენდემია.



Cyclamen coum subsp. caucasicum (K. Koch) O. Schwarz = Cyclamen vernalis Sweet - ყოჩიპარდა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ტუბერი შებრტყელებულ-სფეროსებურია, 3-5 სმ დიამეტრის. ფოთლები კვერცხისებურ-გულისებურია, მობლაგვო ან ნაწვეტებული, ზედა მხარე შიშველია, ვერცხლისფერი ლაქებით, ქვედა მხარე – იისფერ-მენამული. ყვავილის ყუნწები ფოთლებზე მოკლეა. ჯამის ნაკვთები ლანცეტა მოყვანილობისაა, გვირგვინის გადანადუნის ნაკვთები ელიფსურია, მენამულ-იისფერი, ძირში მუქი იისფერი ლაქით, ხახაში – თეთრი. ყვ. II-III, ნაყ. V-VI. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების რცხილნარსა და წიფლნარში, ღია ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.

Lysimachia dubia Aiton - ხახპოქსლა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა ღერო სწორად მდგომია, შიშველი, ზედა ნაწილში დატოტვილი ან მარტივი. ქვედა ნაწილში ზოგჯერ ღია იისფერი. ფოთლები მორიგეობით ან მოპირისპირედ არის განწყობილი, ლანცეტის ფორმის ან მოგრძო-ელიფსური. ყვავილედები – კერწრული ან ილლიური-მტევნისებური. გვირგვინი ვარდისფერია ან მონითალო. ყვ. ნაყ. VI-VII. მცენარე იზრდება ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, იშვიათად, როგორც სარეველა. საქართველოში გავრცელებულია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიას.



Lysimachia verticillata (Greene) Hand. -Mazz. - ხახვთქსლა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, მარტივი ან დატოტვილი, დანაწევრებული ბენჯით მოფენილი. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, მომრგვალო-კვერცხისებური ან კვერცხისებური, ორივე მხარეზე მოკლედ და გაფანტულად შებუსული. ჯამი თითქმის ძირამდეა განკვეთილი, ლანცეტა ფორმის. გვირგვინი ყვითელია კვერცხისებური ან მოგრძო-კვერცხისებური. ყვ. ნაყ. VI-XI. იზრდება მთის ქვედა სარტყლის ტენიან ადგილებში. სარეველა მცენარეა. გვხვდება საქართველოს დასავლეთ ნაწილსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.

Primula algida Adams – ჰაშლისუნა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებურია ან მოგრძო-უკუკვერცხისებური, შევიწროებულია მოკლეფრთიან ყუნწში ან მჯდომარეა. კიდეებზე უთანაბროდ არის დაკბილული. ფირფიტის ზედა მხარე წვრილყუნწიანი ჭირკვლებითაა მოფენილი, ქვედა მხარე დაფარულია ნაფიფქით ან შიშველია. საყვავილე ღერძი წვრილია, 25 სმ-მდე. ყვავილეთი თავაკისებური ქოლგაა. გვირგვინი იისფერი ან ვარდისფერია, ფურცლები ღრმად არის ამოკვეთილი, ძირში მუქი ყვითელი ლაქაა. ყვ. ნაყ. V-VII. სუბალპური და ალპური სარტყლების მცენარეა, იზრდება ჩამონახვავებზე, ნაკადულებთან, ქვიან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს, ციმბირს.



Primula amoena M. Bieb.

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები კვერცხისებურია, უკუკვერცხისებური ან ელიფსური, გადადის მოკლე, ფრთიან ყუნწში, კიდედაკბილულია. ფოთლის ზედა მხარე შიშველია, ქვედა – მცირედ შებუსული. საყვავილე ღერძი გრძელია, გვირგვინი იისფერია ან მენამული, გადანაღუნი ფართო-უკუკვერცხისებურია. ყვ. ნაყ. V-VII. მაღალმთის მცენარეა, იზრდება ჩამონახვავებზე, რიყეებსა და მდელოებზე. საქართველოში ცნობილია დიდი კავკასიონის გაყოლებით. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Primula auriculata Lam.

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მოგრძო-ნიჩბისებურია, ზოგჯერ ლანცეტა ან ელიფსური, მოკლეფრთიანი ყუნწებით. საყვავილე ღერძი მსხვილია – 40 სმ-მდე სიგრძის, წვერზე მჭიდრო, მრავალყვავილიანია, თავაკისებური ქოლგით. ჯამი ზარისებურია, შიშველი მილით და მოგრძოლანცეტა. გვირგვინი ღია იისფერია, ხახაში აქვს ყვითელი ლაქა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ნაკადულების ნაპირებთან და ხევების ტენიან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Primula bayernii Rupr.

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები გლუვია, მოგრძო-ელიფსური ან ლანცეტა, ძირში თანდათან შევიწროებულია და გადადის ფრთიან ყუნწში, რომელიც ფოთლის ფირფიტაზე მოკლეა. ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე თეთრი ნაფიფქითაა დაფარული. საყვავილე ღერძი ფოთლებზე გრძელია ან მისი ზომისაა. ქოლგა მეტწილად მრავალყვავილიანია. გვირგვინი თეთრი ფერისაა, მისი მილი ჯამს აღემატება. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ალპური სარტყლის კლდეებზე, ჩამონახვავებზე, ტენიან ადგილებში, თოვლის ახლოს, მყინვართან. საქართველოში გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას და მისი ენდემია.

Primula juliae Kusn. - იულიას ფურისულა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მიწისზედა ღეროს არ ივითარებს. ფოთლები მხოლოდ ფესვთანურია. მცირე ზომის, ფოთლის ფირფიტა თხელია, ნაზი, მომრგვალო-თირკმლისებური ან მომრგვალო-კვერცხისებური. ყუნწი ოდნავ ფრთიანია. აქვს მრავალი ყვავილი, მარტოული. გვირგვინი კაშკაშა ვარდისფერია ან მუწამული. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის შუა სარტყელში დაჩრდილულ კლდეებზე. საქართველოში გვხვდება მხოლოდ კახეთში. კავკასიის ენდემია. მცენარე აღწერილია ლაგოდეხში 1901 წელს.



Primula luteola Rupr. - პაშლისუნა

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები გლუვია, გრძელი, მოგრძო-ლანცეტა ან მოგრძო-ელიფსური ფორმის, გრძელ ყუნწად წარზიდული, კიდეებზე წვრილად დაკბილული. საყვავილე ღერძი გრძელია, ზედა ნაწილში ნაფიფქითაა დაფარული. გვირგვინი მკრთალი ყვითელია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტენიან მდელოებზე, დაჭაობებულ ადგილებსა და სველ კლდეებზე – ტყის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია დიდი კავკასიონის გაყოლებით. მცენარე აღწერილია თუშეთში 1869 წელს. დიდი კავკასიონის ენდემია.

Primula ruprechtii Kusn.

ოჯახი: Primulaceae – ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები უკუკვერცხისებურია, ბლავწვერიანი, ზედა მხარე მეჩხერი და დანაწევრებული ბეწვით არის შემოსილი, ქვედა მხარე თეთრქეჩისებურია. საყვავილე ღერძი ფოთლებზე გრძელია. ქოლგისებური ყვავილედები 3-12-ყვავილიანია. გვირგვინი ყვითელია, იშვიათად – იისფერი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და მთიულეთში. კავკასიის ენდემია.



Primula veris subsp. macrocalyx (Bunge) **Lüdi = Primula macrocalyx Bunge -** **დიდჭაბა ფურისულა**

ოჯახი: Primulaceae - ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები დანაოჭებულია და, ძირითადად, ფრთიან ყუნწად არის წარმოდგენილი. ფოთლები ფორმით მოგრძო-კვერცხისებურია, კიდედაკბილული. მთელი მცენარე მეტ-ნაკლებად შებუსულია. საყვავილე ღერძი გრძელია. გვირგვინი ოქროსფერ-ყვითელია, ყვავილობის დროს თავდახრილი. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ტყეებში, მდელოებზე, ხევებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანს.

Primula woronowii Losinsk. - **ოყის ფურისულა**

ოჯახი: Primulaceae - ფურისულასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ოდნავ ნაოჭიანია, მოგრძო-უკუკვერცხისებურია, კიდეებზე კბილებიანი, კბილების დაბოლოებები ოდნავ ეკლიანია, ყუნწი - ოდნავ ფრთიანი. ორივე მხარე შებუსულია. ყვავილის ყუნწები ფოთლებზე გრძელია ან მისი ზომისაა. გვირგვინი შეფერილობით იასამნისფერიდან თეთრამდეა, ხახაში პატარა ყვითელი ლაქით. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყეებსა და ხევებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Aconitum anthora L. = Aconitum confertiflorum (DC.) GÄyer


ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

10-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ქვედა ნაწილში შიშველია და უფოთლო, ზედა ნაწილში – შებუსული და ხშირფოთლიანი. ფოთლები თავმოყრილია ღეროს შუა ნაწილში, თათისებურდანაკვთული მრავალრიცხოვან ვიწრო-ხაზურ ნაკვთებად. ყვავილედი ხშირი მტევანია, იშვიათად – მეჩხერი. ყვავილები ყვითელია ან მომწვანო-მოთეთრო-მოყვითალო. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპური და სუბალპური სართყლების ფიჭვნარებში. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა მთიან რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ევროპას.

Aconitum nasutum Fisch. ex Rchb. – სხვირა ტილჭირი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილი და დაკლაკნილია. ფოთლები კვერცხის ფორმისაა, სამკუთხოვანი ან მახვილ-სამკუთხოვანი, თათისებურად განკვეთილი ფართო, ლანცეტა სეგმენტებად. ყვავილედი დატოტვილია, მეჩხერი, საგველასებური. ყვავილები ლურჯი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სართყლების ფერდობებზე, ბუჩქნარებში და მდელოებზე. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Aconitum orientale Mill. - აღმოსავლეთის ტილჭირი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

100-200 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მსხვილია, შიშველი ან ზედა ნაწილში შებუსული. ფოთლები შიშველია, კიდეებზე – წამწამებიანი. ფოთლის ფირფიტა თათისებურადაა განკვეთილი 5-8 ფართო-სოლისებურ სეგმენტად. ყვავილედ იგრძელდება, მტევნისებური, მარტივი ან დატოტვილი, მრავალყვავილიანი. ყვავილები თეთრი, მოყვითალო-მოთეთრო ან ლურჯლაქებიანია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ტყეებსა და სუბალპურ სარტყელში, ტყისპირებსა და ველობებზე, მდელობებზე და მაღალ ბალახეულობაში. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და სამხრეთ ევროპას.

Adonis aestivalis L. - ცხვირისატიხელა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

20-50 სმ სიმაღლის ერთწლიანი მცენარეა. ღერო მარტივია ან დატოტვილი, შიშველი ან ქვედა ნაწილში შებუსული. ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა, ორად ან სამად გაყოფილი ხაზურ ნაკვეთებად. ფესვთანური და ქვედა ფოთლები მოკლეყუნჩიანია, ოვალური და მოგრძო-კვერცხისებური ფირფიტით. ყვავილი აგურისფერ-წითელია. გვირგვინის ფურცლები კვერცხისებურია ან ლანცეტა. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება მთის შუა სარტყლამდე მშრალ, ღია ფერდობებზე, ნათესებში. გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს.



Anemone caucasica Willd. ex Rupr. - კავკასიური ფრინობა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით – 5-20 სმ, მომრგვალო ან მოგრძო, ტუბერისებური ფესურით. ღერო წვრილია, რამდენიმე ფესვთანური გრძელყუნწიანი ფოთლით. ფოთლის ფირფიტა ორმაგადაა სამნაკვთიან სეგმენტად გაყოფილი. თითოეული სეგმენტი მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე. ყვავილი გრძელყუნწიანია – ლურჯი, ცისფერი ან თეთრი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია, პრაქტიკულად, ყველგან – დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Anemone narcissiflora subsp. fasciculata (L.) Ziman & Fedor = Anemone fasciculata L. - ფრინობა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

5-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, ფოთლები შეხუსულია. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, თირკმლისებურ-გულისებური, 5 ან 3 დიდი ზომის მჯდომარე სეგმენტად გაყოფილი. თითოეული სეგმენტი შუამდეა სამად გაყოფილი და მოგრძოკბილებიან 3 ნაწილადაა განკვეთილი. ყვავილები მარტივ ქოლგებადაა შეკრებილი. ყვავილსაფრის ფოთლები თეთრია, იშვიათად – ვარდისფერი ან მენამული. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.



Anemone ranunculoides L. - მოყვითალო ფრინობა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილია, ერთი ფესვთანური ფოთლით. საბურვლის ფოთლები მოკლემყუნნიანია, მოხაზულობით – ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, ორად ან სამად დაყოფილი, წაწვეტებული შუა ნაკვთით ან ხუთად განკვეთილი. ყვავილი ყვითელია, მარტოული ან 2-5 მარტივ ქოლგად შეკრებილი. ყვავილსაფრის ფოთლები ელიფსური ან კვერცხის ფორმისაა. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე ფოთლოვან, ტენიან ტყეებში. საქართველოში ცნობილია თითქმის ყველგან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Aquilegia olympica Boiss = Aquilegia caucasica (Ledeb.) Rupr. - წყალპირეფია

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მცენარე 40-80 სმ სიმაღლისაა, შიშველი ან გაფანტულბუნვიანი. ფოთლები ორ-სამჯერ სამფოთოლაკიანია, მათი ნაკვთები ძირში ოვალურ-სოლისებურია, დიდი ზომის, წვერში ბლაგვი. ყვავილები დიდი ზომისაა – 5-10 სმ დიამეტრის, ცისფერი. სანექტრეები თეთრია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა დარტყლიდან ალპურ სარტყლამდე ტყისპირებსა და მდელოებზე. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Batrachium divaricatum (Schrank) Schur - წყლის ბაბი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი, ღია მწვანე ფერის მცენარეა, შიშველი ღეროებით. ყველა ფოთოლი წყალშია მოქცეული, მოყვანილობით – ნახევრად წრიული, 3-4 სმ სიგრძის, დაყოფილია ძალიან წვრილ, ძაფისებურ ნაკვეთებად. ყვავილების დიამეტრი 10 მმ-ია. გვირგვინის ფურცლები მოყვითალოა ან თეთრი, უკუკვერცხისებური, ჯამზე თითქმის ორჯერ გრძელი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მდგარ და ნელა მიმდინარე წყალში ტყის ზედა სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ ევროპას, შუა აზიასა და ჩრდილო ამერიკას.

Caltha palustris L. - დიდბაბი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 10-40 სმ-ია. ფოთლები თირკმლის ფორმისაა, კიდევებზე – მსხვილკბილა. გრძელყუნწიანი ფოთლები – 5-10. ყვავილსაფარი ყვითელია, ელიფსური ან მოგრძო-უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება ტყის ზედა და სუბალპური სარტყლების დაჭაობებულ ადგილებში. სპორადულად გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკას.



Clematis vitalba L. - კატაბერდა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მაღალი ხვიარა ბუჩქია, მსხვილწიბოიანი, მუხლებში შებუსული ღეროთი. ფოთოლი გრძელყუნწიანია, ფრთისებურად განკვეთილი, ხუთფოთოლაკიანი. ფოთოლაკები კვერცხის ფორმისაა, მოკლეყუნწიანი, თხელი ან ტყავისმაგვარი, კიდეზე – მსხვილკბილა. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფარისებურ-საგველა ყვავილედეში. ყვავილი მოთეთრო-რძისფერია, სქელი. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ღობეებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Consolida divaricata Schroding - სოსანი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ზედა ნაწილში მიტკეცილბენწიანია, ღერო გაფარჩხულადაა დატოტვილი, შეფოთილი. ფოთლები ძალიან ვიწროა, ხაზური, საკმაოდ გრძელი, შიშველი ან შებუსული ნაკვეთებით. ყვავილები პატარა ზომისაა, 10-15 მმ სიგრძის, იისფერი, გრძელი, წვრილი ყუნწებით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და ნათესებში. გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Consolida orientalis (J. Gay) Schrodinger - ყანის სოსანი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მარტივი ან დატოტვილი. ზედა ნაწილი ჯირკვლოვანი შებუსვითაა, ქვედა ნაწილი შიშველია. ფოთლები გრძელია და ვიწრო-ხაზურად დანაკვეთული. ყვავილედნი გრძელია, მრავალყვავილიანი. შეფერილობით ღია იისფერი ან მონითალო-იისფერია. დეზი ყვავილსაფრის ფოთლებზე მოკლეა. ყვ. ნაყ. V-VIII. გავრცელებულია ველებსა და ნახევარუდაბნოებში ღია ფერდობებზე, ნათესებში. მცენარე ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს, შუა და სამხრეთ აზიას.

Delphinium elisabethae N. Busch - ელისაბედის დეზურა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ქვედა ნაწილში ან მთლიანად მეტ-ნაკლებად ხშირბენჯიანია, მარტივი, იშვიათად – ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ხუთკუთხა-თათისებურია. ყვავილედის ღერძი ოქროსფერჯირკვლოვანია, ყვავილედნი პირამიდის ფორმისაა, მტევანი ან საგველა. ყვავილი ჰატარა ან საშუალო ზომისაა. ყვ. ნაყ. VII. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების მდელოებზე. მცენარე აღწერილია სამაჩაბლოში. გავრცელებულია, ძირითადად, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს ენდემური სახეობაა.



Delphinium ochroleucum Steven ex DC.

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

30-80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო დაკლაკნილი, მარტივი, იშვიათი დატოტვით, ზედა ნაწილში ჭირკვლოვანი შებუსვით. ფოთლის ყუნწები გაფართოებულია, ფირფიტა მრავალჯერ არის სამად ღრმად განკვეთილი ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილი მკრთალი ყვითელია, ზოგჯერ – მომწვანო ელფერით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე მშრალ, ღია ფერდობებზე. საქართველოში გვხვდება შიდა ქართლში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Delphinium schmalhauseni Albov - შმალჰაუსენის დეზურა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, 20-80 სმ სიმაღლის. ღერო მსხვილია, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, ზედა ნაწილში ჭირკვლოვანი ბეწვებით. ფოთლები მრავალჯერ არის დაყოფილი ხაზურ ნაკვეთებად, რომლებიც შიშველია ან შებუსული. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, გრძელი, ძირითადად – მარტივი. ყვავილები ცისფერია, გარედან ბეწვებიანი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ზედა სარტყელში – სუბალპურ მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპას.



**Ficaria verna subsp. calthifolia (Rchb.)
Nyman = Ficaria calthifolia Rchb. -
ჩანყობილა ბაია**

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

10-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სწორად მდგომი, მარტივი ან დატოტვილი, ერთყვავილიანი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებურ-გულისებურია, კიდემთლიანი ან ოდნავ ბლაგვკბილა, ყვავილი კაშკაშა ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობიდან ტყის შუა სარტყლამდე – ტყეებში, ბუჩქნარებში, ტენიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.

**Helleborus abchasicus A. Braun -
აფხაბური ხარისძირა**

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილია, სწორი, მარტივი ან იშვიათად – წვერზე დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები, რაოდენობით 3-10, ოდნავ ტყავისებური, თათისებურად გაყოფილია ლანცეტა ნაკვეთებად. ყვავილი მსხვილია, 5-8 სმ დიამეტრის, ალისფერი, ვარდისფერი ან მოვარდისფრო-მონითალო. ყვ. ნაყ. II-IV. იზრდება მთისწინებსა და მთის შუა სარტყელში, ტყეში და ტყისპირზე, კირქვიანებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში. საქართველოს ენდემია.



Helleborus caucasicus A. Braun - კავკასიური ხარისძირა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით – 20-40 სმ. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ტყავისებური, შიშველი, თათისებურად დაყოფილი ლანცეტა ან ელიფსურ ნაკვეთებად, კიდეებზე ორმაგად ხერხკბილა. ყვავილები დიდი ზომისაა, მომწვანო-მოყვითალო-მოთეთრო ფერის. ყვ. ნაყ. I-IV-XII. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყელამდე – ტყისპირა ადგილებში, ტყეებში, ნატყევარ ადგილებში, ფერდობებზე. მთელ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Nigella arvensis L. - მინდვრის სოიჭი

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ნახნაგოვანია, ნახნაგებზე მოკლე ჯაგრებით. ფოთლები მოლეგო-მწვანეა, კიდეებსა და ძარღვებზე მოკლე ბეწვით მოფენილი. ყვავილები ცისფერია, გრძელი ყუნწებით. ყვავილსაფრის ფოთლები ფართო-კვერცხისებურია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, მშრალ, ქვიან ფერდობებსა და გორაკებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევროპასა და შუა აზიას.



Nigella nigellastrum (L.) Willk. = Garidella nigellastrum L.

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სწორი დატოტვილი ან მარტივი ღეროთი. ფოთლები ორად ან სამად ფრთისებურად არის განკვეთილი ვიწრო-ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილები პატარა ზომისაა, მოვარდისფრო-მოთეთრო. ყვავილსაფრის ფოთლები მოგრძოა, სანექტრეებზე – მოკლე. ყვ. ნაყ. VI. იზრდება მშრალ – ქვიან ფერდობებსა და ნათესებში. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ირანსა და შუა აზიას.

Pulsatilla violacea Rupr. – მეღბარა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

6-20 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ხშირი რბილი შებუსვით. ფესვთანური ფოთლები ორმაგ ფრთისებურადაა განკვეთილი გრძელ, მახვილწვერიან ნაკვეთებად. ფოთლის ფირფიტა მოგრძოა, წანვეტებული ან მომრგვალო. ყვავილი თავდახრილია, იისფერია ან სოსანი. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ქვიან ფერდობებსა და მდელოებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემია.



Ranunculus bulbosus L.

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

80 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მაღალია, ბოლქვის მსგავსად გამსხვილებული ძირით. ფესვთანურ ფოთლებს აქვთ გრძელი, გაფარჩხულბენვიანი ყუნწები. დანარჩენი ფოთლები მჯდომარეა და სამად არის გაყოფილი მოგრძო, სოლისებურ სეგმენტებად. ყვავილი 2,5 სმ დიამეტრისაა, ოქროსფერ-ყვითელი. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – ბუჩქნარში, ტყის პირას, ზღვის პირასა და მშრალ მდელოებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკას.

Ranunculus buschii Ovcz.

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

20-35 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, გაფანტული და გაფარჩხული ბენვით დაფარული. ფოთლის ფირფიტა შიშველია ან ქვედა მხარეზე გაფანტული ბენვით შებუსული; კიდე – მომრგვალო ან ბლაგვკბილა. ყვავილი დიდი ზომისაა, 3-3,5 სმ დიამეტრის. გვირგვინის ფურცლები მოგრძო, კვერცხის ფორმისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია მესხეთ-ჭავჭავეთში. კავკასიის ენდემია.



Ranunculus illyricus L. - ანდრიასპაპა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

10-45 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შებუსულია ვერცხლისფერი ან მორუხო ბენჯით. ღერო სწორია, მარტივი ან ზედა ნაწილში სუსტად დატოტვილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია და თათის მსგავსად ღრმადაა გაყოფილი 3-7 ხაზურ ნაკვთად, ზედა ფოთლები ხაზურია, მთლიანი, მჭდომარე. გვირგვინი ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. IV-VI. დაბლობისა და მთისწინების, მშრალი ფერდობებისა და ბუჩქნარების მცენარეა. ცნობილია კახეთსა და ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს.

Ranunculus muricatus L. - დუბუში

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

10-30 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან ოდნავ შებუსული. ღერო მარტივია ან დატოტვილი, ფესვთანური და ქვედა, ღეროსეული ფოთლები თირკმლისებურია და სამმაგადაა დანაკვთული მსხვილკბილა სეგმენტებად. ზედა ფოთლები ვიწროა, მთლიანი. ყვავილი პატარაა, გვირგვინის ფურცლები ჯამიდან ოდნავ არის ამოყოფილი. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობებზე და მთისწინა ზოლში, ტენიან ადგილებში, რუებში, არხებში, ზოგჯერ, როგორც სარეველა – ნათესებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Ranunculus repens L. - ნიბჟრა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან იშვიათად – ბენვით შემოსილი. ღერო გართხმულია ან წამოწეული, ძირში გრძელი, მხოხავი მიწისზედა ყლორტებით. ფოთოლი რთულია, სამნაკვთიან ან ორმაგსამნაკვთიან სეგმენტად განკვეთილი (ამ სამი ნაკვთიდან თითოეული კვლავ სამად, ე. ი. ცხრანაკვთიან სეგმენტად განკვეთილი). ყველა ფოთოლი გრძელყუნწიანია. ყვავილი 15-25 მმ დიამეტრისაა, გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ტყის ზედა სარტყლამდე, მეტწილად, ტენიან ადგილებში, მდინარეთა და ნაკადულების ნაპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ირანს, მცირე და შუა აზიას.

Trollius ranunculinus Stearn = Trollius patulus Salisb. - ჯიჭპრა

ოჯახი: Ranunculaceae – ბაიასებრნი

12-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, მარტივი ან იშვიათად – ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები თათის მსგავსად არის დაყოფილი ან დანაკვთული, ფესვთანური ფოთლები ყუნწებიანია, ზედა კი – მჯდომარე. ყვავილები დიდი ზომისაა, ოქროსფერ-ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ნესტიან მდელოებზე, მდნარ თოვლთან. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და ირანს.



Reseda globulosa Fisch. & C. A. Mey.

ოჯახი: Resedaceae – რეზედასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო – 10-70 სმ სიმაღლის, სწორად მდგომი ან წამოწეული, მეტ-ნაკლებად დატოტვილი, შიშველი. ფოთლები 3-5 ხაზურ ან ვიწრო-ხაზურ სეგმენტად დაყოფილი. ზოგჯერ ქვედა ფოთლები მთლიანია. ყვავილეთი 5-30 სმ სიგრძის თავაკია. გვირგვინი თეთრია, მისი ზედა ფურცელი სამად არის გაყოფილი. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ქვიან, ღორღიან ფერდობებზე, კირქვიანებზე. საქართველოში ცნობილია კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს.

Reseda lutea L. – ყანის რეზედა

ოჯახი: Resedaceae – რეზედასებრნი

ერთწლიანი ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო – 20-80 სმ სიმაღლის, სწორად მდგომი ან წამოწეული, დატოტვილი, ხაოიანი. ფოთლები 3-5 სეგმენტადაა დაყოფილი, ქვედა ფოთლები თითქმის მთლიანია. ყვავილეთი 20-30 სმ სიგრძის ფარჩხატი მტევანია, მრავალყვავილიანი, თითქმის პირამიდული. გვირგვინი მკრთალი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება 1800 მ სიმაღლემდე მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზისპირებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას.



Frangula alnus Mill. - ხეჭრელი

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

6-7 მ სიმაღლის ბუჩქია ან ხე, გლუვი, შავი ქერქით. ტოტები უეკლოა, სწორი, ერთწლიანი ტოტები მოწითალო - ყავისფერია. ყლორტები შიშველია ან ოდნავ შებუსუსული, ფოთლები რიგებადაა განლაგებული, იშვიათად - მოპირისპირედ; მოგრძო-ელიფსური ან უკუკვერცხისებური, კიდემთლიანი. ყვავილები იდლიურია, გვირგვინი მოწითალო-თეთრია. ნაყოფი ჯერ მწვანეა, შემდეგ - წითელი, ბოლოს კი - შავი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყელამდე ფოთლოვან ტყეებში ქვეტყის სახით, ბუჩქნარებში. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.

Paliurus spina-christi Mill. - ძმძვი

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

1-3 მ სიმაღლის დატოტვილი, ძლიერ ეკლიანი ბუჩქია. ნორჩი ტოტები და კვირტები ოდნავ არის შებუსუსული. ფოთლები კვერცხისებურია ან ელიფსური. კიდეებზე დაკბილული, იშვიათად - კიდემთლიანი, შიშველი, ზედა მხარე - მუქი მწვანე. თანაფოთლები ეკლებად არის გადაქცეული. ყვავილები პატარა ზომისაა, მოყვითალო-მომწვანო ფერის. ნაყოფი ფრთაშემოვლებულია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ღორღიან და ქვიან, მთისწინა ადგილებში. გვხვდება აგრეთვე ველების სარტყელში ქსეროფილურ დაჯგუფებებში. ქმნის სუფთა ბუჩქნარებს. მშრალი მუხნარების დერივატია. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიასა და ირანს.



Rhamnus cathartica L. - ხეშაპი

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

1, 5-3 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქი, ხორკლიანი, დახეტილი, შავი ქერქით. ტოტები ეკლებით ბოლოვდება. ფოთლები მოპირისპირედ ან მორიგეობით არის განლაგებული, ელიფსური ან კვერცხისებური, კიდედაკბილული. ყვავილედ იღლიურია, ყვავილი მომწვანო-ყვითელია. ძირითადად, ერთსქესიანი, იშვიათად - ორსქესიანი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში, ტყიან ადგილებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე და შუა აზიას.

Rhamnus cordata Medw.

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

დაბალი ტანის უეკლო ბუჩქია, ძლიერ დატოტვილი, ნორჩი ტოტები და ყლორტები ხშირი შებუსვითაა, ღია ან მუქი ნაცრისფერია. ფოთლები მორიგეობითია, ფართო-კვერცხისებური ან თითქმის მომრგვალო. ზედა მხარე მოლევო ან მწვანე ფერისაა, ბენჯიანი ან შიშველი. ქვედა მხარე მკრთალი მწვანეა, იშვიათად - მოჟანგისფრო ბენჯით მოფენილი. ყვავილები ერთსქესიანია, კონებად შეკრებილი, იშვიათად - მარტოული. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება კირქვიან და კლდოვან ნაპრალებში. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და იმერეთში.



Rhamnus imeretina Booth, Petz. & Kirchn. - იმერული ხეჭრელი

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

3 მ-მდე სიმაღლის უეკლო ბუჩქია. ტოტები ნორჩობის პერიოდში შებუსულია. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, ელიფსურია, ზოგჯერ მოგრძო-ოვალური, ბლაგვი ან მახვილწვერიანი; ზედა მხარე მწვანე ფერისაა, ქვედა - უფრო ღია, მრავალრიცხოვანი გვერდითი ძარღვებით. ყვავილები ერთ ან ორსქესიანია, ილლიურ კონებად შეკრებილი. ნაყოფი შავია, სფეროსებური. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში. გავრცელებულია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში და შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Rhamnus pallasii Fisch. & C. A. Mey. - შპჰჰბა

ოჯახი: Rhamnaceae - ხეჭრელისებრნი

დაბალი ტანის ტოტებგაშლილი ბუჩქია, ეკლიანი, წვრილი, მონითალო-ყავისფერი ყლორტებით. ფოთლები კონებად არის შეკრული შემოკლებულ ყლორტებზე. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, კიდეებზე დაკბილული. ზრდასრული ფოთლები შიშველია. ყვავილები მომწვანო ფერისაა, კონებად შეკრებილი. ყვ. ნაყ. VI-VIII. დამახასიათებელია არიდული მეჩხერი ტყეებისა და ქსეროფილური დაჭგუფებებისათვის. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Agrimonia eupatoria L. - ბირკპვა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 30-100 სმ სიმაღლის ღერო მარტივია ან მცირედ დატოტვილი. ფოთლები რთულია, კენტფრთისებური. ყვავილედითავთავისებური მტევანია, გრძელი – 10-30 სმ სიგრძის; ყვავილები მოკლემუნჯიანია. გვირგვინის ფურცლები კვერცხისებურ-ლანცეტაა, ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის შუა სარტყლამდე მეჩხერ ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ნათესებში, ტყის მდელოებსა და ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპასა და მცირე აზიას.

Alchemilla dura Buser - მარმუჭი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო თითქმის სწორად მდგომია, კარგად განვითარებული ღეროსეული ფოთლებით, დიდი ზომის მოგრძო, თითქმის სწორკბილიანი, სეგმენტებითა და ვიწრო ყვავილედით. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება მთის ფერდობებზე, ქვაყრილებზე, მდინარეთა ნაპირებზე – ზღვის დონიდან 2000 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, წინა აზიასა და ირანს.



Aruncus dioicus (Walter) Fernald = Aruncus vulgaris Raf. - მქქნძბლბ

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 1-1,5 მ სიმაღლისაა. ფოთლები გრძელია და გრძელყუნწიანი, ორმაგფრთისებური, ფოთოლაკი – 9. ზედა ფოთლები მთლიანია, ქვედა ფოთლები ფრთისებურად არის დაყოფილი 3-7 ნაკვთად. ნაკვთები მოგრძო-კვერცხისებურია ან ოვალურ-ლანცეტა. გვირგვინის ფურცლები თეთრია და პატარა ზომის. შეკრებილია საგველასებურ ყვავილედებში. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება ტყეებში, ტყისპირა ადგილებში, ტენიან, ქვიან და კლდიან ეკოტოპებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ ევროპასა და მცირე აზიას.

Comarum palustre L. - წყლის მარწყვბბლბხი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურით. ღერო მოწითალო ფერისაა, შებუსული. ფოთლები გრძელყუნწიანია და შებუსული. ქვედა ფოთლები კენტფრთისებურია. ფოთოლაკები მოგრძო და კვერცხისებურია, რომელთაც ქვედა მხარე მონაცრისფრო, ზედა კი მუქი მწვანე აქვთ. გვირგვინის ფურცლები პატარა ზომისაა, ჯამის ფურცლები კი მოკლეა, მუქი მწვანე ფერის. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მაღალმთის ჭაობებში, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ ევროპას, ციმბირს, მცირე აზიასა და ჩრდილო ამერიკას.



Cotoneaster meyeri Pojark. - პაპლანა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ეკლიანი. ნორჩი მცენარე წვრილია, წვეპლისებური. თავიდან მეტ-ნაკლებად თეთრად შებუსუსულია, შემდგომ პერიოდში – შიშველი. ფოთლები მოგრძო-ელიფსურია ან ელიფსური, წვერზე ბლაგვად ამოკვეთილი, ფოთლის ყუნწები მოკლეა. ფოთლები თითქმის შიშველია, ზედა მხარე- მუქი მწვანე, ქვედა- უფრო ღია. ყვავილედნი 5-10- ყვავილიანია, იღლიური, თავდახრილი. გვირგვინი თეთრია, ფართოდ გადაშლილი. ჰიპანთიუმი შიშველია. ყვ. IV-VI, ნაყ. IX-X. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და მეჩხერ ტყეებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Cotoneaster morulus Pojark.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

50-125 სმ სიმაღლის ბუჩქია, გაშლილი ტოტეებით. ნორჩი ტოტეები დაფარულია ძალიან მოკლე, მიტკეცილი ბეწვით. წლიური ტოტეები მუქი მენამულია. ფოთლები თხელია და თითქმის ტყავისებური, მოყვითალო-მწვანე, ფორმით მოგრძო-ელიფსური. ყვავილედნი სწორად მდგომია და მოკლე, 3-8 – ყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, გადაშლილი. ყვ. V, ნაყ. IX-X. იზრდება მთის შუა სარტყელში ღია, მშრალ და ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია ქართლში, კახეთსა და მესხეთ-ჭავჭავთვში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.



Cotoneaster racemiflorus (Desf.) K. Koch - ჩიტაკომპა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

სწორად მდგომი 1 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, სწორი ან დაჯაგული. ნორჩი მცენარე სქლად და ქეჩისებურად არის შებუსული. ერთ და ორწლიანი ტოტები ყავისფერია ან ალუბლისფერი. ფოთლები ფორმით ელიფსურია ან ფართო-ოვალური, შებუსული. გვერდითი ფოთლების ტოტები უფრო პატარაა, ვიდრე კენწრული ფოთლები. ყვავილედნი ფარისებურია. მოთეთრო გვირგვინი ფართოდ არის გადაშლილი. ყვ. V-VI, ნაყ. VII-IX. იზრდება ფერდობებზე მშრალ ბუჩქნართა შორის დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და მცირე აზიას, ირანსა და ჩრდილო აფრიკას.

Crataegus x kyrstostyla Fingerh. - წითელი კუნელი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

5 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია, მომურო-ნაცრისფერი ტოტებით; შიშველია ნორჩობაში – ოდნავ შებუსული მცირერიცხოვანი ეკლებით. ფოთლის ყუნწები შიშველია ან ოდნავ შებუსული. ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა, უკუკვერცხისებური და რომბის ფორმის, 5-ნაკვთიანი, იშვიათად – 3 ან 7- ნაკვთიანი. უნაყოფო ყლორტების ფოთლები უფრო დიდია. ყვავილედნი ფარის ფორმისაა, დატოტვილი. გვირგვინი თეთრია, ნაყოფი – წითელი. ყვ. VI, ნაყ. IX. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში ზოგჯერ რაყას ქმნის. საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Crataegus orientalis Pall. ex M. Bieb. - კნაპა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1-5 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ყლორტები სქლად არის ქეჩისებურად შებუსული, ეკლებიანი. ფოთლები ორივე მხარეზე შებუსულია თეთრი, რბილი ბენვით, ფორმით მოგრძო-კვერცხისებური ან უკუკვერცხისებურია, 5-7-ად დანაკვთული. ყვავილედის კომპაქტურია, მცირეყვავილიანი, ხშირი, თეთრი ბენვით შემოსილი. გვირგვინი თეთრია, ნაყოფი მონითალო-ნარინჯისფერი. ყვ. VI-VII, ნაყ. IX. იზრდება მთის შუა სარტყლის არიდულ, მეჩხერ ტყეებში, ტყისპირებში, მშრალ და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია აჭარაში, ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ყირიმს, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Crataegus pentagyna Waldst. & Kit. ex Willd. - შაპი კუნელი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

3-12 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქია, ნაცრისფერი ტოტებით. ნორჩი ყლორტები შებუსულია ან შიშველი, ეკლები მცირერიცხოვანია და სუსტი. ფოთლების ზედა მხარე მუქი მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე – უფრო ღია ფერის, ფართო-კვერცხისებურ-რომბული ფორმის, 5-7-ნაკვთიანი. ყვავილედის მრავალყვავილიანია, შებუსული. გვირგვინი თეთრია, ნაყოფი – შავი. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყეებში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებს შორის. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Cydonia oblonga Mill. - კომში

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1,5-5 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია, თხელი დახეთქილი ქერქით. ნორჩი ყლორტები შებუსულია ქეჩისებურად. ფოთლები კვერცხისებურია ან ოვალური ფორმის, კიდემთლიანი, ქვედა მხარე მონაცრისფრო – ქეჩისებურია, 10-12 სმ სიგრძისა და 7,5 სმ სიგანის. ყვავილები მკრთალი ვარდისფერია. ნაყოფი ლიმონისფერია ან მუქი ყვითელი და თავიდან ქეჩისებურადაა შებუსული. ყვ. V, ნაყ. IX. იზრდება მთის ქვედა, ზოგჯერ შუა სართულამდე – 1400 მ-მდე, ტყისპირებსა და ფერდობებზე, ზოგჯერ ველურდება. გავრცელებულია აჭარაში, კახეთსა და ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა და მცირე აზიას, ირანს.

Dryas caucasica Juz.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 5-15 სმ სიმაღლისაა, ხშირად ქმნის კორდს. ფოთლები ტყავისებურია, მოყვანილობით ელიფსურია ან მოგრძო-ელიფსური, კიდებზე – ჩაჭრილ-მრგვალკბილა. თანაყვავილები წაგრძელებულია, გრძელბეწვიანი, რიცხვით – 2-5. გვირგვინის ფურცლები თეთრია, უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სართულების მშრალ, ქვიან ადგილებში, კლდეებსა და მორენებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და მთიულეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Drymocallis rupestris L. = Potentilla rupestris L. - დაბლობის მარწყვაბაბაბა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

60 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მაგარია, შუა ნაწილიდან დატოტვილი, მოფენილია გაფარჩხული, მარტივი და ჭირკვლოვანი ბენვით. ფოთლები გრძელყუნწიანია, 1-2 წყვილი დაშორიშორებული, კვერცხის ფორმის ან თითქმის მომრგვალო ფოთოლაკებით, კიდედაკბილულია. ყვავილები მარტოულია ან შეკრებილია ფარჩხატ, საგველასებურ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების კლდეებზე, მშრალ ფერდობებზე და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას.

Duchesnea indica (Jacks.) Focke - გველის მარწყვი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ-მდე სიმაღლისაა, გრძელი, მხოხავი, გაფარჩხულბენვიანი ყლორტებით. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ღეროსეული - უფრო მოკლეყუნწიანი, სამფოთოლაკიანი. თანაფოთლები კვერცხისებურლანცეტაა, კიდემთლიანი. ყვავილები მარტოულია და გრძელყუნწიანი. გვირგვინი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება მთის ქვედა სარტყელში გზისპირებზე, ბოსტნებსა და ბაღებში. გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ აზიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას.



Filipendula vulgaris Moench - ქაფურა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-ლანცეტასებურია, წყვეტილ-ფრთისებური, ზემოდან შიშველია, ქვედა მხარეზე შებუსუსული და ჩაჭრილ-დაკბილული გვერდით სეგმენტებად. ღეროსეული შუა და ზედა ფოთლები ფესვთანურის მსგავსია, ოღონდ მცირე ზომისაა. ყვავილედის საგველასებურია, გვირგვინი მოთეთროა ან მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ველებში, მდელოებზე, მინდვრებში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ციმბირს, მცირე აზიას, ჩრდილო ამერიკას.

Fragaria vesca L. - მარწყვი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, სამფოთოლაკიანი, შებუსუსული; კენწრული ფოთოლაკი მოკლეყუნწიანია, რომბის ფორმის, გვერდითი ფოთოლაკები მჭდომარეა, კვერცხის ფორმის, კიდედაკბილული, მიტკეცილებენწვიანი. ყვავილედის ფარისებურია, ყვავილის ყუნწი გრძელია, გვირგვინი თეთრი ფერისაა, ნაყოფი – კაშკაშა წითელი. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლამდე -ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ველობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ევროპას, ციმბირს, შუა აზიას, ჩრდილო აფრიკას.



Geum urbanum L. - ნიბჭზისძირა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა და სწორად მდგომი, რბილი ბენჯით შებუსული, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ჩანგისებურ-ფრთისებური ან წყვეტილ-ფრთისებური, კიდედაკბილული; კენწრული სეგმენტი დიდია, რომბის ფორმის ან უკუკვერცხისებური, 3-5-ნაკვთიანი. ღეროსეული ფოთლები მოკლყუნწიანია, სამად გაყოფილი. ყვავილსაჯდომი შებუსულია. გვირგვინი პატარა ზომისაა, ყვითელი. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ბუჩქნარებში, ტყეებში, ტყისპირებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა აზიას, ირანსა და მცირე აზიას.

Malus orientalis Uglitzk. ex Juz. - მუჟალო

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

10-12 მ სიმაღლის ხეა, თითქმის უეკლო. ნორჩი ყლორტები შებუსულია. ფოთლები კვერცხის ფორმისაა, ელიფსური ან ლანცეტა. ფუძესთან ახლოს კიდემთლიანია, დანარჩენი ნაწილი – დაკბილული. ზედა მხარემცირედ, ქვედა მხარე კი სქლად არის ქეჩის მსგავსად შებუსული. ყვავილედი 4-6 ყვავილიანია. გვირგვინი თეთრია, ზოგჯერ მოვარდისფრო ელფერით. ყვ. IV, ნაყ. IX. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ტყეებსა და ტყისპირებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში, გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მცირე აზიასა და ირანს.



Mespilus germanica L. - ზღმარძლი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1,5-5 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ყლორტები მონიტალო-მურა ფერისაა, ნორჩობაში შებუსულია. წლიური ტოტები ნაცრისფერია. ფოთლები მოკლუყუნნიანია, ფორმით ელიფსური ან მოგრძო-ლანცეტა, კიდემთლიანი ან დაკბილული, მუქი მწვანე ფერის. თანაყვავილები დიდი ზომისაა, მცენარეს ყვავილები ადვილად სცვივა. ყვავილები თეთრია, ნაყოფი – მომურო ფერისაა. ყვ. V, ნაყ. X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. უფრო ხშირად ქვეტყეშია წარმოდგენილი. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ჩრდილო ირანს.

Potentilla argentea L.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40 სმ-მდე სიმაღლისაა, რკალისებურად წამოწეული ან თითქმის სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილია. ფოთლები 5-ფოთოლაკიანია, გრძელყუნნიანი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებურიდან უკულანცეტამდეა. ყვავილედი ფარისებური საგველაა, ფაშარი, მრავალყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებურია, ყვითელი. ყვ. ნაყ. V-VII. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჩრდილო ამერიკას.



Potentilla crantzii (Crantz) Beck ex Fritsch = *Potentilla gelida* C. A. Mey.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20 სმ-მდე სიმაღლისაა, საყვავილე ღეროები სწორი ან წამოწეულია, ზედა ნაწილში – დატოტვილი, მცირედ შეფოთლილი, დაფარულია მოკლე და გრძელი, მოხრილი ბენვით. ფოთლები გრძელყუნწიანია, სამნაკვთიანი, ფოთოლაკები უკუკვერცხისებურ-სოლისებურია. ყვავილედ იფარება და მცირეყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები უკუგულისებურია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ალპური სარტყლის მდელოებზე, ნაზვავებსა და კლდოვან ადგილებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილოეთ ევროპას, შუა აზიას.

Potentilla recta L.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 70 სმ-მდე სიმაღლის ღეროები ცენტრალურია, სწორი ან წამოწეული, ზედა ნაწილში ორკაპის მსგავსად არის დატოტვილი, დაფარულია გრძელი, გაფარჩხული ბენვით. ფოთლები გრძელყუნწიანია, 5-7-ფოთოლაკიანი. ფოთოლაკები მოგრძო-კვერცხისებურიდან ხაზურ-ლანცეტამდეა. ყვავილედ იფარისებური საგველაა, მრავალყვავილიანი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ველებზე, მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ტყისპირებში, ყამირებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Potentilla thuringiaca Bernh. = *Potentilla caucasica* Juz.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 35 სმ-მდე სიმაღლის ღერო წამოწეულია, ზედა ნაწილში დატოტვილია და დაფარულია ხშირი და გრძელი, გაფარჩხული ბეწვით. ფოთლები გრძელყუნწიანია და შედგება 7 ფოთოლაკისაგან. ფოთოლაკები უკუკვერცხისებურია, ყვავილედ – ფაშარი. გვირგვინის ფურცლები ფართო-უკუკვერცხისებურია, ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – ტყისპირებში, ველობებზე, ბუჩქნარებში და ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლში, მთიულეთში, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Prunus cerasifera Ehrh. = *Prunus divaricata* Ledeb. – ტყეშალი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

2-10 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ღერო დატოტვილი და მეტ-ნაკლებად ეკლებიანი. ფოთლები ოვალური ან ოვალურ-კვერცხისებური ფორმისაა ოვალურ-ლანცეტამდე, თანდათანობით წაწვეტებული, კიდეხერხებილა, ზედა მხარე – შიშველი, ქვედა მხარე – ძარღვების გაყოლებაზე – ბეწვით მოფენილი. ყვავილები თითო-თითოდაა განლაგებული 1-2 სმ სიგრძის ყუნწებზე. გვირგვინის ფურცლები კვერცხის ფორმისაა ან ოვალურ-კვერცხისებური, ბლაგვი ან წაწვეტებული; თეთრი ფერისაა, იშვიათად – მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. V-VIII. მცენარე გავრცელებულია დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლამდე – ტყეებში, ტყისპირა მიდამოებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.



Prunus dulcis (Mill.) D. A. Webb = Amygdalus communis L. - ჩვეულებრივი ნუში

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია. ღერო სწორად მდგომია ან გადახრილი, უეკლო ტოტებით. ფოთლები ლანცეტაა ან ვიწრო-ელიფსური, 4-9 სმ სიგრძისა და 1,5-2,5 სმ სიგანის, შიშველი. ყვავილები შეფოთვლამდე იშლება. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მკრთალი ვარდისფერი. ნაყოფი ხავერდით შებუსული, ირიბ-კვერცხისებური ან მოგრძო-კვერცხისებურია. ყვ. III-IV, ნაყ. VII. მცენარე გავლურებულია. გვხვდება მშრალ ბუჩქნარებში, ნახევრად არიდულ დაჭგუფებებში, ველებზე და ა. შ. საკმაოდ იშვიათი მცენარეა. საქართველოში ველურად მხოლოდ შიდა ქართლსა და კახეთშია ცნობილი. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, ირანს.

Prunus laurocerasus L. = Laurocerasus officinalis M. Roem. - ნუბი

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

1-6 მ სიმაღლის მარადმწვანე ხე ან ბუჩქია, დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო-ელიფსურია, მოკლეყუნჩიანი, პრიალა, ტყავისებური. ყვავილედის ხშირი, აღმამდგომი მტევანია. გვირგვინი თეთრი ფერისაა, ნაყოფი - შავი. ყვ. IV-V, ნაყ. VIII. იზრდება ტყეებში, როგორც ქვეტყე, შედის აგრეთვე ბუჩქნარების შემადგენლობაში, ხშირად სუფთა რაყებს ქმნის. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Prunus mahaleb L. = Cerasus mahaleb (L.) Mill. - ბაღლოჭი

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

5-10 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ქერქი - მუქი ნაცრისფერი, წლიური ყლორტები ღია მურა ფერისაა, შიშველი ან ხავერდის მსგავსი შებუსვით. ფოთლის ყუნწის სიგრძე 3-20 მმ-ია, ფოთლის ფირფიტა მომრგვალებული ან მოგრძო კვერცხის ფორმისაა. ყვავილედ მრავალყვავილიანი ფარისებური მტევანია. ჰიპანთიუმი ზარისებურია და შიშველი. გვირგვინი თეთრია, ოდნავ მოყვითალო ან მოვარდისფრო ელფერით. ყვ. IV-V, ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა აზიას.

Prunus microcarpa C. A. Mey. = Cerasus microcarpa (C. A. Mey.) Boiss. - მცირენაყოფიანი ბაღამწარა

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

1 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ქერქი ნაცრისფერია, ფოთლები - მოგრძო-ელიფსური ან კვერცხისებური. მცირე ზომის - 1-3 სმ სიგრძისა და 3-10 მმ სიგანის, კაშკაშა ვარდისფერი 4-5 ყვავილი დამოკლებულ ყლორტებზეა განლაგებული. ყვ. III-V, ნაყ. V-VI. იზრდება მშრალ ფერდობებზე და მეჩხერ ტყეებში. გავრცელებულია კახეთსა და ქართლში. მცენარე შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, შუა აზიასა და ირანს.



Prunus padus L. = Padus avium Mill. - მოთხვი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია, რომლის ღერო 10 მ-მდე სიმაღლისაა. წლიური ტოტები მოშავოა ან მუქი წითელი. ფოთლები თხელია, 2-10 სმ სიგრძის. ლანცეტა-კვერცხისებური, კიდეებზე წვრილხერხვილია. ყვავილედ მტევანია, გვირგვინი – თეთრი. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების მდინარის ნაპირებზე და ტყის პირას. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.

Prunus spinosa L. - კვრინჩხი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქი ან ხეა. ღერო ძლიერ დატოტვილია, ხშირეკლიანი, ნორჩი ყლორტები მოკლებენჯიანია ან შიშველი. ფოთლები 2-5 სმ სიგრძისაა, ელიფსური ან უკუკვერცხისებური. ყვავილები თეთრია, თითო-თითოდ ან ორ-ორად განლაგებული. ჯამის ფოთლები მხოლოდ კიდეებზეა წამწამებიანი; ყვავილის ყუნწები სწორად მდგომია ან გადახრილი. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება დაბლობიდან 1200 მ სიმაღლემდე – ტყისპირებში, ბუჩქნარებში, მდინარეთა ხეობების გასწვრივ. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, ირანს.



Prunus cerasus L. = Cerasus silvestris Garsault - ბლამნტრა

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

3-25 მ სიმაღლის ხეა, ქერქი მოშავოა, ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია ან ელიფსური, წვერისკენ შევიწროებული. კიდეებზე - ორმაგხერხებილა. ფოთოლი 16 სმ სიგრძისა და 8 სმ სიგანისაა, რომლის ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე - ძარღვების გაყოლებამდე შებუსუსული, თეთრი ან მოვარდისფრო. ყვავილედები 2-8- ყვავილიანი ქოლგაა. ყვ. IV-V, ნაყ. VI. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლების ფოთლოვან ტყეებში. გვხვდება მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ყირიმს, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას და ირანს.

Pyracantha coccinea M. Roem. - ჩიბაკაშლა

ოჯახი: Rosaceae - ვარდისებრნი

2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, უხვეკლიანი. ყლორტები ნორჩობაში მონაცრისფრო ბუნვებითაა მოფენილი. ფოთლები ტყავის მსგავსია, შიშველი ან ნორჩობაში ბუნვებით მოფენილი, ზედა მხარე მუქი მწვანე ფერისაა, პრიალა, ქვედა მხარე უფრო ღია ფერისაა, მოყვანილობით - ელიფსურ-ლანცეტადან ვიწრო-ლანცეტამდე, მახვილწვერიანი ან მობლაგვო, კიდეებზე მრგვალებილა. ყვავილედები მჭიდროა, მეტ-ნაკლებად ბუნვიანი. ყვ. ნაყ. VI. იზრდება მთის შუა სარტყლამდე სიმშრალის მოყვარულ ბუჩქნარებში და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Pyrus caucasica Fed. - პანტა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია. ვარჯი, ჩვეულებრივ, პირამიდულია, ნორჩი ტოტები შიშველია, ნაცრისფერი ქერქით, ეკლებიანი. ფოთლები შიშველია ან ქვედა მხარე ზოგჯერ თხლადაა აბლაბუდის მსგავსი ბენვით მოფენილი, ნახევრად ტყავისებურია, ზედა მხარე პრიალაა, მოყვანილობით – მომრგვალო ან ფართო-კვერცხისებური. ყვავილები თეთრია, ფარის მსგავს ყვავილედად შეკრებილი; გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებურია. ყვ. ნაყ. IV-VI. იზრდება უპირატესად მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში, ზოგჯერ უფრო მაღლაც, ძირითადად – ფოთლოვან ტყეებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ჯავახეთის გამოკლებით. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Pyrus salicifolia Pall. - თირიფოთოლა ბერყინა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია. ღერო 2-6 მ სიმაღლისაა, ძლიერ დატოტვილი. ტოტები გაფარჩხულია და უხვეკლიანი. ფოთლები მოკლყუნნიანია ან თითქმის მჭდომარეა კვირტების ირგვლივ, ხოლო ეკლიან ტოტებზე მორიგეობით არის განწყობილი, მოყვანილობით – ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, კიდემთლიანი, ფოთლის ქვედა მხარე თეთრია, ქერისებური ბენვით მოფენილი, ზედა მხარე კი ნაცრისფერია. ყვ. ნაყ. IV. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში, ბუჩქნარებში, სადაც მონაწილეობს არიდული მეჩხერი ტყეებისა და ნახევარუდაბნოთა დაჯგუფებაში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.



Rosa canina L. - ასკილი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1-3 მ სიმაღლის ბუჩქია, ძლიერ დატოტვილი. ტოტები, ჩვეულებრივ, რკალივითაა მოხრილი. ეკლები გვერდებზე შებრტყელებულია, რკალის ან კაუჭის მსგავსად მოხრილი. ფოთლები, ჩვეულებრივ, 7 – ფოთოლაკიანია, ელიფსურია ან კვერცხისებური, კიდე – მარტივი ან ორმაგხერხვილია. ყვავილები მარტოულია ან მრავალნაყოფიან ყვავილედეებში შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ან კაშკაშა ვარდისფერია, იშვიათად – გაშლილი, თითქმის თეთრია. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ღია ფერდობებზე, ნაკაფებში, ტყისპირებში, მინდვრებში, გზისპირებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას, მცირე აზიას, ირანს.

Rosa doluchanovii Manden. - დოლუხანოვის ასკილი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

დაბალი ბუჩქია. ღერო მუქია, ყავისფერი ქერქით. ტოტები შებუსულია მოკლე, რბილი, გაფარჩხული, ხშირი ბეწვით; ეკლები სწორია, ნემსისებური. ფოთლები, ჩვეულებრივ, 7-ფოთოლაკიანია, ფოთოლაკები ელიფსური ან ფართო-ელიფსურია, ზედა მხარე – მიტკეცილი, მოკლე ბეწვით შებუსული, ქვემოდან მოთეთრო ფერისაა. ყვავილები მარტოულია, მოკლე, ხშირბეწვიანი ყუნწებით. ყვ. VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება სუბალპურ სარტყელში. გავრცელებულია აფხაზეთსა და სვანეთში. საქართველოს ენდემური მცენარეა.



Rosa transcaucasica Manden. - პპკპასიური ასკილი


ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ღერო 1-1,5 მ სიმაღლისაა, მოწითალო-ყავისფერი, დანაოჭებული ქერქით. ეკლები სწორია ან ოდნავ ნამგალივით მოხრილი. ფოთლები 4-7 სმ სიგრძისაა, 5-ფოთოლაკიანი; ფოთოლაკები ფართო-ელიფსურია, კიდეზე ოდნავ გამოკვეთილია ორმაგი დაკბილვა, ორივე მხარე ხშირჭირკვლებიანია, ჭირკვლები ნებოვანია და სურნელოვანი. ყვავილები მარტოულია, იშვიათად 2-3 ერთადაა შეკრებილი. ყვ. VII-VIII, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყისპირებსა და მინდვრებში, ნაკაფებსა და ბუჩქნართა რაყაში. გავრცელებულია შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. საქართველოს ენდემური მცენარეა.

Rosa tuschetica Boiss. - თუშეთის ასკილი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ღერო 1-1,5 მ სიმაღლისაა. ძლიერ დატოტვილი; ნორჩი ტოტები მოფენილია სწორი, დიდი და ნემსისებური ეკლებით, ყვავილიანი ტოტები კი ჭირკვლოვანი ბენჯითაცაა მოფენილი. ფოთლები 5-7 ფოთოლაკიანია, ფოთოლაკები კვერცხის ფორმისაა, კიდეებზე ორმაგად ბასრხერხებილა. ყვავილები მარტოულია, ყვავილის ყუნწები და ჯამის ფოთლები შებუსულია; ჯამის ფოთლები ოდნავ არის გაფართოებული. გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების ქვიან ფერდობებზე. მისი ნახვა შესაძლებელია თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე. გვხვდება ქართლსა და ხევსურეთში. საქართველოს ენდემია, აღწერილია თუშეთიდან 1872 წელს.



Rosa xanthina Lindl. = Rosa pimpinellifolia Bunge - ასკილი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ღერო 1,5-2 მ სიმაღლისაა, ძლიერ დატოტვილი, ტოტები სწორად მდგომია, მოფენილია ორგვარი – დიდი ზომის სწორი და ნემსივით წვრილი – ეკლებით. ფოთლები, ჩვეულებრივ, 7-11- ფოთოლაკიანია, ელიფსური, ხერხკბილა. ყვავილები მარტოულია ან ფარისებურ ყვავილედეში შეკრებილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ძალიან ღია ყვითელი. ყვ. V-VI, ნაყ. VII-IX. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ქვიან ფერდობებზე, ტყისპირებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას.

Rubus anatolicus (Focke) Hausskn. – ანათოლიის მაყვალე

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ერთწლიანი ყლორტები მსხვილია, ლეგა ნაფიფქით, ღარებიანი, სქლადაა მოფენილი მარტივი და ვარსკვლავისებური ბენვით. ფოთლები 5-ფოთოლაკიანია, კენწრული ფოთოლაკი ფართო-უკუკვერცხისებურია ან თითქმის მომრგვალო ფორმის. ყვავილედის მჭიდროა ან ფარჩხატი. გვირგვინის ფურცლები მენამული ან ვარდისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირა ადგილებში, გზისპირებზე, ბუჩქნარებში, მშრალ ფერდობებზე, მდინარისა და ზღვის სანაპიროებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას, ირანს.



Rubus candicans Weihe ex Rchb.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ერთწლიანი ყლორტები რკალისებურია, წახნაგოვანი, შიშველი ან გაბნეული ბენვებით მოფენილი. ეკლები საშუალო ან საკმაოდ დიდი ზომისაა, წიბოებზე განწყობილი. ფოთლები 5-ფოთოლაკიანია, ფოთლის ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე კი – მონაცრისფრო, ქეჩის მსგავსად ბენვიანი. კენწრული ფოთოლაკი ელიფსური ან მოგრძოკვერცხისებურია. ყვავილეთი წაგრძელებულია, ფარჩხატი. გვირგვინის ფურცლები მოგრძოუკვერცხისებურია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ტყისპირა ადგილებში, ბუჩქნარებში, მთის ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, აჭარაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას, მცირე აზიას.

Rubus canescens DC.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

საშუალო სიმაღლის ბუჩქია. ერთწლიანი ყლორტები ღარებიანი წახნაგებით ხასიათდება, შებუსუსულია მიტკეცილი ქეჩისებური ბენვით. ეკლები სუსტია, არათანაბარი ზომის. ფოთლები 3-ფოთოლაკიანია, ზედა მხარე მონაცრისფრო – მწვანეა, ქვედა მხარე კი – მონაცრისფრო-ქეჩისებური. კენწრული ფოთოლაკი რომბის ფორმისაა. ყვავილეთი პირამიდულია, ხშირი და მეტწილად უფოთლო. გვირგვინის ფურცლები მოყვითალო – თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლამდე – უმეტესად განათებულ ტყეებში, ფიჭვნარებში, ღია, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია აფხაზეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Rubus idaeus L. - ჟოლო

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქია. ერთწლიანი ყლორტები ცილინდრულია, სწორად მდგომი, დახრილი წვერით, სქლადაა მოფენილი წვრილი, მონითალო-ყავისფერი ეკლებით. ფოთოლი შედგება 3– 5 (7) ფოთოლაკისგან. ფოთოლაკების ზედა მხარე თითქმის შიშველია, ან აქა-იქ მოფენილია მარტივი ან ვარსკვლავისებური ბუნვით. ქვედა მხარე თეთრია, ქეჩისებურად არის შებუსული და კიდევებზე უთანაბროდ ხერხებილია. ყვავილები შეკრებილია ილიურ, მცირეყვავილიან მტევნებად და კენწრულ, ფარისებურ – საგველა ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება ტყეებსა და ტყისპირებში, გაჩეხილ ადგილებში, ტყის ველობებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, დასავლეთ ევროპას, ციმბირს, შუა აზიას.

Rubus kacheticus Sanadze - კახეთის მაცვალე

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

საკმაოდ დიდი ზომის ერთწლიანი ბუჩქია. 6-8 მმ-მდე დიამეტრის ყლორტები ცილინდრის ფორმისაა, სუსტად არის შებუსული და მარტივი ჯირკვლებით მოფენილი. ეკლები ხშირია და ქვევით გადახრილი. ფოთლები 3-5 – ფოთოლაკიანია, ზედა მხარე გაბნეული ბუნვითაა მოფენილი, ქვედა მხარე კი მონაცრისფრო-ქეჩისებურია, ფორმით – მომრგვალო-კვერცხისებური. ყვავილედ იფარჩხატი საგველაა. ჯამის ფოთლები სამკუთხა ფორმისაა. ყვ. VI-VII, ნაყ. VII-VIII. იზრდება ფოთლოვან ტყეებში, ტყისპირებში. აღწერილია კახეთიდან, ლაგოდეხის მიდამოებიდან. საქართველოს ენდემური მცენარეა.



Sanguisorba minor subsp. magnolii (Spach) Briq. = Poterium polygamum Desf. - შრამბ

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

30-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, ძირში ფოთლებიანად მეტ-ნაკლებად გაფარჩხულბენჯიანი, ზედა ნაწილი შიშველი, ზოგჯერ კი მთლიანად შიშველია. ფოთლები კენტფრთისებურია, ფესვთანური. თავაკები გრძელყუნწიანია, სფერული ან ცილინდრული, 2 სმ-მდე სიგრძის; ჯამი მოყვითალოა, ზოგჯერ – წაბლისფერი. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე მშრალ ფერდობებზე, მდელოებზე, ქვალორდიან და თიხნარ ნაზვავებზე, ტყისპირებში, ბუჩქნარებში ნათესებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე და შუა აზიას, ირანს.

Sorbus aucuparia L.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ბუჩქი ან ხეა. ნორჩი ტოტები მომურო – წითელი ფერისაა, მეტ-ნაკლებად თეთრი ბენჯითაა შემოსილი. 13,3-25 სმ სიგრძის ფოთლები კენტფრთისებურია, 11-15 ფოთოლაკით. ფოთოლაკების ზედა მხარე მწვანეა, ქვედა კი – მოთეთრო-მოლფეო ფერის. კენწრული ფოთოლაკი ელიფსის ფორმისაა, შუა – ელიფსურ-ლანცეტა, ასიმეტრიული. ყვავილედი შიშველია ან თითქმის შიშველი. ნაყოფი მომრგვალო-ოვალური ფორმისაა, მოყვითალო – წითელი ფერის. ყვ. V, ნაყ. VIII-IX. იზრდება სუბალპური სარტყლის ტანბრეცილ ტყეებში, 1500-2300 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას. კავკასიის ეკორეგიონის ენდემური მცენარეა.



Sorbus caucasigena Kom. - სირსელი

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია, რომლის ღერო 4-15 მ სიმაღლისაა, ფართო ვარჯით. ქერქი რუხი ფერისაა. კვირტები კონუსურია, შებუსული გაფანტული ბეწვით. ფოთლები კენტფრთისებური, 7– 11 (19) ფოთოლაკით; ფოთოლაკების ზედა მხარე შიშველია, მუქი მწვანე ფერის, ქვედა მხარე უფრო მკრთალი ფერისაა და ოდნავ შებუსული; ყველა ფოთოლაკი ძირიდანვე ან შუა ნაწილიდან წვერამდე კიდეებზე ბასრხერხკბილაა. ყვავილედნი ფარისებურია, მრავალყვავილიანი, შიშველი ან მეტწილად ოდნავ შებუსული. ყვ. ნაყ. VI. იზრდება ტყის შუა სართყლიდან სუბალპურ სართყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Sorbus graeca (Lodd. ex Spach) Kotschy - ამკურა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან მოზრდილი ბუჩქია. კვირტები ქეჩისებურად არის შებუსული ან შიშველია. ფოთლები ტყავის მსგავსი, მომრგვალო ან მომრგვალო-ელიფსურია, რომელთა ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე კი – ხშირი მოთეთრო ქეჩისებური შებუსვით. ჯამის ფოთლებიც თეთრქეჩისებურია. ნაყოფი მომრგვალოა, წითელი ფერის. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყის სართყლის კლდეებზე, ქვიან ადგილებში და ჩამონახვავებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს.



Sorbus subfusca (Ledeb. ex Nordm.) Boiss.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

ხე ან ბუჩქია, რომლის ღერო შედარებით პატარა ზომისაა, ქერქი – მონაცრისფრო მურა ფერისა, კვირტები – ღია ყავისფერი. ფოთლები – დიდი ზომის, ტყავისებური, მოყვანილობით – უკუკვერცხისებურ-ელიფსური, 8-11 წყვილი ძარღვით, ორივე მხარეს შიშველი ან იშვიათად – ქვედა მხარეს ოდნავ შებუსული. კიდეები – ორმაგებრხვბილა ან თითქმის მარტივი. ნაყოფი ოვალურია ან მომრგვალო, წითელი ფერის, შემდეგში ლურჯდება. ყვ. VI-VII, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლების ტყეებში, დეკას რაყაში, წიფლის ტყეებში და სხვ. 1700-2400 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. კავკასიის ენდემია.

Sorbus torminalis (L.) Crantz – თაბეული

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

25 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები მოყვანილობით კვერცხისებურია, ძირში მომრგვალებული, ოდნავ გულის ან სოლის ფორმის, ნაკვთები წაწვეტებულია, იშვიათად – მობლაგვო, კიდეებზე წვრილი და ბასრკბილიანი, ფოთლის ზედა მხარე შიშველია, ქვედა მხარე მოყვითალო მწვანე ფერისაა, შიშველი ან ქერქის მსგავსად სუსტად შებუსული. ყვავილის ყუნწები თავდაპირველად ქერქისებურად ბანჯგვლიანია, შემდეგ კი – თითქმის შიშველი. ყვ. V-VI, ნაყ. VIII -IX. იზრდება მთისწინეთიდან მთის შუა სარტყლამდე, ძირითადად, მუხნარებში, რცხილნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას.



Spiraea hypericifolia L. - ბრაქლა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1,5 მ სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები შიშველია ან ნორჩობაში მოკლე ბენჯით მოფენილი, მოხაზულობით უკუკვერცხისებური, მოგრძო-ელიფსური ან ლანცეტაა, კიდემთლიანი. ყვავილედ 4-10 ყვავილიანია; ყვავილების ყუნწები და ფოთლურა ნაყოფიც შიშველი ან ოდნავ შებუსულია. ყვ. V-VI, ნაყ. VII-VIII. იზრდება ველისა და დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე – ბუჩქნარებში, იშვიათად – კლდეებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ციმბირს, შუა აზიას.

Spiraea japonica L. - იაკონური ბრაქლა

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

1,5 მ სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები შიშველია ან ნორჩობაში მოკლე ბენჯით მოფენილი, მოხაზულობით ოვალურია და დაკბილული. ყვავილედ 4-10 ყვავილიანია; ყვავილედ 4-10 ყვავილიანია. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობის ბუჩქნარებში. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. ინვაზიური მცენარეა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს აღმოსავლეთ აზიას.



Woronowia speciosa (Albov) Juz.

ოჯახი: Rosaceae – ვარდისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, მარტოულია ან ორ-ორი, სწორად მდგომია, მარტივი ან შუა ნაწილში თითქმის ორთითასავით დატოტვილი, დაფარულია ხშირი და წვრილი ჭირკვლოვანი ბეწვით. გრძელყუნწიანი ფოთლები 5-10 სმ სიგრძისა და 6-15 სმ სიგანისაა, მოყვანილობით – მომრგვალო-თირკმლისებური, ორმაგ-მრგვალკბილა, გედაპირულად დანაკვეთული. ყვავილები დიდი ზომისაა და ტოტების კენწეროებზე ნახევარქოლგებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე, ნაშალებსა და ღორღიანებზე. გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Asperula arvensis L. – ყანის ჩიბისთვალა

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

ერთწლიანი მცენარეა. სიმაღლე – 10-30 სმ, მარტივი ან თითქმის ძირიდანვე დატოტვილი. ღერო 4-ნახნაგოვანია, ქვედა ნაწილში ხორკლიანი შებუსვით. ქვედა ფოთლები 4-4-ია, ვიწრო-უკუკვერცხისებური, რომლებიც მალე ჭკნება. დანარჩენი 6-8 ფოთოლი ერთად არის შეკრებილი, ლანცეტა ან ხაზური ფორმით. ყვავილენი თავაკისებურია. გვირგვინი შეფერილობით თეთრი ან იასამნისფერია. გვირგვინის ნაკვეთები კვერცხის ფორმისაა. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, იშვიათად – ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას, მცირე და შუა აზიას.



Asperula prostrata (Adams) K. Koch

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მრავალი, 20-40 სმ სიმაღლის ღერო, ბევრი სტერილური ყლორტით, მარტივი ან ოდნავ დატოტვილი, 4-ნახნაგოვანი, მცირედი შებუსვით. აქვს ვიწრო-ელიფსური ან ლანცეტა 6-6 ფოთოლი. ყვავილედის საგველაა, შეფერილობით – თეთრი ან მოვარდისფრო. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – მშრალ ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს. მისი ენდემია.

Cruciata laevipes Opiz

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

20-40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ძირიდანვე დატოტვილი, ღერო წამოწეულია ან გართხმული. ფოთლები ელიფსურია ან ვიწრო-ელიფსური, მეტ-ნაკლებად შებუსული ან იშვიათად – შიშველი. უნაყოფო ყლორტების ფოთლები ვიწრო-ხაზურია. ყვავილედის მრავალყვავილიანი ნახევარქოლგაა. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ჩამონახვავებზე, ველებზე, გბისპირებზე – შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა (სპორადულად) და ჰიმალაებს. კულტივირებულია აგრეთვე აშშ-ში.



Galium odoratum (L.) Scop. = Asperula odorata L. - ტყის ჩიჭისთვალა

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-35 სიმაღლისაა, სწორად მდგომი, შიშველი, მხოლოდ მუხლებში აქვს ჯაგრისებური ბენჯების რგოლი. ფოთლები (6-8) წრიულად არის განლაგებული სიგრძე – 3,5-6,5 სმ, სიგანე – 5-10 მმ. ქვედა ფოთლები უკუკვერცხისებურია, დანარჩენილანცეტა, 1-ძარღვიანი. ორივე მხარეზე თხლად არის შებუსული ან ნაწილობრივ. ყვავილედის კენწრულია, შეკრებილია თხელ ნახევარქოლგისებურ ყვავილედებად. გვირგვინი თეთრია, ნაკვთები – მოგრძო. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში, ბუჩქნარებში, ხშირად ქმნის მასიურ დაჯგუფებებს. წიფლნარ ტყეებში ცალკე თანასაზოგადოების სახითაც კი არსებობს. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ჰაბიტატში – ჩვეულებრივი და ზოგჯერ წამყვანი მცენარეა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ ევროპას, დასავლეთ ციმბირს, დასავლეთ და შუა აზიას. კულტივირებულია ჩრდილოეთ ამერიკაში.

Galium rotundifolium L. - ჩიჭისთვალა

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მრავალი წვრილი, 15-45 სმ სიმაღლის ღერო, მწოლიარე ან წამოწეული, შიშველი, მხოლოდ მუხლებში აქვს წამწამისებური ბენჯების რგოლი. 4-4 ფოთოლი წრიულად არის განლაგებული. ფოთლები ფართო-ელიფსურია ან მომრგვალო და 3 – ძარღვიანი. ყვავილები შეკრებილია თხელ ნახევარქოლგისებურ ყვავილედებად. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის ქვედა და სუბალპური სარტყლების ტყისპირებში და ველობებზე. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი სპორადულია და მოიცავს კავკასიის ზოგიერთ რეგიონს, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს.



Galium spurium L. = Galium Vaillantii DC.


ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

ერთწლიანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 100 სმ-მდეა, გართხმულია, 4-ნახნაგოვანი, ძლიერ ხორკლიანი, წიბოებზე მოფენილია მჩხვლეთავი ბეწვებით. 6-8 ფოთოლი ერთად, ჩხროებად არის შეკრებილი. ფორმით ლანცეტასებურ – ხაზურია, წვერი აქვს წვეტიანი. ფოთლის ფირფიტა ხორკლიანია. ყვავილედი ილლიური ნახევრად ქოლგაა, 3-7-ყვავილიანია. გვირგვინი მოთეთროა. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ბუჩქნარებში, ნაგვიან ადგილებში, ნათესებსა და ბოსტნებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ევროპას, ციმბირს, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიას, შორეულ აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ აფრიკას.

Galium tenuissimum M. Bieb.

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50 სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან მწოლიარე, ძირიდანვე დატოტვილი და გაფარჩხული, 4-ნახნაგოვანი, წიბოებზე ქვევით დახრილი, ხორკლიანი შებუსვით, ფოთლები (6-8) წრიულად არის განლაგებული. სიგრძე – 2,5-4სმ, სიგანე – 1 სმ. ქვედა ფოთლები უკუკვერცხისებურია ან ლანცეტა ფორმის. ორივე მხარეზე თხლად შებუსულია ხორკლიანი ბეწვით. ყვავილედი ილლიურია, თხელი. გვირგვინი თეთრია ან მომწვანო-მოყვითალო. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება ღორღიან ადგილებში, იშვიათად – როგორც სარეველა. ალაგ-ალაგ მასობრივად არის გავრცელებული. საქართველოში ცნობილია აღმოსავლეთი ნაწილიდან და აფხაზეთიდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა და ცენტრალურ აზიას.



Galium valantioides M. Bieb. - ენდრონიკა

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს ღერო მრავალი, 15-40 სმ სიმაღლის, სწორად მდგომი, შიშველი ღერო, რომელსაც მხოლოდ მუხლებში აქვს წამწამისებური ბეწვების რგოლი. 4-4 ფოთოლი წრიულად არის განლაგებული. ფოთლებს აქვთ 3 ფართო ძარღვიანი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ყვავილები შეკრებილია თხელ ნახევარქოლგისებურ ყვავილედებად. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა და სუბალპური სარტყლების ტყისპირებში და ველობებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Galium verum L. - მინდვრისნემსა

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-100 სმ სიმაღლისაა, ძირიდან წამოწეული და შემდეგ სწორი, თხლად შებუსული. 8-10 ფოთოლი ჩხროებად არის შეკრებილი, ფორმით – ვიწრო-ხაზური ან თითქმის ჯაგრისებური; ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა – ღია ფერისაა, შებუსული. ყვავილეთი საგველასებურია, მრავალყვავილიანი. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – მდელოებზე, ველებზე, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ხშირად – ბაღებსა და ბოსტნებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა და ცენტრალურ აზიას, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს. კულტივირებულია კუნძულ ტასმანიამზე.



Rubia tinctorum L. - **ქნაღრო**

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 2-3 მ სიგრძისაა, მხოხავი, დატოტვილი, 4-წახნაგოვანი, წიბოებზე ხორკლიანი. 4-6 ფოთოლი ჩხროებად არის განწყობილი, ლანცეტა ან ფართო-ელიფსური ფორმის, ძირში შევიწროებული, ქვედა მხარეს და კიდევებზე ხორკლიანი, ზოგჯერ შებუსული. ნახევარქოლგები მრავალყვავილიანია, გაფარჩხული. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ბუჩქნარებში, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე, რუდერალურ ადგილებში, ბაღებსა და ბოსტნებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს. ვარაუდობენ, რომ საქართველოში გავლურებულია.

Sherardia arvensis L.

ოჯახი: Rubiaceae – ენდროსებრნი

10-20 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 4 – წახნაგოვანია, ხორკლებიანი, დატოტვილი, წამოწეული. აქვს ჩხროებად განლაგებული 4-4 ქვედა, უკუკვერცხისებური ფოთოლი. 6-6 ზედა ფოთოლი კიდევებზე ხორკლებიანია. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია თავაკისებურ ყვავილედედად. გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მინდვრებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიას. გავლურებულია აღმოსავლეთ აფრიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში.



Dictamnus albus L. = Dictamnus caucasicus (Boiss.) Fisch. ex Grossh. - იფნურ

ოჯახი: Rutaceae – ტეგანისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 40-100 სმ, სწორად მდგომი, ოდნავ დაღარული, მარტივი. ქვედა ნაწილი შიშველია, ზედა – შებუსუსული და შავი ჯირკვლებით მოფენილი. ფოთლები კენტფრთისებურია, 5-8 წყვილი გვერდითი ფოთოლაკით. ფოთოლაკები მჯდომარეა, მოგრძო ან ელიფსურ-ლანცეტა, კიდებე წყვილხერხვილა, ქვედა მხარეზე ხუჭუჭა ბენვით შებუსუსული. ყვავილედო კენწრული მტევანია, შებუსუსული და ჯირკვლოვანი. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-იისფერია, უფრო მუქი ძარღვებით. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ქვიან და კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.

Populus nigra L. - შავი პირხვი

ოჯახი: Salicaceae – ტირიფისებრნი

30 მ-მდე სიმაღლის ხეა. მოკლე ყლორტების ფოთლები ფართო და კვერცხისებურ-სამკუთხაა ან რომბის ფორმის, ქვემოდან უფრო მკრთალი მწვანეა, კიდებებზე – წვრილხვილა. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. იზრდება მდინარეების გაყოლებით, ხევებსა და ტყისპირა ადგილებში. საქართველოში ცნობილია აფხაზეთში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, შუა და მცირე აზიას.



Populus tremula L. - შირთოლაჰი ჰერხვი

ოჯახი: Salicaceae - ტირიფისებრნი

დიდი ზომის ხეა - 30 მ-მდე სიმაღლის. მოკლე ყლორტების ფოთლები მომრგვალოა ან მომრგვალო-კვერცხისებური. ფოთლის ყუნწი ხშირად ფირფიტაზე გრძელია. წაგრძელებული ყლორტების ფოთლები დიდი ზომისაა, ფართო - კვერცხისებური. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სატყლამდე - მდინარეთა ნაპირებზე, ნაკაფებში, ტყეში და გაშიშვლებულ ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპას, მცირე და შუა აზიას.

Populus x canescens (Aiton) Sm. - ხპალო

ოჯახი: Salicaceae - ტირიფისებრნი

40 მ სიმაღლის ხეა. გრძელი ყლორტების ფოთლები დიდი ზომისაა, 3-5-ნაკვთიანი, ნაკვთები დაკბილულია, ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან ქეჩისებური შებუსვით ხასიათდება. ძველი ტოტების ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებურია, კიდეებზე ამოკვეთილ-მსხვილკბილა. ფოთლის ყუნწი ხშირად ფირფიტაზე გრძელია. ყვ. ნაყ. III-IV. მცენარე გავრცელებულია დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. იზრდება მდინარეების გაყოლებით, ხევებსა და ტყისპირებში. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი კავკასია და მცირე აზია. თანამედროვე ბოტანიკური ნომენკლატურის მიხედვით, *Populus alba*-ს და *Populus tremula*-ს ბუნებრივ ჰიბრიდს წარმოადგენს.



Salix caprea L. - მდბნალი

ოჯახი: Salicaceae - ტირიფისებრნი

6-10 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ერთწლიანი ტოტები მორუხო ფერისაა. ფოთლები დიდია, ფართო, ელიფსური, ზედა მხრიდან შიშველია, მუქი მწვანე; ქვედა მხარე ქეჩისებური შებუსვის გამო ლეგა ფერისაა, კიდეები დაკბილულია. კვირტები დიდი ზომისაა, იშლება გაფოთვლამდე. ყვ. ნაყ. IV-V. იზრდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე - ტყისპირებში, ხევებში, რუებისა და არხების გაყოლებით. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპასა და შუა აზიას.

Salix caucasica Andersson - კავკასიური ტირიფი

ოჯახი: Salicaceae - ტირიფისებრნი

0,5-1,5 მ სიმაღლის ტანბრეცილი ბუჩქია. ნორჩი ტოტები სუსტადაა შებუსული, ძველი ტოტები შიშველია, მუქი მურა ან თითქმის შავი ფერის. ფოთლები უკუკვერცხისებურია, მოგრძო-ელიფსური ან ხაზურლანცეტა. ყვავილთანური ქერქლები წითურია, უკუკვერცხისებური. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ტენიან ადგილებში ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში, 1500-2400 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ზოგჯერ ჩამოდის ქვემოთაც. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში, ასევე - კავკასიასა და მცირე აზიაში. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.



Salix pseudomedemii E. Wolf

ოჯახი: Salicaceae – ტირიფისებრნი

3-4 მ სიმაღლის ბუჩქია. ტოტები რუხი ან ყვითელქეჩისებური შეხუსვითაა. კვირტები ძალიან დიდი ზომისაა – 8-9 მმ-მდე სიგრძის. ფოთლებიც დიდი ზომისაა – 15 სმ-მდე სიგრძისა და 4-5 სმ სიგანის, ფართო-უკულანცეტასებური. მჭადა ყვავილედეები 3-4,5 სმ სიგრძისაა, მამრობითი გრძელყუნწიანია, მდედრობითი – თითქმის მჯდომარე. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყისპირა ადგილებში, ხევების ფერდობებზე და რუების გაყოლებით. გავრცელებულია მთელ საქართველოში, კავკასიასა და მცირე აზიაში.

Salix triandra L. - სამშობრიანნიანი ტირიფი

ოჯახი: Salicaceae – ტირიფისებრნი

4-5 მ სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ტოტები მოყვითალო – მწვანე, წითელი ან მურა ფერისაა. ფოთოლი მოყვანილობით მოგრძოდან ხაზურ-ლანცეტამდეა. ზემოდან მუქი მწვანე ფერისაა, ქვემოდან უფრო მკრთალია. ყვ. IV-V, ნაყ. VI. იზრდება მდინარეების, ნაკადულებისა და ტბების ნაპირებზე – დაბლობიდან დაწყებული 1,300-1,800 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, ირანს, მცირე და შუა აზიას.



Thesium arvense Horv.

ოჯახი: Santalaceae – სანდალოზისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს 10-30 სმ სიმაღლის მრავალი ღერო, სწორი, (იშვიათად – თითქმის გართხმული), შუა წელიდან დატოტვილი, დაღარული და ხაოიანი. ფოთოლი ხაზურია, მახვილწვერიანი, კიდეებზე ხაოიანი, სიგრძით – 4 სმ-მდე, სიგანით – 1,5 მმ-მდე. ყვავილედო მტევანია, გვერდზე გადაწეული და ირიბად ზევით აღმართული. ყვავილი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე – მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ველებზე, ტყეებსა და მდელოებზე. სპორადულად გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, შუა აზიას.

Viscum album L. - ფიჭვი

ოჯახი: Santalaceae – სანდალოზისებრნი

50 სმ-მდე სიმაღლის მოყვითალო მწვანე ფერის ბუჩქია. ღერო შიშველია, დიქოტომიურად (ორად) დატოტვილი. ფოთოლი არ სცვივა, ტყავისებურია, ხორცოვანი, ლანცეტა ან მოგრძო-ელიფსური, 5-6 პარალელური ძარღვით, ძირისკენ წარზიდული, თავში ბლაგვი. 5-6 ყვავილი ერთად არის შეკრებილი ტოტების კენწეროზე და ღეროს ორკაპებში. ყვ. ნაყ. II-VII. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლებში. პარაზიტობს ფოთლოვან, მერქნიან მცენარეებზე, ხეხილზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპას, შუა და მცირე აზიას.



Acer campestre L. - მინდვრის ნაქერხბალი


ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

15-20 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები 5-ნაკვთიანია, 4-8 სმ სიგრძისა და 4-10 სმ სიგანის. ორივე მხარეს პრი-ალაა, ზედა მხარეს - უფრო მუქი. ფოთლის ნაკვთები ბლაგვია ან ოდნავ ბლაგვწვერიანი. ნაკვთებიც ზოგჯერ დანაკვთულია. ყვავილედი ფარისებური მტევანია, იშ-ლება ფოთლების გამოტანის დროს ან ოდნავ გვიან. ნა-ყოფის ფრთები 2-3,5 სმ სიგრძისაა, ჰორიზონტალურად გადაშლილი და ბოლოსკენ ოდნავ ამვერილი. ყვ. IV-V, ნაყ. VIII-X. იზრდება მუხნარ, რცხილნარ და წაბლ-ნარ ტყეებში, იშვიათია წიფლნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, თითქმის მთელ ევროპას, მცირე აზი-ასა და ირანს.

Acer cappadocicum Gled. = Acer laetum C. A. Mey. - ქორაფი

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

15-30 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები თხელია - 6-15 სმ სიგრძისა და 8-15 სმ სიგანის, 5-7 -ნაკვთიანი. შიშველი ან ქვედა მხარეზე, ძარღვების გაყოლებით, ოდნავ შებუ-სული. ნაკვთები მოგრძო ან ფართო-სამკუთხაა. წვერში მკვეთრად არის გრძლად წაწვეტებული. კიდემთლი-ანი ან ტალღისებურკიდიანი. ყვავილედი ფარისებური მტევანია. ნაყოფს აქვს დიდი ფრთები, ბლაგვი კუ-თხით ან თითქმის ჰორიზონტალურად გაშლილი. ყვ. V, ნაყ. VIII-IX. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლების ტყეებში ერთეულების ან მცირე ჯგუფების სახით. გა-ვრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ირანს.



Acer heldreichii subsp. Trautvetteri (Medw.) A. E. Murray = Acer trautvetteri Medw. - მალალმთის ბოკვი

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

15-30 მ სიმაღლის ხეა, ფართო-გუმბათისებური ვარჯით. ფოთლები 5-ნაკვთიანია. ფირფიტის სიგრძე არის 9-14 სმ, სიგანე - 10-16 სმ. ზედა მხარე მუქი მწვანეა, შიშველი. ქვედა მხარე - მოლევო ან მომწვანო, გაფანტული შებუსვით, მოგვიანებით შებუსვა რჩება ძარღვების კუთხეებში. ფოთლის ფირფიტა ნახევრამდე ან ოდნავ ღრმად არის დანაკვთული. ნაკვთები ოდნავ ქვემოთაა გადახრილი. შუა ნაკვთი და ზოგჯერ გვერდითებიც დაკბილულია. ყვავილები ღია მომწვანო ფერისაა და შეკრებილია სწორად მდგომ ფარჩხატ, ფარისებურ მტევნებად. იშლება ფოთლებთან ერთად. ნაყოფის ფრთები მონითალო და ურთიერთპარალელურად არის განლაგებული. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში ერთეულების სახით. საქართველოში გავრცელებულია ყველგან, გარდა ჭავჭავთისა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიასა და მცირე აზიას.

Acer monspessulanum subsp. ibericum (M. Bieb. ex Willd.) Yalt. = Acer ibericum M. Bieb. - ქართული ნიკერჩხალი

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

8-12 მ სიმაღლის ხეა. ნორჩი ყლორტები მოთეთრო მეჭეჭებით არის მოფენილი. ფოთლები 3-ნაკვთიანია, ოვალური ან კვერცხისებური, კიდემთლიანი, ტყავისებური, ზედა მხარე პრიალაა, ქვედა - მოლევო. ფოთლის ფირფიტა 3-7 სმ სიგრძისაა და 9-10 სმ სიგანის. ყვავილედ დაკიდებული ფარჩხატი ფარია. იშლება ფოთლების გამოტანის დროს ან უფრო ადრე. ნაყოფის ფრთები თითქმის პარალელურად არის განლაგებული ან მახვილად გადაშლილი. ყვ. IV-V, ნაყ. VII-IX. იზრდება ქვიან ფერდობებზე, მეჩხერ, ფართოფოთლოვან ტყეებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია კახეთში, ქვემო ქართლსა და თრიალეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ირანს. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა.



Acer platanoides L. - ლეკბ

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

20-30 მ-მდე სიმაღლის ხეა, მომურო-ნაცრისფერი ქერქით. ფოთლები მოყვანილობით გულისებურ-მომრგვალოა, ჩვეულებრივ - 5-7, იშვიათად - თითქმის 3-ნაკვთიანი, 8-20 სმ სიგრძისა და 10-25 სმ სიგანის. ქვედა მხარე ღია ფერისაა და პრიალა, ორივე მხარე შიშველი. ყვავილები 6-8 მმ დიამეტრისაა, მომწვანო-ყვითელი. ნაყოფის ფრთები დიდი ზომისაა, ბლაგვი კუთხით გაშლილი. ყვ. V, ნაყ. VII-IX. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე - ფოთლოვან ტყეებში ერთეული ხეების ან პატარა ჯგუფების სახით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, ევროპა, მცირე აზია და ირანი.

Acer pseudoplatanus L. - მთის ბოკვი

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

35-40 მ-მდე სიმაღლის ხეა, გუმბათისებურვარჯიანი, სწორი ღეროთი და მონაცრისფრო-მურა ქერქით. ნორჩი ყლორტები შიშველია, მომრგვალო მეჭეჭებით მოფენილი. ფოთლები დიდი ზომისაა, მოყვანილობით - მომრგვალო-გულისებური, 5-ნაკვთიანი. ზედა - მხარე მუქი მწვანე, შიშველი, ქვედა - მოლევო-მურა. ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, შეკრებილი წაგრძელებულ ვიწრო მტევნებად. ნაყოფის ფრთები მახვილია ან სწორი. ყვ. V-VI, ნაყ. IX-X. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ფართოფოთლოვან და მუქწიწვიან ტყეებში ერთეული ან მცირე ჯგუფების სახით. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირეაზიას.



Acer velutinum Boiss. - ბოქვო

ოჯახი: Sapindaceae - საპინდასებრნი

დიდი ზომის, 40 მ-მდე სიმაღლის ხეა, ფართო ვარჯით. ფოთლები 5-ნაკვთიანია, 10-15 სმ სიგრძისა და ამავე სიგანის ფირფიტით; მათი ზედა მხარე მუქი მწვანეა, შიშველი, ქვედა უფრო ღიაა, ძირითადად, ხავერდისებური შებუსვით. ფოთლის ნაკვთები მახვილწვერიანია, არათანაბრად ბლაგვკბილა. სამი შუა ნაკვთი კვერცხისებურია, ქვედები განუვითარებელია. ყვავილები შეკრებილია დიდი ზომის საგველა ყვავილედებში. ყვავილები პატარა ზომისაა, მოყვითალო-მწვანე, იშლება ფოთლებთან ერთად. ნაყოფის ფრთები სწორი კუთხით არის გაშლილი. ყვ. IV-V, ნაყ. VIII-IX. გავრცელებულია ჭალის ტენიან ტყეებში. საქართველოში გავრცელებულია კახეთში. გავრცელების საერთო არეალია სამხრეთ კავკასია და ირანი. კავკასიის ეკორეგიონის ენდემია.

Saxifraga cymbalaria L. - ფხიჭა

ოჯახი: Saxifragaceae - ფხიჭასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე - 10-50 სმ. ღერო დატოტვილია, სწორი ან წამოწეული, ჭირკვლოვანი შებუსვით. ქვედა ფოთლები თირკმლისებურია ან მომრგვალო, 3-9-ნაკვთიანი. ზედა ფოთლები უკუკვერცხისებურია. გვირგვინი ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ტენიან ადგილებში, რუების ნაპირებსა და კლდეებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას, მცირე აზიას, სირიასა და ირანს.



Saxifraga exarata Vill.

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ქმნის მეტ-ნაკლებად მჭიდრო კორდებს. ყლორტები სქლადაა შეფოთლილი. ფოთლები სოლისებურია, 3-5-ად დაყოფილი, ნაკვეთები ბლაგვია. ყვავილედ იფარისებურია და 4-10 – ყვავილიანი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ჯამის ფოთლებს 2-3-ჯერ აღემატება. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – კლდეებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Saxifraga juniperifolia Adams

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მკვრივკორდიანი. ძირის ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, უხეში, სამწახნაგოვანი, წვეტიანი და კიდედაკბილული. ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა. ყვავილედ მტევნისებურია, გვირგვინი ყვითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-IX. იზრდება ტყის ზედა, სუბალპური და ალპური სარტყლების ტენიან ადგილებში და კლდეებზე. ცნობილია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპას, ჩრდილოეთ – დასავლეთ მცირე აზიას.



Saxifraga paniculata Mill. = Saxifraga cartilaginea Willd.

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები როზეტულია, სქელი, ხორცოვანი, ლანცეტა ან ენის ფორმის, კიდეებზე ბასრკბილებიანი. ღერო 10-25 სმ სიგრძისაა, სუსტად არის შეფოთილი, შებუსულია, ყვავილედის საგველაა. გვირგვინი თეთრი, ვარდისფერი ან მუქმწვანია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე -სველ კლდეებსა და ქვიან ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ირანს.

Saxifraga paniculata Mill. = Saxifraga kolenatiana Regel.

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, ჭირვლოვან-ბუსუსიანი, ღეროსეული ფოთლები ცოტაა, პატარა ზომის. ფოთლები ფესვის ყელთან როზეტადაა შეკრებილი, მოგრძო-ლანცეტა ან ენისებური ფორმის. ყვავილედის საგველასებურია, ჭირვლოვან – ბუსუსიანი. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან მუქმწვანია. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე კლდეებზე, ქვიან ადგილებში. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია და ჩრდილო-აღმ. მცირე აზია.



Saxifraga rotundifolia L.

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

20-60 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია. ფოთლები – სქელი და ოდნავ ტყავისებური, ქვედა ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, მოხაზულობით – მომრგვალო-თირკმლისებური. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, ფარჩხატი. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ოდნავ მოვარდისფრო და მენამული ფერის წერტილებით მოფენილი. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – უპირატესად ტყეებში, ზოგჯერ გვხვდება კლდეებზე და დაჩრდილულ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ირანს.

Saxifraga sibirica L.

ოჯახი: Saxifragaceae – ფხიჭასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 5-20 სმ. ღერო წამოწეულია ან სწორი, ჭირკვლოვანი შებუსვით. ქვედა ფოთლები გულის მსგავსად მომრგვალოა, 7-9 – ნაკვთიანი. ზედა ფოთლები თირკმლისებურია, 7-9-ნაკვთიანი. ყვავილეთი საგველაა, გვირგვინი თეთრი ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე – ქვიან ადგილებში, კლდეებზე, მორენებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ერაყს, ირანს, შუა და აღმოსავლეთ აზიას.



Scrophucephalus minimus (Bieb) A. P. Khokhr. = Scrophularia minima M. Bieb. - შაჰწამალა

ოჯახი: Scrophulariaceae - შავწამალასებრნი

3-13 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეფერილობით - იისფერი. ღერო მარტივია. ფოთლები ყუნწიანია, მთლიანი, კიდეებზე ორმაგად დაკბილული, ფორმით კვერცხისებურია. ყვავილედ კენწრული თავაკია. გვირგვინი ვარდისებურ -მწვანე-ღია. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში - მორენებზე, ჩამონახვავებზე. ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. გავრცელებულია დიდი კავკასიონის ქედზე - მისი ენდემია.

Scrophularia lateriflora Trautv. - შაჰწამალა

ოჯახი: Scrophulariaceae - შავწამალასებრნი

25-90 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეფერილობით - ლეგა მწვანე. ღერო მარტივია, იშვიათი დატოტვის, შიშველი. ფოთლები მოპირისპირეა, თითქმის მჯდომარე, მთლიანი, კიდე დაკბილული, ფორმით - მოგრძო-ლანცეტა. ყვავილედი იღლიურია, ნახევრად ქოლგა, გვირგვინი ღია მწვანე ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე - ტენიან ადგილებში, სველ კლდეებზე, მდინარის ნაპირებზე. საქართველოში ცნობილია სვანეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში. გავრცელებულია დიდი კავკასიონის ქედზე. კავკასიის ენდემია.



Scrophularia nodosa L. - შავწამალა

ოჯახი: Scrophulariaceae – შავწამალასებრნი

50-125 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, ზედა ნაწილში შებუსული. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, მოკლეყუნჩიანია, მთლიანი, კიდე-დაკბილული, ფორმით მოგრძოკვერცხისებური. ყვავილედ ილლიურია, ნახევრად ქოლგა, გვირგვინი მოყავისფრო – მწვანე ფერისაა. ყვ. ნაყ. V-VII. იზრდება მთის შუა სართელამდე, – ტყეებში. საქართველოში ცნობილია ყველგან, გარდა სამხრეთ საქართველოსი. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, ევროპას, მცირე და შუა აზიას, ციმბირსა და ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილს.

Scrophularia rupestris M. Bieb. ex Willd. - შავწამალა

ოჯახი: Scrophulariaceae – შავწამალასებრნი

10-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შეფერილობით – მუქი ფერის. ღერო მრავალია, სწორად მდგომი ან წამოწეული, მარტივი, იშვიათი დატოტვით, შებუსული. ფოთლები მოპირისპირედ არის განლაგებული, თითქმის მჯდომარე, მთლიანი, კიდე-დაკბილული, ფორმით – მოგრძო-კვერცხისებური. ყვავილედ ილლიურია, ნახევრად ქოლგა, გვირგვინის ზედა ტუჩი ან გვირგვინის ნახევარი ვარდისფერია. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება მთის შუა სართელამდე – კლდეებზე. საქართველოში გავრცელებულია სპორადულად თითქმის ყველა რეგიონში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Verbascum formosum Fisch. ex Schrank

ოჯახი: Scrophulariaceae – შავწამლასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 25-75 სმ. შებუსული მონაცრისფრო -ქეჩისებური ბენჯით, ღერო სწორია, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ფოთლები შებუსულია თეთრ – მონაცრისფრო სქელი ბენჯით. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, კვერცხისებური ან მოგრძო – კვერცხისებური, მთლიანი ან ოდნავ დანაკვთული, კიდეებზე დაკბილული; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა და თითქმის ჩამოზრდილია ღეროზე. ყვავილედის ხშირი თავთავია, გვირგვინი ყვითელია, ხახის გარშემო იისფერი მოხატულობით; მტვრიანათა ძაფები მოშავოა. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე – მშრალ, ქვიან და კლდოვან ადგილებში. საქართველოში გვხვდება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. გავრცელებულია თითქმის მთელ კავკასიაში. კავკასიის ენდემია.

Verbascum oreophilum C. Koch

ოჯახი: Scrophulariaceae – შავწამლასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 60-120 სმ. შებუსული, ღერო სწორია, ზედა ნაწილში – დატოტვილი, ფოთლების ზედა მხარე – მწვანე, ქვედა მეტ-ნაკლებად შებუსულია. ფესვთანური და ქვედა, ღეროსეული ფოთლები ყუნწიანია – წაგრძელებული ან უკუკვერცხისებური, კიდეებზე მრგვალებულია. ღეროსეული ფოთლები ყუნწიანია, ზედა ფოთლები – მჯდომარე. ყვავილედის დატოტვილი საგველაა, გვირგვინი ყვითელია, მტვრიანათა ძაფები იისფერია. ყვ. ნაყ. VI-VIII იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე – ქვიან ფერდობებზე. ცნობილია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს.



Verbascum orientale (L.) All. = Celsia orientalis L.

ოჯახი: Scrophulariaceae – შავნამალასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 20-70 სმ, სწორად მდგომი, შებუსული. ღერო ზედა ნაწილში დატოტვილია, შეფოთლილი. ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო-ოვალური ფორმის. ქვედა ღეროსეული ფოთლები ფრთისებურად განკვეთილია და ხერხკბილა. ღეროსეული, ფოთლები – მჯდომარე, ფრთისებურად ან ორჯერ ფრთისებურად დანაკვეთული. ყვავილედი მეჩხერი მტევანია, გვირგვინი – ყვითელი. ყვ. ნაყ. IV-VII. გავრცელებულია მშრალ, თიხნარ-ქვიან ადგილებში, კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. საქართველოში გავრცელებულია აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, ყირიმსა და ახლო აღმოსავლეთს.

Verbascum phoeniceum L. – ქერიფულა

ოჯახი: Scrophulariaceae – შავნამალასებრნი

ორწლიანი ან მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, შებუსული. ღერო სწორია, მარტივი ან მცირედ დატოტვილი. ფოთლები შებუსულია, ფესვთანური ფოთლები როზეტულია, რომბის, კვერცხის ან გულის ფორმის, კიდევებზე დაკბილული. ღეროსეული ფოთლები პატარაა, ჭირკვლოვანი შებუსვით. ყვავილედი ფარჩხატი მტევანია. გვირგვინი იისფერია ან მონითალო, მტვრიანათა ძაფები იისფერია. ყვ. ნაყ. V-VIII. იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლამდე – მდელოებზე, საძოვრებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპასა და შუა აზიას.



Verbascum pyramidatum M. Bieb

ოჯახი: Scrophulariaceae – შავწამალასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სიმაღლე – 40-200 სმ, შებუსული მონაცრისფრო ბანჯგვლიანი ბენჯით, ღერო სწორია, მარტივი ან მცირედ დატოტვილი. ფოთლები შებუსულია თეთრ – მონაცრისფრო სქელი ბენჯით. ფესვთანური ფოთლების ყუნწები ფრთიანია, ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ჩამოზრდილია ღეროზე და ყურაკვებით ხასიათდება, ფორმით ფართო-ლანცეტასებურიდან ფართო-უკუკვერცხისებურამდეა. ყვავილეთი ფარჩხატი თავთავია, გვირგვინი ყვითელია, მტვრიანათა ძაფები იისფერია, მონითალო ან მოთეთრო. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე – მშრალ, ქვიან და კლდოვან ადგილებში, მშრალ მდელოებსა და ტყისპირა ადგილებში, იშვიათად – ეზოებში. გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს, მდინარე ინდამდე.

Ailanthus altissima (Mill.)Swingle - ხემყრალა

ოჯახი: Simaroubaceae – ხემყრალასებრნი

20 მ-მდე სიმაღლის ხეა, გაფარჩხული ვარჯით. ნორჩი ყლორტები სუსტად არის შებუსული, მოყვითალო – ყავისფერია. ქერქი ღია ნაცრისფერია. ფოთლები, ჩვეულებრივ, კენტფრთართულია. ფოთოლაკები ოვალურ-ლანცეტა ფორმისაა ან კვერცხისებურ-ლანცეტა. ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედებად. გვირგვინი მომწვანო – მოყვითალო ფერისაა. ყვ. V, ნაყ. VII-VIII. იზრდება დაბლობისა და მთის ქვედა სარტყლის მდინარეთა ნაპირებზე, გზისპირებზე, ხრიოკ და კლდოვან ფერდობებზე, ჩამონახვავებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავლურებულია. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, შუა და აღმოსავლეთ აზიას, ამერიკას.



Atropa belladonna subsp. caucasica (Kreyer) Avet. - შმბბ

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესურა სქელია და დატოტვილი. ღერო – სწორად მდგომი, შიშველი, სიმაღლე – 1-3 მ. ფოთლები კვერცხისებურია. კიდემთლიანი, ყუნწში შევიწროებული, ყვავილები ილლიურია, მარტოული ან ორ-ორი. გვირგვინი იისფერ-მურაა, მღვრიე ყვითელი ფერის მილით. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეებში, ნაკადულების ნაპირებზე, ხშირ ბუჩქნარში. ზოგჯერ ქმნის რაყას. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას. კავკასიის ენდემია.

Datura stramonium L. - ლეშბ

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე – 30-120 სმ. ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებური, ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა – შედარებით ღია. ყვავილები მარტოულია, დიდი ზომის, თეთრი, გადანაღვნი ნაწვეტებულია. ნაყოფი ეკლებით დაფარული კოლოფია. ყვ. ნაყ. VI-X. დაბლობის მცენარეა, იზრდება რუდერალურ ადგილებში, ბოსტნებსა და გზისპირა მიდამოებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. სახეობა თითქმის კოსმოპოლიტურია.



***Hyoscyamus niger* L. - ლენსოფა**

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. 30-80 სმ ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, მოფენილია ჭირკვლოვანი ბუნვით. ფოთლები ფრთისებურად ამოკვეთილნაკვთიანია. ქვედა ფოთლები ყუნწიანია და როზეტს ქმნის, ზედა ფოთლები ღერომხვევია. გვირგვინი მღვრიე ყვითელი ფერისაა, ბადისებურად განლაგებული, იისფერი ძარღვებით. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება ბუჩქნარებში, ქვიან და დანაგვიანებულ ადგილებში, ბოსტნებში, ბაღებში. ფართოდ არის გავრცელებული მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს.

***Lycium barbatum* Thunb. - სობისურა**

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

ძლიერ დატოტვილი ბუჩქია, სიმაღლე – 1-2.5 მ. ტოტები რკალივით არის მოხრილი, ეკლიანი ან უეკლო, ფოთლები მოგრძო-ლანცეტასებური, ყვავილები ილლიურია, მარტოული ან ორ-ორი, შეფერილობით – იისფერი ან ვარდისფერი. ნაყოფი მრავალთესლიანი კენკრაა. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მშრალ, ღია ადგილებში, გზისპირებზე. საქართველოში გავრცელებული შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. გავრცელებულია. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს თითქმის მთელ ევრაზიასა და ჩრდილოეთ აფრიკას.



Physalis alkekengi L. - ონოკოფა

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

20-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სწორად მდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, მორიგეობით ან მოპირისპირედ განლაგებული, გულის ფორმის, საკმაოდ დიდი ზომის. ყვავილები მოთეთროა, მარტოული, ილლიური. ნაყოფი კაშკაშა ნარინჯისფერია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ტენიან ადგილებში, მდინარის პირებზე. ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს ევროპასა და აზიის დიდ ნაწილს.

Physalis peruviana L.

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

100 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სწორად მდგომი, დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, მთლიანად შებუსული, მორიგეობით განლაგებული, გულის ფორმის, დიდი ზომის, დაკბილული ან კიდემთლიანი. ყვავილები მღვრიე ყვითელია, შიდა მხარეს 5 იისფერი ლაქით, მარტოული, ილლიური. ნაყოფი კაშკაშა ნარინჯისფერია. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება რუდერალურ და ტენიან ადგილებში, ცნობილია აფხაზეთში, აჭარასა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილს. გზად მოყოლილი მცენარეა.



Solanum americanum Mill. = Solanum nigrum L. - ძაღლყურძენა

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, წიბოებიანი, შებუსული ან შიშველი, ფოთლები კვერცხისებური ან სამკუთხაა, კიდედაკბილული ან კიდემთლიანი. გვირგვინი თეთრი ფერისაა, პატარა, მტვრიანა – ყვითელი, ნაყოფი – შავი. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ბაღებში, ბოსტნებში, ფართოდ არის გავრცელებული მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, ევროპასა და თითქმის მთელ აზიას, ჩრდილოეთ ამერიკას.

Solanum pseudopersicum Pojark. - ხებაღბა

ოჯახი: Solanaceae – ძაღლყურძენასებრნი

ძლიერ დატოტვილი, მხოხავი ბუჩქია. სიმაღლე 3 მ-მდეა. ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო-კვერცხისებური, კიდემთლიანი. ყვავილედნი დაკიდებული, ქოლგისებური საგველაა. გვირგვინი სოსანია. ყვ. ნაყ. VI-X. იზრდება ტენიან ხეობებში, ბუჩქნარებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს მთელ კავკასიას, აღმოსავლეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა და აღმოსავლეთ აზიას.



Staphylea pinnata L. - ჩვეულებრივი ჯონჯოლი

ოჯახი: Staphyleaceae - ჯონჯოლისებრნი

ბუჩქია ან პატარა ხე, სიმაღლით 5 მ-მდე. ტოტები მოყვითალო - მურა ფერისაა, ყლორტები - შიშველი და მწვანე. ფოთლები კენტფრთისებურია, 5-7-ფოთოლაკიანი. ფოთოლაკები მოგრძო-ელიფსურია, ნაწილობრივ - ბასრხერხვბილა, ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა - მოლევო-მწვანე. ყვავილედის მტევანია ან საგველა. გვირგვინი თეთრია, ზოგჯერ მოვარდისფრო ელფერით. ყვ. IV-V, ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის ქვედა და შუა სარტყლებში. იზრდება ტყეებში, ნოყიერ და ქვიან სუბსტრატზე. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Tamarix ramosissima Ledeb. - იალღუნი

ოჯახი: Tamaricaceae - იალღუნისებრნი

5 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქია. ქერქი მონითალოა, ტოტები შიშველია და მოლევო. ფოთლები მჯდომარეა, კვერცხისებური ან ხაზურ-ლანცეტა, ნახევრად ღერომხვევი, ძირითადად, ზურგზე ქედით. ყვავილედის მტევანია, კენწრული. ეს ყვავილედები, თავის მხრივ, შეკრებილია დიდი ზომის საგველა ყვავილედებში. გვირგვინი პატარაა, ვარდისფერი ან თეთრი, ოდნავ საგრძნობი სასიამოვნო სუნით. ყვ. ნაყ. V-VI. იზრდება ქვიშნარ და თიხნარ ადგილებში, რიყნარებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ჭალის ტყეებში. საქართველოში გავრცელებულია კახეთში, აჭარაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიასა და შუა აზიას.



Daphne caucasica Pall. - კავკასიური მაჭალვერი

ოჯახი: Thymelaeaceae – მაჭალვერისებრნი

ბუჩქია. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, წვრილი, მუქი ნაცრისფერი ქერქით, ნორჩი ტოტები მუქი მენამული ქერქითაა და შიშველი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ლანცეტა, მჭდომარე და შიშველი, ზედა მხარე მწვანე, ქვედა – მოლევო. ყვავილები თეთრია, სურნელოვანი, შეკრებილია 15-20-ყვავილიან კენწრულ თავაკებად. ნაყოფი შავია. ყვ. V-VI, ნაყ. VII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლებში. გავრცელებულია შიდა ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.

Daphne glomerata Lam. - ნიბბ

ოჯახი: Thymelaeaceae – მაჭალვერისებრნი

50 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ღერო შიშველია, მურა ნაცრისფერი ქერქით, ძირიდანვე დატოტვილი, ტოტები წამონეულია, მარტივია ან ორთითასებურად დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ნიჩბისებური, მჭდომარეა და თავმოყრილი ტოტების ბოლოებზე. ყვავილები სურნელოვანია, 3-16 ყვავილი კონებად არის შეკრებილი. ყვავილსაფარი გარედან ვარდისფერია, შიგნიდან – თეთრი. ყვავილსაფრის ნაკვთები ლანცეტაა, ნაყოფი წითელი ფერისაა. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოებზე და ბუჩქნარებში, ძლიერ გაძოვებულ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, შუა და აღმოსავლეთ აზიას.



Daphne mezereum L. - მაჭადვერი

ოჯახი: Thymelaeaceae - მაჭადვერისებრნი

ბუჩქია. ღერო 0.5-1 მ-მდე სიმაღლისაა, ზემოთ აღმართული ტოტებითა და მოყვითალო-ყომრალი ქერქით. ნორჩი ტოტები მიტკეცილ-შებუსულია. ფოთლები მორიგეობით არის განლაგებული, 3-8 სმ სიგრძისაა და 1.5-2 სმ სიგანის, მოგრძო-უკულანცეტა. ყვავილები ვარდისფერია, სურნელოვანი, შეკრებილია 3-5-ყვავილიან კონებად. ნაყოფი წვნიანია, წითელი ფერის. ყვ. III-IV, ნაყ. VI-VIII. იზრდება მთის შუა სარტყლიდან 2,500 მ-მდე ფოთლოვან და წიწვიან, დაჩრდილულ და ტენიან ტყეებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.

Daphne pontica L. - მელიჯაური

ოჯახი: Thymelaeaceae - მაჭადვერისებრნი

ბუჩქია. ღერო 1 მ-მდე სიმაღლისაა, შიშველი, სწორად მდგომი, წვერი - შეფოთლილი. ფოთლები ტყავისებურია, დიდი ზომის, 5-6 სმ სიგრძისა და 1.5-3 სმ სიგანის, ფორმით უკუკვერცხისებურ-ლანცეტაა, მჯდომარე. ყვავილები იღლიურია - 2-2 ან 3-3 ერთად. ყვავილსაფრის ნაკვთები სქელია, ლანცეტა ფორმის, მოყვითალო-მომწვანო ფერის. ყვ. ნაყ. IV-VIII. იზრდება ტყეებსა და სუბალპურ ბუჩქნარებში. საქართველოში სპორადულად არის გავრცელებული, უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიას.



Ulmus glabra Huds. - თელადუმა

ოჯახი: Ulmaceae - თელისებრნი

40-45 მ სიმაღლის ხეა, გლუვი, რუხი ქერქით. ნორჩი ტოტები მონითალო-მურა ფერისაა. ფოთლები მოკლემყუნნიანია, დიდი ზომის, 18 სმ-მდე სიგრძისა და 10 სმ სიგანის, ფართო-ელიფსური ან უკუკვერცხისებური, წვერში გრძლად წანვეტებული, ორივე მხარეს ძირთან – არათანაბარგვერდიანი, დაფარული მრავალი მოკლე, ხეშეში ბენვით, ძლიერ ხაოიანი, კიდებე ხერხკბილა. ყვ. ნაყ. III-V. იზრდება მთის შუა სარტყლის ფართო-ფოთლოვან ტყეებში, ტენიან ადგილებში, ჭალებსა და ხევების გაყოლებით. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი მცენარე.

Ulmus minor Mill. - კაბარა თელა

ოჯახი: Ulmaceae - თელისებრნი

25-30 მ-მდე სიმაღლის ხეა, მუქი რუხი ფერის, გლუვი ქერქით. ნორჩი ტოტები მონითალო-მურა ფერისაა, ნორჩობაში – შებუსული, შემდეგ კი – შიშველი. ფოთლები მოყვანილობით კვერცხისებური ან უკუკვერცხისებურია, სიფრიფანა, 12 სმ სიგრძისა და 6 სმ სიგანის, კიდებე ხერხკბილა, ზემოდან შიშველი ან ხაოიან-წამწამისებურად ბენვიანი, ღია მწვანე ფერის, ქვედა მხარე უფრო მკრთალია, მეტწილად მოფენილია წითელი, წერტილოვანი ჭირკვლებით, ფოთლის ყუნწი გრძელია. ყვავილები მოკლემყუნნიანია და გვერდულ კონებადაა შეკრებილი. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება მშრალ ადგილებში – მუხნარებში, ტყის პირას, აგრეთვე ჭალების ტერასებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი მცენარე. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.



Zelkova carpinifolia (Pall.) K. Koch - რსხილაფოთოლა ძელქვა

ოჯახი: Ulmaceae - თელისებრნი

25-30 მ-მდე სიმაღლის ხეა, მორუხო-მწვანე, სქელი, მკვრივი ქერქით. ნორჩი ტოტები მუქი მურა ფერისაა. ფოთლები მოყვანილობით მოგრძო-კვერცხისებურია ან ელიფსური, წაწვეტებული, თითქმის მჯდომარე ან მოკლეყუნჩიანი, კიდეზე მახვილ ან მრგვლად ხერხკბილა. ყვავილსაფარი მომურო ფერისაა, ოდნავ შებუსული, კვერცხის ფორმის ნაკვთებით. ყვ. III, ნაყ. VIII-IX. იზრდება ზღვისპირა დაბლობებსა და მთის ქვედა სართულში - ტენიან ტყეებში, მდინარეთა ნაპირებზე და ხეობების გაყოლებით. საქართველოში გავრცელებულია სამეგრელოში, იმერეთში, გურიასა და კახეთში. მცენარე შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მონყვლადი სახეობა. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიას, ირანს.

Parietaria judaica L.

ოჯახი: Urticaceae - ჭინჭრისებრნი

10-15 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, ძირში - გახევებული, მეტ-ნაკლებად შებუსული. ფოთლები მოყვანილობით კვერცხისებურია ან ლანცეტასებური, 0.7-2 სმ სიგრძის, თითქმის ტყავისებური, შებუსული და ხშირი მეჭეჭებით დაფარული. ყვავილეთი მრავალყვავილიანია. ყვავილსაფარი სიფრიფანაა, მილისებურ - ზარისებური. ყვ. ნაყ. VI-IX. იზრდება ხეობების გაყოლებით, ღორღიან, კლდოვან გაშიშვლებებზე მთის ზედა სართულამდე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალია კავკასია, სამხრეთ ევროპა, შუა და მცირე აზია, ირანი.



Parietaria officinalis L.

ოჯახი: Urticaceae – ჭინჭრისებრნი

40-100 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო სწორია, მეტწილად მარტოული, შემოსილია ხშირი, წვრილი, მოთეთრო ბენჯით. ფოთლები დიდი ზომისაა – 7-12 სმ სიგრძისა და 3-6 სმ სიგანის, მოგრძო-კვერცხისებური მოყვანილობის. ყვავილედით შედარებით დიდი ზომისაა, მრავალყვავილიანი, დატოტვილი. ყვავილსაფარი მოყვანილობით ზარისებურია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება ტენიან, ჩრდილიან ადგილებში და აგრეთვე – კლდის ნაპრალებში, 500-2,000 მ სიმაღლეზე. გავრცელებულია აფხაზეთსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპას, მცირე აზიას.

Urtica dioica L. - ჭინჭარი

ოჯახი: Urticaceae – ჭინჭრისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლე 60-150 სმ. მცენარე სუსტად დატოტვილია, უხვად არის შემოსილი ხეშეში მსუსხავი ბენჯებით. ფოთლები დიდი ზომისაა მოგრძო კვერცხისებურია, იშვიათად ფართო კვერცხისებური, კიდეებზე მსხვილ-ხერხებილა. ყვავილედით საგველასებურია, დატოტვილი. მამრობითი ყვავილედით გადმოვიდებული მჭადაა. ნაყოფი კაკალია. ყვ. ნაყ. V-X. იზრდება დაბლობიდან ალპურ სარტყლამდე – გზისპირებზე, რუდერალებზე, ტყეებში, ბუჩქნარებში. სარეველა მცენარეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. თითქმის კოსმოპოლიტური სახეობაა.



Viola alba Besser - თეთრი ია

ოჯახი: Violaceae - იისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უდერო, ივითარებს გრძელ მიწისზედა ყლორტებს, ან ყლორტების გარეშეა. ფოთლები როზეტულია, მუქი მწვანე, ოვალურ - გულისებური, შებუსული, კიდებე დაკბილული. თანაფოთლები ლანცეტაა, ფოჩებიან -ნამწამებიანი. გვირგვინის ფურცლები იისფერია ან თეთრი, სურნელოვანი ან უსუნო. ყვ. ნაყ. III-IV. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე - ტყეებში, ბუჩქნარებს შორის, ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.

Viola arvensis Murray - ყანის ია

ოჯახი: Violaceae - იისებრნი

20 სმ - მდე სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო დატოტვილია, სუსტად შებუსული. ქვედა ფოთლები პატარა ზომისაა, ნიჩბისებური. ფოთლების ქვედა მხარე შებუსულია. ყუნწიანი შუა ფოთლები კვერცხის ფორმისაა ან ელიფსური. თანაყვავილები ფრთისებურად არის განკვეთილი. გვირგვინის სურნელოვანი ფურცლები მუქი მოყვითალოა ან თეთრი. ყვ. ნაყ. IV-VII. იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე ტყეებში, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ევროპას, მცირე აზიას.



Viola caucasica Kolenati

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

8-10 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ორყვავილიანია. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები გრძელყუნწიანია, თირკმლისებური ფორმის, კიდეებზე ხერხვბილა, შიშველი. თანაფოთლები პატარა ზომისაა და კვერცხისებური. ყვავილები 1.5-2 სმ სიგრძისაა, უსუნო. გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში, 3,000 მ-მდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, აღმოსავლეთ აზიას.

Viola kitaibeliana Schult.

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

5-12 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, დატოტვილი და შებუსული წვრილი ბეწვით. ღეროსეული ქვედა ფოთლები მომრგვალო-ნიჩბისებურია, შუა და ზედა ფოთლები კვერცხისებურია, მრგვალკბილებიანი ან ხერხივით დაკბილული. ყვავილები 0.5-0.8 სმ სიგრძისაა და უსუნო. გვირგვინის ფურცლები მოთეთროა ან ყვითელი. ყვ. ნაყ. VI-VII. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლის მდელოებსა და ქვიან ფერდობებზე. გავრცელებულია იმერეთში, მესხეთ-ჭავჭავთში, კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.



Viola minuta M. Bieb.

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

3-5 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ერთყვავილიანი, ივითარებს მხოხავ მიწისქვეშა ყლორტებს. ფოთლები პატარა ზომისაა, მომრგვალო ან ელიფსური, ძირში ნაკვეთილი. ზედა ფოთლების თანაფოთლები ფოთლისებურია, მომრგვალო ან ელიფსური. ყვავილები 1.5-2 სმ სიგრძისაა, უსუნო. ჯამის ფოთლები ლანცეტა ფორმისაა. გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება ალპურ სარტყელში ჩამონახვავებზე – 3,000 მ-მდე. გავრცელებულია სვანეთში, მთიულეთში, კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.

Viola odorata L. - სურნელოვანი ია

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უღერო, ივითარებს გრძელ, მიწისზედა ყლორტებს, ან ყლორტების გარეშეა. ფოთლები როზეტულია, მუქი მწვანე, მომრგვალო ან ფართო-კვერცხისებური, შებუსუსი ან შიშველი – კიდებე დაკბილული. თანაფოთლები ლანცეტა ან კვერცხისებური, ფოჩებიანი. გვირგვინის სურნელოვანი ფურცლები მუქი იისფერია. ყვ. ნაყ. IV-V. მცენარე იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ტყეებში, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას.



Viola rupestris F. W . Schmidt

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

4-6 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესურა მოკლეა. ფესვთანური ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, მომრგვალო-ოვალურია ან გულისებური. ფოთლის ყუნწი შებუსულია. ღეროსეული ქვედა ფოთლები ვიწრო-კვერცხისებურია. თანაფოთლები ლანცეტა ფორმისაა. ყვავილები პატარა ზომისაა – 1.5 სმ სიგრძის, უსუნო. გვირგვინის ფურცლები იისფერია ან თეთრი. ყვ. ნაყ. VII-VIII. იზრდება ტყის სუბალპური და ალპური სარტყლების კლდოვან ადგილებში, გავრცელებულია მთიულეთში, კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას.

Viola somchetica K. Koch.

ოჯახი: Violaceae – იისებრნი

5-15 სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, უღერო. ფოთლები სამკუთხაკვერცხისებურია, ძირში – ღრმა გულისებური, კიდეებზე – მსხვილი და ხერხკბილა, შიშველი, გრძელყუნწიანი. თანაფოთლები ლანცეტა ფორმისაა, ფოჩებიანი. ყვავილები 1-1.5 სმ სიგრძისაა, სუსტი სურნელით. გვირგვინის ფურცლები მენამული ფერისაა. ყვ. ნაყ. VI-VIII. იზრდება სუბალპური და ალპური სარტყლების კირქვებზე, ღორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია შიდა ქართლში, მთიულეთში, თრიალეთის ქედზე, თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში. კავკასიის ენდემური მცენარეა.



Tribulus terrestris L. - კუროსთაპი

ოჯახი: Zygophyllaceae - ორყურასებრნი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გაფარჩხული ბენვით მოფენილი. ღერო გართხმულია, დატოტვილი, სიგრძით - 10-60 სმ. ფოთლები წყვილფრთისებურია, შედგება 6-7 წყვილი ფოთოლაკისაგან. ყვავილები მარტოულია, იღლიური, ყვითელი ფერის. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება გზისპირა მიდამოებში, ქვიან და ნაგვიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლსა და კახეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, შუა აზიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ირანს, აფრიკასა და ამერიკას.

Zygophyllum fabago L. - ორყურა

ოჯახი: Zygophyllaceae - ორყურასებრნი

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორად მდგომია ან წამოწეული, გაფარჩხულტოტებიანი. ფოთოლი შედგება 1 წყვილი ხორცოვანი ფოთოლაკისაგან. ფოთოლაკები მოპირისპირედ არის განლაგებული, ფორმით - უკუკვერცხისებური, კიდეებზე თეთრი არშიით. გვირგვინის ფურცლები მოთეთრო - ყვითელია, ძირსა და მტვრიანას ძაფებთან ერთად ნარინჯისფერია. ყვ. ნაყ. V-IX. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ, თიხნარ ადგილებში, ველებსა და უდაბნოებში. საქართველოში გავრცელებულია შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთსა და მესხეთში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, შუა აზიასა და ირანს.



Index

A

<i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach.	10
<i>Acer campestre</i> L.	768
<i>Acer cappadocicum</i> Gled.	768
<i>Acer heldreichii</i> subsp. <i>Trautvetteri</i> (Medw.) A.E.Murray	770
<i>Acer ibericum</i> M.Bieb.	770
<i>Acer laetum</i> C.A.Mey.	768
<i>Acer monspessulanum</i> subsp. <i>ibericum</i> (M.Bieb.ex Willd.) Yalt.	770
<i>Acer platanoides</i> L.	772
<i>Acer pseudoplatanus</i> L.	772
<i>Acer trautvetteri</i> Medw.	770
<i>Acer velutinum</i> Boiss.	774
<i>Achillea biserrata</i> M.Bieb.	216
<i>Achillea filipendulina</i> Lam.	218
<i>Aconitum anthora</i> L.	658
<i>Aconitum confertiflorum</i> (DC.) GÁyer.	658
<i>Aconitum nasutum</i> Fisch. ex Rchb.	658
<i>Aconitum orientale</i> Mill.	660
<i>Adonis aestivalis</i> L.	660
<i>Agrimonia eupatoria</i> L.	694
<i>Agrostemma githago</i> L.	190
<i>Ailanthus altissima</i> (Mill.)Swingle.	790
<i>Ajuga chamaepitys</i> subsp. <i>chia</i> (Schreb.) Arcang.	390
<i>Ajuga comata</i> stapf	390
<i>Ajuga genevensis</i> L.	390
<i>Ajuga orientalis</i> L.	392
<i>Ajuga reptans</i> L.	392
<i>Alcea rugosa</i> Alef.	496
<i>Alchemilla dura</i> Buser	694
<i>Alisma plantago-aquatica</i> L.	26
<i>Alliaria petiolata</i> (M. Bieb.) Cavara & Grande	128
<i>Allium atroviolaceum</i> Boiss.	32
<i>Allium paniculatum</i> L.	32

<i>Allium pseudoflavum</i> Vved.	34
<i>Allium ursinum</i> L.....	34
<i>Allium victorialis</i> L.	36
<i>Alnus barbata</i> C.A.Mey.....	86
<i>Alnus glutinosa</i> subsp. <i>barbata</i> (C.A.Mey.)Yalt.	86
<i>Alnus incana</i> (L.) Moench	88
<i>Alyssum alyssoides</i> (L.) L.	128
<i>Alyssum desertorum</i> Stapf.	130
<i>Alyssum tortuosum</i> Willd.....	130
<i>Amaranthus hybridus</i> L.	26
<i>Amberboa glauca</i> (Puschk. ex Willd.) Muss.Puschk. ex Grossh.....	218
<i>Ambrosia artemisiifolia</i> L.....	220
<i>Amygdalus communis</i> L.	718
<i>Anacamptis coriophora</i> (L.) R.M.Bateman Pridgeon & M.W.....	516
<i>Anacamptis laxiflora</i> (Lam.) R.M.Bateman.....	518
<i>Anacamptis morio</i> (L.)R.M.Bateman	518
<i>Anacamptis papilionacea</i> (L.) R.M.Bateman	520
<i>Anacamptis pyramidalis</i> (L.) Rich.....	520
<i>Anagallis arvensis</i> L.....	642
<i>Anagallis arvensis</i> subsp. <i>foemina</i> (Mill.) Schinz & Thell. . 642	642
<i>Anagallis foemina</i> Mill.	642
<i>Anchusa arvensis</i> subsp. <i>orientalis</i> (L.) Nordh.	98
<i>Anchusa azurea</i> Mill.	98
<i>Anchusa italica</i> Retz.	98
<i>Androsace villosa</i> L.....	644
<i>Anemone caucasica</i> Willd. ex Rupr.....	662
<i>Anemone fasciculata</i> L.	662
<i>Anemone narcissiflora</i> subsp. <i>fasciculata</i> (L.) Ziman & Fedor.....	662
<i>Anemone ranunculoides</i> L.....	664
<i>Angelica sylvestris</i> L.....	46
<i>Anthemis candidissima</i> Willd.ex Spreng.	220
<i>Anthemis saguramica</i> Sosn.....	240
<i>Anthriscus nemorosa</i> (M. Bieb.) Spreng.	46
<i>Anthyllis lachnophora</i> Juz.	432

<i>Anthyllis vulneraria</i> subsp. <i>boissieri</i> (Sagorski) Bornm.	432
<i>Antirrhinum majus</i> L.	602
<i>Aquilegia caucasica</i> (Ledeb.) Rupr.	664
<i>Aquilegia olympica</i> Boiss.....	664
<i>Arabis caucasica</i> Willd.....	132
<i>Arbutus andrachne</i> L.	324
<i>Arctium lappa</i> L.	222
<i>Arenaria serpyllifolia</i> L.....	192
<i>Argemone mexicana</i> L.	586
<i>Aristolochia iberica</i> Fisch. & C.A.Mey. ex Boiss.....	66
<i>Arnebia pulchra</i> (Willd. ex Roem. & Schult.) Edm.	100
<i>Artemisia vulgaris</i> L.....	222
<i>Arum orientale</i> M.Bieb.....	62
<i>Arum rupicola</i> Boiss.....	64
<i>Aruncus dioicus</i> (Walter) Fernald.....	696
<i>Aruncus vulgaris</i> Raf.....	696
<i>Asparagus officinalis</i> L.....	68
<i>Asperula arvensis</i> L.	746
<i>Asperula odorata</i> L.	750
<i>Asperula prostrata</i> (Adams) K.Koch	748
<i>Aster alpinus</i> L.....	224
<i>Aster amellus</i> subsp. <i>ibericus</i> (Steven) V.E.Avet.....	224
<i>Aster ibericus</i> Steven ex M. Bieb.....	224
<i>Astracantha denudata</i> (Steven) Podlech.....	434
<i>Astragalus brachycarpus</i> M. Bieb.....	434
<i>Astragalus bungeanus</i> Boiss.	436
<i>Astragalus denudatus</i> Steven.	434
<i>Astragalus eriocarpus</i> DC.....	436
<i>Astragalus mollis</i> M.Bieb.	436
<i>Astragalus stevenianus</i> DC.	438
<i>Astrantia maxima</i> Pall.	48
<i>Asyneuma campanuloides</i> (M.Bieb. ex Sims) Bornm.	152
<i>Atraphaxis spinosa</i> L.	630
<i>Atropa belladonna</i> subsp. <i>caucasica</i> (Kreyer) Avet....	792
<i>Azalea pontica</i> L.	328

B

Ballota nigra L.	394
Barbarea brachycarpa subsp. minor (K.Koch) Parolly & Eren.....	132
Barbarea minor C.Koch	132
Batrachium divaricatum (Schrank) Schur	666
Bellevalia montana (K. Koch) Boiss.....	68
Bellis perennis L.	226
Berberis iberica Stev. & Fisch. ex DC.	84
Berberis vulgaris L.....	84
Betonica grandiflora Steph. ex Willd.	424
Betula litwinowii Doluch.	88
Betula medwediewii Regel.	90
Betula megrelica Sosn.....	90
Betula pendula Roth.....	92
Betula raddeana Trautv.	92
B.Mey. & Scherb."	258
Brunnera macrophylla (Adams) I.M.Johnst.....	100
Bryonia cretica subsp. dioica (Jacq.) Tutin.....	316
Bryonia dioica Jacq.	316
Buglossoides purpureocaerulea (L.) I.M.Johnst.	102
Bupleurum wittmannii Steven.....	48
Buxus colchica Pojark.....	150
Buxus sempervirens L.	150

C

Caccinia macranthera var. glauca (Savi) Govaerts....	102
Caccinia rauwolfii K.Koch	102
Calamintha nepeta (L.) Savi.....	396
Caltha palustris L.....	666
Calystegia silvatica (Kit.) Griseb.....	298
C.A.Mey. & Trautv.....	600
Campanula albovii Kolak.	156
Campanula alliariifolia Willd.	152, 154
Campanula aucheri A.DC.	170

Campanula beauverdiana Fomin	172
Campanula charadzae Grossh.	172
Campanula collina Sims	154
Campanula collina subsp. sphaerocarpa (Kolak.) Ogan.	156
Campanula daghestanica Fomin.....	158
Campanula engurensis Kharadze	158
Campanula fedorovii Kharadze	158
Campanula glomerata subsp. caucasica (Trautv.) Ogan.	160
Campanula glomerata subsp. oblongifolia (K.Koch) Fed.	160
Campanula Hohenackeri Fisch. & C.A.Mey.	170
Campanula kachethica Kantsch.....	162
Campanula kantschavelii Zagar.	162
Campanula lactiflora M.Bieb.	164
Campanula latifolia L.....	164
Campanula longistyla Fomin	166
Campanula oblongifolia (K.Koch) Kharadze	160
Campanula ochroleuca (Kem.-Nath.) Kem.-Nath.	154
Campanula petrophila Rupr.....	166
Campanula rapunculoides L.....	168
Campanula sarmatica Ker Gawl.	168
Campanula saxifraga subsp. aucheri (A.DC.) Ogan...	170
Campanula sibirica subsp. hohenackeri (Fisch. &C.A.Mey.) Damboldt.....	172
Campanula sibirica subsp. Hohenackeri (Fisch. & C.A.Mey.) Damboldt	170
Campanula sphaerocarpa Kolak.....	156
Campanula stevenii subsp. beauverdiana (Fomin) Rech.f. & Schiman-Czeika	172
Campanula trautvetteri Grossh. ex Fed.	160
Campanula tridentata Schreb.	174
Cannabis ruderalis Janisch.	174
Cannabis sativa L.	174
Capparis spinosa L.	178
Caragana grandiflora (M.Bieb.) DC.	438
Cardamine quinquefolia (M.Bieb.) Schmalh.....	134

<i>Cardaria draba</i> (L.) Desv.	142
<i>Carduus acanthoides</i> L.	226
<i>Carduus crispus</i> L.	228
<i>Carduus nutans</i> L.	228
<i>Carlina vulgaris</i> L.	230
<i>Carpesium abrotanoides</i> L.	230
<i>Carpinus betulus</i> L.	94
<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	94
<i>Carpinus orientalis</i> Mill.	94
<i>Carthamus lanatus</i> L.	232
<i>Castanea sativa</i> Mill.	336
<i>Celsia orientalis</i> L.	788
<i>Celtis australis</i> subsp. <i>caucasica</i> (Willd.) C.C.Towns. .	176
<i>Celtis caucasica</i> Willd.	176
<i>Centaurea cheiranthifolia</i> Willd.	242
<i>Centaurea cyanus</i> L.	242
<i>Centaurea diffusa</i> Lam.	232
<i>Centaurea iberica</i> Trevir. Ex Spreng.	234
<i>Centaurea macrocephala</i> Muss.Puschk. ex Willd.	234
<i>Centaurea salicifolia</i> M.Bieb.	236
<i>Centaurea solstitialis</i> L.	236
<i>Centaurea triumfettii</i> All.	244
<i>Centaurium pulchellum</i> (Sw.) Druce	344
<i>Centranthus longiflorus</i> Steven.	178
<i>Cephalanthera damasonium</i> (Mill.) Druce	522
<i>Cephalanthera longifolia</i> (L.) Fritsch	522
<i>Cephalanthera rubra</i> (L.) Rich.	524
<i>Cephalaria gigantea</i> (Ledeb.) Bobrov	180
<i>Cerastium arvense</i> L.	192
<i>Cerastium multiflorum</i> C. A. Mey.	194
<i>Cerastium ruderale</i> M. Bieb.	194
<i>Cerasus mahaleb</i> (L.) Mill.	720
<i>Cerasus microcarpa</i> (C.A.Mey.) Boiss.	720
<i>Cerasus silvestris</i> Garsault	724
<i>Cerinth minor</i> L.	104
<i>Chamaescidium acaule</i> (M.Bieb.) C.A.Mey.	50
<i>Chamerion angustifolium</i> (L.) Scop.	512
<i>Chelidonium majus</i> L.	586

<i>Chenopodium album</i> L.	28
<i>Chenopodium foliosum</i> Asch.....	28
<i>Cicerbita pontica</i> (Boiss.) Grossh.	272
<i>Cicerbita racemosa</i> (Willd.) Beauverd.....	262
<i>Cichorium intybus</i> L.....	238
<i>Circaea lutetiana</i> L.	512
<i>Cirsium echinus</i> (M.Bieb.) Hand.-Mazz.....	238
<i>Cladochaeta candissima</i> (M.Bieb.) DC.	240
<i>Clematis vitalba</i> L.....	668
<i>Clinopodium acinos</i> (L.) Kuntze.....	394
<i>Clinopodium nepeta</i> (L.) Kuntze.....	396
<i>Clinopodium vulgare</i> L.....	396
<i>Coeloglossum viride</i> (L). C.Hartm.	530
<i>Colchicum speciosum</i> Steven	214
<i>Colutea cilicica</i> Boiss & Balansa.....	440
<i>Colutea orientalis</i> Mill.....	440
<i>Comarum palustre</i> L.....	696
<i>Consolida divaricata</i> Schroding.....	668
<i>Consolida orientalis</i> (J.Gay) Schrodinger.....	670
<i>Convallaria majalis</i> L.	70
<i>Convolvulus arvensis</i> L.....	298
<i>Convolvulus cantabrica</i> L.	300
<i>Conyza canadensis</i> (L.) Cronquist.....	248
<i>Cornus mas</i> L.....	302
<i>Cornus sanguinea</i> subsp. <i>australis</i> (C.A.Mey.) Jav.....	304
<i>Coronilla varia</i> L.....	464
<i>Corydalis angustifolia</i> (Bieb.) DC.....	588
<i>Corydalis caucasica</i> DC.	588
<i>Corydalis cava</i> subsp. <i>marschalliana</i> (Willd.) Hayek..	590
<i>Corydalis conorhiza</i> Ledeb.	590
<i>Corydalis marschalliana</i> (Willd.) Pers.	590
<i>Corydalis pallidiflora</i> (Rupr.) N. Busch.....	592
<i>Corylus avellana</i> L.	96
<i>Cota tinctoria</i> (L.) J.Gay.....	240
<i>Cotinus coggygria</i> Scop.....	42
<i>Cotoneaster meyeri</i> Pojark.....	698
<i>Cotoneaster morulus</i> Pojark.	698
<i>Cotoneaster racemiflorus</i> (Desf.) K. Koch.....	700
<i>Crataegus orientalis</i> Pall.ex M.Bieb.	702

<i>Crataegus pentagyna</i> Waldst.& Kit.ex Willd.....	702
<i>Crataegus x kyrtostyla</i> Fingerh.	700
<i>Crococsmia x crocosmiiflora</i> (Lemoine) N.E.Br.	374
<i>Crocus adamii</i> J.Gay	374
<i>Crocus biflorus</i> subsp. <i>adamii</i> (J.Gay) K.Richt.	374
<i>Crocus speciosus</i> M.Bieb.	376
<i>Cruciata laevipes</i> Opiz.....	748
<i>Cuscuta europaea</i> L.....	300
<i>Cyanus cheiranthifolius</i> (Willd.) Sojak.....	242
<i>Cyanus segetum</i> Hill	242
<i>Cyanus triumfettii</i> (All.) Dostál ex Á.Löve & D.Löve...	244
<i>Cyclamen colchicum</i> (Albov) Correvon	644
<i>Cyclamen coum</i> subsp. <i>caucasicum</i> (K.Koch)	
O. Schwarz	646
<i>Cyclamen vernum</i> Sweet	646
<i>Cydonia oblonga</i> Mill.	704
<i>Cynoglossum creticum</i> Mill.	104
<i>Cynoglossum officinale</i> L.....	106
<i>Cytisus caucasicus</i> Grossh.	442
<i>Cytisus ruthenicus</i> Wol.	442

D

<i>Dactylorhiza amblyoloba</i> (Nevski) Aver.....	530
<i>Dactylorhiza euxina</i> (Nevski) Czerep.	524
<i>Dactylorhiza iberica</i> (M.Bieb. ex Willd.) Soó.....	526
<i>Dactylorhiza romana</i> subsp. <i>georgica</i> (Klinge)	
Soo ex Renz & Taubenheim	526
<i>Dactylorhiza sambucina</i> (L) Soo.....	528
<i>Dactylorhiza urvilleana</i> (Steud.)	
H.Baumann & Kunkele	528
<i>Dactylorhiza urvilleana</i> (Steud.)	
H.Baumann & Künkele	530
<i>Dactylorhiza viridis</i> (L.) R.M.Bateman	530
<i>Daphne caucasica</i> Pall.....	802
<i>Daphne glomerata</i> Lam.	802
<i>Daphne mezereum</i> L.	804
<i>Daphne pontica</i> L.	804
<i>Datisca cannabina</i> L.	318

<i>Datura stramonium</i> L.	792
<i>Delphinium elisabethae</i> N.Busch	670
<i>Delphinium ochroleucum</i> Steven ex DC.	672
<i>Delphinium schmalhauseni</i> Albov	672
<i>Dentaria quinquefolia</i> M.Bieb.	134
<i>Descurainia Sophia</i> (L.) Web ex Prnatl	134
<i>Dianthus armeria</i> L.	196
<i>Dianthus calocephalus</i> Boiss.	198
<i>Dianthus cretaceus</i> Adam.	196
<i>Dianthus crinitus</i> Sm.	198
<i>Dianthus cruentus</i> Griseb.	198
<i>Dianthus cyri</i> Fisch. & C.A.Mey.	200
<i>Dianthus imereticus</i> (Rupr.) Schischk.	200
<i>Dictamnus albus</i> L.	758
<i>Dictamnus caucasicus</i> (Boiss.) Fisch. ex Grossh.	758
<i>Digitalis ciliata</i> Trautv.	604
<i>Digitalis ferruginea</i> L.	604
<i>Digitalis ferruginea</i> subsp. <i>schischkinii</i> (K.V.Ivanova) K.Werner	606
<i>Digitalis schischkinii</i> Ivanina	606
<i>Dioscorea communis</i> (L.) Caddick & Wilkin	318
<i>Diospyros lotus</i> L.	320
<i>Diphelypaea coccinea</i> (M.Bieb.) Nicolson	572
<i>Dipsacus laciniatus</i> L.	180
<i>Dolichorrhiza caucasica</i> (M.Bieb.) Galushko	244
<i>Dolichorrhiza renifolia</i> (C.A.Mey.) Galushko	246
<i>Dorycnium herbaceum</i> Villar.	442
<i>Draba bryoides</i> DC.	136
<i>Draba supranivalis</i> Rupr.	136
<i>Drosera rotundifolia</i> L.	320
<i>Dryas caucasica</i> Juz.	704
<i>Drymocallis rupestris</i> L.	706
<i>Duchesnea indica</i> (Jacks.) Focke	706

E

<i>Ecballium elaterium</i> (L.) A.Rich.	316
<i>Echinops sphaerocephalus</i> L.	246
<i>Echium biebersteinii</i> Lacaita	106
<i>Echium rubrum</i> Forssk.	108

<i>Echium vulgare</i> L.....	108
<i>Elaeagnus angustifolia</i> L.	322
<i>Elaeagnus rhamnoides</i> (L.) A.Nelson.....	322
<i>Empetrum caucasicum</i> (V.Vassil) Juz.....	324
<i>Empetrum nigrum</i> subsp. <i>caucasicum</i> (Juz.) Kuvaev ..	324
<i>Ephedra major</i> subsp. <i>procera</i> (C.A.Mey.) Bornm.	20
<i>Ephedra procera</i> C.A.Mey.	20
<i>Epigaea gaultherioides</i> (Boiss.&Balansa) Takht.	326
<i>Epilobium angustifolium</i> L.	512
<i>Epilobium dodonaei</i> Vill.	514
<i>Epilobium hirsutum</i> L.	514
<i>Epilobium montanum</i> L.	516
<i>Epipactis purpurata</i> Sm.....	532
<i>Epipogium aphyllum</i> Sw.	532
<i>Eremostachys iberica</i> Vis.	408
<i>Erigeron alpinus</i> L.....	248
<i>Erigeron canadensis</i> L.	248
<i>Erigeron caucasicus</i> Steven	250
<i>Erigeron caucasicus</i> subsp. <i>venustus</i> (Botsch.) Grierson	250
<i>Erigeron venustus</i> Botsch.....	250
<i>Erodium ciconium</i> (L.) L'Hér.	354
<i>Erodium cicutarium</i> (L.) L'Her.....	354
<i>Erophila verna</i> (L.) DC.	138
<i>Eryngium caeruleum</i> M.Bieb.	50
<i>Eryngium caucasicum</i> Trautv.	50
<i>Eryngium maritimum</i> L.....	52
<i>Erysimum cuspidatum</i> (M. Bieb.) DC.	138
<i>Erysimum repandum</i> L.	140
<i>Erythronium caucasicum</i> Woronow.....	472
<i>Euonymus europaeus</i> L.....	210
<i>Euonymus latifolius</i> (L.) Mill.....	212
<i>Euonymus verrucosus</i> Scop.	212
<i>Eupatorium cannabinum</i> L.	252
<i>Euphorbia maculata</i> L.	334
<i>Euphorbia myrsinites</i> L.....	336
<i>Euphorbia pontica</i> Prokh.	336
<i>Euphrasia amblyodonta</i> Juz.....	556
<i>Euphrasia caucasica</i> Juz.	558

F

<i>Fagopyrum tataricum</i> (L.) Gaertn.....	632
<i>Fagus orientalis</i> Lipsky	338
<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	52
<i>Fallopia convolvulus</i> (L.) Á.Löve	632
<i>Ficaria calthifolia</i> Rchb.....	674
<i>Ficaria verna</i> subsp. <i>calthifolia</i> (Rchb.) Nyman	674
<i>Ficus carica</i> L.	504
<i>Filago arvensis</i> L.	252
<i>Filipendula vulgaris</i> Moench	708
<i>Fragaria vesca</i> L.	708
<i>Frangula alnus</i> Mill.....	688
<i>Fraxinus excelsior</i> L.	508
<i>Fritillaria caucasica</i> Adam.....	474
<i>Fritillaria collina</i> Adam	474
<i>Fritillaria latifolia</i> Willd.	476
<i>Fumaria officinalis</i> L.....	592

G

<i>Gadellia lactiflora</i> (M.Bieb.) Schulkina.....	164
<i>Gagea caroli-kochii</i> Grossh.....	476
<i>Gagea chlorantha</i> (M.Bieb.) Schult. & Schult.f.	478
<i>Gagea commutata</i> K. Koch.....	478
<i>Gagea dubia</i> A.Terracc.	480
<i>Gagea lutea</i> (L.) Ker Gawl.	480
<i>Gagea serotina</i> (L.) Ker Gawl.....	482
<i>Galanthus alpinus</i> Sosn.	36
<i>Galanthus lagodechianus</i> Kem.-Nath.....	38
<i>Galanthus platyphyllus</i> Traub & Moldenke.....	38
<i>Galanthus woronowii</i> Losinsk.	40
<i>Galega orientalis</i> Lam.	444
<i>Galeopsis bifida</i> Boenn.....	398
<i>Galinsoga parviflora</i> Cav.	254
<i>Galium odoratum</i> (L.) Scop.	750
<i>Galium rotundifolium</i> L.....	750
<i>Galium spurium</i> L.	752
<i>Galium tenuissimum</i> M.Bieb.	752

Galium Vaillantii DC.....	752
Galium valantioides M. Bieb.....	754
Galium verum L.....	754
Garidella nigellastrum L.....	678
Genista patula M.Bieb.....	444
Genista tinctoria L.....	444
Genista transcaucasica Schischkin.....	446
Gentiana angulosa (M.Bieb) Holub.....	350
Gentiana asclepiadea L.....	346
Gentiana cruciata L.....	346
Gentiana paradoxa Albov.....	348
Gentiana pyrenaica L.....	348
Gentiana septemfida Pall.....	350
Gentiana verna subsp. pontica (Soltok.) Hayek.....	350
Gentianella caucasea (Lodd. ex Sims) Holub.....	352
Geranium columbinum L.....	356
Geranium finitimum Woronow.....	356
Geranium gracile Ledeb. Ex Nordm.....	358
Geranium gymnocaulon DC.....	358
Geranium kemulariae Kharadze.....	360
Geranium lucidum L.....	360
Geranium pratense L.....	360
Geranium psilostemon Ledeb.....	362
Geranium pyrenaicum Burm.f.....	362
Geranium robertianum L.....	364
Geranium sanguineum L.....	364
Geum urbanum L.....	710
Gladiolus caucasicus Herb.....	376
Gladiolus italicus Mill.....	378
Glaucium corniculatum (L.) Curtis.....	594
Glechoma hederacea L.....	398
Globularia trichosantha Fisch. & C.A.Mey.....	606
Glycyrrhiza glabra L.....	446
Goodyera repens (L.) R. Br.....	534
Grossheimia macrocephala (Muss. Puschk. ex Willd.) Sosn. & Takht.....	234
Gymnadenia conospea (L.) R.Br.....	534
Gymnospermium smirnowii (Trautv.) Takht.....	86

H

Halimodendron halodendron (Pall.) Voss	448
Hedera helix L.	64
Hedera pastuchovii Woronow.....	66
Hedysarum caucasicum M.Bieb.	448
Helianthemum nummularium (L.) Mill.	210
Helleborus abchasicus A.Braun.....	674
Helleborus caucasicus A. Braun	676
Heracleum asperum M.Bieb.....	54
Heracleum mantegazzianum Sommier & Levier	54
Herminium monorchis (L.) R.Br	536
Hesperis matronalis L.....	140
Heterocaryum szovitsianum (Fisch.&C.A.Mey.) A. DC. ..	110
Hieracium bauhinia var. fastigiatum (Nägeli & Peter)	
Zahn.....	270
Hieracium x auriculoides Láng	254
Himantoglossum formosum (Steven) K.Koch.....	536
Hippophae rhamnoides L.	322
Humulus lupulus L.	176
Hydrangea macrophylla (Thunb.) Ser.	366
Hyoscyamus niger L.	794
Hypecoum pendulum L.	594
Hypericum androsaemum L.	368
Hypericum bupleuroides Griseb.....	370
Hypericum linarioides Bosse	370
Hypericum orientale L.	372
Hypericum perforatum L.	372
Hypericum ptarmicaefolium Spach.....	372

I

Ilex colchica Pojark.	62
Impatiens noli-tangere L.	82
Inula magnifica Lipsky.....	256
Inula orientalis Lam.	256
Ipomoea purpurea (L.) Roth.	302
Iris aphylla L.	378
Iris carthaliniae Fomin	386
Iris caucasica Hoffm.	380

<i>Iris iberica</i> Steven.....	380
<i>Iris pseudacorus</i> L.	382
<i>Iris pumila</i> L.	382
<i>Iris reticulata</i> M.Bieb.....	384
<i>Iris sibirica</i> L.....	384
<i>Iris spuria</i> subsp. <i>carthaliniae</i> (Fomin) B.Mathew	386
<i>Isatis cappadocica</i> subsp. <i>subradiata</i> (Rupr.) P.H. Davis	142
<i>Isatis subradiata</i> Rupr.....	142

J

<i>Jacobaea aquatica</i> (Hill) "G.Gaertn.	258
<i>Jasminum fruticans</i> L.....	510
<i>Juglans regia</i> L.	388
<i>Juniperus communis</i> L.	14
<i>Juniperus foetidissima</i> Willd.	14
<i>Juniperus hemisphaerica</i> C. Presl.....	14
<i>Juniperus oxycedrus</i> L.	16
<i>Juniperus polycarpus</i> K.Koch	16
<i>Juniperus rufescens</i> Link.	16
<i>Juniperus sabina</i> L.	18
<i>Juno caucasica</i> (Hoffm.) Tratt.	380
<i>Jurinea blanda</i> (M.Bieb.) C.A.Mey.	258
<i>Jurinea moschus</i> subsp. <i>pinnatisecta</i> (Boiss.) Greuter.....	260
<i>Jurinea squarrosa</i> Fisch.& C.A.Mey	260
<i>Jurinella squarrosa</i> (Fisch.&C.A.Mey.) Iljin.....	260
<i>Jurinella subacaulis</i> (Fisch. &C.A.Mey.) Iljin.....	260

K

<i>Kemulariella caucasica</i> (Willd.) Tamansch.....	262
<i>Knautia montana</i> DC.	182
<i>Kohlruschia prolifera</i> (L.) Kunth	204

L

<i>Lactuca racemosa</i> Willd.	262
<i>Lactuca serriola</i> L.	264
<i>Lamium album</i> L.....	400

Lamium amplexicaule L.	400
Lamium tomentosum Willd.	402
Lappula barbata (M.Bieb.) Gürke	110
Lappula squarrosa (Retz.) Dumort.	112
Lapsana communis subsp. grandiflora (M.Bieb.) P.D.Sell	264
Lapsana grandiflora M.Bieb.....	264
Laser trilobum (L.) Borkh.....	56
Lathraea squamaria L.	558
Lathyrus aphaca L.	450
Lathyrus cicera L.	450
Lathyrus digitatus (M.Bieb.) Fiori.....	452
Lathyrus incurvus (Roth) Willd.	452
Lathyrus miniatus M. Bieb. ex Steven.....	454
Lathyrus pratensis L.	454
Lathyrus roseus Steven.....	456
Laurocerasus officinalis M.Roem.	718
Laurus nobilis L.....	432
Lavatera thuringiaca L.	496
Leonurus quinquelobatus Gilib.....	402
Leopoldia caucasica (Griseb.) Losinsk.....	70
Lepidium draba L.....	142
Lepidium vesicarium L.	144
Leucanthemum vulgare (Vaill.) Lam.	266
Leucojum aestivum L.	40
Ligustrum vulgare L.....	510
Lilium monadelphum M.Bieb.....	482
Lilium szovitsianum Fisch. & Avé-Lall.....	484
Limodorum abortivum (L.) Sw.	538
Linaria genistifolia (L.) Mill.....	608
Linaria simplex Desf.	608
Linnaea borealis L.	182
Linum angustifolium Hiuds.....	488
Linum austriacum L.....	486
Linum bienne Mill.	488
Linum corymbulosum Reichenb.....	488
Linum hypericifolium Salisb.	490
Linum libernicum Scop.....	488

<i>Linum nervosum</i> Waldst.& Kit.	490
<i>Linum nodiflorum</i> L.	492
<i>Linum tenuifolium</i> L.....	492
<i>Listera ovata</i> (L.) R.Br.	542
<i>Lithospermum officinale</i> L.....	112
<i>Lithospermum purpureo-coeruleum</i> L.....	102
<i>Lloydia serotina</i> (L.) Rchb.....	482
<i>Lomelosia caucasica</i> (M.Bieb.) Greuter & Burdet.....	184
<i>Lonicera caprifolium</i> L.	184
<i>Lonicera caucasica</i> Pall.....	186
<i>Lonicera iberica</i> M.Bieb.	186
<i>Lotus caasicus</i> Kuprian.	456
<i>Lotus corniculatus</i> L.....	456
<i>Lycium barbatum</i> Thunb.	794
<i>Lycopsis orientalis</i> L.....	98
<i>Lysimachia dubia</i> Aiton.....	646
<i>Lysimachia verticillata</i> (Greene) Hand.-Mazz.	648
<i>Lythrum salicaria</i> L.	494

M

<i>Malus orientalis</i> Uglitzk.ex Juz.	710
<i>Malvalthaea transcaucasica</i> Iljin	500
<i>Malva neglecta</i> Wallr.	498
<i>Malva sylvestris</i> L.	498
<i>Malvella sherardiana</i> (L.) Jaub. & Spach.....	500
<i>Marrubium vulgare</i> L.	404
<i>Matricaria matricarioides</i> (Less.) Porter	266
<i>Medicago grandiflora</i> (Grossh.) Vassilcz.	458
<i>Medicago minima</i> (L.) L.....	458
<i>Medicago sativa</i> L.....	458
<i>Melampyrum arvense</i> L.....	560
<i>Melampyrum caasicum</i> Bunge.....	560
<i>Melilotus luteus</i> Gueldenst.	460
<i>Melilotus officinalis</i> (L.) Lam.	460
<i>Mentha longifolia</i> (L.) L.....	404
<i>Merendera trigyna</i> Woronow.	216
<i>Mespilus germanica</i> L.....	712
<i>Minuartia circassica</i> (Albov) Woronow ex Grossh.....	202

<i>Morus nigra</i> L.....	506
<i>Muscari armeniacum</i> Leichtlin ex Baker	72
<i>Muscari szovitsianum</i> Baker.....	72
<i>Myosotis alpestris</i> F.W.Schmidt	114
<i>Myosotis amoena</i> Boiss.....	114
<i>Myosotis arvensis</i> (L.) Hill.....	116
<i>Myosotis propinqua</i> Fisch.&C.A.Mey.	116


 N

<i>Nasturtium officinale</i> R.Br.....	144
<i>Neotinea tridentata</i> (Scop.) R.M.Bateman	538
<i>Neotinea ustulata</i> (L.) R.M.Bateman	540
<i>Neottia nidus-avis</i>	540
<i>Neottia ovata</i> (L.) Bluff & Fingerh.....	542
<i>Nepeta grandiflora</i> M.Bieb.	406
<i>Nigella arvensis</i> L.	676
<i>Nigella nigellastrum</i> (L.) Willk.....	678
<i>Nonea lutea</i> (Desr.) DC.....	118
<i>Nonea rosea</i> (M.Bieb.) Link	118
<i>Nuphar lutea</i> (L.) Sm.	508


 O

<i>Oberna lacera</i> Ikonn.	202
<i>Omphalodes lojkae</i> Sommier & Levier	120
<i>Onobrychis cyri</i> Grossh.	460
<i>Ononis arvensis</i> L.	462
<i>Ononis spinosa</i> subsp. <i>hircina</i> (Jacq.) Gams.	462
<i>Onosma caucasica</i> Levin.....	120
<i>Onosma tenuiflora</i> Willd.	122
<i>Ophrys apifera</i> Huds.....	542, 544
<i>Ophrys caucasica</i> Woronow ex Grossh	544
<i>Ophrys oestrifera</i> M. Bieb.....	544
<i>Orchis coriophora</i> L.	516
<i>Orchis laxiflora</i> Lam.....	518
<i>Orchis mascula</i> (L) L.....	546
<i>Orchis militaris</i> L.	546
<i>Orchis morio</i> L.	518

<i>Orchis papilionacea</i> L.	520
<i>Orchis punctulata</i> Steven ex Lindl.....	548
<i>Orchis purpurea</i> subsp. <i>caucasica</i> (Regel) B.Baumann & al.....	548
<i>Orchis simia</i> Lam.....	550
<i>Orchis tridentata</i> Scop.....	538
<i>Orchis ustulata</i> L.....	540
<i>Origanum vulgare</i> L.....	406
<i>Ornithogalum magnum</i> Krasch. & Schischk.....	72
<i>Ornithogalum navaschirii</i> Agapova	74
<i>Orobanche arenaria</i> Borkh.	562
<i>Orobanche caryophyllacea</i> Sm.	562
<i>Orobanche cernua</i> Loefl.	564
<i>Orobanche cumana</i> Wallr.	564
<i>Orobanche gracilis</i> Sm.	564
<i>Orobanche lutea</i> Baumg.	566
<i>Orobanchus cyaneus</i> Stev.....	452
<i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	96
<i>Otanthus maritimus</i> (L.) Hoffmanns. & Link.....	268
<i>Oxalis corniculata</i> L.	576
<i>Oxalis violacea</i> L.....	578

P

<i>Pachyphragma macrophyllum</i> (Hoffm.) N.Busch	148
<i>Padus avium</i> Mill.....	722
<i>Paeonia caucasica</i> (Schipcz) Schipcz.	578
<i>Paeonia daurica</i> subsp. <i>coriifolia</i> (Rupr.) D.Y.Hong	580
<i>Paeonia daurica</i> subsp. <i>coriifolia</i> (Rupr.)D.Y.Hong.....	578
<i>Paeonia daurica</i> subsp. <i>macrophylla</i> (Albov) D.Y.Hong.....	582
<i>Paeonia daurica</i> subsp. <i>mlokosewitschii</i> (Lomakin) D.Y.Hong.....	582
<i>Paeonia daurica</i> subsp. <i>wittmanniana</i> (Hartwiss ex Lindl.) D.Y.Hong.....	580
<i>Paeonia mlokosewitschii</i> Lomakin	582
<i>Paeonia ruprechtiana</i> Kem.-Nath.	580
<i>Paeonia steveniana</i> Kem.-Nath.	582
<i>Paeonia tenuifolia</i> L.	584

<i>Paeonia wittmanniana</i> Hartwiss ex Lindl.....	580
<i>Paeonia</i> x <i>lagodechiana</i> Kem.-Nath.....	584
<i>Paliurus spina-christi</i> Mill.	688
<i>Pancratium maritimum</i> L.....	42
<i>Papaver commutatum</i> Fisch.....	600
<i>Papaver fugax</i> Poir.....	596
<i>Papaver hybridum</i> L.	596
<i>Papaver monanthum</i> Trautv.	598
<i>Papaver oreophilum</i> Rupr.	598
<i>Papaver orientale</i> L.....	600
<i>Papaver rhoeas</i> L.	600
<i>Parentucellia latifolia</i> Caruel.....	566
<i>Parietaria judaica</i> L.	808
<i>Parietaria officinalis</i> L.	810
<i>Paris incompleta</i> M.Bieb.	502
<i>Parnassia palustris</i> L.....	214
<i>Paulownia tomentosa</i> steud.	602
<i>Pedicularis comosa</i> L.	568
<i>Pedicularis condensata</i> M.Bieb.....	568
<i>Pedicularis crassirostris</i> Bunge.....	570
<i>Pedicularis eriantha</i> T.N. Popova	570
<i>Peganum harmala</i> L.	506
<i>Periploca graeca</i> L.	58
<i>Persicaria maculosa</i> Gray.....	634
<i>Persicaria vivipara</i> (L.) Ronse Decr.....	634
<i>Petasites albus</i> (L.)Gaertn.	268
<i>Petrorhagia prolifera</i> (L.)P.W.Ball& Heywood.....	204
<i>Petrosimonia brachiata</i> (Pall.) Bunge	30
Petz. & Kirchn.	692
<i>Phelypaea coccinea</i> (M.Bieb.) Poir.....	572
<i>Philadelphus caucasicus</i> Koehne.....	368
<i>Philadelphus coronarius</i> L.....	368
<i>Phlomis herba-venti</i> subsp. <i>pungens</i> (Willd.) Maire ex DeFilipps.....	408
<i>Phlomis pungens</i> Willd.	408
<i>Phlomis tuberosa</i> L.	410
<i>Phlomoides laciniata</i> (L.) Kamelin & Makhm.....	408
<i>Phlomoides tuberosa</i> L. (Moench).....	410

<i>Physalis alkekengi</i> L.....	796
<i>Physalis peruviana</i> L.....	796
<i>Picea orientalis</i> (L.) Link.	10
<i>Pilosella piloselloides</i> subsp. <i>bauhinii</i> (Schult.) S.Bräut. & Greuter	270
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K.Koch.....	12
<i>Pinus sosnowskyi</i> Nakai.....	12
<i>Pinus sylvestris</i> var. <i>hamata</i> Steven	12
<i>Pinus sylvestris</i> var. <i>hamata</i> Steven.	12
<i>Pistacia atlantica</i> Desf.	44
<i>Pistacia mutica</i> Fisch. & C.A.Mey.	44
<i>Plantago lanceolata</i> L.	610
<i>Plantago major</i> L.	610
<i>Platanthera bifolia</i> (L.) Rich.	550
<i>Platanthera chlorantha</i> (Custer) Rchb.....	552
<i>Pojarkovia pojarkovae</i> (Schischk.) Greuter.....	270
<i>Polemonium caucasicum</i> N. Busch	626
<i>Polygala alpicola</i> Rupr.....	628
<i>Polygala anatolica</i> Boiss. & Herdr.....	628
<i>Polygala transcaucasica</i> Tamamsch.....	630
<i>Polygonatum glaberrimum</i> K.Koch.....	74
<i>Polygonatum verticillatum</i> (L.) All.	76
<i>Polygonum carneum</i> C.Koch	636
<i>Polygonum convolvulus</i> L.....	632
<i>Polygonum dshawachischwili</i> Kharkev.	636
<i>Polygonum panjutinii</i> Kharkev.	638
<i>Polygonum patulum</i> M. Bieb.	638
<i>Polygonum persicaria</i> L.	634
<i>Polygonum viviparum</i> L.....	634
<i>Populus nigra</i> L.	758
<i>Populus tremula</i> L.....	760
<i>Populus x canescens</i> (Aiton) Sm.	760
<i>Portulaca oleracea</i> L.....	640
<i>Potentilla argentea</i> L.	712
<i>Potentilla caucasica</i> Juz.	716
<i>Potentilla crantzii</i> (Crantz) Beck ex Fritsch.....	714
<i>Potentilla gelida</i> C.A. Mey.	714
<i>Potentilla recta</i> L.....	714

<i>Potentilla rupestris</i> L.....	706
<i>Potentilla thuringiaca</i> Bernh.....	716
<i>Poterium polygamum</i> Desf.....	738
<i>Prangos ferulacea</i> (L.) Lindl.....	56
<i>Prenanthes petiolata</i> (K. Koch.) Sennikov	272
Pridgeon & M.W.Chase	518, 520, 530, 538, 540
Pridgeon & M.W.Chase Pridgeon & M.W.	518
<i>Primula algida</i> Adams.....	648
<i>Primula amoena</i> M.Bieb.	650
<i>Primula auriculata</i> Lam.	650
<i>Primula bayernii</i> Rupr.	652
<i>Primula juliae</i> Kusn.	652
<i>Primula luteola</i> Rupr.	654
<i>Primula macrocalyx</i> Bunge.....	656
<i>Primula ruprechtii</i> Kusn.	654
<i>Primula veris</i> subsp. <i>macrocalyx</i> (Bunge) Lüdi	656
<i>Primula woronowii</i> Losinsk.	656
<i>Prunella laciniata</i> (L.) L.....	410
<i>Prunella vulgaris</i> L.	412
<i>Prunus cerasifera</i> Ehrh.	716
<i>Prunus cerasus</i> L.	724
<i>Prunus divaricata</i> Ledeb.....	716
<i>Prunus dulcis</i> (Mill.) D.A.Webb.....	718
<i>Prunus laurocerasus</i> L.	718
<i>Prunus mahaleb</i> L.....	720
<i>Prunus microcarpa</i> C.A.Mey.....	720
<i>Prunus padus</i> L.	722
<i>Prunus spinosa</i> L.....	722
<i>Psephellus dealbatus</i> (Willd.) K.Koch.....	272
<i>Pseudomuscari pallens</i> (M.Bieb.) Garbari	76
<i>Pseudorosularia sempervivoides</i> (Fisch.) Gurgun.	306
<i>Psylliostachys spicatus</i> (Willd.) Nevski	626
<i>Pterocarya pterocarpa</i> Kunth ex I. Iljinsk.....	388
<i>Pulsatilla violacea</i> Rupr.....	678
<i>Punica granatum</i> L.	494
<i>Pyracantha coccinea</i> M.Roem.	724
<i>Pyrethrum carneum</i> M.Bieb.....	286
<i>Pyrethrum chiliophyllum</i> DC.....	284

<i>Pyrethrum macrophyllum</i> (Waldst.& Kit.) Willd.....	286
<i>Pyrethrum sericeum</i> (Adams) M.Bieb.	288
<i>Pyrethrum sevanense</i> Sosn. ex Grossh.....	288
<i>Pyrola minor</i> L.	326
<i>Pyrus caucasica</i> Fed.	726
<i>Pyrus salicifolia</i> Pall.	726

Q

<i>Quercus hartwissiana</i> Stev.	338
<i>Quercus iberica</i> Steven ex M.Bieb.	340
<i>Quercus imeretina</i> Stev.	342
<i>Quercus longipes</i> Steven.....	344
<i>Quercus macranthera</i> Fisch. & C.A.Mey. ex Hohen. ...	340
<i>Quercus petraea</i> subsp. <i>iberica</i> (Steven ex M.Bieb.) <i>Krassiln.</i>	340
<i>Quercus pontica</i> K. Koch.	342
<i>Quercus robur</i> subsp. <i>imeretina</i> (Steven ex Woronow) <i>Menitsky</i>	342
<i>Quercus robur</i> subsp. <i>pedunculiflora</i> (K.Koch) <i>Menitsky</i>	344

R

<i>Ranunculus bulbosus</i> L.....	680
<i>Ranunculus buschii</i> Ovcz.....	680
<i>Ranunculus illyricus</i> L.	682
<i>Ranunculus muricatus</i> L.	682
<i>Ranunculus repens</i> L.	684
<i>Reseda globulosa</i> Fisch. & C. A. Mey.	686
<i>Reseda lutea</i> L.....	686
<i>Rhamnus cathartica</i> L.	690
<i>Rhamnus cordata</i> Medw.	690
<i>Rhamnus imeretina</i> Booth.....	692
<i>Rhamnus pallasii</i> Fisch. & C.A. Mey.	692
<i>Rhinanthus schischkinii</i> Vassilcz.....	572
<i>Rhinanthus serotinus</i> subsp. <i>aestivalis</i> (N.W.Zinger) <i>DostÁl</i>	574
<i>Rhinanthus vernalis</i> (N.W.Zinger) Schischk. & Serg...	574

Rhododendron caucasicum Pall.	328
Rhododendron luteum Sweet.....	328
Rhododendron ponticum L.	330
Rhododendron ungerii Trautv.	330
Rhus coriaria L.....	44
Rhynchosorys elaphas (L.) Griseb.....	574
Rhynchosorys orientalis Benth.....	576
Ribes biebersteinii Berland. ex DC.....	366
Ribes petraeum Wulfen.....	366
Robinia pseudoacacia L.....	462
Rosa canina L.	728
Rosa doluchanovii Manden.....	728
Rosa pimpinellifolia Bunge	732
Rosa transcaucasica Manden.....	730
Rosa tuschetica Boiss.....	730
Rosa xanthina Lindl.	732
Rubia tinctorum L.	756
Rubus anatolicus (Focke) Hauskn.....	732
Rubus candicans Weihe ex Rchb.....	734
Rubus canescens DC.....	734
Rubus idaeus L.	736
Rubus kacheticus Sanadze.....	736
Rumex acetosa L.	640
Ruscus aculeatus L.....	78
Ruscus colchicus Yeo	78
Ruscus ponticus Woronow.....	78


S

Salix caprea L.	762
Salix caucasica Andersson	762
Salix pseudomedemii E. Wolf.....	764
Salix triandra L.	764
Salsola ericoides M. Bieb.....	30
Salvia aethiopis L.	412
Salvia garedjii Troitsky	414
Salvia glutinosa L.	414
Salvia nemorosa L.	416
Salvia verticillata L.	416

<i>Sambucus ebulus</i> L.	20
<i>Sambucus nigra</i> L.....	22
<i>Sanguisorba minor</i> subsp. <i>magnolii</i> (Spach) Briq.	738
<i>Satureja laxiflora</i> C. Koch	418
<i>Saxifraga cartilaginea</i> Willd.....	778
<i>Saxifraga cymbalaria</i> L.....	774
<i>Saxifraga exarata</i> Vill.	776
<i>Saxifraga juniperifolia</i> Adams.....	776
<i>Saxifraga kolenatiana</i> Regel.....	778
<i>Saxifraga paniculata</i> Mill.	778
<i>Saxifraga rotundifolia</i> L.	780
<i>Saxifraga sibirica</i> L.	780
<i>Scabiosa caucasica</i> M.Bieb.....	184
<i>Scilla monanthos</i> K.Koch	80
<i>Scilla rosenii</i> K.Koch.....	80
<i>Scilla siberica</i> Haw.	82
<i>Scolymus hispanicus</i> L.	274
<i>Scorzonera czerepanovii</i> Kuth.....	274
<i>Scrophucephalus minimus</i> (Bieb) A.P. Khokhr.	782
<i>Scrophularia lateriflora</i> Trautv.	782
<i>Scrophularia minima</i> M. Bieb.	782
<i>Scrophularia nodosa</i> L.....	784
<i>Scrophularia rupestris</i> M.Bieb.ex Willd.....	784
<i>Scutellaria altissima</i> L.....	418
<i>Scutellaria orientalis</i> L.	420
<i>Securigera varia</i> (L.) Lassen	464
<i>Sedum acre</i> L.....	306
<i>Sedum caasicum</i> (Grossh.) Boriss.	310
<i>Sedum cespitosum</i> (Cav.) DC.....	310
<i>Sedum gracile</i> C. A. Mey.....	308
<i>Sedum hispanicum</i> L.	308
<i>Sedum maximum</i> subsp. <i>ruprechtii</i> (Jalas) Soó	310
<i>Sedum oppositifolium</i> Sims.....	312
<i>Sedum rubrum</i> (L.) Thell.	310
<i>Sedum spurium</i> M.Bieb.	312
<i>Sedum stoloniferum</i> S.G.Gmel.	312
<i>Sempervivum caasicum</i> Rupr. ex Boiss.....	314
<i>Sempervivum transcaasicum</i> Muirhead.....	314

Senecio aquaticus Hill	258
Senecio leucanthemifolius subsp. caucasicus (DC.) Greuter	276
Senecio leucanthemifolius subsp. vernalis (Waldst. & Kit.) Greuter.....	276
Senecio pojarkovae Schischk.	270
Senecio pseudoorientalis Schischk.	278
Senecio sosnovskyi Sofieva.....	276
Senecio vernalis Waldst. & Kit.....	276
Senecio vulgaris L.	278
Serapias vomeracea (Burm.f.) Briq.	552
Sherardia arvensis L.....	756
Sideritis montana L.	420
Silene compacta Fisch.....	204
Silene conica L.....	206
Silene lacera Sims.	202
Silene vulgaris (Moench) Garcke.....	206
Silybum marianum (L.) Gaertn.....	280
Sisymbrium officinale (L.) Scop.....	146
Sisyrinchium rosulatum E.P.Bicknell.....	386
Smyrniium perfoliatum L.....	58
Sobolewskia caucasica N.Busch.....	146
Solanum americanum Mill.....	798
Solanum nigrum L.	798
Solanum pseudopersicum Pojark.	798
Solenanthus biebersteinii DC.	122
Solidago canadensis L.....	280
Solidago virgaurea L.....	282
Sonchus asper (L.)Hill.....	282
Sophora alopecuroides L.	464
Sorbus aucuparia L.....	738
Sorbus caucasigena Kom.	740
Sorbus graeca (Lodd. ex Spach) Kotschy	740
Sorbus subfusca (Ledeb.ex Nordm.) Boiss.....	742
Sorbus torminalis (L.) Crantz.....	742
Spartium junceum L.	466
Spiraea hypericifolia L.....	744
Spiraea japonica L.	744

<i>Spiranthes spiralis</i> (L) Chevall.....	554
<i>Stachys atherocalyx</i> K.Koch	422
<i>Stachys fruticulosa</i> Bieb.	422
<i>Stachys macrantha</i> (K.Koch) Stearn.....	424
<i>Stachys sylvatica</i> L.	424
<i>Staphylea pinnata</i> L.	800
<i>Stellaria holostea</i> L.	208
<i>Stellaria media</i> (L.) Vill.	208
<i>Stenactis annua</i> (L.) Cass.....	284
<i>Steveniella satyroides</i> (Spreng.) Schltr.	554
<i>Swertia iberica</i> Fisch. ex Boiss.	352
<i>Swida australis</i> (C.A.Mey.) Pojark. ex Grossh	304
<i>Swida koenigii</i> (C.K.Schneid.) Pojark. ex Grossh.	304
<i>Symphytum abchasicum</i> Trautv.	124
<i>Symphytum grandiflorum</i> DC.	124
<i>Symphytum ibericum</i> Steven.....	124

T

<i>Tamarix ramosissima</i> Ledeb.....	800
<i>Tamus communis</i> L.....	318
<i>Tanacetum aureum</i> (Lam.) Greuter & al.	284
<i>Tanacetum coccineum</i> (Willd.) Grierson.....	286
<i>Tanacetum macrophyllum</i> (Waldst. & Kit.) Sch.Bip....	286
<i>Tanacetum parthenium</i> (L.) Sch. Bip.	288
<i>Tanacetum sericeum</i> (Adams) Sch.Bip.....	288
<i>Taraxacum campylodes</i> G.E.Haglund.....	290
<i>Taraxacum officinale</i> (L.)Weber exF.H.Wigg.	290
<i>Taraxacum stevenii</i> (Spreng.) DC.....	290
<i>Taxus baccata</i> L.	18
<i>Tephrosieris integrifolia</i> subsp. <i>primulifolia</i> (Cufod.) Greuter.....	292
<i>Tephrosieris karjaginii</i> (Sofieva) Holub.....	292
<i>Teucrium chamaedrys</i> subsp. <i>nuchense</i> (K.Koch) Rech.f.....	426
<i>Teucrium nuchense</i> K. Koch.....	426
<i>Teucrium orientale</i> L.	426
<i>Teucrium polium</i> L.	428
<i>Thesium arvense</i> Horv.....	766

<i>Thlaspi macrophyllum</i> Hoffm.	148
<i>Thlaspi orbiculatum</i> Steven.....	148
<i>Thymus collinus</i> M. Bieb.....	428
<i>Thymus tiflisiensis</i> Klokov & Des.-Shost.....	430
<i>Tilia cordata</i> Mill.	502
<i>Torularia contortuplicata</i> O.E. Schultz	150
<i>Trachystemon orientalis</i> (L.) D.Don.....	126
<i>Tragopogon graminifolius</i> DC.	292
<i>Traunsteinera sphaerica</i> (M.Bieb.) Schltr.....	556
<i>Tribulus terrestris</i> L.	820
<i>Trifolium alpestre</i> L.	466
<i>Trifolium angustifolium</i> L.	468
<i>Trifolium arvense</i> L.	468
<i>Trifolium campestre</i> Schreb.....	470
<i>Trifolium pratense</i> L.	470
<i>Trigonocaryum involucreatum</i> Medw.	126
<i>Tripleurospermum caucasicum</i> (Willd.) Hayek.....	294
<i>Tripleurospermum inodorum</i> (L.) Sch.Bip.....	294
<i>Tripleurospermum perforatum</i> (Mérat) M. Laínz.	294
<i>Trollius patulus</i> Salisb.	684
<i>Trollius ranunculinus</i> Stearn	684
<i>Tulipa biebersteiniana</i> Schult. & Schult.f.	484
<i>Tulipa eichleri</i> Regel.....	486
<i>Tussilago farfara</i> L.	296

U

<i>Ulmus glabra</i> Huds.	806
<i>Ulmus minor</i> Mill.....	806
<i>Urtica dioica</i> L.....	810

V

<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	332
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	332
<i>Vaccinium vitis-idaea</i> L.....	334
<i>Valeriana alpestris</i> Steven.....	188
<i>Valeriana officinalis</i> L.....	188
<i>Valeriana tiliifolia</i> Troitzk.....	190

<i>Veratrum lobelianum</i> Bernh.	504
<i>Verbascum formosum</i> Fisch.ex Schrank	786
<i>Verbascum oreophilum</i> C. Koch	786
<i>Verbascum orientale</i> (L.) All.	788
<i>Verbascum phoeniceum</i> L.	788
<i>Verbascum pyramidatum</i> M.Bieb	790
<i>Veronica anagallis-aquatica</i> L.	612
<i>Veronica austriaca</i> L.	612
<i>Veronica beccabunga</i> L.	614
<i>Veronica caucasica</i> M.Bieb.	614
<i>Veronica chamaedrys</i> L.	616
<i>Veronica filiformis</i> Sm.	616
<i>Veronica gentianoides</i> Vahl.	618
<i>Veronica jacquinii</i> Baumg.	612
<i>Veronica liwanensis</i> K.Koch.	618
<i>Veronica officinalis</i> L.	620
<i>Veronica peduncularis</i> Bieb.	620
<i>Veronica persica</i> Poir.	622
<i>Veronica petraea</i> (Bieb.) Stev.	622
<i>Veronica polita</i> Fr.	624
<i>Veronica telephiifolia</i> Vahl.	624
<i>Viburnum lantana</i> L.	22
<i>Viburnum opulus</i> L.	24
<i>Viburnum orientale</i> Pall.	24
<i>Vicia sepium</i> L.	472
<i>Vinca herbacea</i> Waldst. & Kit.	60
<i>Vincetoxicum amplifolium</i> C. Koch	60
<i>Vincetoxicum scandens</i> Sommier & Levier	60
<i>Viola alba</i> Besser	812
<i>Viola arvensis</i> Murray	812
<i>Viola caucasica</i> Kolenati	814
<i>Viola kitaibeliana</i> Schult.	814
<i>Viola minuta</i> M. Bieb.	816
<i>Viola odorata</i> L.	816
<i>Viola rupestris</i> F. W .Schmidt	818
<i>Viola somchetica</i> K.Koch.	818
<i>Viscum album</i> L.	766

W

Woronowia speciosa (Albov) Juz..... 746

X

Xeranthemum squarrosum Boiss..... 296

Z

Zelkova carpinifolia (Pall.) K. Koch 808

Ziziphora capitata L..... 430

Zygophyllum fabago L..... 820

მცენარეთა საძიებელი

ა

აბილილი	302
აბრეშუმა	300
ავშანფოთლიანი ამბროზია	220
ალისარჩული	232
ალოშა	164
ალპური ასტრა	224
ალპური თეთრყვავილა	36
ალპური წინინაური	628
ამპურა	740
ანატოლიის მაცვალი	732
ანგელოზა	46
ანდრიაპაპა	682
ანჩხლა	126
ანწლი	20
არჯაკელი	456
ასკილი	728, 732
ასტრაგალი	436
ასფურცელა	284, 344
აფხაზური ხარისძირა	674
აღმოსავლეთის ნაძვი	10
აღმოსავლეთის ტილჭირი	660
აღმოსავლური მზიურა	256
აღმოსავლური ყაყაჩო	600
აღმოსავლური ნიფელი	338
აჭრაჭუჭი	454

ბ

ბაბლუარა	352
ბალამწარა	724
ბალბა	498
ბალბალუკა	500
ბალბატუხტი	500
ბალლოჯი	720
ბამბიქულა	412
ბარისპირა	424
ბაყაყურა	280
ბიბერშტეინის ძირწითელა	106
ბირკავა	694

ბოკვი.....	774
ბოსტნის ია.....	622
ბოსტნის ნალიკა	634
ბროწეული	494
ბრტყელფოთოლა თეთრყვავილა.....	38
ბუერა.....	268
ბურბუშელა	290
ბურტყლა სამყურა	468
ბუსკანტურა	152
ბუჩქისძირა	588, 590

გ

გაზაფხულის თავყვითელა.....	276
განიერფოთლიანი ჭანჭყატი	212
გარეჯის სალბი.....	414
გველის მარწყვი.....	706
გველის სურო.....	60
გვირილა.....	266
გიგანტური მზიურა	256
გობისცხვირა	412
გონგოლა.....	146
გოქშო.....	180
გრაკლა	744
გრძელყუნწა მუხა	344

დ

დაბლობის მარწყვაბალახა.....	706
დათვის კანაფი.....	318
დანდური.....	640
დაჯირა	416
დედოფლის თითა	620
დეკა	328
დვალურა.....	634, 636
დიდბაია.....	666
დიდგულა.....	22
დიდი სვინტრი.....	74
დიდფოთოლა გვირილა	286
დიდჯამა ფურისულა	656
დილხამი.....	160
დოლუხანოვის ასკილი	728
დუგუმი.....	682

ე

ევროპული ჭანჭყატი	210
ეკალცოცხი	236
ეკლიანი ვაპარი	178
ეკლიანი ნარშავი	226
ელისაბედის დეზურა	670
ენდრო	756
ენდრონიკა	754
ენძელა	216
ეპიგეა	326
ესპანური კურდღლისცოცხა	466

ვ

ვაზისძირა	400
ვარდკანათა	252
ვარდვაჭაჭა	238
ვარსკვლავა	48
ვაშლანა	698
ვაშლისუნა	648, 654
ვირისტერფა	296
ვიტმანის იორდასალამი	580
ვორონოვის თეთრყვავილა	40

ზ

ზაფრანა	374, 376
ზიზილა	226
ზღვის შროშანა	42
ზღმარტლი	712

თ

თავვისარა	78
თავკომბალა	246
თავყვითელა	258
თავშავა	406
თავცეცხლა	398
თამელი	742
თეთრი ია	812
თეთრძირა	512
თელადუმა	806
თრიმლი	42

თუთუბო	44
თუშეთის ასკილი	730
თხანართხალა	512

0

იალღუნი	800
იაპონური გრაკლა	744
იბერიული ასტრა	224
იელი	328
იმერეთის მიხაკი	200
იმერეთის მუხა	342
იმერული ხეჭრელი	692
იულიას ფურისულა	652
იფანი	508
იფნურა	758

კ

კაბაჭრელა	472
კავკასიური აკაკი	176
კავკასიური არაბულა	132
კავკასიური ასკილი	730
კავკასიური (ევროპული) რცხილა	94
კავკასიური ზამბახი	380
კავკასიური იორდასალამი	578
კავკასიური კემულარიელა	262
კავკასიური კლდისდუმა	310
კავკასიური კლდისვაშლა	314
კავკასიური მაჭადვერი	802
კავკასიური ნაღველა	352
კავკასიური სოჭი	10
კავკასიური ტირიფი	762
კავკასიური ფრინტა	662
კავკასიური ხარისძირა	676
კავკასიური ხმალა	376
კაზაკური ღვია	18
კაკალი	388
კაკბის საკენკელა	102, 112
კამანია	220
კანადური ოქრონკეპლა	280
კატაბალახა	188

კატაბარდა	668
კახეთის მაყვალი	736
კახეთის მაჩიტა	162
კევის ბალახი	274
კეთილშობილი დაფნა	432
კენკეშა	164
კენწერა	324
კვიდო	510
კვრინჩხი	722
კიდობანა	210
კიტრანა	316
კლდის იასამანი	178
კლდის მოცხარი	366
კნაპა	702
კოლხური ბზა	150
კოლხური ყოჩივარდა	644
კომში	704
კორდისკბილა	556, 558
კორობელა	368
კოფრჩხილა	52
კრაბანა	372
კრიალოსანა	448
კურდღლის ბალახი	432
კურდღლისფრჩხილა	456
კუროსთავი	820
კუტი ბალახი	428



ლაგოდების თეთრყვავილა	38
ლაგოდების იორდასალამი	584
ლამაზა	204
ლანცეტა მრავალძარღვა	610
ლაფანი	388
ლევა	772
ლემა	792
ლენცოფა	794
ლელვი	504
ლემურა	316
ლიტვინოვის არყი	88
ლურჯი ნარი	50
ლურჯი ძირწითელა	108

მათრახა	142
მაიმუნის ჯადვარი.....	550
მამულა	222
მაჟალო	710
მარიამსაკმელა	506
მარმუჭი	694
მარწყვი	708
მაღალი მოცვი	332
მაღალმთის ბოკვი.....	770
მაღალმთის მუხა	340
მაღალმთის სამყურა	466
მაჩიტა	168
მანაქი.....	464
მაჯადვერი	804
მბრწყინავი ნემსინვერა	360
მდგნალი.....	762
მდელოს იონჯა	458
მდელოს მატკვარცანა	454
მდელოს სამყურა	470
მეგრული არყი	90
მედგარა	678
მედვედევის არყი	90
მეკენძალა	696
მელიქაური	804
მეჭეჭებიანი ჭანჭყატი.....	212
მზეყვავილა.....	210
მთის ბოკვი	772
მთის კესანე	114
მთის ღანძილი	36
მთის შროშანი	484
მთის წყალნანყენი.....	516
მთრთოლავი ვერხვი	760
მინდვრის გვირილა	266
მინდვრის ზამბახი.....	384
მინდვრის კესანე	116
მინდვრისნემსა.....	754
მინდვრის ნეკერჩხალი	768
მინდვრის პირთეთრა	192
მინდვრის სოინჯი	676
მინდვრის ხვართქლა	298

მიხაკი.....	196
მლამობის ჩინგილი.....	448
მლოკოსევიჩის იორდასალამი.....	582
მოლოზანა.....	24
მოპიტნაო.....	396
მოყვითალო ფრინტა.....	664
მუაველა.....	576
მრავალნაყოფა ღვია.....	16
მრავალფოთოლა დროზერა.....	320
მრავალძარღვა.....	610
მრგვალი წამალი.....	86
მსხალიჭა.....	326
მტირალა არყი.....	92
მტკვრის ესპარცეტი.....	460
მუზარადა.....	418, 420
მყრალი ღვია.....	14
მცირენაყოფიანი ბალამწარა.....	720
მწვავე კლდისდუმა.....	306

6

ნავაშინის ძაღლნიორა.....	74
ნარი.....	238
ნარისჯაგა.....	230
ნარცეცხლა.....	234
ნაცარა.....	252
ნაცარა მურყანი.....	88
ნაცარქათამა.....	28
ნემსიწვერა.....	356, 358, 364
ნიახურა.....	684
ნიგვზისძირა.....	710
ნივრისდედა.....	128
ნიუკა.....	62, 64

ო

ონტკოფა.....	796
ოროვანდი.....	222
ორფოთოლა.....	542
ორყურა.....	820
ოქრონკეკლა.....	282
ოშოშა.....	398
ოჩოპინტრე.....	230

კ

პანტა	726
პარნასურა	214
პასტუხოვის სურო	66
პატარა თელა	806
პატარა იონჯა	458
პატარძალა	98
პირიმზე	572
პირწმინდა	390, 392
პონტოს მუხა	342
პონტური შქერი	330

ქ

ქასმინი	510
ქოლო	736
ქუნჟრუკი	208

რ

რადეს არცი	92
როზენის ცისტვალა	80
რუპრეხტის იორდასალამი	580
რუსული ღიღილო	242
რცხილაფოთოლა ძელქვა	808

ს

სავარცხელა	354
საკმლის ხე	44
სამკურნალო კატაბალახა	188
სამკურნალო ძიძო	460
სამმტვრიანიანი ტირიფი	764
საოცარი ნაღველა	348
საპონელა	642
სატაცური	68
სატილია	568, 570
საყვითლო	420
საყურე	574
სელი	490
სელიჭა	608
სვია	176

სვინტრი	76
სკიპალო	180
სობისურა	794
სოსანი	668
სოსნოვსკის ფიჭვი	12
სტევენის იორდასალამი	582
სურნელოვანი ია	816
სურო	64

თ

ტირიფფოთოლა ბერყენა	726
ტკაცუნა	644
ტუხტი	496
ტყემალი	716
ტყის ბალბა	498
ტყის ბოლოვა	134
ტყის პიტნა	404
ტყის ჟუნურუკი	208
ტყის ფარსმანდუკი	216
ტყის ფურისულა	656
ტყის ჩიტისთვალა	750
ტყისცოცხი	442
ტყიურა	56

უ

უზანი	22
უთხოვარი	18
უკადრისა	82
უნგერნის შქერი	330
უჟმურა	364
ურაშა	738
უცვეთელა	368
უცუნა	214
უძოვარა	684
უძრახელა	438
უხრავი	96

ფ

ფამფარა	292
ფამფარულა	274

ფარსმანდუკი	218
ფითრი	766
ფოლიო	184
ფოლორცის ბალახი	404
ფრინტა	662
ფუტკარა	604, 606
ფუტკრის დედა	542
ფუჩფუჩა	264
ფუჭფუჭა	440
ფშნის ეკალი	462
ფხიჭა	774

ქ

ქარაძენძი	406
ქართლის ზამბახი	386
ქართული ზამბახი	380
ქართული კონახური	84
ქართული ლაშქარა	124
ქართული მუხა	340
ქართული ნეკერჩხალი	770
ქართული ძირმწარა	66
ქარცხვი	174
ქატმი	496
ქაფურა	708
ქაცვი	322
ქერიფქლა	788
ქვაპურა	48
ქონდარა ზამბახი	382
ქორაფი	768
ქრისტესისხლა	586
ქუდუნა	136

ლ

ლამის ია	140
ლანძილი	34
ღვედკეცი	58
ღვინა	476
ღიჭა	282
ღოლო	640
ღორის ქადუნა	264

ყ

ყაზახა	72
ყანის ია	812
ყანის მატკვარცანა	450
ყანის ნიორი.....	32
ყანის რეზედა	686
ყანის სანთელა	560
ყანის სოსანი.....	670
ყანის ჩიტისთვალა	746
ყანის ჭლეჭი.....	632
ყანჩაველის მაჩიტა	162
ყარღანი	30
ყაყაჩო	596
ყაყაჩურა.....	594
ყვავისფრჩხილა	464
ყვავისხმალა	594
ყვითელი დუმფარა.....	508
ყვითელი ტიტა	484
ყვითელი ღვინა.....	474
ყვითელი ძიძო	460
ყოჩივარდა	646

შ

შავბალახა	402
შავთარა	592
შავი ვერხვი	758
შავი კუნელი.....	702
შავი მოცვი	332
შავი ფიჭვი	12
შავი ღვია.....	14
შავჩოხა	98
შავწამალა	782, 784
შავჯაგა	692
შალამანდილი	414
შინდანლა	304
შინდი.....	302
შმაგა	792
შმალჰაუზენის დებურა	672
შოთხვი	722
შორვალა.....	60
შროშანა	70

შრომანი	482
შუპყა	54
შხამა	504


 B

ჩალანდრი	612
ჩანყობილა	558
ჩანყობილა ბაია	674
ჩვეულებრივი თავყვითელა	278
ჩვეულებრივი თხილი	96
ჩვეულებრივი კანაფი.....	174
ჩვეულებრივი კონახური	84
ჩვეულებრივი მურყანი.....	86
ჩვეულებრივი ნარშავი.....	228
ჩვეულებრივი ნუში.....	718
ჩვეულებრივი ღვია.....	14
ჩვეულებრივი ნაბლი	336
ჩვეულებრივი ხურმა	320
ჩვეულებრივი ჯონჯოლი	800
ჩიტავაშლა.....	724
ჩიტაკომშა.....	700
ჩიტიბუდა	540
ჩიტის ბირკა	110
ჩიტისთავა.....	476, 478, 480
ჩიტისთვალა	750


 C

ცაცხვი.....	502
ცერცივი.....	472
ცირციელი	740
ცის ბალახი	134
ცისთვალა.....	82
ციურა	100
ცოცხამაგარა.....	494
ცრუ აკაცია.....	462
ცხენიკუდა.....	248
ცხენისკბილა.....	40
ცხენისმუხლა.....	20
ცხვირა ტილჯირი.....	658
ცხვირისატეხელა.....	660
ცხრატყავა	186

ძ

ძაღლის ენა	104, 106
ძაღლისპირა	602
ძაღლის პიტნა	394
ძაღლის სატაცური	318
ძაღლნიორა	72
ძაღლყურძენა	798
ძახველი	24
ძეძვი	688
ძირტკბილა	446
ძირწითელა	108
ძმერხლი	78

წ

წერწა	186
წვრილფოთოლა იორდასალამი	584
წვრილფოთოლა სამყურა	468
წიალა	638
წიბა	802
წითელი გვირილა	286
წითელი კუნელი	700
წითელი მოცვი	334
წითელი ტიტა	486
წითელი ღვია	16
წითელი ღიღილო	236
წინიბურა	632
წინინაური	630
წყავი	718
წყალიკრეფია	664
წყალნაწყენი	514
წყლის ბაია	666
წყლის გამბახი	382
წყლის მარწყვაბალახი	696
წყლის მრავალძარღვა	26
წყლის წინმატი	144

ჭ

ჭალაფშატა	322
ჭახრაკაული	104
ჭიკარტი	624

ჭინჭარა.....	408
ჭინჭარი.....	810
ჭინჭრის დედა	400
ჭიოტა	190
ჭყიმი.....	46
ჭყიპანტა	206
ჭყორი.....	62

ბ

ხართუთა.....	506
ხარისთვალა	502
ხარნუყა	254
ხახვთესლა	646, 648
ხახვისთავა	234
ხახია	148
ხბოშუბლა	444
ხებალახა	798
ხემარწყვა	324
ხემყრალა	790
ხეშავი.....	690
ხეჭრელი.....	688
ხვალო	760
ხვართქლა	298, 300
ხვარხვარა	30
ხმალა.....	378
ხორციფერა	630
ხრიალა	572
ხუთყურა	442
ხუჭუჭა ნარშავი.....	228

ჯ

ჯაგრცხილა	94
ჯადვარი.....	548
ჯვარისებრი ნაღველა	346
ჯიქა	184
ჯიჭლაყა.....	26


კ

კართვისის მუხა.....	338
კორტენზია	366



ვამაცობთ მრავალფეროვნებით

ISBN 978-9941-8-3259-8



9 789941 832598